

**საკრძომ სახენიძა**

მოუხლოებად  
 გადმოიღვნიღლით  
 ძაღლით

**სერბო სამნიკე**

**მოვალეობად  
გადმოღვრილი მადლი**



**ბათუმი**  
2015

წინამდებარე წიგნის შექმნა განაპირობა პირველმაისელთა შრომითმა და გმირულმა საქმიანობამ. რამდენიმე ათეული წელი ეფიქრობდი ამ წიგნის შექმნას, გზადაგზა ვამდიდრებდი პირადულ ხანაწერებს, ვაგროვებდი სამშობლოს, მთავრობისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილ, გამოჩენილ და დღესაც მოღვაწე ადამიანების შესახებ ინფორმაციებს.

თუ რა როლს ითამაშებს აღნიშნული წიგნი, თავად მკითხველმა და დრომ განსაჯოს.

## **შეძლებთ კი...**

*შეძლებთ კი – სიბრძნით დაებეჭდოთ სოფელს დიდებულს?  
ხალხს მიეტბუნოთ, არგოთ რამე მოწყალე სულით?  
თუ გასცემთ გულით მისხალის ფასს, ან ჯორკიდებულს  
მით შევიღთაშვილთაც აამაყებთ თქვენი წარსულით!  
ღვთის შვილმა თუკი ვერ შეიძლო მადლის კეთება,  
მადლია ისიც – სხვისთვის სარწოდ თუნდ ლუკმა გასცეთ,  
ცოდვა-მადლს არვინ არა ზომავს წონით და ადლით,  
თუმცა გახსოვდეთ – მას მოიმკით რასაცა დასთესთ!*

## წინასიტყვაობა

აჭარის ტერიტორიაზე ღამაზ სოფლებს რა თქმა უნდა ძებნა არ ჭირდება, მაგრამ სოფელი პირველი მაისი ანუ საღორეთი განსაკუთრებულად ღამაზია – მეთქი ვერ ვიტყვი, თუმცა თუ დავეყრდნობით მწერლებისა და მკვლევარების, მოგზაურებისა თუ უბრალო სტუმრების გამონათქვამებს და აზრებს, სოფელი თითებზე ჩამოსათვლელთა სიაშია. აი ისინიც: დიდაჭარა, თხილვანა, ხულა, ქედა, კიბე და საღორეთი. ამ სიტყვების ავტორია მწერალი და პუბლიცისტი, დიდი ქართული განმანათლებელი, პედაგოგი, ხალხის და უპირველეს-ბავშვების საყვარელი მასწავლებელი-იაკობ გოგებაშვილი. მთლიანად ვეთანხმები ბატონ იაკობს, მაგრამ ვიტყვი, რომ მას აჭარის სოფლები სამწუხაროდ ყველა არ უნახავს, თორემ „ვაიოს“ არ გამოტოვებდა და არც ნებისმიერ სხვა სოფელს, თუმცა არცოდვად ჩაუთვალთ სახელოვან პედაგოგს. ეს პატარა შეცდომა და თუ რატომ ამას ალბათ წიგნის წაკითხვის შემდეგ დამეთანხმებიან. აი მაგალითად ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე საკმაოდ ვრცლად ახასიათებს სოფელს. მოგზაური ორიენტალისტი, ფრანგი ჟან მურიეც ეხება საღორეთს. თედო სახოკია, სხვები და სხვები, ხოლო ყველა სოფლის დათვალიერება და დეტალურად აღწერა ნამდვილად საძნელო საქმეს წარმოადგენდა.

ღირს კი საღორეთი ქებად?..

იქნებ მსგავსი შეკითხვა ვინმეს დაებადოს კიდევ, მაგრამ ვეცდები, ეს შეკითხვა, ნებისთ იქნება თუ უნებლიეთ, არავის მოსვლოდეს გონებაში.

„ჰა ბურთი და, ჰა მოედანიო“- ამბობს ქართული ანდაზა. ჰა, წიგნი და ჰა, პატივცემული მკითხველო თქვენზედ მომინდვია წიგნის შეფასება, მაგრამ პატარა იმედს ვიტოვებ, რომ ზღვაში ჩაკარებული წვეთივით არ გაქრება მკითხველის ხელში მოხვედრილი ეს წიგნი.

„ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“..

ჩვენც ვბჭოთ, ვისაუბროთ, განვსაჯოთ და ღმერთს თუ გაეცინება, მოდით ჩვენც ვიცინოთ, აბა სატირალი რატომ უნდა გვქონდეს ან ჩვენ, ან მამაზეციერს, ცოდვას ხომ არ ვაკეთებთ.

ჰოდა, რახან არ ვცოდავთ და სინდის-ნამუსით მივიკეცავთ გზას, ალბათ ნათელ-მირონი და სანთელ-საკმეველი არასოდეს ასცდება მიზანს.

ღირს კი საღორეთი ქებად? ამ კითხვას მეორედ ვსვამ და იქნებ ძალიან ბევრს დაებალოს ეს კითხვა, ამის გამო მოვიყვან მაგალითებს საღორეთის ცხოვრებიდან და მისი არცთუ ახალი ისტორიიდან, თუმცა უახლოეს ისტორიად სოფელში დაფრთიანებულ იმ პიროვნებებს მივიჩნევ, ვის შესახებაც იწერება ეს წიგნი.

ჯერი თქვენზეა მკითხველო!

როცა პირველი ლექსი დავწერე, როცა საქართველოს ისტორია შემასწავლეს, ისეთი შთამბეჭდავი იყო ჩემთვის, გადავწყვიტე როცა გავიზრდებოდი რაღაც შემექმნა სოფელზე. ალბათ რაღაცას მივადწიე, მაგრამ ის გადაწყვეტილება, რაც გულში ჩავითქვი და არ გავუმხილე არც პედაგოგებს და არც ასაკოვან ადამიანებს, უფრო ნაყოფიერი, ფასეული და მხატვრული იქნებოდა რომ გამემხილა. მაგრამ ბავშვობიდან ასეთი ხასიათის ვიყავი-ჩემით უნდა მიმედწია მისაღწეველი-სათვის. სწორედ აქ შევცდი. უფრო მეტის მიღწევა დიანაც შეიძლებოდა დამკვალიანებელი და ინფორმატორი რომ მყოლოდა ბევრი, რაც შეიძლება მეტი. იტყვიან „ობლის კვერი გვიან გამოცხვალ“. ვნახოთ თუ როგორი გამოცხვა ან გამოცხვება. სურვილი კი ძალიან დიდი მქონდა და თანაც ღამაზი. მინდა ყველაფერი ღამაზად გამომივიდეს, იმიტომ რომ, რასაც შევექმნი და გამოვამზეურებ, ის უკვე ხალხს ეკუთვნის, მე კი მინდა რომ ხალხმა ისიამოვნოს იმით, რასაც მივუძღვნი.

ჩემი ჯილდო კი ხალხის მადლობა იქნება. თუნდაც ისე, გულში რომ გაივლონ მაინც, თუ სიტყვიერად არ გამათამამებენ. მადლობის მოქმედი კი?... ალბათ იქნებიან. მე კი განდიდების მანიით არასოდეს ვყოფილვარ შეპყრობილი. რასაც ვქმნი, ის ხალხისთვის მინდა და ისეთი ღამაში სურვილით ვქმნი, რა სიღამაშითაც ჩემთვის ვისურვებდი ნებისმიერ სანატრელს.

თავს უფლება მივეცი სოფლის ყოფა-ცხოვრებაში შევახედო უცხოელებს, ნაცნობებს და ბევრი რამ ვაჩვენო, თუ რამდენად შევძელი ეს მისია, თქვენ განსაჯეთ მკითხველო!...

## შესავალი

როდესაც ამომავალი მზე სხივებს სტყორცნის სოფელ საღორეთის (პირველი მაისი) ჩრდილოეთ მწვერვალებს, იმ დილაუთენია ღამაში სანახავია სოფელი. მზის ათინათი მწვერვალებიდან ნელა-ნელა ეშვება დაბლა და თითქოს სიღრმიდან ამოიზარდაო, ასე ჩნდება ღამაში დასახლება, რომელიც სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობითაა გადაჭყდილი. ზოგი ძველისძველია, ზოგი შუახნის და ზოგი თანამედროვე სტილითაა ნაგები. ამათი დანახვა, სოფლიდან მათი სიღამაზის აღქმა, ძალიან ძნელია, თუ არ გადმოხედავთ იმ მთებიდან, რომელზეც თამარ მეფის დროინდელი ნაშენი ციხე-კოშკი „ყალე“ მდებარეობს და საიდანაც მზის სხივები ეშვება სოფლისკენ. ო! ამ ციხე-კოშკიდან მართლაც ღამაში მოჩანს სოფელი წლის ნებისმიერ დროს, ღამაზ ამინდში. მოპირდაპირე სოფელ კოლოტაურიდან კი, რომელიც სამ პატარა უბანს, ანუ სოფელს-დერეხოხნას (ღელის ხოხნა), ორთახოხნას (პატარა ხოხნა) და ჯინიშს აერთიანებს, განსაკუთრებით ღამაში მოჩანს გაზაფხულზე, ხეხილის ყვავილობის დროს. ზამთარში კი, ვისაც ოდესმე სადმე ღამაში სოფელი უნახავს, არ მგონია გადაფიფქული საღორეთის ხილვის შემდეგ სხვა სოფლის ხოტბით გაგვაკვიროს. ამას ხოხნიდან საღორეთში გამოთხოვილი ქალებიც დამიდასტურებენ, რომელთა რაოდენობამ საუკუნის განმავლობაში ოცდაათს გადაამეტა. ზედმეტობა არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ფუტკრის ნაყარი (მართვე) დღესაც ხოხნის ჩრდილებიდან გამორბის მზით გაჩახჩახებულ საღორეთში, ხოლო რაც შეეხება გასათხოვრებს – თუ ადრე ხოხნელი ღამაზმანები ყვავილებად აფეთქებული საღორეთის ხილვით იხობლებოდნენ და ამ სოფლისკენ შლიდნენ ფრთებს, ახლა საღორეთელმა დაფრთიანებულებმა გადაბაღანსება გადაწყვიტეს, მაგრამ შევნიშნავ ნახევრადხუმრობით ვინაიდან ხოხნა დიდხანს ინარჩუნებს სიმწვანეს, ალბათ

დოლარის სიმწვანემ იქონია ნაწილობრივი გავლენა და ხოსნის სიმწვანეს ფერი მიუმატეს ამითაც. ასეა თუ ისე, გადაბალანსება გრძელდება... დაე სიხარულად გადმოედვაროს ჩვენს სოფლებს – ბალანსის შენარჩუნება კი ნამდვილად საჭიროა და სასიხარულოც. ჰოდა, იქნებ ვიღაც შემედავოს და მითხრასრა საქებარია სოფელი, სადაც გლეხი თავს ძლივს ირჩენსო. არც მთლად ასეა საქმე. ერთმა ასეც თქვა-სოფელი კარგია, თოხი რომ არ აფუჭებდესო... დავეთანხმო? არ შემიძლია.

და აი რატომ.

ჩიტი იქ არის ძლიერი, სადაც ის დაიბადაო- არ ვიცი ვინ თქვა, მაგრამ მართალია მთქმელი. გლეხი, რომელიც სოფელში დაიბადა, თუ მიწას მოსცილდა, ბარაქა ეკარგება მის სიცოცხლეს.

ხე მაშინაა ძლიერი, როცა ფესვებით იმ ადგილს ებლაუჭება, სადაც ამოვიდა. გადარგული უდღეურია. იქნებ მართლა შემედავოს ვიღაცა, სოფლიდან წასული რამდენი ვინმეა ბიზნესით გამდიდრებულო, მაგრამ დავამატებდი სათქმელს-კაცმა სხვათა თვალის დასაგსებად (თუ თავისი ცხოვრების) ჯიბი შეიძინა და მეზობელს სთხოვდა ორ-სამ ლიტრ საწვავს, სხვათა თვალისწინ როგორმე გასაგორებლად. ვიცი, ვიღაცას ემწვავება, მაგრამ ადამიანი სინამდვილეს სად გაექცევა?...

წახვედი ადამიანო სოფლიდან? კი ბატონო, დმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ ნუ დაგავიწყდება-უკან შენიანები დარჩნენ, შენი გამომკვებაგ-მარჩენალი მიწა დარჩა, ჰოდა, თუ გული შეგტკივა გამდიდრებულს, შენს ნააკენევზე, საქმით არგე შენს სოფელს და ... იმაზე მეტი სიმდიდრე რა იქნება, ხალხის მადლობას რომ დაიმსახურებ.

თუმიცა...

ცოტა გამიგრძელდა, მაგრამ ერთიც უნდა დავამატო: ერთმა მეზობელმა სოფელელმა (ბიზნესმენმა) თავისი ნაოფლარით ნაშრონი ქონებიდან, სოფლელებს სურსათი გაუზზაენა და ... გინდ გაიკვორვეთ, გინდ გაიცინეთ-სოფლელებმა ასე თქვეს-აქედან რაღაც



გამოსარჩენი აქვს, თორემ ეგ რის გამომგზავნელი იყო. სხვებმა კიდევ-იქნებ მთავრობის ნაჩუქარია და სახელს იყენებს, თორემ ვინ იცის, რამდენი მიითვისაო-და ამისთანები...

ქვეყნად სამართალი ხომ არსებობს, ჰოდა ღმერთი არავის არაფერს დაუკარგავს-კარგის მოქმელს ბარაქას მოუმატებს, ავმოფიქრალს კი?... დანარჩენი თქვენზე მომინდვია...

ახლა დავბრუნდეთ ისევ სოფელში, რამეთუ სოფელი იმითაა მდიდარი (არა მარტო სოფელი...), რამდენი ქველმოქმედი, რამდენი სახელოვანი, რამდენი განათლებული და რამდენი კიდევ სულით მდიდარი პიროვნება გამოჩეკა თავის წილში!

ზემთ ვახსენე-კეთილი ნამოღვაწარი, ანუ სანთელ-საკემეველი მაღლს არასოდეს გაშორდება-მეთქი. მე ნამდვილად მჯერა... ღმერთი არაფერს დაგვიკარგავს...

ღიახ, ეს ასეც იქნება, მაგრამ მანამდე?...

...აჭარის და არა მარტო აჭარის ცხოვრებაში ისტორიამ ბევრ კეთილ საქმეს და დიდბუნებოვანი პიროვნების სახელებს მტვერი გადააფარა, მაგრამ სანთელ-საკემეველი რომ ბევრჯერ ვახსენე, მართლაც მაღლ-მირონით ეგებება შემდეგ ათასწლეულს. გამოსამზეურებელს ამზეურებს, ისტორიის მიერ წაყრილ მტვერს ჰფანტავს და აჩენს მარგალიტებს... ღიახ, დაჰბერა ქარმა.

როგორც ცნობილია, აჭარის აყვავებული, კულტურული ცხოვრება ოსმალურმა რეჟიმმა დროებით შეაჩერა, მაგრამ თითქმის სამ-საუკუნოვანი იგნორირების შემდეგ ისევ გამოიხედა შორსმჭვრეტელი ხედვით და ისევ ეზიარა ცხოვრების მრავალ სიკეთეს, რა თქმა უნდა, პროგრესული საზოგადოების დახმარებით.

ისტორიის ჩარხი ხან წაღმა ბრუნავს, ხან უკუღმა. აჭარის ისტორიაში კი ეს ჩარხი პირუკუ დატრიალდა და თუ რა კვალი დაამჩნია ამ უკუსვლამ ჩვენს ცხოვრებას, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია

ბევრი ისეთი პიროვნების ვინაობაც, რომლებიც ბედუკუღმართი ჩარხის წაღმა-უკუღმა ტრიალში, შუაგულ ცეცხლში იდგნენ, საკუთარი მკერდით და გონებით იცავდნენ მშობელი ხალხის მსოფლმხედველობას, სოციალურ მდგომარეობას და კეთილი მერმისისკენ უკაფავდნენ გზას.

ღიას, ისტორიაში მათი სახელები ოქროს ასოებითაა ჩასაწერი.

ადამიანის ფასი და წონა იმით იზომება, თუ რა დამსახურება მიუძღვის მშობელი ხალხისა და სამშობლოს წინაშე. არიან ადამიანები, ვისი სახელიც კაშკაშა ვარსკვლავებით ბრწყინავენ და არასოდეს ჩაქრობა არ უწერიათ.

ღირსეული ადამიანების სახელები მშობელი ხალხის გულებიდან ისევე არ წაიშლება და არ გაქრება, როგორც ცარგვალიდან მაცოცხლებელი მზის სხივები.

არაა გასაკვირი, რომ ქართველი საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა არც კი იცოდეს აჭარის ისტორიული წარსული. ეს არცოდება-მეთქი ვერ ვიტყვი, არცოდნა მართლაც ვერაა სახარბიელო. აქ შეიძლება ზედმეტად იყოს იმის აღიარება, რომ ზოგიერთ თბილისელ პროფესორს (რომელთაც პრეზიდენტმა მართებულად უწოდა „ჩარეცხილები“) აჭარა სათათრეთად მიაჩნია და მხოლოდ თბილისი საქართველოდ. ამის მოსმენის „სიამოვნება“ მქონდა ტელეეთერში.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს (და ზოგიერთებისთვის საბედნიეროც) აჭარაში კულტურული ცხოვრება დუღდა და ზენიტამდეც მივიდა, მაგრამ როგორც აღინიშნა, ოსმალურმა რეჟიმმა ეს დუღილი დროებით შეაჩერა, თუმცა რა მიზანიც ჰქონდათ, საბოლოოდ მაინც ვერ მიაღწიეს. (დღევანდელი სტატისტიკა კი შემაშფოთებელია...).

სინათლემ და სიმართლემ სძლია სიბნელეს და ბოროტებას. კეთილ კვალს ვერავითარი კატაკლიზმა ვერ მოსპობს.

სწორედ კეთილი კვალის გაკვალვაში, ბოროტებისა და სიბნელის დამარცხებაში საღორეთელი პატრიოტების წილი

მნიშვნელოვნად დიდია და ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიე თან-  
მიმდევრულად ავსახო მათი საქმიანობა, ნაღვაწი და შედეგები.

დრო უღმობელი კი ზოგს დაფნის გვირგვინს ანიჭებს  
ხოლო მართლა დასადაფნავეს სადღაც სიბნელიდან სი-  
ლუეტად გვაჩვენებს, მაგრამ თუ დრო თავისას აკეთებს, ჩვენც  
ჩვენი საკეთებელი ვაკეთოთ, იქნებ ოდესმე გამოჩნდება, თუ  
რას და რატომ ვაკეთებდით.

ოღონდ, ერთი აზრი უნდა გვასულდგმულებდეს - ჩვენ  
ვიღვაწოთ და შედეგზე თვალი ნუ გავგვიქცევია.

## **ნახსენი, ანმყო, მომავალი...**

ცოტად თუ ბევრად შევეხე სოფლის სილამაზეს მთის  
კალთებიდან მზის სხივებში აციაგებულს, გაზაფხულზე თუ  
ზამთარში. ახლა შევიდეთ სოფლის სიღრმეში, ყოველდღი-  
ურობაში, ავში და კარგში, ჭირში და ლხინში, მთაში თუ  
ბარში, შინ თუ გარეთ. ამთავითვე ვკისრულობ თქვენს მეგ-  
ზურობას და ვგონებ ბილიკზე არ წავიფორხილებ.

თურქული ასეულწლოვანი ბატონობის პერიოდში სოფე-  
ლი მრავალჯერ დაიცალა და აღორძინდა „ბეთლემის“ ტრაგე-  
დიის შემდეგ. (საღორეთელთა ამოწყვეტიდან 2013 წელს სა-  
მასი წელი შესრულდა). მოდიოდნენ დაცარიელებულ სოფელ-  
ში, სახლდებოდნენ, აწყობდნენ ცხოვრებას, მერე ზოგი რჩებო-  
და, ზოგი ისევ სხვაგან ეძებდა სამოსახლოს და ასე, ორასორ-  
მოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

ამ შემოსვლა-დასახლებით სოფელში ამჟამად თვრამეტამ-  
დე გვარი ცხოვრობს, მათგან რამდენიმეს ასეული წლების  
ისტორია გააჩნია.

დღევანდელი გადასახედიდან იოლი არის თუ არა, ამას  
მკითხველიც დამერწმუნება, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა  
ვთქვა-თუ „ტყეში გავარდნილებიც“ იყვნენ, დღეს სახელო-  
ვანი ადამიანები ძალიან დიდად სჭარბობენ.

იქნებ დაიბადოს შეკითხვა, რითი არიან სახელგოვანნიო, მოვა ფარდის ახდის დროც.

სოფელი საღორეთი ძირითადად ცნობილია ზაქარია ჭიჭინაძის და დიმიტრი ბაქრაძის ნაწარმოებიდან, მაგრამ აქ ისტორიული დოკუმენტები საერთოდ არ გვხვდება. თუ დავეყრდნობით ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს და მის ჩანაწერებს, რომელსაც დღეს ისტორიულ დოკუმენტად აღიარებენ სწავლულები, იგიც მოგზაური ისტორიკოს-ეთნოგრაფი იყო და ამდენად, ყველა მონათხრობი მაშინ ისტორიული დოკუმენტის ტოლფასია, არადა სოფელ საღორეთზე არსად არავითარი ძველი დოკუმენტური მასალა არ მოიპოვება.

ეს წიგნი, რამდენადაც წმინდა ისტორიულ სახეს არ ატარებს, ამდენად მასში მოცემული იქნება კურიოზისმსგავსი მონათხრობიც, ამიტომ წიგნი არც მხატვრული ნაწარმოები იქნება, არც ისტორიული მოთხრობა, არც ზღაპარი და არც ლეგენდა, მაგრამ ყველაფერ ამათით შესაძლებელია გავაღამაზოთ სათხრობი ჟანრი.

ზ.ჭიჭინაძე მოგვითხრობს საღორეთელთა გამუსლიმანების ამბებს. სოფლის სახელწოდებაზე გვაწვდის ცნობებს, რომ, როცა მეზობელი სოფლები გამუსლიმანდნენ, მცხოვრებლებმა საღორეთლებს ერთიანად მოურეკეს ღორები და უთხრეს: ჩვენ გავმუსლიმანდით და ეს ღორები თქვენ გებარებოდეთ. ჩვენ მუსლიმანობას ვცდით, თუ არ მოგვეწონა, გავქრისტიანდებით და ნამრავლიდან თითო სული მოგვეცით, თუ მუსლიმანებად დავრჩით, მაშინ ფეშქაში იყოს თქვენზეო. რადგანაც სოფელშიც ჰყავდათ ღორები და სხვა ღორებმაც მოიყარეს თავი, ამ სიმრავლის გამო ოსმალებმა სოფელს „დოვმუხქოი“ (დოვმუხ-ღორია) „საღორეთი“ შეარქვესო.

შემდეგ, გამუსლიმანების ამბებს გვიყვება ბატონი ზაქარია: „ზედა აჭარაში გამუსლიმანების ბოლო ფაზაში იყო სოფელი საღორეთი. ამათ მიაშურეს თავის სახიზარ-„ბეთლემს“

და იქ, მათ სალოცავთან დიდხანს იყვნენ თავშეფარებულნი. რამდენიც იცდილეს ოსმალებმა მათი ამოწყვეტა, იმდენჯერ ან ნიაღვარმა მოუსწრო, ან კოკისპირულმა წვიმამ, თოვლმა, სეტყვამ. ძალიან გაუჭირდათ იქ მისვლა, ბოლოს მეგზურის თანხლებით თავს დაუარეს და ერთიანად ამოწყვიტეს“-ო.

ასე და ამგვარად სოფელ სალორეთის მცხოვრებლები ქრისტიანულ რელიგიის დაცვას ერთიანად შეაწყდნენ. სამშობლოს, სარწმუნოების ღირსებას ზვარაკად შეეწირნენ.

ჭიჭინაძე სოფლის სახელწოდების შესახებ სხვა ცნობასაც გვაწვდის: „მცხოვრებლებმა მითხრეს, ახლა სალორეთი ჰქვია, თორემ ადრე სოფელს სხვა სახელი ერქვა“-ო. მთარეული ამბებით სოფელს თამარ მეფის სტუმრობამდე „სავანე“ რქმევია, მისი სტუმრობის შემდეგ, ოსმალთა შემოსვლამდე მეფის საპატრივცემულოდ მოსახლეობის მიერ შერქმეული სახელი „ნადარბაზნევი“ერქვაო. ესეც სარწმუნოა, ვინაიდან მცხოვრებლები, მცირედი განსხვავებით, ადგილმდებარეობას, სადაც თამარ მეფეს დარბაზობა გაუმართავს, დღეს „ნადარბაზნევის“ ეძახიან. აქ ერთიანდება შემდეგი ვითარება. რუსთა ჯარის ნაწილებს ამ ტერიტორიაზე, იქ სადაც ძველისძველი, თამარ მეფის მოღვაწეობამდელი, სავარაუდოდ აღმაშენებლის დროინდელი საკმაოდ დიდი ზომის სტრატეგიული ციხე-სიმაგრე იყო აღმართული და რომელ ადგილსაც დღეს „ნაყულღევს“ ანუ თურქული წარმოშობის ამ ტოპონიმს, ნაციხარ ადგილს ვეძახით, დიმიტრი უღობას ჯარისკაცებს დაზვის ტყვიამფრქვევი დაუდგამთ, რის მეშვეობითაც ოსმალები გაურეკავთ სოფლიდან, მცხოვრებლები „ნადარბაზნევის“ უწოდებენ. ზარბაზანს კუთხურად „დარბაზანს“ ეძახიან. ამ დასახელებათა გაერთიანებით და გავლენით დღესაც „ნადარბაზნევი“ აღიქვამს მოსახლეობა. მოგეხსენებათ, ზოგ რაღაცას სახელები უნარჩუნდება უცვლელად, ზოგს კი კუთხურად გადაკეთებული და ამგვარად წაიშალა ის ძველი სახელწოდება „ნადარბაზნევი“, რაც საამაყოდ ჰქონდათ სოფ-

ლელეს. დღესაც დიდია დაინტერესება, სოფელს თამარ მეფის საპატივცემულო სახელი დაუბრუნდეს.

ხშირად მიწვევს ყველა ლამაზი გადმოცემის გამეორება, ამიტომ ნურავინ გამკიცხავს-ლამაზი მოსასმენის ხშირად მოსმენა სჯობს, ავეიათა მიერ ჭორების და ლაყობის მოსმენას. მგონი ამაში ბევრი დამეთანხმება და უაზრო, უმაქნისი ამბების, ჭორების და გასაკიცხ ამბავთა დიდოსტატები რომ არიან ჩემი სოფლელები, არც ამაში შეიტანებენ ეჭვს... და, ვაი რომ, ვისზედაც ეს წიგნი იწერება, ვისაც ჩამოვთვლი, მათ რიგში, მათ გვერდით არსებობას ასეთი ვაი-სუბიექტები მაინც ახერხებენ. არც შემიძლია მათი უარყოფა, ვინაიდან „შუბი ხალთაში არ დაიმალება“.

მე წიგნი შევარქვი წინამდებარე ნაშრომ-ნაღვაწს და თუ რამდენად იმსახურებს ამ შეფასებას, ალბათ მკითხველი, რომელიც არაერთგვაროვანი შემფასებელია, თავის ადგილს მიუჩენს თავის გულში და ალბათ საზოგადოებრივ არენაზეც, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა განვმარტო.

ბავშვობიდან ვეწაფებოდი ყოველგვარი სახის ლიტერატურას, ასე ვთქვათ ყველა სფეროში ასე თუ ისე რაღაც გამეგება, მაგრამ ჩემი სოფლის სანახებით რომ ვსულდგმულვობ „ძალიან შორს“ ვერ წავედი, ანუ რაც შეეკმენი სოფლის სიყვარულმა, ჩემი ხალხის პატივისცემამ, ღირსეული ხალხის დამსახურებამ, ღირსეულმა დაფასებებმა გადამაწყვეტინა ამომეწურა ის შესაძლებლობანი, რაც ჩემს სოფელს ეკუთვნის, რაც ჩემი ხალხისთვის არ მენანება, მაგრამ ისე არ გამოვიდეს ჩემი წინა წიგნის „ანარეკლები წარსულიდან“- პრეზენტაციაზე, მწერლობაში ჩემმა დამკვალიანებელმა, ქართულის მასწავლებელმა რომ განაცხადა-ამ წიგნით ავტორმა თუ სოფელს დაუდგა ძეგლი, ამით თავისთავსაც დაუდგა ძეგლი-ო...

არ ვიცი რამდენდ მხატვრულია ასეთი აღიარება, მაგრამ სოფელს ძეგლად თუ წავადექი, არც ამისი მრცხვენია! დიახაც,

ღირსია სოფელი საღორეთი ძეგლისა, მაგრამ ვინ იქნება ის დალოცვილი, ვინც ამ საქმეს ითავებს? რა სახის იქნება ეს ძეგლი?...

ვინ როგორ გაშიფრავს არ ვიცი, მაგრამ საღორეთს ძეგლი დადგმული აქვს „ბეთლემში“ ამოწყვეტილი მეზობლების გმირობით და დღესდღეობით მოღვაწე იმ ქართველი მამულიშვილების სახელ-დიდებით, რომელთა ჩამოთვლა ღირსეულ საქმედ მიმაჩნია. ამდენად ამ წიგნს საპრეტენზიო არაფერი გააჩნია. თუკი ვინმე გამოთქვამს აზრს, უფრო უკეთ შეიძლება საღორეთზე, რაიმეს შექმნაო, სცადონ ბატონო, საწერმა მოწყობილობამ ოპიუმით იცის შეღიბინება, ოღონდ ვის რა და როგორ ხელეწიფება, ამას ალბათ საზოგადოება შეაფასებს.

მე არ ვარ მათემატიკურ სიზუსტეებზე გათვლილი ამბების აღმწერი. ციფრებით თუ ვერ დაგკონკრეტდები, არც იმითი ჩავდივარ ცოდვას, წერის საკუთარი სტილი და მანერა რომ გამაჩნია. ყველა ისე წერს, როგორც სურს, მაგრამ თუ წაიკითხავთ ლაშა ბუღაძის ნაცოდვილარს (თამარ მეფის შესახებ) და ვახუშტი კოტეტიშვილის წიგნს (რომელიც თვალთ არ მინახავს)- „სკაბრეზული ლექსები“, დარწმუნდებით, რომ ჩემი ნაღვაწი იმათთან შედარებით, ჩვენში რომ იტყვიან „გასარანდი ფიცარი“ უფრო იქნება, ვიდრე ლაშა ბუღაძის თუ ვახუშტის (და არა მარტო ამათი) „გვირგვინ-დადგმული“ ნაწარმოების მსგავსი...

შორს რომ არ წავიდე კრიტიკული თვითშენიშვნებით თუ სხვათა კრიტიკით, ჩემი თხზულების ავ-კარგი, თეთრი და შავი, ნათელი და ბნელი მომავალმა განსაზღვროს. ცოდვასა და მადლს არსთაგამრიგე გაზომავს და აწონის, ამისი გჯეროდეთ.

უხლა პატარა ექსკურსი ორკილომეტრნახევრიანი სიგრძისა და კილომეტრი სიფართის სოფლისა თუ სოფლიდან „გადახვეწილი“ პიროვნებების მიერ იმთავიდან დღევანდე-

ლობამდე მოტანილი, საღორეთის ქება-დიდების ამსახველ ამბებში, რაც მათს წილად მოდის. უდავოდ ქება-დიდებას იმსახურებენ და არდასავიწყებელნი არიან ისინი, რამეთუ საღორეთის ძარღვებით სულდგმულობდნენ, საღორეთის სახელს ეფერებოდნენ და უფრთხილდებოდნენ.

1. ხასან-ეფენდი სურმანიძე - აჭარის მუფთი. 1890 - იანი წლები.

2. შაქირ-ეფენდი ხასუტოღლი (შერვაშიძე). 1880-იანი წლების ასპარეზზე, ოსმალთა ჯარების ბინბაში.

3. ემინ შანბაშოღლი (დვალიძე) - სირიაში თუ ომანში-დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარის ტოლფასი დიდებულთა რჩეული.

4. ლომან ბაირახტარი თებიძე - 1838-1845 წლები. ოსმალთა ჯარის მედროშე.

5. ჰაჯი ოსმან-ეფენდი შავლიძე - სტამბოლის სულთან-ჯამის მთავარი ხოჯა.

6. მემი ბაირახტარი ყადიძე - 1860-1870 წლების ოსმალთა ჯარის მედროშე.

7. უსეინ არძანოღლი (ქაღიძე) - „ფეჰლეკანი“

8. ყიზეთაღა შამბაშოღლი (დვალიძე) – 1840-იანი წლების, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმის წევრი.

9. უსუფ არძანოღლი (ყარაუსუფი) - ოსმალთა ჯარის ბინბაში. ხინოში, ნატო ქათამაძის მიერ მოკლული.

10. ბასო თებიძე - თურქეთში ბინბაშად დანიშნული, მაგრამ ამ წოდების უარყოფელი და სამშობლოში დაბრუნებული.

11. საამი ახალციხელი -

12. შვილი აბდულ საამიოღლი - სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის ჯარში მოხალისე ჯარისკაცები.

13. უსტაშაჰინ საამიოღლი - საღორეთში პირველი აკუნის მკეთებელი, „ფილინთა“ (ფილთა) თოფების და ხმალ-ხანჯლების ოსტატი, ქველმოქმედი წმინდანი



14. მამუდ-უსტა საამიოღლი - უსტაშაჰინის შვილიშვილი, „ფილინთა“ (მაჭახელების ტიპის) თოფების, დამბაჩების და ხმალხანჯლების მკეთებელი უბადლო ოსტატი.

15. ოსმან-აღა მეღეგოღლი - „შავი მეჯლისის“ თავმჯდომარე. მსხვილფეხა საქონლის და ცხენსაშენი მეურნეობის მფლობელი.

16. ჯასიმ (დავით) დევაძე - ყოფილი პარტიული ფუნქციონერი.

17. ხასან ჩალოღლი - აჭარის მთავრობის წევრი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი.

18. იაშა ჩავლეიშვილი - ყოფილი ფინანსთა მინისტრი.

19. ნური ჩავლეიშვილი - შ.ს.ს. ოფიცერი.

20. გურამ ჩავლეიშვილი - შ.ს.ს. ოფიცერი.

21. ტარიელ მეღიქიშვილი - საფრენოსნო სკოლადამთავრებული. უანგარო, სამართლიანი მუშაკი.

22. ჯემალ მეღიქიშვილი - მხატვარი, გრაფიკოსი, საჭრეთლის ოსტატი.

23. აღიკო მეღიქიშვილი - მხატვარი.

24. ნოდარ მეღიქიშვილი - პროკურორი, ყოფილი შ.ს.ს. მინისტრი.

25. ნაზიკო მეღიქიშვილი - მუსიკოსი.

26. იაშა შერვაშიძე - ბიზნესმენი, საქართველოს პარლამენტის ორგზის მაჟორიტარი დეპუტატი.

27. ლია ციციანიძე - საღორეთის ისტორიაში რიგით მეორე მედიცინის მუშაკი, ექიმი.

28. გენო თებიძე - გაზეთ „აჭარის“ ყოფილი რედაქტორი. ქალაქის საკრებულოს წევრი.

29. დავით სამნიძე - ქ.ბათუმის ყოფილი ვიცე-მერი. ბიზნესმენი.

30. ვიქტორ ღორთქიფანიძე - საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი. პირველი პარლამენტარი. გენერალ-ლეიტენენტი.

31. სელმან ლორთქიფანიძე - 1921-1931 წლებში აჭარის განათლების სახალხო კომისარი.

32. ხასან ლორთქიფანიძე - პირველი აჭარელი იურისტი, მეჯლისის წევრი.

33. ზულიეკა ლორთქიფანიძე - პირველი საღორეთელი ექიმი.

34. თემურ მიხეილის ძე ლორთქიფანიძე - თბილისში მოღვაწე, ფესვებით საღორეთელი ექიმი, პროფესორი.

ამათგან ძალიან ბევრი უცხო ქვეყნის უცხო დროშის ქვეშ აღზევდა, ზოგს მშობლიური მიწა არ ეღირსა-სამშობლოსგან მოწყვეტილნი, სადღაც უცხო ქვეყნებში უსახელოდ განისვენებენ. უსახელოდ იმიტომ რომ, მხოლოდ თავიანთ სამშობლოში ახსოვთ ისინი, უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ კი მხოლოდ მტრის მომსპობ იარაღად გამოიყენებოდნენ. ისინი ოქროს ასოებით არსად ამოუტვიფრიათ. ზოგმა ქაიროში მი-აღწია ზეობას, ზოგმა ოსმალთა ქალაქებში, ზოგმა იერუსალიმში, ვინ მოსკოვში ისწავლა, ვინ ლენინგრადში. ტარტუში, ულიანოვსკში, კიევში, როსტოვში, ოდესაში, ბაქოში, თბილისში, უზბეკეთში და სხვაგან... და მერე რა?

უცხო ქვეყნის დროშების ქვეშ მებრძოლნი თუ მოღვაწენი მამლუქთა მსგავსად სხვათა საქმეს აკეთებდნენ, იმაზე უკეთ, ვის ქვეყნებშიც იმყოფებოდნენ. ქუხდა ალბათ მათი სახელები მამლუქთა მსგავსად, ოქროსფაფარიან მერნებზე ამხედრებულნი იარაღის ღაპლაპით მომხვედურებს თუ დამხვედურებს რომ უხეთქავდნენ გულს და უსწრაფებდნენ სიცოცხლეს, მაგრამ დროთა სვლამ ისინიც მტვრად აქცია საჰარის უდაბნოს ქარის მიერ გაფანტული მტვერით. ვინ იცის, ვინ რა გაჭირვება გამოსცადა, სამშობლოს მოწყვეტილ და უცხო ცის ქვეშ ბედის მიერ გარიყული მწირით. აღზევება? დიახ, არ აკლდათ, მაგრამ საკუთარ სამშობლოს, ქართულ ცას და საკუთარ ჭერქვეშ ყოფნას ხომ ვერავითარი აღზევება

ვერ გადაფარავს. ჩვენ, დღევანდელი თვალსაწიერიდან, გვიხარია მათი სახელის გახსენება, სიამაყითაც გვევსება გული, მაგრამ აბა გადავხედოთ მათ მიერ გავლილ გზებს, განა მართლა თავზე ხელს უსვამდნენ ჩვენგან გადახვეწილებს? არა, ეს ჩვენ გვეჩვენება ასე თორემ, რამდენი გაჭირვება, დამცირება და სიღატაკე გამოუცდიათ.

ახლახან გამოვიდა ოსმალური დოკუმენტების კრებულები, სახელწოდებით „ოსმალეთის ქართველები“ და „საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში“, რომელთა ავტორები თურქები არიან და სადაც აღზევებულ ქართველთა უმეტესობის ტრაგიკული აღსასრული და ძალიან ბევრი სიყალბეებიცაა მოცემული. მე არ შევუდგები წიგნების შინაარსის დეტალურ გადმოცემას, ეს ისტორიის მიუკერძოებელი კრიტიკოსების საქმეა, თუმცა ვიტყვი იმას, რომ თუ მათ ვინმე წაიკითხავს, ჩემს შეფასებაში დამეთანხმება.

სანამ ჩვენთან მოაღწევდა მათი აღზევების აჩრდილი, უკვე მათი ძეგლები უცხო მიწაში იშლებოდა და ეს გრძელდებოდა საუკუნოებით.

ნოსტალგია- ესაა ის დაავადება, რომელიც სამშობლოს მოწყვეტილ ნებისმიერ სიმაღლეს მიღწეულ ადამიანს შეეყრება და ჩვენ მათზე უნდა ვლოცულობდეთ, ვინაიდან ჩვენი სიცოცხლე, მათ ზურგზე გადავლილი ტვირთის სიმძიმით გარკვეულწილად გვიმსუბუქდება დღეს.

გვიმსუბუქდება კი?

არა მგონია. ჩვენ, გმირები მხოლოდ სადღეგრძელოებში გვახსენდება. განა არსებობს მისია, რომელიც ამ გმირების ნამოღვაწარს ძირეულად გამოამზეურებს? არა მგონია ესეც და ისევე უკვალოდ დაინთქმება წლები, როგორც უდაბნოს ოაზისები აღიგავა პირისაგან მიწისა. ჩვენ მხოლოდ დაღადისი და ნოსტალგია შემოგვრჩება.

ჩვენ გვეამაყება ჩვენი წინაპრებით, წინამორბედებით და დღევანდელი თაობით. ეს სავსებით სამართლიანია, უნდა

გვეამაყებოდეს, მაგრამ განა ღირსნი ვართ, რომ მათით ვამაყობდეთ?

ესლა მოიგონეს რევოლუციის მუზეუმი (თითქოს ძველად არ იყო ...) ოკუპაციის მუზეუმით და ათასი რამ . განა ქართველებს ჩვენი წინამორბედები მართლა გვენადლება? თუნდაც ასე იყოს, სადაა მაშინ მათი დიდების ამსახველი, ერთად მოყრილი თუნდაც მხოლოდ სურათები იყოს, გინდაც... ეჰ, ქართველებმა მხოლოდ მჯიდისცემა ვიცით გულზე, მუზეუმი კი? ვის სჭირდება არა ქართული საქმის მკეთებლების მუზეუმი... ჰო, ეს გვჭირს თორემ... განა ვნამეზე ნაკლები პატრიოტები გვეყავდა ჩვენ? ისინი, უცხო მიწაზე საარაკო გმირობებს სჩადიოდნენ და მოქალაქეობრივ მოვალეობასაც უყურადღებოდ არ ტოვებდნენ, და იცით რატომ? არა იმისთვის, რომ სულთნებისა და ფაშებისათვის, იმპერატორებისა და შაჰებისათვის ესიამოვნებინათ, არა, იცოდნენ რომ, საქართველო მათ გულისძგერას მუდამ უსმენდა. იცოდნენ და ეს აძლედა მათ ძალას და ენერგიას. იცოდნენ, რომ მათი სახელი და დიდება, აუცილებლად მოაღწევდა ჩვენამდე. მერე რა, რომ მშობლები და ნათესავები ვერ ეღირსებოდნენ მათი ღირსების ცნობას. (თუმცა მაინც მოაღწია ნაწილმა). სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანების მშობელი და ნათესავი ყველა ქართველია და ყველა დროში.

ცოტა მინდა გადაგუხვიო, მაგრამ თემას არ მოვწყდები. აი, მუზეუმებთან დაკავშირებით და ძეგლებთან მიმართებაში...

წინა ხელისუფლებამ ოკუპაციის მუზეუმი დაარსა რუსეთ-საქართველოს ორდღიანი ომის გამო, თუმცა ჩვენში რუსების „შემოჭრის“ მთლიანი ისტორია ასახეს ალბათ... აი, ის კი ავიწყდებათ, რომ რუსეთმა ასე თუ ისე, ნამდვილად გვიხსნა ოსმალეთისა და სპარსეთის უღლისგან. აი, საკვირველი ისაა, რომ ამ ქვეყნების ექსპანსიის ამსახველ მუზეუმებს არ ხსნიან... დიახ, დიახ, საკვირველია... ამერიკის დახმარებით უნ-

დათ რუსეთს ძლიერება შეურყიონ... სასაცილოა... რაიმე რომ მოხდეს ჩვენვე გავიჭყლიტებით. იგივე ამერიკის დახმარებით თურქეთს და ირანს მოთხოვონ პასუხი ქართველებმა იმდენ-საუკუნოვანი ჩვენი ქელვის გამო. გახსნან საოკუპაციო მუხუშუმები, ასე მრავლად შემოხეტებულ თურქებს და ირანელებს განუშარტონ მათი სახელმწიფოების ბარბაროსული დანაშაულის არსი და მიხვდებიან, რომ რუსეთის „შემოჭრა“ ზღაპრად დარჩება.

პოლიტიკა ბინძურიაო... ის არაა სიბინძურე, დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობა რომ საზღვარგარეთელთა ნაგავში იჩხრიკება საარსებო საშუალების საძებრად? აი ეს, ნამდვილად სამარცხვინო და სატირალია.

რაც შეეხება ძეგლებს, კონრეტულ შემთხვევაში სტალინისას. რომ არა სტალინი, დაგუშვით გაემარჯვა გერმანიას, აღარ იარსებებდა რუკაზე საქართველო... ამის გაცნობიერებას ხელოვნურად რომ ბლოკავენ, ესაა ჩვენი აზროვნების ვანდალიზმი... მე მეტს აღარაფერს ვიტყვი, ოღონდ დავამატებ-ხალხს სტალინის ხსოვნა გულში აქვს ძეგლად, ისევე როგორც, თამარმეფისა და ამას ვერავითარი ხერხით ვერ ამოშანთავენ. ძეგლის გადადგმა-გადაგდებით ქართველები საზღვარგარეთის ხალხს ვახარხარებთ. გვინდა კი ეს ჩვენ? აი, დასავლური ფასეულობებიო... ეს სასაცილოა და სასოწარკვეთამდე სატირალიც. ნუთუ ფასეულობებს წარმოადგენს აღვირახსნილი სექსი, გეი-აღღუშები, აღრეული ქორწინებები და ათასი ამგვარი რამ? ეს გვინდა?... ვაი, გათახსირებაჲ... თუ ფასეულობებზე მიდგება საქმე, საქართველოს ეს საძებარი არასოდეს ჰქონია... უცხო ქვეყნის დროშებს თავშეფარებული, ვიტყვი ჩვენი გმირები სწორედ ასეთ სიმახინჯეებს ებრძოდნენ იქ, სადაც იყვნენ და მაქსიმალურად ცდილობდნენ ჩვენთან რომ არ შემოჭრილიყო. დიახ, ისინი ბოლომდე ბარიერად იყვნენ და დღევანდელიობამდე, ჩვენს „გადასავლეთელებამდე“ ამაყოფნენ კიდევ მათი წინაპრების

გადმოცემით საქართველოს სიწმინდით. ჩვენ კი რა დავახვედრეთ? იქაური ჩვენნიანები ჩვენს ზნეობრიობას აფურთხებენ კიდევ. აბა სცადეთ და ჩამოვირეცხოთ ეს ფურთხი... ჩვენგან გადახვეწილები ჩვენნიანი დღევანდელი დღით არ ცხოვრობდნენ, თუმცა მათი აზრი და გონება დღევანდლობამდე წვდებოდა და დღეს ამიტომ გვეგონია ასე იოლი მათ მიერ განვლილი გზა. სწორედ ამიტომ ვიბაგუნებთ გულზე მუშტებს-ასეთი წინაპარი გვეყავდაო. ახლა ვიკითხოთ,-მათ გულზე დაყრილ მიწას რაგვარი სიმძიმე აქვს. დიახ, ძაღზე მძიმეა უცხო ქვეყნის მიწა, რომელიც მშობლიური ცრემლებით არ იქნება დამბალი. მსუბუქი მხოლოდ ჩვენი მიწაა, თუმცა არა ყველასათვის.

აღბათ ისიც გეცოდინებათ ძვირფასო მკითხველო, ფილმებში გექნებათ ნანახი, ან წინაპრებისაგან მოსმენილი-ვინც მოახერხა და წაიღო ქართული ნაცრემლ-ნასისხლარი, მაგრამ მაინც მშობლიური მიწის გოროხები უცხოეთში, რა სასოებით ეფერებოდნენ ნაჭერში გამოხვეულ, ერთ მწიკვს გადაცივებულ მაგრამ მათთვის მაინც თბილ და სითბოს ჩამღვრელ ჟრუანტელისმომგვრელ მიწის ნაფშვენებს.

ჩვენ კი?

გვეზარება ჩვენი მიწა, არ გვიყვარს, ფეხებზე გვეკიდია. როგორც საჭიროა, ისე გამიგეთ... ჭყუათამყოფელი საკუთარი სურვილ-ხუმტურებით განა ააწიოკებინებდა საქართველოს მიწას თუნდაც დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში გამომხვდურებულს? არა, ჩვენი სამშობლო არ გვიყვარს, ვერ ვიცავთ თუ არ ვავაცვევინებენ?

როგორ გეკადრებათ... გმირები ჩვენ დღესაც გყავს, მაგრამ სვეტიცხოვლის ამშენებელი დიდოსტატივით მარჯვენს ვაჭრით. მათ ვისაც შეუძლიათ საქვეყნო საქმის კეთება, კვლავდაკვლავ უცხო ქვეყნის დროშების ქვეშ ვახვედრებთ...

როდემდე?...

როდემდე ქართველო ხალხი. განა გიორგი სააკაძე არ გვეყოფა ქართველებისგან მოკვეთილი? განა გადახვეწილი ვახტანგ მეფე არ გვეყოფა? განა წამებული ქეთევანის უტყვის სული არ კმარა? როდემდე უნდა ვეთელინოთ სხვას?...

მე მართლა შეამაყება ჩვენი წინაპრების, მათი სულები არ მასვენებენ და რომ არ გავიხსენო, ცოდვა დამედება. მე მჯერა, რომ ისინი ჩვენ გველოცავდნენ და გზას გვილოცავდნენ უკეთესი მერმისისაკენ. მჯერა ისიც, რომ უცხო მიწაზე ჩვენი კეთილდღეობის დარაჯად იდგნენ და დღეს თუ ვინმე სახელოვანი და პატრიოტი აღმოჩნდება, სწორედ მათი ღოცვის შედეგითაა. სწორედ ამიტომაც ცოცხლობს საღორეთი და მისი ხალხი, სწორედ მათი ღოცვა გვიმსუბუქებს ცხოვრების ტვირთს და გზას გვილოცავს. დაე, ნურასოდეს შეგერცხვინოთ ჩემო კეთილებო ეს გზა... გველოთ წინ.

სოფელ საღორეთს, ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები (და შემდეგი თაობის პიროვნებები) ყველა დროში უქმნიდნენ იმიჯს. ისინი სამაგიეროს არასოდეს ითხოვდნენ, არასოდეს ცდილან თავისი პერსონა წინ წამოეწიათ ან ყველაზე მაღლა დაეყენებინათ. მათ ხალხი აფასებდა და თვითონ იცოდნენ თავიანთი ფასი. არასოდეს ყოფილან განდიდების მანიით შეპყრობილნი, ამბიციურები და ქედმაღალნი. მათ იცოდნენ რომ არ ვარგა ენა საქმეზე გრძელი. იცოდნენ ისიც, რომ თავიანთი კეთილი საქმიანობით, საზოგადოებისათვის სარგებლობის მომტანი ქმედებებით უკვალოდ არ გაქრებოდნენ და უმაქნისი „ცხვირისცემინებით“ „სანთელს“ არ ჩაუქრობდნენ უკვე აღიარებულ გენიოსებს. ისინი, რომ იტყვიან, თავის სიმადლეზე იდგნენ ყოველთვის, მაგრამ არასოდეს ითხოვდნენ ქებას, ტაშისცემას და ხმაურს. უპრეტენზიო და მოწოდების სიმადლეზე მდგომი ადამიანი საზოგადოების რჩეულია და ხალხისგან დაფასებული. დიახ, მხოლოდ ხალხისმიერი სიყვარული ამადლებს ადამიანს.

საღორეთში, უცხო ქვეყანაში თუ სხვადასხვა მხარესა და ქალაქებში მოღვაწე ადამიანები თავს არავის ამადლიდნენ, აქაო და „მსოფლიო“ კაცი ვარო არავის უგრძობინებია საზოგადოებისათვის. მათ იცოდნენ, რომ ცნობილი ადამიანი ხალხის პატივისცემას ყოველთვის ვერ იმსახურებს, ამიტომ მათ ცხოვრებაში „ჩავარდნებიც“ ნაკლებად იჩენდა თავს. არასოდეს ცდილან თავისი ნიჭიერებით სხვები დაეჩრდილათ. არც იმისი სურვილი და განცდა ჰქონდათ, თითქოს და სამშობლოს სიყვარულის სასურველ ტვირთს მათ გარდა ვერავინ ზიდავდა.

მხოლოდ საქმის სიყვარული, უპრეტენზიო საქმიანობა, ნებისმიერი არასათაკილო საქმის კეთილსინდისიერად შესრულება, დიდი და პატარა საქმის არგარჩევა და უმწიკვლოდ დაგვირგვინება ნებისმიერი დაწვებული საქმისა. აი, ასეთი ადამიანები ყოველთვის დუმან, არ ელიან შექებას, ტაშისცემას (როცა ნამდვილად დაიმსახურეს) და იწვევენ სხვა საქმეს და საკეთებელს, ჩვეული ხალხით და ენერგიით, სიწმინდით და ერთგულებით, კეთილსინდისიერად და მაღალი პროფესიონალიზმისადმი უღალატოდ.

ასეთი ადამიანების ღვაწლი არასოდეს არ კარგავს ფასს და წონას. ასეთ ადამიანს ყოველთვის ამჩნევს საზოგადოება, მშობელი ხალხი და შესაფერის ადგილს ყოველთვის გამოუნახავს. არც ისტორია ივიწყებს მათ და ღირსეულ ადგილს უმკვიდრებს.

იქნებ მავანს გადაჭარბებული ეჩვენოს ჩემი ამგვარი შეფასებები, მაგრამ თუ გადავხედავთ მათ მიერ განვლილ გზას, გასაღებს უცებ მოვარგებთ დიდების მწვერვალს მიახლოებულ თუ მწვერვალზე მდგარ ადამიანთა ნააზრვეისა და ნამოქმედარის ნუსხას.



## სოფელი სალომეთი (მოკლე ისტორია)

საქართველო, რომელიც დასაბამიდან სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებოდა, საომარ ეპიცენტრად თუ პლაცდარმად იყო ქცეული. ისტორია აწეწილ-ანგრეული და მარად დაულაგებელი იყო. ოთხივე კუთხიდან მოიწვედა მომხვედური და უსაზღვრო სისხლი იღვრებოდა. ნადგურდებოდა ქართველი ერი და ასე გრძელდებოდა საუკუნოვებით.

საქართველოს ტერიტორიაზე მონაცვლეობდნენ უდიდესი დამპყრობლები: არაბები, სპარსები, მონღოლები, ოსმალები, რომელთაც სარწმუნოებაც თითქმის ზიარი ქონდათ და ამდენად საომარი მისწრაფებაც ერთნაირი – დაპყრობა, დამონება და ტერიტორიების გაფართოება.

საქართველოს მთლიანობის დაქუცმაცება და რღვევა ისევ ქართველი დიდებულების ერთმანეთშორის ქიშპით და საქართველოს მეფეზე მათი განდგომით ხდებოდა. ეს უნდოდათ მომხვედურთაც და გვიპყრობდნენ. საქართველოს დამცირებაც რგებია და აღზევებაც.

გამუდმებულმა შემოსევებმა, შინაომებმა, ღალატმა და ქიშპობამ წარმოშვა თავდაცვითი ნაგებობების ერთიანი სისტემის აუცილებლობა, რაც დიდძალ ხარჯთან და ფიზიკური ძალის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული.

ქართველები უდიდესი ენერჯის ფასად აგებდნენ ციხე-ქალაქებსა და სიმაგრეებს, რომლებითაც საქართველოს ისტორიას ნამდვილად აქვს საამაყო. ბახტრიონის ციხე, ანანური, სურამის ციხე, ხიხანი, ხერთვისი, ციხე-ქალაქი გონიო და მრავალი სხვა. ყველას დიდსა თუ პატარას, საომარი დანიშნულება ჰქონდა და მედგრად უმკლავდებოდა მტერს.

საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილს, ბუნებრივი მდებარეობით კარგი პირობები გააჩნდა მტრის მოსაგერიებლად.

ქართველ კაცს მუდმივი საშიშროების მოლოდინმა სუ-  
ლიც გაუკაჟა და ცხოვრებაც. განადგურება-ამოწყვეტის თუ  
სიდუხჭირის მიუხედავად ქართველი ხალხი დემოგრაფიულ  
ბალანსს ნამდვილად არეგულირებდა. ბრძოლის ველზე დაცე-  
მულთა უკვდავსაყოფად და ერისა და ქვეყნის შესანარჩუნე-  
ბლად შვილებს აჩენდნენ და დანგრეულ-გაჩანაგებულს, მტერ-  
თა გულის მოსაკლავად კვლავ და კვლავ აღადგენდნენ.

საქართველოს ტერიტორიაზე ასეულობით მთა და ხევია,  
რომელთაც ბუნებრივი მდებარეობით საომარი პლაცდარმის  
პრეროგატივა გააჩნიათ. მიუვალ ხევებში და მთებში ქართვე-  
ლი კაცი ოდითგანვე აგებდა სახიზარს და იარაღის წარმოე-  
ბისთვის საჭირო ნაგებობებს.

საქართველოს ჩრდილოეთიდან დარიალის ციხე ედგა  
დარაჯად, სამხრეთით კი აჭარასაც ენიჭებოდა დიდი როლი.  
აჭარის ხეობა საქართველოს სამხრეთის ზღუდეს და ჭიშკარს  
წარმოადგენდა.

უდრეკი და მებრძოლი ეთნოსი, საუკუნეების განმავლობა-  
ში წინაპართა ნაგები ციხე-გოდოლებიდან მედგარი წინააღმ-  
დეგობებით ხვდებოდა მომხვდურს, რასაც ისტორიის ქვის  
ფურცლებიც ღაღადებენ.

საქართველოს ტერიტორიაზე აჭარას ერთერთი უმნიშ-  
ვნელოვანესი ადგილი უკავია, ვინაიდან იგი ერთადერთი  
კუთხეა, სადაც უხვადაა თავმოყრილი არსებული თუ იავარ-  
ქმნილი, თავდაცვითი თუ რელიგიური დანიშნულების შენო-  
ბა-ნაგებობები, ციხე-ქალაქები, ციხე-კოშკები, ეკლესიები, სამო-  
ნასტრო კომპლექსები –(ნამონასტრევი, ბეთლემი და სხვა).

ტაო-კლარჯეთის გვერდით დიახაც დიდი როლი ენიჭე-  
ბოდა თავდაცვით სისტემაში. იგი ერთ-ერთი რგოლი იყო,  
რომელმაც დღევანდელობამდე გმირულად ზიდა ის უღელი,  
რომელსაც ქართველობა ჰქვია.

ისტორიულმა აუცილებლობებმა და ძნელბედობებმა, აჭარის  
შუაგულში მდებარე სოფელ საღორეთს სადარაჯოზე მუდმი-  
ვად ყოფნის მისია არგუნა, რადგან ერთ დროს ძლიერი

საქართველოს სამხრეთის ერთ ერთი, კარგად გამაგრებული ფორპოსტი იყო. არაა გამორიცხული, რომ სოფელი საღორეთი, თუ მთლიან ხეობაში არა, მის გარკვეულ მონაკვეთზე ჰეგემონიც იყო. მხედველობაშია სახევისუფლოს ცენტრი. ამასთანავე განსაკუთრებულ საბრძოლო დანიშნულების ობიექტს წარმოადგენდა, რის დამადასტურებელიცაა სოფლად არსებული თავდაცვითი ნაგებობების ერთობლიობა და აბრეშუმის გზა, რომელიც სოფელს შუაზე კვეთდა.

როგორც ცნობილია, სამხრეთით ციხე-ქალაქი გონიო იყო მთლიანი საქართველოს რამდენადმე იმედი, შემდეგ ციხე-სიმაგრე პეტრა, ანუ დღევანდელი „ციხისძირის“ ტერიტორია. ხულოში ციხე-სიმაგრე ხიხანი, რომელიც ადრე აბუსერისძეების საგამგებლო იყო, მოგვიანებით კი ხიმშიაშვილთა დასაყრდენი.

ქედის ტერიტორიაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კავიანის ციხე და ზენდიდის ციხე-სიმაგრე. საერთოდ ჯამში რამდენიმე ათეული ციხე-სიმაგრე თუ ციხე-კოშკია აღრიცხული, რითაც ნამდვილად საამაყო აქვს აჭარას. გადმოცემით, ციხე-ქალაქი ყოფილა კურორტ „ბეშუმის“ ტერიტორიაზე და დანდალოს შემოგარენში. ესენი ვარაუდის დონეზეა, მაგრამ მომავალი თავის სიტყვას იტყვის ალბათ.

თავდაცვა კი ნამდვილად ესაჭიროებოდა აჭარას ჰენიოხთა დიდი გაერთიანებიდან „კულხას“ და „ოდრხის“ დაწინაურების პერიოდში, ვიდრე ერისთავთერისთავ აბუსერისძეებისა და ბოლო ძლიერი მმართველების – ხიმშიაშვილთა ზეობაშიც.

საღორეთსა და მეზობელ სოფელში შემორჩენილია საბრძოლო და რელიგიური დანიშნულების ნაგებობები, რომლებიც თავდაცვით სისტემაში ერთიან ჯაჭვს წარმოადგენდნენ. ისინი ძირითადად შუა საუკუნეების მშენებლობათა რიგს განეკუთვნებიან, მკვიდრად შემორჩენილ ზოგიერთ მათგანს კი წმინდანად შერაცხულ მეფე თამარის ეპოქას მიაკუთვნებენ.

საქართველოს მშვიდობას და ერთიანობას დარაჯობდა „ს ა ღ ო რ ე თ ი ს ც ი ხ ე“, „ც ი ვ ა ს უ ლ ა ს ც ი ხ ე“ და სოფლის თავს აგებულები „თ ა მ ა რ ი ს ც ი ხ ე“, ანუ კუთხურად „ჟ ა ღ ე“, რომელიც საკომუნიკაციო ციხე - კოშკს წარმოადგენდა.

გადმოცემით, სოფელს თამარმეფის სტუმრობის საპატივცემულოდ, სახელად „ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ი“ უწოდეს მცხოვრებლებმა. მანამდე კი „ს ა ვ ა ნ ე“ რქმევია. . . .

რამ განაპირობა სახელწოდება „ს ა ღ ო რ ე თ ი ს“ წარმოქმნა, რომელიც სახელწოდება ნადარბაზევს ჩაენაცვლა, ან იქნებ პირიქით მოხდა? ვიდრე სინამდვილე (რაც სათუთა) არ დადგინდება, უნდა მივიჩნიოთ მისაღებად შემდეგი ვარიანტი: მეფე ბაგრატ IV-ის შვილს, მეფე გიორგი II -ს იმ დროს მოუხდა მოღვაწეობა, როცა სამხრეთით, თურქ-სელჯუკიანთა ტახტზე მელიქ-შაჰი იჯდა. მან, გამარჯვებებით გათამამებულმა, საქართველოსკენ აიღო გეზი. თურქობა ანუ „დ ი დ ი თ უ რ ქ ო ბ ა“ - ამ ტერმინის ფართო გაგებით - მაშინ დაიწყო როცა თურქ -სელჯუკები საქართველოს სამანებს 1080 წელს მოადგნენ. ააოხრეს ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, არგვეთი, ქართლი.

მოედგნენ მთლიან აჭარას, მაგრამ აქ დასასვენებლად არ შემოსულან. საფიქრებელია, რომ სოფლის მცხოვრებლებმა მეღვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხვედურებს, ალბათ დამარცხდნენ კიდევ, მაგრამ მათი გამძლეობის გამო სოფელს-საღორეთი-შეარქვეს შემოსეულებმა. არის სხვადასხვა ვერსია, თუმცა ვარაუდზე მტკიცება არ აიგება! . . .

სოფელი საღორეთი (ამჟამად-პირველი მაისი) ქალაქ ბათუმიდან დაცილებულია 31 კილომეტრით, რაიონის ცენტრიდან კი- 6 კილომეტრით, მდებარეობს მდინარე „ა ჭ ა რ ი ს წ ე ლ ი ს“ მარჯვენა ნაპირზე ზღვის დონიდან 120-470 მეტრის სიმაღლეზე განფენილ ფართობზე, განედის 41<sup>0</sup>-42<sup>0</sup> -

სა და გრძედის 40°-41° -სის გადაკვეთაში. წარმოადგენს ნახევარმთვარის კონფიგურაციის დამრეცფერდობებიან და წაგრძელებულ ტაფობს, რომლის სიგრძე 2,5- კილომეტრია, ხოლო მაქსიმალური კვეთი 1,5 კილომეტრი. ფართობი 3,75 კვადრატული კილომეტრია, გარეუბნებით კი 7 კვადრატული კილომეტრი. მიეკუთვნება დასახლებათა მთაგორიან რელიეფს. წარმოშობილია მათა რღვევის შედეგად. მოსახლეობის სიმჭიდროვე კვადრატულ კილომეტრზე შეადგენს 150-200 სულს. დასახლება კომპაქტურია.

მოგზაურების, მწერლების, ისტორიკოსების შეფასებით სოფელი საღორეთი აჭარისწყლის ხეობაში სიღამაზით ხუთეულშია -ხულა, ქედა, ვაიო, საღორეთი და კანისთავი- ასეთი შეფასებებია პუბლიკაციებში.

## საზღვრები

სოფელ საღორეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება „ა გ ა რ ა“, რომელიც საღორეთიდან გადასული მოსახლეობის ნაწილის დამკვიდრების შედეგად წარმოიქმნა.



„მალარა“ - ამ მალარის გავლენით ადგილმდებარეობას ეწოდებოდა „მალარიკარი“, ახლა „პერკუმი“!

სოფლებს შორის ორი, დაბალი მთაგრეხილია, რომელთა შუა ჩამოედინება 10 კილომეტრამდე სიგრძის საკმაოდ წყალუხვი მდინარე „ჭ ა ნ ჭ ა ხ ა დ ი“,

ჩრდილოეთიდან მთლიან სოფლის თავს მაღალი მთაგრეხ-

ილი აკრავს. დასავლეთიდან ესაზღვრება სოფელი „მ ა ხ უ ნ ც ვ თ ი“. (გადმოცემით -ნახუცრეთი). სამხრეთი დაბოლოება უშუალოდ მდინარე აჭარისწყალს ებჯინება გზატკეცილის ჩათვლით. სოფელი გარე მცხოვრებლებით და სავარგულებით გზატკეცილის გასწვრივ 5 კილომეტრზე ვრცელდება.



„სასირის გორა“ – სვარაუდოდ მსხვერპლთშეწირვის ადგილი!

დასავლეთით, უშუალოდ ბათუმი-ახალციხის მაგისტრალზე მდებარეობს პატარა დასახლება „მ ო ლ ო ქ ნ ა რ ა“, რის შემდეგაც მოყვება ასევე პატარა დასახლება „ბ უ ჭ ი ა“, რომელსაც ახლოს აკრავს დასახ-

ლება „ჭ ა ლ ა“. კილომეტრის დაშორებით სოფლების ცენტრია „პ ე რ კ უ მ ი ს“ სახელწოდებით, რომელსაც ადრე „მ ა ღ ა რ ი კ ა რ ი“ ერქვა მადარის მდებარეობის გამო, დასახლების უკიდურესი ნაწილია „ც ი ვ ა ს უ ლ ა“, რომელიც მდინარეების-ჭანჭახადის, აგარის დელისა და აჭარისწყალის შეერთების ადგილას მდებარე ვაკეზეა გაშენებული. სოფლის უკიდურესი ტერიტორია, მთავრდება სახნავ-სათესი, სავარგულებით- „ს ა თ ი ხ ი თ“.

სოფელ საღორეთს ჩამოუდის ოთხი მცირე დეფე, რომლებიც იშვიათად შრებიან და ჭანჭახადის ერთად სარწყავ სისტემას წარმოადგენენ.

დასავლეთით, მახუნცეთსა და საღორეთს შორის ვრცელი მინდორია, რომელიც მოსახლეობას სახნავ-სათესად აქვს ათვისებული, სოფლის ზემოთა მთავრეხილის დაბოლოება „ჯ ვ ა რ ქ ე დ ი“ უშუალოდ ებჯინება ამ მინდორს, რომელსაც დაუდგენელი ეტიმოლოგიის სახელწოდება „გ უ ფ თ ი“ ჰქვია. (დასახელებას ახსნა არ მოეძებნება. . . ).

აღმოსავლეთით, სოფელზე მიბჯენილი მთაგრეხილი ბოლოვდება მაღალი ბორცვით, იგივე მთაგრეხილით, - „ს ა ს ი რ ე თ ი“, რომელიც თავისთავად ბოლოვდება ნახევარი კილომეტრი სიგრძის კლდოვანი კედლით, რომლის სიმაღლე მაგისტრალიდან ას მეტრზე მეტია. აღმოსავლეთით კი უკიდურესია „ც ი ვ ა ს უ ლ ა ს ც ი ხ ე“.

## **ჰავა, ნიადაგები, სხვა ხესუხები**

სოფელ საღორეთის ჰავა ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ჰავის იდენტურია. ზომიერად მშრალი, ხანდახან გვაღვიანი, ხშირად მკაცრი, ნახევრადტენიანი, უხვნადექიანი. საშუალო წლიური ტემპერატურა: ზაფხულობით +27-42<sup>0</sup> -ია, ხოლო ზამთრისა -3-15<sup>0</sup>-მდე ეცემა.

სოფელი მრავალფეროვანი ტყის გავლენით სუფთა ჰაერით ხასიათდება. შერეული ტყით წარმოდგენილი ლანდშაფტი, სოფლის ერთერთი სიმდიდრეთაგანია. მორიგე ხეხილოვანი საფარი, რომელიც წარმოდგენილია ფოთოლმცვენი და მარადმწვანე კულტურული ნარგავებით, სოფლის სიმდიდრის ერთერთი განმსაზღვრელია. ხარობს აგრეთვე სიმშრალის მოყვარული სუბტროპიკებისა და სხვა ლანდშაფტური ზონების აკლიმატიზებული მცენარეულობა. მწვანე ლანდშაფტი სოფელს დეკორატიულ ელფერს აძლევს.

სოფელი სხვა სოფლებთან შედარებით წყაროებით ღარიბია, თუმცა რეზერვუალი არტერიები საკმაოდ გააჩნია. ერთ ადგილას მცირე დებეტის სამკურნალო წყარო გამოედინება, რომელსაც მხოლოდ მოსახლეობა იყენებს სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

სოფელი რთული რელიეფისაა-ფერდობებიანი, ხრამებიან-კლდოვანი და გორაკ-ბორცვიანი.

ნიადაგები ალაგ მწირი, ალაგ ძალიან ნოყიერი, ალუვიური, დელუვიური და ყომრალი ფენითაა წარმოდგენილი. საშუა-

ლო მოსავლიანია. აღმოსავლეთით, მდინარე ჭანჭახადის მარცხენა ნაპირი სახნავ-სათესი ნიადაგებითაა წარმოდგენილი. მთაგრეხილ „სასირეს“ დაბოლოება, ვრცელი მინდორი, ე. წ. „კილდითავი“ სათესი სავარგულებია.

სოფელი რელიეფურად ადვილად მისადგომია და ზედ ებჯინება აჭარის ხეობის მთავარ არტერიას-აჭარის გზატკეცილს და მდინარე აჭარისწყალს.

ვაკე-გორაკებიანი და ბორცვებიანი სოფელი გამოირჩევა შესამჩნევი კოლორიტით, სადაც ფლორა და ფაუნა ზომიერადაა შეხამებული. სუბტროპიკული და ტროპიკული კლიმატის ზეგავლენით, უფრო მეტად ფლორაშია გამოხატული, ხოლო ფაუნაში-ფრინველთა სამყაროში.

ნაწილობრივი კარჩაკეტილობის მეოხებით სოფლის კლიმატი საგრძნობლად განსხვავდება აჭარის სხვა ლანდშაფტური ზონის კლიმატის ტიპისაგან. (ეს თავისებურება გამოხატულია სიცხით, სეტყვით და უზომო ნალექებით).

სოფელზე მავნე ზეგავლენას ახდენს არსიანის ქედის შუა წელში მდებარე, მთა „კ ა რ ჩ ხ ა ლ ი ს“ გავრძელება, ე. წ. - „ღარათი“. ვიდრე ღარათის ჩრდილო ფერდობი თოვლითაა დაფარული, მარადთოვლიანი კარჩხალის მთიდან შემომავალი სუსხიანი ქარი და სიცივე, საღორეთის ნათესებსა და ნარგავებზე, რომელიც სოფლის მოსავლიანობის ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორია- დამღუპველად მოქმედებს.

სოფელს გააჩნია სამრეწველოდ გამოსაყენებელი ნიადაგი-ალიზის სახის, თუმცა ამჟამად აღარაა საჭიროება მისი გამოყენებისა. ერთ დროს კი, სოფლის ბოლოზე, ე. წ. „ჭაღლაში“ მოქმედებდა აგურ-კრამიტის ქარხანა.

სოფელს გააჩნდა აგრეთვე საჭირო რაოდენობის სამასაღეროგორც წიფლის ისე სხვა ხეების ჯიშები, მაგრამ უყაირათოდ გამოყენებამ ტყის ფონდი ფაქტიურად ამოწურა.



## ისტორიული ხეაღობა

სოფელ საღორეთზე წარსულის ამსახველი ფუნდამენტური ნაშრომი ან სხვა წყაროები არ მოიპოვება. არსებობს ზეპირხალხური გადმოცემები და ახლო წარსულის, კერძოდ მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის ბოლო პერიოდის ეპიზოდური ჩანაწერები, რომელთაგან გამოირჩევა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის, მოგზაურ-ეთნოგრაფის, მწერალ ზაქარია ჭიჭინაძის და ფრანგი ორიენტალისტის ჟან მურიეს ჩანაწერები. სხვადასხვა დროს სოფელი მოუნახულებიათ: გენერალ გიორგი ყაზბეგს, პოეტ ვაჟა-ფშაველას, მკვლევარ ნ. ნ. შავროვს, ვ. ლისოვსკის, ეთნოგრაფ თედო სახოკიას, გერონტი ქიქოძეს, პრასკოვია უვაროვას და სხვებს.

სოფელს, რომ მდიდარი ისტორიული წარსული აქვს, ამას ჯერჯერობით მხოლოდ აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულები გვახვედრებს.

სოფელი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა. მარტო ის რად ღირს, რომ მრავალშვილიანობით იწონებდნენ თავს. თითო-ოროლას კი 10-შვილი ჰყავდა. დემოგრაფიული თვალსაზრისით გენოფონდი სტაბილური იყო. ამჟამად კი სავადალო ციფრები გვაქვს, თუმცა იმედია ახლო მომავალში ბალანსი აღდგება.

დიმიტრი ბაქრაძე 1873 წელს სოფლად 100 კომლს ასახელებს. ზაქარია ჭიჭინაძე 1888 წელს 41 კომლს. ნ.ნ. შავროვი 1900 წლებში სოფლად 30 კომლს აღნიშნავს. მკვლევართა აზრის სხვადასხვაობას იწვევდა მაშინდელი არასტაბილური ვითარება. საერთო ჯამში 30-კომლიანი სოფლის წარმოდგენა ლოგიკურია, ვინაიდან ცნობილია, რომ 1876-1878 წლებში, ბოლო დიდი მუჰაჯირობის დროს სოფელში, 18 თუ 8 ოჯახი დარჩენილა. იგივე გრძელდებოდა 1920-იან წლებამდეც. ერთ დროს კი, კერძოდ დავით აღმაშენებლის ეპოქაში 200-ზე მეტი ოჯახი იყო, გვამცნობს გადმოცემა და ნასახლარი ადგილებიც.

როგორც აღინიშნა მწერლების, მოგზაურების, სამხედრო პირების თუ სხვათა მიერ გადმოცემულ ეპიზოდურ ჩანაწერებს, წმინდა ისტორიული ფასი იქნებ არ ჰქონდეს, მაგრამ ისინი ერთადერთია სოფლის კვალწაშლილი ისტორიისათვის და ხალხიც ჯეროვნად ინახავს მათ სსოვნას, თუმცა მათი ნაკვლევ-ნაღვაწი კვლევის მასშტაბურობით სოფლის ისტორიის სიღრმეში ვერ გვახედებს.

## მოსახლეობა

როგორც აღინიშნა, მუჰაჯირობამ გაატიალა სოფელი. ბევრჯერ გადაურჩენიათ პატრიოტებს სოფელი (და არა მარტო საღორეთი) დაცლისაგან, მაგრამ ოსმალური აგიტაციის შედეგად მიგრაციას ადგილი მაინც ჰქონდა. სოფელში რამდენიმე ოჯახი დარჩა, თუ ვინ არაა ცნობილი. ამჟამად სოფელში ოცამდე გვარია, მაგრამ უამთა ვითარების გამო ზოგი შემოსახლებულნი არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან-მესხეთიდან, იმერეთიდან, გურიიდან, ქართლიდან, იმიერ-კაკასიიდან, იმიერ-საქართველოდან (თურქეთიდან).

მოდით დავხატოთ სახლდებოდნენ, მერე რაღაც მიზეზით სხვაგან გადადიოდნენ და მიგრაციას მაინც ჰქონდა ადგილი. ასე მოხვდნენ სოფელში: საამიშვილი (ჩემი გვარის ფუძემდებელი), შალიკაშვილები, აბულაძეები, დევაძეები. სოფელში ძირძველი გვარი ჯერჯერობით თებიძეა. სხვადასხვა დროს კი სახლობდნენ: სეფერიძეები, მიქელაძეები, აბულაძე (კონალოდლი) ლორთქიფანიძე (მუფთიშვილი-მუფთიზადე), მჭედლიშვილი (დემურჯოდლი-ამჟამად თურქეთში იწერებიან დემირელს), ხოჯიოდლები, კაკაოდლები (კაკაბაძეები, მოგვიანებით კაკაურიძეები), ცოციოდლი (ცოციშვილი-შემდეგ იქცნენ ცინცაძედ).

შემოსული და დამკვიდრებულნი: ხინწკალი (თურქეთის სოფელ ხინწკანადან), ტატალოდლი (ყარყარაშვილი), ყულეჯიოდლი (მეციხონიშვილი?), ალიოდლი (ჭალიძე?), ციციშვილი (ციციანიძე).

1921 წლის გასაბჭოების შემდეგ გვარს „ოლი“ და „შვილი“ დაბოლოება არ უნდა ჰქონოდა. მხოლოდ ციციშვილი დააფიქსირეს ციციანიძედ. დანარჩენ ოთხს, ჩვენზე ხელოვნურად შექმნილი გვარი -ს ა მ ნ ი ძ ე მიაკუთვნეს მათი სურვილის გათვალისწინებით. სახლობენ აგრეთვე: იმიერკავკასიიდან- დვალეებს გამყოფილი გვარი დვალძეები. ქადიძეები, ყადიძეები, აფხაზეთიდან მიგრირებული-შერვაშიძე, ბერიძე, კახიძე, შავლიძე, დევაძე, სურმანიძე, აბულაძე, თებიძე (ორი შტოა), ღოღობერიძე, ჯინჭარაძე, მახარაძე, დიასამიძედ ქცეული სამნიძე, შალიკაშვილების შტო (ჩავლეიშვილი, ჩაიძე).

1876-1878 წლებიდან 1920 წლებამდე ინტენსიურ მიგრაციას ჰქონდა ადგილი, რომელიც ბატონ-ყმობის გაუქმების პარალელურად რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებამ გამოიწვია. ისტორიული სოფელი ივსებოდა და იცლებოდა. დენადობამ დამღუპველი გავლენა მოახდინა საღორეთზე და მისი წარსულის ამსახველი ისტორიული დოკუმენტების არსებობა-ზე-ისინი სინამდვილეში დაიფანტა ან განადგურდა.

ზაქარია ჭიჭინაძე წერს (და სხვებიც), რომ წიგნები ოსმალებმა დაწვეს ორცვაში, საღორეთში და კიბეში. ეს, ვფიქრობთ სინამდვილეა.

ისტორიკოსთა აზრით სხვადასხვა ვერსიებით, თვითმხილველთა ცნობებით, ისტორიული წარსულის ამსახველი ფრაგმენტული ამბები პატარ-პატარა საბუთების სახით დაცულია: სანკტ-პეტერბურგის, მოსკოვის, თბილისის, თურქეთის, ფინეთისა და საფრანგეთის არქივებსა და მუზეუმების საცავებში.

სავარაუდებელია, რომ ოსმალთა ექსპანსიამ ბევრი რამ სრულად გაანადგურა. მაშინდელ დროში სულის, ენის და ეროვნულობის გადარჩენისათვის, ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელს მეტი ჯაფა ადგა. დღეს იმის მადლიერია ქართველი ერი, რაც ჯერ კიდევ წმინდა სახით შემოინახა.

საღორეთის ისტორიის ამსახველია, იავარქმნილი თუ ჯერაც არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებმაც

წარსულის ავბედით ზვიროცემას გაუძღეს საუკუნეთა განმავლობაში და რომელთა აგების თარიღი სხვადასხვა საუკუნეს განეკუთვნება. მკლევარებსაც სხვადასხვა ვერსიები გაჩინიათ დათარიღებაზე და მოსაზრებებიც არაერთგვაროვანია.

## წახსენის ძეგლები

. . . . VIII-X საუკუნეების მიჯნაზე, ქვეყნის (ქართლის, საქართველოს) ხანგრძლივი სოციალურ-პოლიტიკური განვითარების პერიოდში, მთისწინეთში და ბარშიც, მთისწინეთიდან ხევით გამოსასვლელის განსაკუთრებულად მოხერხებულ ადგილას შენდებოდა ციხე-სიმაგრეები, რომლებიც ფაქტიურად „ხ ე ვ ი ს თ ა ვ ი ს“ თუ „ხ ე ვ ი ს უ ფ ა ლ თ ა“ რეზიდენციას წარმოადგენდა იმ დროისათვის დაწინაურებულ, ახლად შექმნილ „სამთავროთა“ ხელმძღვანელობისათვის. ასეთი წარმონაქმნების პერიოდში, ბუნებრივია ბრძოლაც მიმდინარეობდა ჰეგემონობისათვის.

საღორეთში, უფრო ადრე „ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ა დ“ წოდებულ სოფელში აღმართული იყო სახევისუფლო ციხე-სიმაგრე. გოდერძის უღელტეხილიდან და მრავალი სხვა ხევიდან მდინარის დაყოფებით სავაჭრო-საქარავნო, ეგრეთწოდებული აბრეშუმის გზა საღორეთს შუაზე კვეთდა, რომელიც ციხე-სიმაგრეს ახლოს ჩაუდიოდა, მექარავნეები. ამ გზით აღწევდნენ შავ ზღვამდე. ამ გზით და სხვა ბევრი ფაქტორით ხდებოდა ბარისა და მთიანეთის ერთმანეთთან დაკავშირება.

ფეოდალური წყობილება მყარი იყო. დაწინაურებული ფეოდალი კი პრიორიტეტულ ციხე-სიმაგრეს საჭიროებდა, რაც წინაპირობა იყო თავის საგამგებლოში პოლიტიკური უფლებების მატერიალურად უზრუნველყოფისათვის. საკუთარი მამულის ანუ როგორც მაშინ ეწოდებოდა ს ე ნ ი ო რ ი ი ს სამართავად ხევისთავებს, აწ უკვე ფეოდალური კლასის მამამთავრებს განუსაზღვრელი უფლებები გააჩნდათ თავისი საგამგებლოს მოსახლეობაზე.

მეფეც, მეფის მოადგილეც, პროვინციებისა და მხარეების მმართველი-ერისთავები, მამასახლისები და სხვები, საფეხურობრივად სენიორი იყო თავიანთი ხელქვეითებისათვის. მეფეს ჰყავდა დიდგვაროვნები, აზნაურები, ამათ კიდევ საფეხურობრივად დაბლა მდგომი და ასე შემდეგ. სენიორი-(სიტყვასიტყვით-მფარველიც, მზრუნველიც და რაც მთავარია-მფლობელი) ანუ მიწათმფლობელი, ფეოდალი, მმართველ-მფლობელი.

ასეთი მფლობელები ფაქტიურად არავისზე დამოკიდებულ ერთმმართველად რჩებოდნენ. იქმნებოდა მცირე ფეოდალური დასახლება, თუმცა ისტორიას არ შემოუნახავს ცნობები საღორეთში მოღვაწე არც ფეოდალისა და არც მისი საგამგებლოს სახელმწიფოებრივი წოდებულებისა, მაგრამ ფაქტია, რომ არსებობდა.

## საღორეთის ციხე

ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ და დამადასტურებლად, ციხე-სიმაგრის არსებობა გვემოწმება. მიუხედავად იმისა, ციხე-სიმაგრე იავარქმნილია, მასზე ფრაგმენტული გადმოცემები ცოცხლობს. ნაციხარ ადგილს, სახელწოდებად თურქული დასახელება - „ა ყ უ ლ ლ ე ვ ი“ შემორჩა. ეს სიტყვა თურქულ-ქართული კომპოზიტია, ამდენად - დამახინჯებულია. თურქულად ციხე-სიმაგრეს „კალა“ ჰქვია. კუთხურად -ყულლე. ე.ი. „ნა“-პრეფიქსით და „ევ“-სუფიქსით =ნაყულლევი ანუ ნაციხარი ადგილი.

ციხე-სიმაგრე გადმოცემით თითქოს აღმაშენებლის დროისაა, მაგრამ ვფიქრობთ, იგი უფრო ადრეული პერიოდისა უნდა იყოს. ვინაიდან მოსახლეობა ეკონომიკურად ძირეულად იყვნენ დაკავშირებული ბარის მოსახლეობასთან, სწორედ ამის გამოც იგებოდა ასეთი ტიპის ციხე-სიმაგრეები, რომლებიც როგორც სტრატეგიული თავდაცვის ისე საბაჟოს როლსაც ასრულებდა.



ყოფილი „სადრეთის ციხის“ ადგილსამყოფელი ახლა სასაფლაოა

საბაქოს როლი კი გამიზნული იყო ქონებრივი პრივილეგიისათვის და სადაც უფრო მეტი ხერხდებოდა, მოხერხებულად ქმნიდნენ წინაღობებს, რომ თავი ვერ დაეღწიათ მექარავენებს ბაჟის გადახდაზე.

როგორც ვახსენეთ, 1080-იანი წლების აოხრების შემდეგ სოფელს აღარავინ ეკარებოდა (ნასახლარებზე დამკვიდრება რატომღაც უხერხულად მიაჩნიათ) და ალბათ მარტო ღორების სათარეშოდ იქცა. თუმცა ვიცით ისტორიიდან, რომ დავით აღმაშენებელმა იზრუნა დაცარიელებული საქართველოს შევსებაზე. საქართველოს გენოფონდის შევსება იყო მისი უდიდესი დამსახურება ომების მოგების პარალელურად. ეს პროცესი თამარის ეპოქაშიც გრძელდებოდა, ვინაიდან ქართველებს თავიანთ მამულებში დაბრუნებისა და დამკვიდრების უდიდესი სიხარული და იმედი ასულდგმულებდათ.

„ს ა ღ ო რ ე თ ი ს ც ი ხ ი ს“ მნიშვნელობა სოციალურ და პოლიტიკურ ასპარეზზე, სცილდება ერთი სოფლის ისტორიის ფარგლებს და ხეობის ისტორიისათვის ერთერთ განძს წარმოადგენს. ყველაზე მეტად სავალალო ისაა, რომ ამ ისტორიის ამსახველი ჩანაწერების მოსპობით, ოსმალები ცდილობდნენ მცხოვრებთა ცნობიერებიდან ყოველგვარი ცხადის ამოძირკვას, თუმცა მწირი ცნობები მაინც შემორჩა.

თურქეთის არქივიდან მოპოვებული ცნობებით (ზაზა შაშიკაძე „აჭარის ლივის ვრცელი და მცირე დავთრები“) ვგებულობთ, რომ: „საღორეთის ციხის რაბათი-24 კომლია“.

რას წარმოადგენს სიტყვა „რაბათი“: არაბულად – განსაკუთრებულად გამაგრებული სამხედრო ბანაკი. მოგვიანებით ხელოსნებით დასახლებული ადგილი (დაბა, სოფელი, უბანი). აღნიშნულ წიგნში, აჭარისწყელის ხეობაში ასეთი ექვსი რაბათია ხსენებული. ერთადერთი ქედის რაიონშია- „საღორეთის ციხის რაბათი“. ერთი მათგანი „კავიანის ციხის“ რაბათია ახლოს ქედის რაიონთან, ფაქტიურად ეს ციხე-სიმაგრე მოთავსებულია სოფელ დანდალოს ტერიტორიაზე. ის, რომ კავიანიდან გონიოს ციხე-ქალაქამდე მარტო „საღორეთის ციხის“ რაბათია მოცემული 1566-1572 წლების ოსმალური პირველი აღწერის მითითებულ დოკუმენტში, მიგვანიშნებს „საღორეთის ციხის“ განსაკუთრებულ პრივილეგიაზე სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით.

ეს ადგილი (საღორეთის ციხე), ზემო და ქვემო აჭარისთვის ფაქტიურად „ჭიშკარს“, ანუ ჩამკეტს წარმოადგენდა. ციხე-სიმაგრეში კი უმსხვილესი, ძლიერი ფეოდალი ყოფილა მმართველად, რომელიც ზედამხედველობას უწევდა სავაჭრო-საქარავენო გზას და საშიშროებების დროს თავდაცვას და ასე ვთქვათ ხეობის დაცვასაც ახერხებდა. ეს უკვე მიუთითებს, რომ ციხე-სიმაგრის მეპატრონეს კარგად გაწვრთნილი ძლიერი მხედრობაც უნდა ჰყოლოდა.

ოროგრაფიული თვისების წყალობით, ბუნებრივი პირობების ხელშეწყობით, აჭარა აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანს წარმოადგენდა. აქ გასათვალისწინებელია ის მდგომარეობაც, რომ ყოველგვარი არეულობების დროს, საღორეთის ციხეს დიდი დატვირთვა ჰქონდა. თუნდაც მცირე დროით, შემოსეულთა მოგერიება თუ ვერა, შეფერხება მაინც უნდა შესძლებოდათ.

ფეოდალი, მთავარი, აზნაური-სახელმწიფოში მეფეთა მოადგილეებად, სათათბიროების წევრებად ითვლებოდნენ, სახელმწიფო წესწყობილების, ფორმირებისა და მართვა-გამგეობის მთავარი ძალა იყვნენ. ამდენად, მსხვილ მოხელეებს ციხე-სიმაგრე, საკუთარი სასახლე, ციხე, მამული და მიცვალებულთა დასამარხავი პრივილეგირებული ტერიტორია უნდა ჰქონოდათ. აგრეთვე ეკლესია-მონასტერი, საყდარი და სხვა. რა



საღორეთის ციხის ნანგრევი ქვებით  
აგებული ხიდი

თქმა უნდა შესაფერისი შეიარაღებაც. პრივილეგირებულად ითვლებოდა სამხედრო მოსამსახურეც. ეს კი საფუძველს იძლევა საღორეთის ციხის პატრონის, დიდებული ფეოდალის-(იქნებ სამხედრო მოსამსახურის) მეფესთან სიახ-

ლოვის რეალობაზე. სანამ არსებობდა ქართული სახელმწიფოებრიობის ზეობა, ციხე-სიმაგრეც თავის ფუნქციას ასრულებდა.

ციხე-სიმაგრე ანუ „დედო ციხე“ იდგა სოფლის სამხრეთით, უზარმაზარ წრიული ბორცვის წვეროზე. ციხე დიდი ზომის ყოფილა 30-მეტრზე გაცილებით დიდი პარამეტრის, ორსართულიანი, ქონგურებიანი და აგებული იყო რუხი პორფირით.

ციხე-სიმაგრე ამჟამად აღარ არსებობს, მხოლოდ „ნაყულღევის“ სახელწოდებაა შემორჩენილი. უხუცესთა ვარაუდითაც ციხე-სიმაგრე აღმაშენებლის ეპოქის ან უფრო ადრინდელად ითვლება. მას თამარის ეპოქას არავინ მიაკუთვნებდა.



სავაჭრო-სამიმოსველო გზის საღორეთის მონაკვეთზე არსებული ციხე -სიმაგრე კარგად გამაგრებულ, საბრძოლო სტრატეგიის ობიექტს წარმოადგენდა - ასრულებდა თავდაცვითს, მომგერიებელს და საბაჟოს როლს. შინააშლილობების დროს, რაც საერთოდ ახასიათებდათ საქართველოს თავდაზნაურებს, ციხე-სიმაგრე დასაყრდენი პუნქტი იყო კარგი ხედვის არეალით და თავდაცვითი სტრატეგიულობის მეოხებით. დიდხანს ინარჩუნებდა პოზიციას და უკიდურეს შემთხვევაში მებრძოლები თუ შეხიზნულები საიდუმლო გასასვლელით გადიოდნენ სამშვიდობოს.

ამ ციხის ბრძოლების ამსახველი ცნობები არ მოიპოვება. მწირი გადმოცემით ამბობა შემორჩენილი სახელწოდების შესახებ (რომანში მაქვს ასახული), თუმცა რამდენად სარწმუნოა, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, მოღწეული ამბით მის სახელწოდებას უკავშირებენ აღმაშენებლის მეომარი ქალი-მხედრის ხვარამხეს სახელს და ციხესაც თითქოს „ხვარა-ციხეს“ უწოდებენო.

საღორეთში შემორჩენილი ყოველგვარი გადმოცემითი ხასიათის ინფორმაცია მოგვაწოდა: პედაგოგმა ავთანდილ დიასამიძემ, მისმა ძმამ, პოლიტიკურ საკითხებში კარგად ჩახედულმა-სუღეიმან სამნიძემ, ნამუჰაჯირალმა-მუსტაფა სამნიძემ, სახელმწიფო ფუნქციონერმა-ქაზიმ შერვაშიძემ, საღორეთის საშუალო სკოლის ყოფილმა დირექტორმა, ისტორიკოსმა-რევაზ ფარსენაძემ და სხვა პროგრესულად მოაზროვნე პირებმა, რომლებიც სამწუხაროდ ცოცხლები აღარ არიან.

პროფესორ ზაზა შაშიკაძის მიერ 2011 წელს გამოცემულ წიგნში „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ რომელიც 1566-1572 წლით თარიღდება და უკავშირდება ოსმალთა მიერ აჭარის პირველ აღწერას, მოცემულია საღორეთიც: „საღორეთის ციხის რაბათი – 24 კომლი.“ ეს ოჯახები სახელმამისსახელითაა აღწერილი და გვარები არ ფიგურირებენ.

ციხე-სიმაგრემ XX საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია. ბოლო დროს ციხეს პატრონობდნენ აფხაზეთიდან გამოხიზნული

თავდაზნაურობის წარმომადგენელ შერვაშიძეთა შთამომავლები. ციხე-სიმაგრეში მგზავრთათვის ყოველთვის შეიძლებოდა ღამის გათევა, საამისო პირობები არსებობდა, ასე ვთქვათ-ციხე სხვა სოფლებში დღესაც შემორჩენილი „მ ე ი დ ა ნ ო დ ი ს“ (ანუ სასტუმროს) როლს ასრულებდა.

ხშირად ისმება კითხვა: სად გაქრა ციხის ნანგრევი მასალა? ოსმალური კანონები არ კრძალავდა ქრისტიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ღირებულების ამოძიკვას აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან. მიუხედავად იმისა, საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნის ჩათვლით ყოველგვარ თავდაცვით ნაგებობებს ამაგრებდნენ და აშენებდნენ კიდევ, ამ მხრივ საღორეთში სავალალო მდგომარეობა იყო - ზოგი რამ თავისით ნადგურდებოდა, ზოგი ხელოვნურად.

ციხე-სიმაგრის ნაშალი საამშენებლო მასალა, სოფლის მცხოვრებლების რამდენიმე სახლს დღესაც შემორჩენია, ზოგმა დაანგრია და მდინარეში გადაყარა.



ადგილი სადაც იყო საღორეთის ციხის ნანგრევი ქვებით აგებული 30 მეტრიანი ზღუდე

როგორც ცნობილია აჭარის ხეობაში, ბათუმ-ახალციხის გზა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ გააჭრევეინა. „ნიკოლაშ“ გააკეთაო, იტყოდნენ ხშირად, ჰოდა ციხის მთლიანად მოსპობაში მათი ხელიც ურევია. სოფლის ბოლოს, პატარა დელეზე ორმადიანი ხიდი ამ ქვებითაა აგებული. ერთ ადგილას, გზატკეცილის მარჯვენა ნაპირზე, სამაგრისათვის (ქვების ცვენა) კარგი ყორე იყო გაკეთებული. მეორე, გზის მარცხენა გვერდზე, აწვესთან ახლოს დღესაცაა შემორჩენილი.

მოსახლეობაში ჯერაც კიდევ მუსირებს ციხის არსებობის მიჩქმადვის ფაქტი, ვინაიდან ან დასჯის ემიხიათ, ან ცოდვის, კითხვისა თუმცა სიძველეთა დანგრევისა და გამოყენებისათვის არავინ დასჯილა.



გვირაბთან ახლოს მდებარე ციხისგან ნანგრევის მასალით აგებული კედელი

როგორც ცნობილია ციხე-სიმაგრეში პატარა ეკლესიასაც აგებდნენ. საღორეთის შემთხვევაში ეს არ ჩანს, ვინაიდან სოფელში ფუნქციონირებდა ეკლესიაც და საყდარიც, რომელიც

ციხე-სიმაგრედან კარგად მოსჩანდა. ვისაც გულის სიღრმეში წმინდად სწამს, მისთვის ქვისა თუ ხისგან აგებული სამლოცველო არაფერს წარმოადგენს-შორიდანაც შეიძლება პირჯვარის გადაწერა და ლოცვანის წარმოთქმა.

ეკლესია საღორეთელთა ამოწყვეტისთანავე გადაუწვათ. საყდარიც გაუხვევიათ ცეცხლში, მაგრამ სასწაულად გადარჩენილა, და 1850-იან წლებამდეც მდგარა.

1566-1572 წლის აღწერის, მითითებულ დოკუმენტში არის ცნობა, რომ ციხე-სიმაგრე ექვემდებარებოდა მის მმართველს, ვილაც სუღეიმან ბეგს, სოფლების: დანდალოს, „ვაიოს, ცხემლვანის (აღბათ ცხემნა), საწნახენას (ბაბუჩოდლები), ხოს(ო)ნას, ორცვისა, ვარჯანისის და ხერთვის, კიბე, კაპნითავის ჩათვლით. ეს დღევანდელი ქედის რაიონის ტერიტორიაზე გაცილებით დიდია, ვინაიდან სივრცობრივი სიდიდისათვის ბოლო სოფლებად დანდალო და კიბეა აღნიშნული. „საღორეთის“ ციხე ამ ტერიტორიას აღბათ დიდხანს ფლობდა. იკვთება აზრი, რომ კავიანის ციხის რაბათის გავლენა ვრცელდებოდა მხოლოდ დღევანდელი ხიჭაურის და ჯალაბაშვილების ტერიტორიაზე. ჩნდება მოსაზრება - ჯალაბაშვილებს ხომ

ერქვაო „კავიანი“. ალბათ ამოიხსნება ეს უცნობიც. რაც შეეხება გონიოს ციხე-ქალაქს, მისი გავლენა შესაძლებელია „კიბემდე“ ვრცელდებოდა. მთავარია ის რომ არც თუ მცირე ტერიტორია ჰქონია საღორეთის ციხის მფლობელს, რის მიხედვითაც იკვეთება მოსაზრება, რომ საკმაოდ გავლენიანიც იყო იმ დროისათვის (და ალბათ ადრეც) ციხის მფლობელიცა და ციხე სიმაგრეც.

ციხე-სიმაგრის მიმდებარედ ცხოვრობდნენ განსაკუთრებული კატეგორიის ადამიანები-ხელოსნები, რაც იმის მაჴუყვებელია, რომ სოფელში რაღაც იწარმოებოდა. ერთი ვერსიით-საომარი აღჭურვილობა, რაც ეჭვს არ იწვევს.

არის მოსაზრება, რომ მცირე სამთავროები (ამ შემთხვევაში საღორეთიდან-სახევისუფლო) მჭიდრო კავშირში იქნებოდა „ციხე-ქალაქ-გონიოსთან“ და „პეტრას ციხესთან“. შესაბამისად სხვა მსხვილ პუნქტებთან. მთისა და ბარის სოციალურ-ეკონომიკური და შორსგამიზნული პოლიტიკური მსოფლმხედველობის ნიადაგზე ამგვარი კავშირუროთიერობა მრავლად გვხვდება ისტორიაში.

საღორეთი რომ განსაკუთრებულად გამაგრებულ ფორპოსტს წარმოადგენდა, ამის დასტურია „ს ა ღ ო რ ე თ ი ს ც ი ხ ე“, „ც ი ვ ა ს უ ლ ა ს ც ი ხ ე“, „თ ა მ ა რ ი ს ც ი ხ ე“ და ნაომარი ადგილების სახელწოდებების არსებობა.

გარდა ციხე-სიმაგრეების და ეკლესია-საყდრისა, შორს, ტყიან მასივში ორი სამლოცველოც ყოფილა, რომელიც მცხოვრებთა მესხიერებაში ცოცხლობენ.

საქართველოში არ არსებობს დიდი და პატარა ციხე. მის ბედკრულ ისტორიაში ზომები კი არ თამაშობს დიდ როლს, მთავარი მათი დანიშნულება და მნიშვნელობაა. წინამდებარე ქრონიკაც სწორედ ამ ციხეების ავ-კარგზე მიგვითითებს.

საღორეთი, რომ აღრიდანვე კარგად გამაგრებულ, საბრძოლო დანიშნულების ობიექტს წარმოადგენდა, ეს უდავოა და

ამას ზემოთ ჩამოთვლილი ციხე-სიმაგრეების შესახებ ცოტად თუ ბევრად, მოპოვებული ინფორმაციაც გვიდასტურებს. უფრო მეტიც-უამრავი ისეთი ობიექტი და ტოპონიმი შემორჩენილი, რომელიც ძალიან შორს გვახედებს. მცირე ეჭვიც კი უცხოა საღორეთის უძველესი ისტორიული წარსულის შესახებ, მაგრამ როგორც აღინიშნა მასალები ძალიან მწირია- უნდა ვაღიაროთ-საერთოდ არაფერი მოგვეპოვება. მასალების უქონლობა კი, როგორც ითქვა, ყოველგვარი ქრისტიანულის მოსპობამ გამოიწვია, ამდენად წინამდებარე ნაკვლევი და რაც უკვე დაისტამბა, მცირედი წვლილია ჯერჯერობით საღორეთის ისტორიისათვის და იმედია ახლო მომავალში კიდევ უფრო გამდიდრდება თითქოსდა არაფრით გამორჩეული უბრალო სოფელი ისტორიული წარსულის უფრო დაწვრილებით ამსახველი ეპიზოდებით.

## ცივასუნას ციხე

ზღვის დონიდან 150 მ. სიმაღლეზე, აგარის დელის მიერ გაუხვებელი დელე „ჭანჭახადის“ მდინარე აჭარისწყალთან შეერთების ადგილას, აჭარის წყლიდან ორასიოდე მეტრით უკან, ჩრდილო-აღმოსავლეთით გრანიტული წარმოშობის კლდოვან კონცხზე საკმაოდ დიდი ციხეა აღმართული, რომელიც ისტორიულ ანალებში და ხალხის ცნობიერებაში „ც ი ვ ა ს უ ლ ა ს ც ი ხ ე დ“ ფიგურირებს. განსაკუთრებული სტრატეგიული პოზიციით განპირობებული ეს ციხე-სიმაგრე, ხეობის, გარკვეული ადგილობრივი ნაწილის ( მიმდებარე სოფლების) და „ა ბ რ ე შ უ მ ი ს გ ზ ი ს“ მაკონტროლებელი და უსაფრთხოების მოდარაჯე იყო.

ზღვის დონიდან 250 მ. სიმაღლეზე აგებული „ცივასუნას ციხე“ ხელეგადაჭდობილი ორი გოლიათის კონფიგურაციის შთაბეჭდილებას ტოვებს და მცხოვრებთა ცნობიერებაში ასეა აღბეჭდილი. შენობა ნაფლეთი ქვებითაა აგე-

ბული, კირდუღაბით და სქელკედლიანია. მცხოვრებთა ცნობიერებაში ეს ორი გოლიათი ქართველი ხალხის ძლიერების, მეგობრობის და ურყევი სიმტკიცის სიმბოლოა. მას სხვაგვარად „თამარდედოფლის“ ციხესაც უწოდებენ ადგილობრივები. თითქოსდა თამარ მეფისა და დავით სოსლანის ფიგურები იყო ქვაში განსახიერებული. (რაოდენ გაღმერთებული უნდა იყოს ადამიანი, ყველაფერი მას მიაწერო)...



ციხასულას ციხე

ციხე-სიმაგრე ორ-სართულიანი იყო. ჭერის როლს გადაჭდობილი ხელები ასრულებდა. კედლები სქელი, ზოგან ორ მეტრამდე სისქის. კედლებში სათოფური თუ ისრის სასროლი ჭრილებია დატანებული. ციხის სიმაღლე რვა

მეტრზე მეტია, დიამეტრიც ამდენივეა. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი ვერტიკალური ფრიალოს ასწვრივია. მისასვლელი ციცაბოა საფეხურების გარეშე. სამხრეთით გააჩნია შიდა ეზო, დაახლოებით 300 კვადრატულ მეტრზე მეტი, რომელიც ამჟამად ბუჩქნარითაა დაფარული. ეზოში სავარაუდებელია ქვევრების და საფლავეების არსებობაც. იმ დროის საბრძოლო მანქანა-კატაპულტა „ფილაკვანით“ ამ ციხიდანაც იგერიებდნენ მომხვედრებს. ამდენად სტრატეგიული დანიშნულების ეს ციხე-სიმაგრე იცავდა როგორც აბრეშუმის გზის ადგილობრივ მონაკვეთს, ისე სოფლებს და უკიდურეს შემთხვევაში და საჭიროების მიხედვით „საღორეთის ციხის“ თანფარდად მთლიან ხეობას.

ციხეს თვალში საცემი მისასვლელი გზა არ ჰქონია. ერთადერთი ბილიკი კლდეზე იყო გამავალი „კილდითავიდან“

თუ პირიქით, რომელსაც ახლა კლდის მცენარეები ჰფარავს. დღეს მოქმედი მისასვლელი გზა ძალიან გვიანაა გაკეთებული როცა ციხე-სიმაგრემ საბრძოლო დანიშნულება დაკარგა.

სურთი და ხავსით შებურულ კედლებს, თუმცა ქვითკირითაა ნაშენი, მაგრამ ბზარები მაინც გაუჩნდა უღმობელი დრო-ჟამისა და ბუნებრივი კანონზომიერებით. ვინ იცის რამდენი გმირული ბრძოლა ჩატარებულა მის კედლებთან შიგნით თუ გარეთ. ვინ იცის რამდენჯერ შეღებილა კედლები სისხლით. მშვიდობის მოდარაჯე ციხე არც თვითონ იყო დაზღვეული საფრთხისგან, რომელიც საქართველოს დაბზარული ცხოვრების მოწმე და თანამონაწილეა-გადაურჩა შემუსრვას, მაგრამ დრო-ჟამი მაინც თავის ხვედრს უნაწილებს...

ციხე-სიმაგრე ამჟამად ტურისტთა თვალთახედვის არეშია მოქცეული და ამიტომაც მისასვლელი გზა შედარებით კეთილმოეწყო. ახლო მომავალში კი ციხე რეაბილიტაციას და არქეოლოგიურ კვლევა-დასკვნებს საჭიროებს

ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე განუწყვეტლივ ხდებოდა დარბევა-აწიოკება, ყაჩაღობა და მეკობრეობა, ახლოს მცხოვრებნი, ხიზნები ხდებოდნენ ციხისა და იქედან ყოველგვარი ხერხით ცდილობდნენ მომხვედურის მოგერიებას, თავდაცვას და მშვიდობის შენარჩუნებას.

ერთ დროს საქართველოს ძლიერებისათვის აგებული ციხე სიმაგრეები ყოველთვის ასრულებდა თავდაცვითს როლს. (ცივასულას ციხე-სიმაგრეზე, მის ახლოს დაყენებულ აბრაზე ასეთი წარწერაა: ცივასულა იმიტომ დაერქვა, ცივაძეები ცხოვრობდნენ სოფელშიო... ეს წმინდა წყლის სიყაღბეა, ისტორიის გაუკუღმართებაა, რომელიც არავის ეპატიება, მითუმეტეს თუ ისტორიკოსად იწოდება...).

თავდაცვითს სისტემაში ერთერთი რგოლი სოფელ სალორეთის ჩრდილო-დასავლეთის მთაგრეხილის შუა ადგილას, უზარმაზარი კლდის თავზე აგებული სათვალთვალო-

საკომუნიკაციო ციხე-კოშკიც იყო, რომელიც გამოიყენებოდა ინფორმაციის შორ მანძილზე გადასაცემად, კერძოდ- თბილისიდან ციხე-ქალაქ გონიომდე და პირიქით, მეფეთა მიერ „ქულზე კაცის“ წვევის, აღლუმებისა და საშიშროებების დროს. ხატონად რომ ვთქვათ-დღევანდელი ტექნიკური საშუალებების - ტელეფონის მსგავსი თუ წინამორბედი.

## თამარის ციხე ანუ ყაღ

ციხე-კოშკი მოიხსენიება „ყაღედ“ ( თურქ.კალა), „თამარის საშენად“ ხან „თამარის ციხედ“. ამ კოშკიდან სამასიოდ მე-



ყაღე ანუ „თამარის ციხე-კოშკი“

ტრის მოშორებით, უფრო დაბალ კლდე-საძირკველზე მეციხოვნეთა დროებითი საცხოვრებელი ყოფილა, რომელიც ჟამთა ცვლას მოუსპია-სტიქიური უბედურების წერა გამხდარა, დანგრეულა და მხოლოდ დაბზარუ-

ლი ფუძეა შემორჩენილი, რის გამოც მცხოვრებლები „დანგრეულ ყაღედ“ მოიხსენიებენ

(საცხოვრისი იქნებ ხისა იყო და დაიწვა, ან დაღპა და დაიშალა). მეციხოვნეს თურქულად „ყულლეჯის“ ეძახიან. აქედან გვარი „ყულლეჯოღლი“ ანუ ახლა ყულლეჯიშვილი, თუმცა ქართულად უფრო მართებულია მეციხოვნეშვილი, ან მეციხოვნე.

ციხე-კოშკი გამოიყენებოდა ინფორმაციის გადასაცემად რომელიც ხდებოდა კვამლის საშუალებით: ანთებულ კოცონს, რომელიც სამი მეტრის სიმაღლის კოშკის ფსკერზე ინთებოდა, ვითარების მიხედვით უმატებდნენ ან კუპრს (რომელიც





ყალეს ესკიზი ნახ. ხ. სამნიძე

შავ კვამლს გამოყოფდა) ან ფისს რომელიც თეთრი კვამლით ბოლავს. ე. ი. ეს ნიშნავს რომ ომიანობის პერიოდში შავ კვამლს ააბოლებდნენ, „ქუდზე კაცის წვევისთვის“, ხოლო აღლუმების თუ სხვა რამ სამშვიდობო წვეულებისას - თეთრ კვამლს.


ადრეულ პერიოდში და დიდხანს, ინფორმაცია მალემსობოლების მეშვეობით გადაიცემოდა, რომელიც ყოველთვის სახიფათო იყო და ხშირად მარცხისა თუ სხვა უბედურობების მიზეზი ხდებოდა. კვამლით გადაცემა მომდევნო ციხე-კოშკ-

ზე და ასე შემდეგ დანარჩენზე, გამართლებული იყო, ვინაიდან კვამლის შეფერილობის მნიშვნელობა მხოლოდ მეციხოვნეთა საიდუმლო იყო. ისინი სადარაჯოზე თავის მოვალეობას პირნათლად და დროულად ასრულებდნენ.

ყალე ანუ თამარის ციხე აგებულია ადგილზე დამუშავებული ნაფლეთი ქვებით, ზოგიც გაბმული ბაგირითაა გატანილი.

ციხე-კოშკი კვერცხისებრი ოვალის ფორმისაა და მისი ფართობი 30 კვ. მეტრს აღემატება. გარშემოწერილობა 22 მეტრია, სიმაღლე რელიეფის მიხედვით ცვალებადი-3-3,5 მეტრია. (იქნებ უფრო მაღალიც იყო...). დასავლეთი გვერდი ვერტიკალურ ფერდს უერთდება, რომელიც ძალიან მაღალია. ასევე ფრიალოა დანარჩენი ფერდებიც, მაგრამ იქამდე 150-ოდე კვადრატული მეტრის შიდა ეზოა მოთავსებული. ერთადერთი ბილიკი ჩრდილოეთის მხრიდანაა, ციცაბოა და ძნელად მისასვლელი.

ციხე-კოშკის კედლების სისქე 2,00-2,20 მეტრისაა. შიგნითა სივრცე სამკუთხაა, გამოზნექილი კედლებია, რომლის



თამარის ციხე კოშკის ზედხედი


კონფიგურაცია ძალიან საინტერესოა. უქონგუროა(აღბათ მოიშალა). აღნიშნული დანიშნულების გამო არ გააჩნია არც შესასვლელი, არც ზემოთ ასასვლელი და არც სათოფური სარკმლები. ციხე-კოშკი ამჟამად მიწითაა ამოვსებული. თუ ნამდვილად თამარ-მეფის დროსაა აგებული (რაც არავითარ ეჭვს არ იწვევს), გამომანგარიშებით წელიწადში სამი მილიმეტრი

სისქის მტვერი რომ ჩაღეჭილიყო (და არცაა გასაკვირი) ციხე-კოშკში, დღევანდელ დონეს ნამდვილად მიაღწევდა.

კოშკთან მისასვლელი ბილიკის თავში, კლდეში საფეხურია ამოკვეთილი ასვლის გასაიოლებლად. შიდა ეზოს ზღუდე, კოშკივით შელახულია, ეს კი ბადებს ეჭვს, რომ ჩრდილოეთის მხრით კარიბჭეც ექნებოდა.

ციხე-კოშკი ზღვის დონიდან 886 მეტრის სიმაღლეზეა.

მოსახლეობაში გაგრძელებული აზრით ციხე-კოშკი თამარ მეფის ჯარს აუგია (ეს სინამდვილეა) აჭარისწყლიდან აზიდული რიყის ქვებით. ეს გაღმერთებული თამარის სიძლიერის დამადასტურებელია და ისე უყვართ წმინდანი მეფე, რომ ყოველგვარ მკვიდრად ნაშენს მას



გაღანგრეული ყალე

მიაწერენ და ხშირად გაზვიადებულადაც. დაე, ეს სიყვარული არასოდეს გაგვენულებოდეს... ციხე-კოშკი კი, როგორც ითქვა, აგებულია ადგილზე მოპოვებული საშენი მასალით და რიყის ქვა ერთი ცალიც არ ურევია.

კირღულებით ნაშენ ამ ციხე-კოშკს რელიეფური სიძნელისა და სიშორის გამო ადგილზე დამთვალეიერებელი ძალიან ნაკლები ჰყავს. ის „მკვლევარები“, რომლებიც ამ ციხე-კოშკის საძირკველს-150 მეტრის სიმაღლის წოწოლა, უზარმაზარ კლდეს შეავლებენ თვალს, ციხე-სიმაგრე ჰგონიათ და როგორც უკვე ითქვა ადგილობრივ კომპილატორთა დახმარებით ამ კლდეს „საღორეთის ციხის“ ტიტულს ანიჭებენ.

ისტორია ნაყალბევს ვერ შეიწყენარებს...

„საღორეთის ციხე“ ნამდვილად იმ ადგილას არსებობდა, სადაც ამჟამად საფლავები მომრავლდა და არა მთაგრეხილზე, აღნიშნულ ყალბესთან. თუ „საღორეთის ციხის რაბათი 24 კომლი“ იყო, ვერაფრით იქნებოდა ციხე-კოშკის მიმდებარედ, უღრან და ციცაბო ტყიან მასივში.

მცხოვრებთა ყოველდღიურ სასაუბრო ლექსიკონს ამშვენებენ დასახელებები: ყალიძირი, ყალბე, ყალბე უკანა, თამარის ციხე, თამარის ნაშენი, ციხესუკანა, დანგრეული ყალბე და სხვა.

## თამარის ნაშენი

სოფლის სამხრეთ აღმოსავლეთ ფერდობს, რომელსაც „სასირეს ფერდობი“ ჰქვია და სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს, შემორჩა თამარისდროინდელი მოპირკეთებული წყარო. მას „თ ა მ ა რ ი ს წ ყ ა რ ო ს“ უწოდებენ, ხანაც „ჭ ა ს“ რომელიც არაა შესაფერისი.

თალის სიმაღლე ფუძიდან 2,5 მეტრია, სიგანე 1,50 მეტრი, ხოლო გრძივი ღრმულის ზომა 3 მეტრია. წყალი ქვის აუზიდან გადმოიწუნეხუხებს და მოსახლეობა ინტენსიურად ამ წყალს მოიხმარს. დრო თავისას აკეთებს, ამდენად ცოტათი შელახულიცაა.



თამარის წყარო

კეთილმოწყობილ წყაროსთან სავარაუდოდ (და აუცილებლად) იქნებოდა საკარცხულები, მაგრამ როგორც „სალორეთის ციხის“ ნანგრევები მასალა, ისეც ეს დამუშავებული „ქვის სკამები“ რომელიმე სახლის სართულშია

მოქცეული.

„თამარის წყაროს“ მოგვიანებით, ნაცხოვრების შესაბამისად-შალიკაშიელების წყაროს ეძახდნენ, შემდეგ- ჩალოღლების წყარო შეარქვეს, მაგრამ პირველი სახელწოდება არ შელახულა, თუმცა უნდა შევნიშნო, რომ მოსახლეობა შერქმევა-გადარქმევის დიდოსტატობას ნამდვილად იჩენს, საჭიროა კი პირვანდელი სახელწოდება ისტორიამ ღამაზად გადასცეს მომდევნო თაობებს, ეს აუცილებელიცაა!



თამარის წყაროს ესკიზი  
ნახ. ს. სამნიძე

წყაროს პირთან ხშირად იკრიბებიან მეზობლები, მასლათობენ და ანკარა წყაროს წყალს ეზიდებიან სახლში. წყარომ თუ აქამდე მოაღწია (800-ზე მეტი წლისაა!). ღვთის მადლით დრო-ჟამი ვერას დააკლებს, თუ რა თქმა უნდა უკეთური ხელი არ მიწვდა...


## საწნახელი

წყაროდან სამასიოდე მეტრში, ღია ცის ქვეშ დევს ძველისძველი საწნახელი, რომელიც ფაქტიურად განადგურებულია და წააგავს ადრე ყველა ოჯახის ეზოში მოთავსებულ საცეხველს, რომელსაც ხალხურად „საძიგველს“ უწოდებენ.



საწნახელი

ექსპონატს გააჩნია წვეწვანის გადმოსადენი, ტუჩის მსგავსი, სავარაუდოდ ღარიანი გვერდი. აღნიშნული ჭურჭელი გამოიყენებოდა როგორც სიმინდის ჩასაფშვნელად, ამავდროულად ხილეულის ჩასაჭყებად წვეწვანის გამოყოფის მიზნით. მოსახლეობა ბევრ რამეს იმეტებს გასაუჭმებლად, ეს კი ნამდვილად არაა მისაღები სოფლის ისტორიისათვის. ყველაფერს თვალის ჩინივით უნდა მოეწონოს და არა იმ სკეპტიკოსებისა და ვაი-მეისტორიეთა მონაყოლივით გაყალბება ან სულაც იგნორირება!...



საწნახელის ესკიზი ნახ. ს. სამხიძე

## სასიხის გოხა

სოფლის ცენტრიდან ერთ კილომეტრში, მთაგრეხილის სამხრეთ გაგრძელებას, რომელსაც მცხოვრებლები „სასირეს“ უწოდებენ, დასასრულში აღმოჩენილია 20X15 ზომის შემონაყორის ნაშთი, თითქოსდა დასაწყისი, თუმცა არა, იგი მხოლოდ და მხოლოდ ნახევარი საუკუნის წინანდელი, ნახევარი მე-

ტრის სიმაღლის ყორისგანაა გადარჩენილი. სოფლის ბავშვებს ქვები სასეიროდ უგორებიათ ჭანჭახადის დელისკენ.

წამოიჭრა ასეთი მოსაზრება: ვინაიდან ნაყორი ამჟამად ტყე-ბუჩქნარითაა დაფარული და არც მტკიცება მოიპოვება, ხომ არ იყო ძველისძველი, წარმართული ეპოქის დროის მსხვერპლშეწირვის ადგილი? ძველთაგანვე მსხვერპლად, დარჩეულ, იმ დროისათვის წილნაყარ, ქალ-ვაჟებს სწირავდნენ ქურუმები და შესაწირი ადგილიც სახალხოდ გამოსაჩენ ადგილას უნდა ყოფილიყო. მითითებული ადგილი კი, სხვა სოფლებიდან კარგად შეინიშნება. არის ვარაუდი-სიტყვა „სასირე“ მსხვერპლშეწირვის გავლენით, მეტათეზისით გარდაიქმნა სიტყვა „საწირიდან“. (საწირი ადგილიაო, საწირი გორააო). მუსირებს აზრი, ვინაიდან „სირი“ ჩიტს ნიშნავს, ხომ ამის გამო არ შეერქვაო გორას „სასირე“ ანუ საჩიტე ადგილი. ვფიქრობ ეს გამორიცხებულია.

ტოპონიმთა არსებობაში, მათ დასახელებაში ყოველთვის შეინიშნება მეტათეზისით, მეტონიმით და ასიმილაციით, სინტაქსურ-მოფოლოგიურად გადაკეთებული სახელწოდებები, რომლებიც ხშირად ინლაუტით არის განპირობებული, ამიტომ არაფერია საკვირველი, თუ ტოპონიმები რამდენადმე განსხვავებულად ჟღერს. ხალხურ სასაუბრო კილოში შეინიშნება თავკიდური და ბოლოკიდური მარცვლების ან გადაადგილება ან ამოვარდნა, ან სულაც მარცვლების თუ ბგერების მიმატება. ამდენად სულ სხვადასხვაგვარ დასახელებებს მივიღებთ, ოღონდ სწორი ფორმის დადგენა აუცილებელია. შერწყმა-შენაცვლების გზით, კვეცილობის შედეგად, რა თქმა უნდა ბევრმა ტოპონიმმა შეიძლება სულ სხვა მნიშვნელობა და დანიშნულება, ვითარების გალამაზება და გაუკუღმართებაც შეიძინოს.

ასე მაგალითად: სამცხეში იყო სოფლები-ს ა მ დ ე რ ე თ ი (ამჟამად ხდება აღორძინება) და ს ა ღ ო რ ი ს ი.

პირველში ბგერა „მ“-ს ამოვარდნით და პირველი „ე“-ს, „ო“-თი შეცვლით ვლებულობთ სოფლის-„ს ა ღ ო რ ე თ ი“-ს სახელწოდებას. ასევე მეორე დასახელებაში ფუძედ დარჩება „სალორ“- და ბოლო ბგერების „ეთი“-თ შეცვლით გვრჩება იგივე სახელწოდება- ს ა ღ ო რ ე თ ი.

ამის გამო გამოვთქვამ მოსაზრებას: ვინაიდან აღნიშნული სოფლები საერთოდ გაქრა ასპარეზიდან (რა თქმა უნდა მცხოვრებლებიც), ხომ არ გადმოვიდა რომელიმე მათგანიდან ვინმე სცხოვრებლად ჩვენს სოფელში და ხომ არ გადააკეთეს მაშინდელი აღწერით (იქნებ საჭიროდაც-ჩათვალეს) ს ა ღ ო რ ე თ ა დ?

ვფიქრობ, შემოხიზნულმა სამახსოვროსაგვით შემოინახა სოფლის ფუძე? მსგავსი რამ ბევრჯერ მომხდარა.


მაგალითად: გვარი სურმანიძე-საბერძნეთის სოფელ „სურმანი“-დან მოსულმა კაცმა გვარად აქცია.

სოფელში არის სავარგული „საწილიეთი“. კვლავდაკე-  
ლავ არის მოსაზრება-ზემოთაღნიშნულ „საწირთან“ ხომ არ აქვს ამ ტოპონიმს კავშირი?

სოფლის დასავლეთ განშტოება „მოლოქნარა“-საც ხომ არ აქვს საერთო, ზემოთ ნახსენებ მსხვერპლშეწირვის ადგილთან? „მოლოქი“ წარმართული ღვთაება იყო-ხომ არ სწირავდნენ შესაწირავს ამ ღვთაებას იქვეც და სოფლის აღნიშნულ ადგილებზეც?.

ზემოთაღნიშნული ნაყორიდან სამხრეთით, ზღვის დონიდან 230-240 მ. სიმაღლეზე საყანგების კლდოვან გავაკებაზე-„კილდითავ“-მდებარეობს პარამეტრულად მიახლოებით იდენტური,სქელი კედლებით შემოზღუდული ორი ორმო, რომელიც არქეოლოგთა ვარაუდით, მადნის გამოდნობისა თუ იარაღის გამოსაჭედად გამოიყენებოდა. მსგავსი ადგილი შეინიშნება სოფელ ზენდიდში – ნამჭედღურის, ხოლო სოფელ ჯინიშის განაპირას – ჭედღურის სახელწოდებით.


ამ ორმოებიდან უფრო სამხრეთით, კლდის ქიმზე იდგა საფორტიფიკაციო ნაგებობა, სადაც სავარაუდოდ ლოდსატყ-



საფარულოდ მანის გამოდნობის და იარაღის გამოსაჭედი ადგილი ე.წ. კილდისთავი

ორცნიც იდგა. ხედვის არეალი ფართოა და სტრატეგიულად გამიზნული მდებარეობა გააჩნია. საფორტიფიკაციო შენობისგან აღარაფერია შემორჩენილი. როგორც ბევრი სხვა სიძველე, ალბათ ესეც დაუნგრევიათ.

ორმოებთან ახლოს შეინიშნება გადაყეფვის მსგავსი ნამუშევარი, ფაქტობრივად სამშენებლო მასალის ამოდება წარმოებდასიფართე 3-მეტრია და ეშვება სოფლის მიმართულებით. დაბოლოებაზე მცირე წყაროა, რითაც უეჭველია სარგებლობდნენ „კილდითავ“ დაბანაკებულნიც, ციხის მცველებიც და რა თქმა უნდა მეყანურებიც. საყანეებიდან მეორე გზაა წყაროსთან ჩასასვლელი, რომლითაც უეჭველია სოფელში ჩადიოდნენ ტვირთმზიდავი პირუტყვების მეშვეობით. გზის სიფართე ამის მიმანიშნებელია.



კილდისთავის ორმოს  
ესკიზი ნახ. ს. სამნიძე

I-ორმოს პარამეტრები: სიგრძე-3,50 მეტრი, სიგანე-2,50 მეტრი, სიღრმე-1,80 მეტრი. სოფლის მხარის კედელი 3-მეტრი სისქის, სამხრეთი კედელი-1-მეტრია, დანარჩენი ორი 1,50,1,50 მეტრი.



II-ორმოს პარამეტრი:სიგრძე-3-მეტრი, სიგანე-3-მეტრი, სიღრმე 1,50 მეტრი, კედლები 3 და 2 მეტრის სისქის. ორთავე ორმო ქვითკირითაა ნაშენი.

II-ორმოდან სამხრეთით 25 მეტრის სიგრძის კლდოვანი კონცხია. უეჭველია,რომ ნარჩენი ღოდები საფორტიფიკაციო ნაგებობის საძირკვლის ნარჩენია. მოპირდაპირედ, სოფელ „ჯიხიშის“ დაბოლოებაზე, კლდოვან კონცხზე ანალოგიური



საფორტიფიკაციო საგარაუდო  
ნაგებობა ე.წ. „კილდითავი“  
ესკიზი ნახ. ს. საშნიძე

საფორტიფიკაციო ნაგებობა მდგარა,სადაც ეჭვგარეშეა ღოდსატყორცნიც იქნებოდა მოთავსებული.

აღნიშნულ „კილდითავს“ მცხოვრებლები „ნ ა შ ე ნ ს ა ც“ უწოდებენ, ორმოების არსებობის გამო. იქვე, მცირედ შეფენილ საყანეებში რამდენიმე ასეული მო-

ლაშქრის დაბანაკებაც შეიძლებოდა. რუსული რეჟიმის დროს ყოფილა დაბანაკებული საჯარისო ნაწილი, ხოლო სამეთაურო ბლინდაუი აქეთ, დასახლებაში ჰქონიათ. უეჭველია, რომ წინათაც იყო დაბანაკებული ქართული ლაშქრის ნაწილი.

საყანეების აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, კლდეში ამოკვეთილი ორმოა. მარცხენა კედელი ფრიალოსკენ ჩაჭრილია. ვარაუდით აქაც წარმოებდა მადნის გამოდნობა თუ იარაღის გამოჭედვაც. ორმოს კონფიგურაცია მართკუთხობრივია-კუთხმზომი გონიოს მსგავსი, განიერი და გრძელი.


საყანეებში ნაპოვნია ტიგელური ღნობისათვის გამოსაყენებელი, 20-სანტიმეტრის სიგრძის საქშენი თიხის მილი და მოგვიანო პერიოდის თიხის ჭურჭლეულის ნატყეხები.

აღნიშნულ,სავარაუდო მსხვერპლშეწირვის ადგილის ახლოს სათეს ფართობში კერამიკული ჭურჭლის ნატყეხებიც უნახავთ, მაგრამ არცოდნის გამო არ შეუნახავთ. ამჟამად გატყევებულია. აქვე, სოფლის მცხოვრებლებმა, მამა-შვილმა დაუთ და რეზო ქადიძეებმა 1961 წელში იპოვეს ორი ცალი ბრინჯაოს ცული, რომელიც სწავლულმა ჭოლა ნიკოლაიშვილმა აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოათავსა. მსგავსი ტიპის სამი ცულია ნაპოვნი 2009 წლის თებერვალში, სოფლიდან აგარაკისკენ მდებარე გზაზე, სოფლის მცხოვრებლების ამირან და თენგი აბულაძეების, ხუსეინ, ფრიდონ და ჯელიდ დვალიძეების და ზურაბ ღოღობერიძის მიერ, რომელთაც პოლიეთილენის მილის დაფარვის მიზნით გაჭრეს არხი. განძი ზღვის დონიდან 500 მ. სიმაღლის ადგილასაა ნაპოვნი. ვიზუალური დათვალიერებისას კიდევ აღმოვაჩინეთ ხუთი ცალი ცული. ეს განძი არქეოლოგების-ამირან კახიძის და შოთა მამულაძის დათარიღებით 3200 წლის იქით გვახედებს. ფაქტია რომ დასახლება ამ დროიდან არსებობს და მრავალჯერ დასმულ შეკითხვაზეც პასუხი გაცემულია.

## მოსაცდელი-ლამისათევი

სოფლის შუა ჩამავალი, ე.წ. „აბრეშუმის გზა“ რა თქმა უნდა დედეებზეც გადადიოდა. ერთერთ დედეში რომელსაც „ხორჩონადედე“ ქვია, აბრეშუმის გზის პირად ნაპოვნია სავარაუდოდ მოსაცდელ-ლამისათევი ადგილი. ობიექტი კირდუღაბის გარეშეა ნაყორი. სიფართე ორი მეტრია, სიმაღლეც ამდენივე იქნებოდა, ოღონდ შელახულია-სახურავი აღარა აქვს.

ნაყორის შუაზე მასიური ბრტყელი ქვაა, რომელზეც ამოკვეთილია 40X20 სანტიმეტრის ასწვრივი ღარი და რომელიც ალბათ საკვამლის როლს ასრულებდა. მგზავრს შეეძლო ღამე გაეთია დანთებულ ცეცხლთან. მოფარებულ ადგილას,



მოსაცდელი-ღამის სათვეი ე.წ.  
„უნაგირას“ ახლოს  
ესკიზი ნახ. ს. სამნიძე

საკმაოდ ღრმა დედე-  
შია და უცხო თვალ-  
ისთვის შეუმჩნეველი.  
გარეთ გასული მგზა-  
ვრი ადამიანი მომ-  
თაბარესავითაა და  
სადაც დაუღამდება იქ  
გაითევს ღამეს.  
სწორედ ამიტომ იყო  
გზისპირებზე, მოფარ-  
ებულ ადგილებში მს-

გავსი ტიპის ღამისგასათვეი მოწყობილი.

გადმოცემით, ერთერთ მგზავრს, აქ ღამის გათევა უნ-  
აგირის დაკარგვად დაუჯდა. დასველებული უნაგირი, მაღლა  
ბორცვზე ორპირ ქარში დაუდგია გასაშრობად, დილით კი  
აღარ დახვედრია. შემდეგში ამ ზურგა ბორცვს ადგილო-  
ბრიეებმა „უნაგირა“ შეარქვეს.

იქნებ არც იყოს მართალი და ბორცვს უნაგირთან მს-  
გავსების გამო შეერქვა ეს სახელი, თუმცა უნდა შევნიშნო,  
რომ სოფლის ისტორიისათვის ასეთი სათუო დასახელება  
არც თუ ისე ზედმეტია-ისტორია ყველაფერს იტევს.

## ქანქახის ხიდი

ეგრეთ წოდებული „აბრეშუმის გზა“ დაბრკოლებათა წყე-  
ბაზე გადადიოდა. ზოგან დაჭაობებული, ზოგან მთის მქუხარე  
მდინარეები და სხვა მრავალი რამ, ხელისშემშლელი იყო  
მექარავნებისათვის. ქედის ტერიტორიაზე კი მგზავრთა უსა-  
ფრთხოებას საღორეთის ციხის მფლობელი უზრუნველყოფ-  
და. (იყო მძარცველთა და მეკობრეთა თარეში).

ერთერთი დაბრკოლება იყო სოფლის აღმოსავლეთ მთავრ-  
ეხილის გადაღმა, ხეობაში მჩქეფარე, ქაფმორეული მთის



„ჭანჭახადის ხიდი“

მდინარე-ჭანჭახადი, რომელიც ათ კილომეტრამდე სიგრძისაა. ამ მდინარეზე ორთავე ნაპირის კლდოვან ბურჯებზე აგებულია უნიკალური ხიდი. ისტორიკოსების დათარიღებით ხიდი IV-V საუკუნეების მშენებლობათა რიგს უნდა განეკუთვნებოდეს. ფიქრობენ, რომ უფრო ანტიკურს წააგავს, სამშენებლო ტექნიკა უფრო დახვეწილია და ეს იძლევა მტკიცებულების დასტურს, რომ ხიდი არქაულია. სავარაუდოდ პომპეუსის ხიდს უტოლდება ასაკით.

ხიდს ადგილობრივი მცხოვრებლები არა „ჭანჭახადის ხიდს“- მასზე არსებული მიწის ფენის გამო უმართებულო სახელს-მიწიხიდს ეძახიან.

ხიდის სიგრძე 12-მეტრია, სიგანე შუაწელზე 2,80, მაღის საყრდენებს შუა მანძილი 6-მეტრია, რადიუსი 3-მეტრი. თადის გამოწვეული ლავგარდანი 40-ცალი კარგად დამუშავებული პორფირია და ფაქტიურად განივი წყობაც 40-სწორხაზობრივი ფენაა.



რეაბილიტირებული „ჭანჭახადის ხიდი“

ხიდი იმგვარადაა აგებული, რომ ძირითადი მასა ეყრდნობა საძირკველს, რის მეშვეობითაც ხიდზე გადამავალი ტვირთის სიმძიმე (აღბათ ნახევარ ტონამდე ან

უფრო მეტიც) დანგრევის საშიშროებას არ წარმოქმნიდა. ზღვის დონიდან დაახლოებით 250 მეტრის სიმაღლეზეა, წყლის დონიდან კი 9-მეტრის სიმაღლეა. ნაშენებია გლუვი ზედაპირის მქონე, კვადრატულად დამუშავებული რუხი პორფირით. წყობა სწორხაზობრივია. თაღი წრეხაზის ნახევარის კონფიგურაციისაა. ე.წ. „თამარის ხიდებისგან“ კონსტრუქციით განსხვავდება. თამარის ხიდები ოვალური მრუდია და ნაფლეთი ქვებითაა აგებული. ხიდზე დანაშენის ანუ მოაჯირის კვალი არ დგინდება ზედ ამოზრდილი ბზის ბუჩქების გამო, რომელიც უეჭველად დანგრევის საფრთხეს უქმნის-ფესვები თავისას იზამს. ჯერჯერობით კარგ მდგომარეობაშია და ყოველდღიურობაში მოსახლეობისათვის ხიდის როლი არ დაუკარგავს. ფაქტიურად საღორეთსა და აგარას შორის საცალფეხო ბილიკის დამაკავშირებელია.

მიმდებარე ტერიტორიის მიხედვით ხიდს „ფიქალათის ხიდსაც“ უწოდებენ.

ხიდს 2013 წელში ჩაუტარდა რეაბილიტაცია და ამჟამად პირვანდელი სახითაა წარმოდგენილი. ზედა ხედი ოვალური მრუდია. მასზე დაყრილი მიწაც ამშენებლების ღვაწლია, რომელიც ხიდის ზედაპირს ეროზიისგან დაიცავდა და საჭაპანო საშუალებასაც ასხლეტის საშიშროება აღარ ექნებოდა.

რაც შეეხება სახელწოდება „მიწისხიდს“-განა მართებული იქნებოდა უზარმაზარ კლდეც ციხე-სიმაგრე ვუწოდოთ? უცხო ადამიანები კითხულობენ: მართლა მიწისგანაა გაკეთებული? ამიტომაც მდინარის შესაბამისად რომ სახელი ჰქვია, ამას ნურავინ უარყოფს. უცხო ადამიანების შეცდომაში შეყვანა არაა საქებარი და მისაღები. (თუმცა საღორეთელები ყველაფერს „ახერხებენ“)...

ფესვებით საღორეთელი კინორეჟისორი, თბილისში მცხოვრები-გია დიასამიძე ირწმუნება, რომ საქართველო შემოვლილი და გადაღებული აქვს, მაგრამ „ჭანჭახადის ხიდის“

ანალოგიური ხიდი არსად შეხვედრია და ამტკიცებს კიდევ, რომ ხიდი ანტიკურ ხანას უფრო მიეკუთვნება. ამასვე ვფიქრობთ ქედის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი-ვაჟა ფარტენაძე და რა თქმა უნდა მეც.

## მუსელი

უკვე მოხსენიებული საქარავანო -სავაჭრო „აბრეშუმის



„მუსელი“ ესკიზი ნახ. ს. სამნიძე

გზას” მთელ მონაკვეთზე, მაშინდელი ვითარების მიხედვით, კარგად მოპირკეთებული წყაროებიც გააჩნდა, (მცხოვრებლები მაღლის მოსაპოვებლად აკეთებდნენ ასეთ წყაროებს

სახალხო-სამოდრო აღგილებში). იმდენად კეთილმოწყობილი, რომ მგზავრს რამდენიმე საათით დასვენება და წათვლემაც შეეძლო. საღორეთის ტერიტორიაზე, მითითებული „თამარის წყაროს“ გარდა სამხრეთ დასავლეთით, დასახლება „ბუჭიას“ ზემოთ საყანეებში გამავალ აბრეშუმის გზაზე, უფრო კეთილმოწყობილი წყარო გააჩნდა, რომელსაც მცხოვრებლები „მუსელულს“ უწოდებდნენ. (უფრო ხნიერი იყო, ვიდრე თამარის წყარო...). ნაშენი იყო ბრტყელი, კიდეებ გამოწვეული ანუ ზურგის მისაყრდნობი კედლებით, რომლის ფუძეზე საკარცხულები იდო (დასაჯდომი). წყალი ქვის ღარიდან გადმოჩქეფდა საკმაოდ დიდ ქვისავე აუზში, რომელიც პირუტყვის დასარწყულებლად გამოიყენებოდა. მგზავრს შეეძლო წაეთვლიმა და ღამეც გაეთია.

ღარის ორთავე მხარეს ფოსოები იყო დატანებული, სანათისა და ჯამ-ჭურჭელის შესაწყობად. ამჟამად მუსლული იავარქმნილია მეყანურეთა დაუდევრობით და უგულისყურობით.

ანალოგიური წყაროები გვხვდება ამ წყაროს მოპირდაპირედ მდინარე აჭარისწყლის მარცხენა ნაპირზე, დასახლება ჯინიშზე გამავალ პარალელურ საქარავნო სავაჭრო გზაზე.

აღსანიშნავია, რომ ჯინიშის ტერიტორიაზე „ჭედღურის“ შუა გამავალ გზის რამდენიმე ასეული მეტრი, უძველესი დროის მოკირწყლეულია და დღესაც გამოიყენება ზედ მანქანებიც დადიან.

აბრეშუმის გზის მონაკვეთი, „მუსლულთან“ მისვლამდე, ოცდაათი მეტრის სიგრძისა და ორმეტრზე მეტი სიფართისამოპირკეთებულია XIX საუკუნის შუა წლებში, სოფლის მკვიდრის, თოფ-იარაღების მწარმოებელი ოსტატის-უსტაშაჰინის მირ გაღებული ხარჯებით.

## ნადარბაზევი

როორც ითქვა სოფელს საამაყოდ აქვს თამარ მეფის სახელი. გადმოცემები მრავალფეროვანია და საკმაოდ მა-



„ნადარბაზევი“

დალმხატვრული, რაც თამარ მეფის გაღმერთებამ გამოიწვია. ამავე გადმოცემით ცნობილია, რომ მეფეთ მეფე სტუმრობდა სოფელს. სანამ ჩვენთან შემოადგამდა ფეხს მანამ დანდალოს ხიდი ააგებინა თავის ლაშქარს. მისი სტუმრო-

ბისას არის აგებული სოფლის თავს „ციხე-კოშკები“, „თამარის წყარო“, „ცივასულას ციხე“ და „მახუნცეთის ხიდი“. ამავე



„აბრეშუმის გზის“ მონაკვეთი, მოპირკეთებული სოფლელი წმინდანის – „უსტაშაჰინის“ მიერ გაღებული სახსრებით.

დღეებში აჭარის წყალთანაც აპირებდნენ ხიდის აგებას, ალბათ ორ მალიანს. საწყისი საყრდენი დღესაცაა შემორჩენილი წყლის პირას. ხიდი ვეღარ ააშენეს – მალემსრბოლმა ამბავი მოუტანა გონიოს ციხიდან და სტუმრების წვევა გააგებინეს. სა ღორეთის ეკლესიაშიც ულოცნია. სოფლის ბოლოს, „საღორეთის ციხის“ გადაღმა მინდორზე დაუციათ კარავი, დარბაზობაც გაუმართავს და გარდა ქველმოქმედებისა მცხოვრებლებიც გაუკითხავს-საბოძვარი გაუცია. მის საპატივცემულოდ

მცხოვრებლებმა სოფელს „ნადაბაზევი“ შეარქვეს. (დარბაზი-მეფის სასახლის კარი, მოდარბაზენი-რაიმე ღონისძიებაზე მბჭობელნი. დღევანდელი პარლამენტის მსგავსი. დარბაზობა-ბჭობა და გადაწყვეტა). მოსაზრება რომ სოფელს საღორეთამდე ნადარბაზევი ერქვაო სავსებით მისაღებია.

## ბეთლემი

ბეთლემი-საყოველთაოდ ცნობილი,-ქრისტეს დაბადების ადგილია. მოსახლეობა ბეთლემს, შორეულ, უღრან ადგილს უწოდებს.

ბეთლემი-საღორეთელთა (და არა მარტო მათი) სალოცავი ადგილი იყო... ლეგენდისმსგავსი ცნობებია მოღწეული ამ სამონასტრო კომპლექსზე. ჯერჯერობით ვერავინ მიაკვლია მონასტრის ადგილსამყოფელს.

ეთნოგრაფი და მწერალი-ზაქარია ჭიჭინაძე, წიგნში-„მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველო-



ში” მოგვითხრობს საღორეთელთა გამუსლიმანების ამბავს: ვერავინ მიაღწია (ლაპარაკია ოსმალებზე) ბეთლემს შეხიზნულებთან-ხან ღვარცოფმა შეუშალა ხელი, ხან სეტყვამ და ყინვამ. ბოლოს მეგზურის თანხლებით მივიდნენ და ყველა ამოწვევით-ასე გვამცნობს ჭიჭინაძე. ეს მცირე ამონარიდია წიგნიდან, რაც სინამდვილეს შეესაბამება.

საღორეთიდან წადებული ეკლესიის განძეულობა და ჩანაწერები ბეთლემში დააგანეს. როგორც ითქვა, ჯერ ვერავინ მიაკვლია მონასტერს თუ მღვიმე-ეკლესიას. ბევრი უცნაური ამბები არსებობს ბეთლემზე. ყველაფერი-მართალიც და დასაჯერებელიც დაუჯერებელიც ასახ-



„ჯამე და მეღრესე“

ულია რომანში, რომელიც სოფელზეა შექმნილი და ალბათ მალე დაისტამბება.

ერთი რამ კი თხოვნასავით დაგვიტოვებს წინაპრებმა: ტაბუდადებულია ბეთლემის ტერიტორია და მასზე ფიქრიც კი. ვინც რამენაირად შეეხო ბეთლემის მიკვლევის ცნობისწადილს, ყველა ხიფათით დამთავრდა. ამდენად, გვწამს ეს დანაბარები, მაგრამ მაინც ჯიუტი სურვილი გვაქვს მიკვლევისა.

ალბათ დრო და ღმერთი დაგვეხმარება.

გამომდინარე იქიდან, რომ საღორეთში და მის შემოგარენში ამდენი საომარი დანიშნულების თავდასაცავი ძეგლები შეინიშნება, საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ სოფელი დიდი დროის მანძილზე განსაკუთრებულად განსხვავებული სტრატეგიული თუ საომარი მოქმედების წარმმართველი ადგილი ყოფილა. ფაქტია, რომ სოფელი ერთ დროს კარგად

გამაგრებული ფორპოსტი იყო და იმ დროისათვის სახვეისუფლო თუ საფეოდალო ცენტრადაც ითვლებოდა. „ცივასულას ციხე“, „თამარის ციხე“, „თამარის წყარო“, „ნადარბაზევი“ საფუძველს გვიქმნის ვიფიქროთ, რომ თამარ მეფეს დიდებული დიდპაპის მიერ დაწყებული სამშენებლო საქმე მთელი საქართველოს მაშტაბით ბრწყინვალედ გაუგრძელებია. რაც შეეხება ჯამეს როგორც აღვნიშნე აშენებულია 1830-იან წლებში. მამახემის გადმოცემით მაშინ აუგიათ როცა მამამისი-ხასანი დაბადებულა 1826 წელს. ჯამეში თითქოს აშენების თარიღია წარწერილი, მაგრამ ასევე გადმოცემით, ეს თარიღი, გარემონტების თარიღი უნდა იყოს, სინამდვილეა ვინაიდან ამ თარიღამდე (1861წ) ჯამე არსებობდა, რისი თქმის საფუძველს იძლევა შემდეგი ამბავი, რომელიც უხუცესებმა იცოდნენ.

მამახემის ბაბუა უსტაშაჰინი ზედმიწევნით მუსლიმანი ყოფილა. ერთ დღეს ვიდაც გაღმა უბნელს უთხრა თურმე შაჰინმა, ჯამეში რატომ არ შემოდისხარო (ეს ხდება 1850-იან წლებში). იუკადრისა თურმე კაცმა შენიშვნა და დამბახა დაუხვია ბაბუასათვის. მარტო ამ სიტყვისთვის ალბათ დამბახას არ გაისროდა, თუმცა სიმართლეს ვინ დაადგენს. აქ იმისთვის მოვიყვანე გადმოცემა, რომ ფაქტია 1861 წლამდე ჯამე არსებობდა.

## ეკლესია, საყდახი და ნაეკლესიახი

მოგ ზაური, მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე გვამცნობს, რომ „სოფელში დიდი ზომის ეკლესია ჰქონდათ, ოსმალებს გადაუწვავეთ და მის ადგილას ჯამე დაუდგამთ“. ეს სინამდვილეა. როგორ არ დაიჯერებ, როცა ამოდენა სოფელი იყო, სალოცავი აუცილებლად ექნებოდათ. გადმოცემით ეკლესია „ანდრია პირველწოდებულის“ სახელობისა ყოფილა.

ნაეკლესიარი ქვები დღესაც აქვს ჯამეს და მედრესეს საძირკველად. როცა მცხოვრებლები ამოწყვიტეს, ეკლესიაც მაშინ გადაბუგეს, 1713 წელს, ხოლო ჯამე 1826-1830 წლებში აუგიათ.

ეკლესიის დასავლეთით, ნახევარ კილომეტრში პატარა ბორცვზე მდგარა დაახლოებით 10X12 კვ. მეტრის ლამაზი საყდარი, რომელიც ასევე გადმოცემით „წმინდა მარიაშის“ სახელობის ყოფილა და გამოიყენებოდა როგორც სამლოცველოდ, ასევე მიცვალებულთა გასასტუმრებელ სალოცავად. იქვეა ძველი საფლავებიც.

საყდრის სამშენებლო მასალად ადგილობრივ მოპოვებული ქვები გამოიყენებიათ. თქმულებებმა მოაღწია... ზემოთ, თამარის ციხის მიმდებარე საყანებში ყოფილა მოთეთრო ლოდი, რომელიც ღამით ანათებდა თურმე და რის გამოც მცხოვრებლებს „ქვამთვარე“ შეურქმევიათ. ამ ტერიტორიას დღესაც „ქომთვარეს“ ეძახიან მცხოვრებლები. მეორე ადგილია „ფიქლათი“, საიდანაც მოუზიდავთ მოსაპირკეთებელი ფიქლები. გადმოცემები ცოცხლობს და ვფიქრობ, სინამდვილეს შეესაბამება, ვინაიდან საყდარი 1850-იან წლებამდე მდგარა, თუმცა გადაბუგული, მაგრამ მაინც დაუშლელი.

ერთადერთი ორნამენტიანი ქვა აღმოვაჩინეთ, მაგრამ ვიღაცამ შეგნებულად გაანადგურა.

ნასაყდრალ ადგილას დღესაც „ნასაყდრევს“ ვეძახით. ამჟამად იქ საცხოვრებელი სახლი დგას, რაც ვფიქრობ დიდი შეცდომაა...

ეკლესიასა და ნასაყდრევს შუა, დღევანდელი სამანქანე გზის პირად იდგა სოფლის ისტორიაში ძალიან ძველი-„მადანსადნობი ქურა“, რომელიც დაუდევრობით დაშალეს. (მისი დამშლელი ლოგინად ჩავარდა და დიდხანს ავადმყოფობდალ...)

გადმოცემით-მადნის გამოდნობა წარმოებდა. ხომ ადრიდანვე იყო ცნობილი სოფელი იარაღ-საჭურველის წარმოებით. მადანსადნობი ქურა იძლევა ძვირფას ცნობას და დასტურს, რომ დიდი ხნის წინ წარმოებდა მადნის გამოდნობა, რითაც ალბათ ადგილზე აწარმოებდნენ საბრძოლო აღჭურვილობას. ქურა მოგვიანებით მეთუნეების სამსახურში იყო, ადგ-

იღობრივი ნიადაგი კარგი მასალაა თიხისა და კერამიკული ჭურჭლეულობის და საგნების წარმოებისათვის. რამდენიმე ექსპონატი მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია მოთავსებული. ლაკური კერამიკის ნიმუშებიცაა ნაპოვნი, მაგრამ უცოდინარობის გამო ნიადაგში ჩატოვეს მპოვნელებმა. ხოლო ქურა ტერიტორიის საკოლმეურნეო ფართობად ათვისების მიზნით იავარჰყვეს.

სოფელს ერთი სამლოცველო კიდევ ჰქონდა დღევანდელ აგარაკ „ტბათის“ მიმდებარედ. სამოცდაათიან წლებში მასიურად დაიწყო ტყის სანიტარული გამოხშირვა, რისთვისაც სამანქანე გზებით დაიფარა ტერიტორია.

1957-1964 წლებში საღორეთში სკოლის დირექტორი იყო



ახალი კლუბი, სკოლა და სამედიცინო პუნქტი

მეზობელი სოფლის-მას-უნცეთის მკვიდრი ისტორიკოსი - რევაზ ფარსენაძე. მისი ნაამბობიდან ვიცით შემდეგი: ტყიან მასივში, სადაც მისი სოფლიდანაც იოლად მისასვლელია, უნახავს ნაყორი, მისი ვარაუდით-ეკლესიის საძირკველი. სამანქანე

გზების გაყვანამ ეს ნაყორიც მოსპო. ტერიტორიას „ნაქილისვარს“ ეძახიან. (ქილისა-თურქულად ეკლესია). ე.ი. ნაეკლესიარი, რომ ნამდვილად ყოფილა სამლოცველო, მარტო ეს სახელწოდებაც-საკმარისია. ზუსტ ადგილს ვერავინ უთითებს, იმიტომ რომ სახელწოდება უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს.

ცნობა „ტბათის“ სახელწოდებაზე: სტიქიურმა მოვლენამ-მეწყერმა იმსხვერპლა, ამ ტერიტორიის ბოლოს, გავაკებაზე არსებული დიდი ცისფერი ტბა, რომელიც კლდიდან მორ-

ღვეულ მეწყერს დაუფარავს. ადგილს „ნაფლატს“ ეძახიან, ე.ი. ჩამომზღვეული.

ნატბევის ადგილას ამჟამად ჭანჭრობიანი ვაკეა. ნატბევარ ადგილს კი მოსახლეობამ სახელწოდებად „ტბათი“ მიაკუთვნა.

აგარაკ ტბათიდან გზა „ბეთლემისაკენ“ მიემართება, მაგრამ როგორც ითქვა ჯერ არაა მიკვლეული სამლოცველო ადგილი და სამწუხარო ისაა, რომ შორიდანაც ვერ შეგვივლია თვალი, არადა მართლაც ძალიან დიდია დაინტერესება და სურვილი პოვნისა.

## „საცივო“

საღორეთს დასავლეთით, მახუნცეთის მიმართულებით გზის შუა წელში ვრცელი მინდორი აკრავს, რომელსაც „გუფთი“ ჰქვია, მინდვრის დასავლეთით აღმართულ კლდოვანი მთაგრეხილის ძირში, ახორხლილი ქვების გროვით წარმოქმნილი



ე.წ. „საცივო“ ბუნებრივი საყინულე

სიღრუიდან ნიადაგ უბერავს ქარიზაფხულში, შედგმულ წყალს ისე აცივებს, ერთი ჭიქის დაღვევა ჭირს, ხოლო ზამთრობით ამ ადგილას იშვიათად დებს თოვლს. ადგილს „საცივო“ ჰქვია. მაცივარია ბუნებრივი, საყინულე.

შემორჩენილია ლეგენდა, თუმცა სიმართლე აღბათ-ამ ღრმულიდან მოზრდილი მდინარე გამოედინებოდაო... მდინარე „ჩავარდა“. ადგილმდებარეობა კვლევის ობიექტია და არქეოლოგების თუ სპელეოლოგების ვიზიტს საჭიროებს, არის



„გუფთი“ – შაშიკაძის წიგნში მოკვლეული მონაცემით ამ ადგილს ერქვა სოფელი „საბაკურილი“ – 10-15 ოჯახით.

ვარაუდი-მიწისქვეშ გვირაბის არსებობისა, საიდანაც სწრაფმდენი დეღე ღიობებიდან დაჭირხნულ ჰაერს გამოტუმბავს...

მინდორ „გუბთში“ სოფლის ტიპის პატარა დასახლება იყო 10-15 ოჯახი, ან უფრო მეტიც. როგორც ვიცით მუ-

ჰაჯირობამ მთელი აჭარა გააუბედურა და გააუდაბურა. უპატრონოდ მიტოვებული გუბთის სახლები დიდთოვლობას დაუღლეწავს.

ზაზა შაშიკაძის, მითითებულ წიგნში აღნიშნულია ასეთი რამ: სოფელი მახუნცეთი ახლოსაა სოფელ „საბაკურილთან“. სავარაუდებელია რომ გუბთის დასახლებას ერქვა ეს სახელწოდება, რის თქმის საფუძველს ისევ წიგნი იძლევა, სადაც მახუნცეთის შემოგარენი სოფლები (დღევანდელი დასახლებებით) სრულად აღწერილია...

## „ფელიკავი“

დღევანდელი სოფლების ცენტრიდან საღორეთისკენ სავალ გზაზე ტერასული ფერდობებია. ძველი ქართულით ასეთ წყობას „ფელიკი“ ჰქვია. სულხან-საბას ლექსკონში განმარტებაა: ფელიკი-კარვის ზღუდე, შესასვლელი. ტოპონიმურ ადგილმდებარეობას „ფელიკავი“ ჰქვია. ფერდობის თავიც სოფლის შესასვლელია, საწყისია. აქვე ფიგურირებს საბრძოლო იარაღის „ფილაკვანის“ სახელწოდებაც. ამ სამი განმარტებითი სიტყვის შერწყმით გვაქვს ტოპონიმი „ფელიკავი“.

ქვისსატყორცნი კატაპულტა, აქვე, პატარა კონცხზე, რომელიც ხეებით იყო გარშემორტყმული, შუაში იდგა, საიდანაც მომხედურს უმკლავდებოდნენ. ამდენ ადგილას „ფილაკვანის“ არსებობა, თავისთავად ცხადყოფს, რომ სოფელი საომარ პლაცდარმად იყო ქცეული.

„სავანე“, „ნადარბაზევი“, „საღორეთი“ და ბოლოს „პირველი მაისი“. გადმოცემა, რომელიც სოფლის სახელ „სავანეს“ უკავშირდება. (მოქმედი ავთანდილ დიასამიძე).

სახელწოდება-სავანე განპირობებულია: სავანე-ლამაზი ადგილი, სარწმუნოების მსახურთა,-ფართო გაგებით-სამოღვაწეო ადგილი, როგორც მაგალითად-„პეტრიწონის სავანე“, „ათონის სავანე“ და სხვა. შემდეგ და შემდეგ, საღორეთად წოდებულ სოფლის ტერიტორიაზე ძეგლების (საყდარი, ეკლესია, „ნაქილისვარი“) და ცოტა მოშორებით „ბეთლემად“ წოდებული სამლოცველო, სამონასტრო კომპლექსის არსებობით. შედარებისათვის: მერისის ხეობაშიც იყო სამონასტრო კომპლექსი, რომლის მარტო სახელწოდება-ნამონასტრევი-შემორჩენილი და სოფლის სახელად ქცეულა.

ზოგი რამ ვარაუდის დონეზეა, მაგრამ ხალხის ხსოვნაში გადმოცემებად ცოცხლობს, ამდენად მათი მთლიანად უგულვებლყოფაც არაა მიზანშეწონილი და სახარბიელო.

ახლა ისევ ნადარბაზევზე, განსხვავებული ვარიანტი: 1921 წლის 16 მარტს, სოფელ საღორეთში, კერძოდ იმ ბორცვზე, სადაც „საღორეთის ციხე“ იდგა, მოსწორებულ ადგილზე, რუსეთის არმიის ოფიცერს-დიმიტრი უღობას, თავისი ჯარისკაცებით დაუდგამთ დაზვის ტყვიამფრქვევი, რითაც სოფელში შემოსეტილებული ოსმალო ჩეთნიკები გაურეკავთ. მცხოვრებლებს ტყვიამფრქვევისათვის ზარბაზანი (კუთხურად-დარბაზანი) უწოდებიათ. ნაზარბაზნევ ადგილის გავლენით მთლიან ტერიტორიას „ნადარბაზნევი“ უწოდეს. „ნადარბაზევი“ ერთი ბგერის დამატებით ნადარბაზნევადაქცევს. საღორეთის შერ-

ქმევის შემდეგ სოფლის სახელწოდება „ნადარბაზევი“ უშუალოდ დარბაზობის ადგილს შეუნარჩუნეს, მაგრამ დარბაზობა-ზარბაზანთან გააიგივეს...

ცნობისათვის: პროგრესულად მოაზროვნეების სურვილია, სოფელს ერქვას არა „საღორეთი“, არა „პირველი მისი“ (რომელიც უკვე „ზემოდან“ გვიბრძანეს) არამედ ის, ძველი, თამარ მეფის დროის სახელწოდება „ნადარბაზევი“. ხომ მისი ნატერფალები და ნაქველმოქმედარია დარჩენილი სოფელში და ამდენად, ნამდვილად უპრიანი იქნება ამ სახელწოდების დაბრუნება. ქართველი თამარის წმინდა სახელს გულით ატარებს და ნუ მოვუსპობთ მისი ნასუნთქი ჰაერით სუნთქვას მაინც.

ნაყულღევი, ნასაყდრევი, ნახმღევი, ნაომევი და მრავალი მისთანა, ქვეყნის გაოხრების აღმნიშვნელი, ტოპონიმებად ქცეული ეს სახელწოდებები ცხოვრებამ წარმოშვა და მრავლისმეტყველნი არიან. აყვავება და დაცემა საქართველოსი ხშირად მონაცვლეობდა და სწორედ ამის შედეგია სოფლების გაუკაცრიელება-გაუდაბურებაც. ასე ივსებოდა და ოხრდებოდა ყველა სოფელი. ვერც საღორეთი გადაურჩა განადგურებას, რაც ფაქტობრივად ნაწილობრივ ნაკვლევიდანაც ჩანს.

საერთო დაცემამ და დაშლა-დანაწილებამ აჭარაზეც იქონია დიდი გავლენა. აბა საღორეთი რაღა გამონაკლისი იქნებოდა ასეთ პირობებში. თუ ნადარბაზევად წოდებულ სოფელში აღებ-მიცემობა და ვაჭრობა ძლიერ იყო განვითარებული, შემდეგში რაღაცნაირად, პროგრესის მეოხებით ამ ვითარებამ გადაინაცვლა დაბად წოდებულ-ქედის ტერიტორიაზე. მეფე-მთავართა შორის დაძაბული ურთიერთობა ცოტად თუ ბევრად მოსახლეობაზე ისახებოდა და წესიერად განვითარებას აფერხებდა კიდევაც.

ოსმაღური ძალის ექსპანსიამ კი, საქართველოს დასავლური კულტურისაკენ მისწრაფება მოუხპო, რაც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ მკვეთრად აისახა საქართველოს



ყოველდღიურობაზე. სოფელ საღორეთზე კი განსაკუთრებულად. ცნობილია, თუ როგორ გაუსწორდნენ ოსმალები აქაურ მცხოვრებლებს და თურქ-სელჩუკთაგან სოფელზე მიკუთვნებული სახელიც თითქოსდა სამუდამოდ დაუნარჩუნეს, მაგრამ არც მთლად გარკვევის საშუალება დაგვიტოვეს. ერთი ესაა, მხოლოდ ტოპონიმები გვიყვებიან რაღაც სინამდვილის მსგავსს და ჯერჯერობით ამით უნდა დავკმაყოფილდეთ.

სოფელი საღორეთი ყოველთვის მშვიდობის სადარაჯოზე იდგა, ამდენად იგი ამართლებს ქვის ფურცლებით გადმოცემულ ისტორიას. სოფელში რამდენიმე ძირძველი გვარია და ყველა, ახალთან ერთად იბრძვიან სოფლის ისტორიის უკეთ წარმოჩენისთვის, ეთაყვანებიან წინაპართაგან ნათელ გზას, საგმირო საქმეებს და იბრძვიან უკეთესი მომავლის დამკვიდრებისათვის, თაობათა ღირსეულად აღზრდისათვის.

ქვის ფურცლებით გადმოცემულ ისტორიას დიახაც ღირსეულად გადასცემენ წინამორბედები მომავალ თაობებს და ასე გაგრძელდება საუკუნეების მანძილზე, ვიდრე არ ამოიწურება არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული, ლიტერატურულ-მეცნიერული, ტექნიკურ-პროგრესის მიღწევები, რომლებიც უფრო წარმოაჩენენ ჯერ კიდევ დაფარულ მრავალ ეპიზოდს, აღმოჩენას, ფოლკლორულ ნიმუშებს და სხვა.

ხშირად, ერთი და იგივეს გამეორება მიწვევს, ამას ტავტოლოგიად ნურავინ ჩამითვლის. შემძლია სოფელს ხოტბა შევასხა ყოველთვის და დაუსრულებლივ. მინდა რომ სხვებიც მოიხიბლონ იმ სილამაზით, რასაც ჩვენ ყოველდღიურად შევსცქერით. ჩვენ გასიგრძელებული გვაქვს სოფლის ავანჩავანი, ჭირ-ვარამი, ყოფა-ცხოვრება და თითქოს ვეღარც ვამჩნევთ ვერაფერს, მაგრამ რომ ეს ასე არაა ამას ბევრი უცხო ადამიანი დამემოწმება. 2013 წელში სოფელი მოხვდა ტელევიზიის მუშაკ პროექტის „ერთი დღე სოფელში“ ავტორის - ნათია თავდგირიძის თვალთახედვის არეში და ნახევარსაა-

თიანი გადაცემაც უძღვნეს სოფელს. ვინც მიცნობდა გარეშე ხალხი, მეუბნებოდნენ – ეს რა კარგი სოფელი გქონიათო. ასეა ყოველთვის რაც არ გინახავს ის ყოველთვის გეჩვენება საუკეთესოდ. ჩემი სოფლის მკვიდრთ ვერაფრით გააკვირვებ, ცხვირწინ გვიდევს ყოველივე და ზოგიერთისთვის ერთფეროვანი და ასე გასინჯეთ მომაბეზრებელიცაა თითქოს. აი უცხოთა თვალთ კი?

სოფელში შერვაშიძეების საოჯახო მარანი ფუნქციონირებს, ტურისტების მომრავლებაც იგრძნობა და შემოსული უცხოელი ღვინის დამატრობელი სურნელებით სულ გაჟღენთილი, მათთვის უცხო სანახავეს სილამაზითაც ტკბებიან და თვრებიან, ჰოდა სოფლის შუაგულიდან როცა გორაკებს შეავლებ თვალს, ისიც ტურისტის მხერით მეტნაკლებად ალბათ ნებისმიერს ეჩვენება ლამაზად, ხოლო თუ გორაკებიდან გადმოხედავ, არა მარტო ჩემი სოფელი არამედ ნებისმიერი, ისეთი ლამაზია, ან ვიდეოკამერით უნდა დააფიქსირო, ან მხატვრები მიუსიო და ახატვინო. ხომ ყველა სოფელი მართლაც ლამაზია ზემოდან, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩემი სოფელი პირველი მაისი ყველაზე ლამაზია... რატომ? ... აი რატომ – ჩემია და იმიტომ. იცით კიდევ რატომ? ეს რომ დაწვრილებით იცოდეთ, – ჩემი პირველი წიგნიც უნდა წაიკითხოთ და გაიგებთ. კიდევ რატომ? იმიტომ რომ, ამ სოფელში რომ ღირსშესანიშნაობა და სხვა ლამაზი ადგილებია, ამ რაოდენობისა არცერთ სოფელში არ მეგულება, თუნდაც საქართველოს მასშტაბით... კიდევ იმიტომ რომ, როგორც ავღნიშნე, ამ ლამაზ სოფელში იმდენი სასახელო ადამიანი აღიზარდა, ნებისმიერ დიდ სოფელს შეშურდება. და იცით კიდევ რატომ?.. ძალიან ბევრია სათქმელი და გზადაგზა მოყვები, ისე კი რაც პირველ წიგნში ვერ ავსახე, ვეცდები წინამდებარე წიგნით რამდენადმე გავავრცო, ხოლო მომდევნო წიგნით, რომელიც ამ წიგნს მოყვება სრულყოფილად წარმოვაჩინო ჩემი სოფელი. წინამდებარე და

მომდევნო წიგნი ერთგვარი ისტორია იქნება პირველ მაისში (საღორეთში) განათლების განახლებისა, ასევე მოცემული იქნება გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორიული მხარე (რომლებიც ასე თუ ისე ავსახე), ფოლკლორული ჟანრი, დაუჯერებელი ამბები და... მოკლედ ის რაც ადამიანის ინტერესის არეალში იქნება მოსათავსებელი. რასაც მე ავღწერ, დოგმატური არ იქნება. იქნებ სხვამ სხვაგვარად დაინახოს და აღწეროს. ოღონდ ნუ დაამახინჯებენ რაიმეს და როგორც უნდათ ისე დაინახონ და აღწერონ. ოღონდ სხვებმაც რაიმე შემატონ სოფელს და მე მათი ფეხის მტვერი ვყოფილიყავი.

მოსაყოლი და ასაღწერი იცოცხლეთ და გაიხარეთ ძალიან ბევრია.

მწვანი შუქი ნებისმიერ შემოქმედს.

## სოფელ სალოხეთის ტოპონიმები

ისტორიული აუცილებლობიდან გამომდინარე, ტოპონიმების ჩამოთვლა და ეტიმოლოგიური რაობა ყოველთვის თანმხლებია ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მოკვლეულ მასალაში.

ადგილმდებარეობას, სოფელს თუ ქალაქს გააჩნია სახელობითი მნიშვნელობის წოდება, რომელთაგან ზოგი თვითონ გვეუბნება და გვაცნობს ობიექტის წარმომავლობას, ზოგი კი საჭიროებს ეტიმოლოგიურ შესატყვისებს, უმრავლესობა კი ვარაუდის დონეზე რჩება, თუმცა შეუსწავლელ-აუხსნელი ძნელად თუ რჩება რამე.

წინამდებარე ნაკვლევაში ორმოცდაათამდე ტოპონიმი შევიდა, ზოგი კი საჭიროდ არ ჩავთვალე მისი პრიმიტიულობის გამო. საერთოდ კი ყველა სახელწოდება საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის.

უკვე ავღნიშნეთ: ნაყულლევი, ნასაყდრევი, ნადარბაზევი, ნაქილისვარი, ფელიკავი, სასირე და საწილიეთი. ესენი

თავისთავზე დამაჯერებელი ინფორმაციის მატარებელი არიან. ასევე მიყვებით დანარჩენ ტოპონიმებს და მოუვებნოთ ეტიმოლოგიური განმარტება.

**ხატმამული**-სოფლის დასავლეთ უბანში შემორჩენილი ამ ქრისტიანული დასახელების ადგილი მცირე ზომისაა. ვარაუდით იგი ვრცელი უნდა იყოს. ადგილმდებარეობის სახელწოდება ხატზე შეწირული მამულის პირდაპირი განმარტებელია. ეს სიტყვა რელიგიურობის დანამატია, მაგრამ ხატებზე მიწების შეწირვა არა მარტო ნებაყოფილობით და რაღაცის გამო მადლიერებით ხდება, უმეტეს შემთხვევაში ასეთ მიწებს სამღვდლოება თავად ეუფლებოდა. რელიგიის უმაღლესი ქურუმები რომელიმე პიროვნებას სარჯულს და საკანონო საქმეს აუტყხდნენ და ადამიანებიც იძულებული ხდებოდნენ-მიწას გადასცემდნენ.

შეწირვა ხდებოდა როგორც მდიდარი მემამულისგან, ისეც გამდიდრებულ და გამდიდრებულ მოხელეთაგან, მებატონისგან, მეფის მოადგილისა და თვით მეფისგანაც. შეწირული მამული, სამღვდლოებას არა მარტო ხატზე თუ ეკლესიაზე გადაცემული საჩუქრის სახით ჰქონდათ მიღებული, მათთვის სიმდიდრის წყარო იყო. ასეთმა ქმედებამ რელიგიის მსახურნი, უმაღლესი სამღვდლოება თვით მეფის ძალაუფლების დონემდე აამაღლა.

მიწების ხელაღებით სამღვდლოების ხელში გადასაცემებამ, ქართველ მოსახლეობას მიწის ფონდი ისე შეუმცირა, შიმშილმა და სიღატაკემ მუსრი გაავლო გენოფონდს. ასეთი ძალმომრეობის წინააღმდეგ აღელვებულმა მოსახლეობამ გაილაშქრა. მეფესთან საჩივრების სიმრავლემ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, შეძრწუნდა სიღატაკეში ჩავარდნილი ხალხი.

მეფე შესაბამის ზომებს ღებულობდა-თავისი ძალაუფლების გამოყენებით, ხალხის დაცვის მიზნით, სამღვდლოების ამგვარი გაბატონების წინააღმდეგ სპეციალური, იმ დროის-

ათვის მიღებული საქართველოს კანონმდებლობით (რომელიც აღმაშენებლის და თამარის დროს მოქმედებდა) სამღვდლოებას ზომიერებისაკენ მიუთითა. ამან კი ხელისუფლებასა და სამღვდლოებას შორის უკმაყოფილება გაზარდა, რის გამოც საეკლესიო კრებაც მოიწვიეს და თითქოს მეფის ხელისუფლების შეზღუდვასაც აპირებდნენ, მაგრამ იმდენი საჩივარი დაგროვდა მეფის კარზე და მოსახლეობის ისეთი მღვდლვარება გამოიწვია, საყოველთაო აჯანყების საშიშროების წინაშე დააყენა ხელისუფლება. ეს ხდება დავით ღამასაძის მეფობის პერიოდში, რომელმაც გონიერება გამოიჩინა და აღნიშნული შენაწირი მიწები კანონმდებლობის ძალით ისევ მოსახლეობას გადასცა, რა თქმა უნდა ნაწილი, მაგრამ სამღვდლოების მხრიდან ისეთი პროტესტი მოჰყვა, ვერაგობასაც აღარ დაერიდნენ და მეფის მოადგილე, საქართველოს სულიერების საჭეთმპყრობელი, მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა უფროსი ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელი, რომელიც მეფის ხელისუფლების ერთგული მსახური იყო, ვერაგულად გაისტუმრეს საიქიოს-ისევ მეფეს დაასჯევინეს ცილისწამებით.

მეფემ მტკიცე ხასიათი გამოიჩინა, გამოცემული ბრძანება აღარ გააუქმა და მიწები გლეხობას დაუტოვა, მაგრამ სამღვდლოებამ სხვაგვარ ხერხს მიმართა, რის გამოც ძალზე მორწმუნენი, ღვთიური ცოდვისკითხვით დაშინებულნი, ან თავად ანებებდნენ თავს საჩივარს, ან ისევ მეფეს შესთხოვდნენ ვითარების გამოსწორებას. მეფეები კი კანონებს წარამარა არ ცვლიდნენ.

სამღვდლოების უკმაყოფილება ნელნელა ცხრებოდა და მიწებზე პრეტენზიასაც ვეღარ აცხადებდნენ. ასე შემორჩათ ნახატიმამულარი მიწები მოსახლეობას.

იკვეთება ასეთი გარემოება: სამღვდლოება, რომელთაც მოსახლეობის სულიერება და ზნეობრიობა აბარია, თვითონვე მიმართავს ისეთ ქმედებას, რითაც საფუძველს აძლევს გლეხობას, მათ წინააღმდეგ ხმა აღიმადლოს, გამომდინარე იქიდან,

რომ სულიერების წინამძღოლები არაფერს ერიდებიან, ოღონდ თავად იცხოვრონ ფუფუნებაში. თვით სამღვდელთაში, თითო-ოროდა თუ აღმოჩნდებოდა, წინ აღდგომოდა ასეთ, მოსახლეობის გამაჩანაგებელ მდგომარეობას, მაგრამ მათაც უსპობდნენ საშუალებას ზემოქმედებისა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ხედავდა და ხვდებოდა ამგვარი რელიგიური კატაკლიზმის საშიშროების უარყოფით შედეგს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გზაზე და ხელისუფლების მომხრედ გამოდიოდნენ კრიტიკულ სიტუაციებში. მორწმუნე ერი რწმუნდება იმაშიც, რომ რელიგიის მიმდევარნი ზღვარს გადადიოდნენ და იყო პერიოდები, როცა მოსახლეობის სულიერებაც მაინცდამაინც აღარ აინტერესებდათ. რელიგიის ბოროტად გამოყენებას კი არათუ არსთაგამრიგე, ხელისუფლებაც ებრძვის და შესაბამისად-სჯის კიდევაც.

რელიგიაში მთავარია ზნეობრიობა-ამის გარეშე კი რელიგია უბრალო ჯოხია ხეიბარის ხელში...

სატიამაჟელზე იყო საუბარი და ყველასათვის ცნობილია, რომ აჭარის უმეტეს სოფლებში ეს ტოპონიმი შემონახულია. ამ დასახელების ტერიტორიებს ამჟამად პატრონები გააჩნიათ მოსახლეობაში.

ნ ა მ ხ ლ ე ვ ი-აგარაკ „ტბათის“ მისადგომებთან არის სახნავ-სათესი და ტყიანი მასივი, გვაქვს ქვედა და ზედა ნამხლევი.

ასოცირებს ბოსტნეული კულტურა-მხალი, თითქოსდა-ნამხალევი ადგილია. მეორე განმარტებით ნამხლევი-ჩამომხლეული (უკანასკნელი კუთხურია) ადგილი. სინამდვილეში, აჭაურობა ბრძოლის სივრცე იყო, მომხდური ოსმალების მოსაგერიებელ ეტაპზე. საღორეთელ მებრძოლთა ჯგუფის განადგურების შემდეგ ადგილმდებარეობა ხმლებით მოფენილი დარჩა. ტოპონიმი გვაწვდის ცნობას ხელჩართული ბრძოლისას.

„ნახმლევი” და არა ნამხლევი.

ნ ა ო მ ე ვ ი-პიდაპირი მნიშვნელობისაა და ფიცხელი ბრძოლების ამსახველი ტოპონიმი. ერთერთი ჯგუფის შეტაკება ოსმალებთან ამ ადგილმდებარეობაზე მოხდა.

ვ ა ლ ა თ ი-გავრცელებული ვერსიით-ვალში დატოვებულს უნდა ნიშნავდეს. ლექსიკონით კი სიტყვა „ვალალი” ახლოსაა დასახელებასთან და არც საეჭვოა, ვინაიდან „ნაომევი” და „ნახმლევი” ადგილებში ყოველთვის მოთქმა-გოდებას ჰქონდა ადგილი, ანუ ვალალებდნენ სოფლიდან მოცილებით.

ფ ი ქ ა ლ ა თ ი-„ფიქალი” ფენოვანი ქანი. იპობა, სკდება თხელ-თხელ ფირფიტებად. იხმარება მოსაპირკეთებელ მასალად. მოღწეული გადმოცემით საღორეთის საყდარი ამ ფიქლებით იყო მოპირკეთებული.

ქ ო მ თ ვ ა რ ე-ეს სახელწოდება თითქოს ასტრალურ წარმოდგენებთან გვაკავშირებს. სინამდვილეში სწორია „ქვამთვარე”. მდებარეობს თამარის ციხის ქვემოთ. სავარაუდებია. ასევე გადმოცემით ვიცით, რომ საყანებში ყოფილა ობოლი, თეთრი ქვა, რომელიც მშენებლებს დაუმუშავებიათ და საყდრის ინტერიერი მოუპირკეთებიათ. ვინაიდან ქვა თეთრ მინერალებს შეიცავდა, ღამით სუსტად ანათებდა თითქოს-სილუეტით ჩანდაო, რის გამოც „ქვამთვარე” დისიმილაციით იქცა „ქომთვარედ”.

ჭ ო დ ნ ა რ ი-ერთერთი ვერსიით თითქოს „ჭადრნარი”, მაგრამ ეს გამორიცხებულია. ძველი ქართული სიტყვიერებიდან სიტყვა „ჭოლო” აჭარულ დიალექტში ჭაობიან, სველ, ნოტიო ადგილს ნიშნავს. „ჭოლნარი”-ფონეტიკური ცვლილებით იქცა „ჭოლნარად”. მართლწერის შეცდომით დამკვიდრდა ყოველდღიურობაში ეს სახელწოდება. სახნავ-სათესი სავარაუდებია. მსგავსება გააჩნია ქართულ სოფელ „ჭოგნართან”.

ჭ ა ნ ჭ ა ხ ა დ ი-ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ჭანჭახი” თხელ ტალახს, „ჭანჭახიანი”- სველ, ნოტიოს ნიშ-

ნავს. თუ საბასეულ ლექსიკონში ჩავიხედავთ, „ჭანჭახი“ ძველქართულით ხრიოკ-ფერდობიან უსარგებლო ან ნაკლებად გამოსაყენებელ ადგილზე მიგვანიშნებს. ორთავე განმარტების შესაბამისია ადგილმდებარეობა, მაგრამ აქვე ეს სახელწოდება საზოგადოდ მდინარის სახელადაც იქცა. ყოველდღიურობაში იხმარება სიტყვები-„ჭანჭახადი“, „ჭანჭახადი ლელე“ და სხვა.

ლორიყბათი-სოფლის ცენტრიდან ორ კილომეტრში აგარაკ „ტბათის“ აღმართები იწყება. აქვე ორი მდინარე იყრის თავს. შორიდან თუ შევავლებთ თვალს ადგილმდებარეობას, სადაც მდინარეები ერთდებიან, ღორის ყბას წააგავს-ხემოთ ფართეა, ქვემოთ წაგრძელებული. ღორის დინგზე მსგავსებამ წარმოშვა სახელწოდება-ღორიყბათი.

შვალთახევი-თითქოს „მთებს შუა ხევი“. გადმოცემით და ტერმინოლოგიურადაც „შველთა ხევი“ უფრო დამაჯერებლად უღერს. სავარაუდებელია, სახელწოდება თურქობამდელია.

კალვათავი-ეტიმოლოგია უცნობია. სახნავ-სათესი ადგილია. თითქოსდა მიკლაკნილ-მოკლაკნილი გზა თუ ადგილი. ხინოს ლანდშაფტში ადგილია „კალვა“, საჩხერის რაიონში სოფელი „კალვათა“.

ჯვარქელი-სახელწოდება მიგვანიშნებს ჯვრის ადგილსამყოფელს, ან ჯვრისმსგავს მთაგრეხილს. მსგავსი არაფერი შეინიშნება. იქნებ ერთ დროს ჯვარი ჰქონდათ აღმართული.

ვერძავლი-სწორი ფორმაა-„ვერძაული“. ხალხურ კილოში ამგვარი ჩანაცვლება შეინიშნება. მაგ: ყარაული-იქცა ყარავლად. კოლოტაური იქცა-კოლოტავრად და სხვა.

ვერძი ძველქართულით მამალი ცხვარია, ანუ ერკემალი, იგივე-ყონი. ადგილმდებარეობა მეცხვარეთა დასახლება იყო ალბათ, ვინაიდან „აული“ სხვადასხვა ეთნოსში-სოფელს, დასახ-



ლებას ნიშნავს. ე. ი. ვიღაცის მიერ გამოყენებულ ადგილს, რომელიც ზოგან სოფლად ქცეულა. აკადემიკოსი აკაკი შანიძე პირდაპირ მიუთითებს ამ ვერსიის სინამდვილეს, რასაც ზურაბ ჭუმბურიძე მიმოიხილავს წიგნში „დედაენა ქართული“. აი ასეთი სოფლებია: დანისპარაული (დარისპან-აული), ბარათაული (ბარათა კაცის სახელია. ან ზემოურებისთვის ქვემო დასახლება-ბარად-აული?), არსენაული (სახელიდან-არსენა), ვარჯან-აული, ბუთურაული და სხვა.სავსებით დამაკმაყოფილებელია ისტორიისათვის ეს ეპონიმური ტოპონიმები.

ვერძაულზე არის ორი ნასახლარი (საძირკველი), ადრე რა თქმა უნდა მეტი იქნებოდა, რაც საეჭვო არაა.

ს ა ბ ვ ე თ ა-აღბათ სწორი ფორმაა „საბუეთა“. ადგილმდებარეობა ადრე ჩაის პლანტაციით იყო დაფარული.

პანტა ხეხილის და უღრანი ტყის გავლენით ადგილი „ბუთა“ და „ჭოტთა“ საბუდარი იყო. რადგანაც ტყის ნაყოფის ცვენის ადგილას ყოველთვის დაძვრებინ თავკები და მათი მტერი ბუა, ამიტომაც ბუების საბინადრო ადგილს შეერქვა-„საბუეთი“.

უ ყ ვ ი-სულხან-საბას განმარტებით-ხამი, ყამირი ახალდაათვისებული ან ასათვისებელი ადგილი. ჩვენს სლაპარაკო ყოველდღიურობაში უღრანი და შორეული ადგილის სინონიმია.

ნ ა ჭ ო ბ ი ქ ე დ ი-ეტიმოლოგია თითქოს ნაჭაობარ ადგილზე მიუთითებს.ადგილმდებარეობა დახრამული ფერდობებია, რომლის ზემოთა ნაწილში მცირე, თიხაქვიანი გავაკებაა,სადაც უზარმაზარი წიფლის ხეები დგას. გამოძინარე იქიდან, რომ ამ ადგილას სოფლის უხუცესები თავს იყრიდნენ და საჭირბოროტო საკითხებზე ბჭობდნენ, ამის გამო შეერქვა „ნა(ბ)ჭობი ქელი“.

ბ ო ლ ო გ ი დ ე ლ ა-როგორც ღორიყბათს, ისეც ამ ადგილს, ტყიან მასივს, გიდელივით წაგრძელებულ, ორი დელის შუა მდებარე სივრცეს შეარქვეს ეს სახელწოდება. (ადამიანის თიკუნადაც მოიაზრებენ).

მ ა ლ ა რ ი კ ა რ ი-სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, კლდის ფუძესთან, უზარმაზარ ლოდის ქვეშ თავშესაფარია, რომელსაც სადღაც ზემოთ, ახორხლილ ქვებს შორის გასაძვრომი გააჩნია. გადმოცემით, ამ „მალარის“ შიგნით აფარებდნენ თავს მგზავრები, მეკობრეთა თავდასხმისაგან.

მალარის გავლენით, მის წინ მდებარე ფართობს, რომელსაც ეხლა „პერკუმი“ ქვია, ადრე „მალარიკარი“ ერქვა, სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. ამჟამად სოფლების ცენტრია, საკრებულო.

ნ ა გ ა ზ ი მ ი ნ დ ო რ ი-ეტიმოლოგია თითქოს აუხსნელია. ნაგაზი ხომ კავკასიური ჯიშის ძაღლია, მაგრამ აქ ძაღლის გავლენით სახელწოდების მინიჭება უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან ჩვენში ძაღლს ნაგაზს არავინ უწოდებს.

სწორი ფორმაა-„ლაგაზი“-რომელიც ძველქართულით აყალიბდა, ალიზ მიწას ჰქვია. ტოპონიმი რომ თურქობამდელია ეჭვს არ იწვევს. ადგლმდებარეობა მართლაც წებოვანი მიწის ფენაა. ამდენად, უმჭკველია რომ სწორია-ლაგაზი მინდორი.

ნ ა ჩ ა დ ი რ ვ ა ლ ი-ნაპალატკევი, კარვის ადგილი. ჩადირ- თურქული სიტყვაა, იგივე „ჩადრის“ ანალოგიური, ანუ თავსაფარი, თავშესაფარი. ერთ დროს რუსის ჯარის ნაწილი იყო დაბანაკებული ამ ადგილას. ფიქრობენ, რომ ვინაიდან სამხედროებს ძაღლებიც ჰყავდათ, მიმდებარე ტერიტორიას ძაღლების არსებობის გამო შეერქვა „ნაგაზიმინდორი“, მაგრამ როგორც აღინიშნა, ეს გამორიცხებულია.

ბ ა ლ ვ ა ნ ა-მეზობელ სოფელ-მახუნცეთის საყანე-სავარგულია. ჩვენში ამ სახელწოდებას პიდაპირი მნიშვნელობითაც ხმარობენ და შორეული (ბეთლემივით) ადგილის სინონიმადაც. ტოპონიმი წარმოშობილია „ბლების“გავლენით. იქნებ „ბალუანი“? არ იწვევს ეჭვს, ვინაიდან ფუძე „ბალ“-ხილის აღმნიშვნელია.

მ ო ლ ო ქ ნ ა რ ა - დასახლებაა რამდენიმე ოჯახით. ტოპონიმის ეტიმოლოგია გაურკვეველია. არის რამდენიმე მოსაზრება, რითაც მიახლოებით აიხსნება სახელწოდების ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. გამორიცხულია ვერსია, რომ ტერიტორიაზე ბუდობდნენ „ბოლოქნარები“

მოლოქი-მცენარეა ბალბისებრთა ოჯახის. იქნებ ხარობდა და ამჟამადაც ხარობს?!

მოლოქი-(MOLOCH HORRIDUS)- ხვლიკი ჯოჯოსებრთა ოჯახისა. სიგრძე 22-სანტიმეტრი. განიერი სხეულით და პატარა თავით. დაფარულია მოლუნული ეკლებით, რომლებიც თვალებს ზემოთ და კეფაზე რქებს წააგავს. წვიმის დროს კანით შეიწოვს წყალს, რომელსაც მარაგად ინახავს. იკვებება ჭიანჭველებით. ხვლიკების არსებობისათვის პირობები მართლაც ხელსაყრელია.

მოლოქ-სემიტური „მლქ“-ძირის არასწორი ვოკალიზაციის შედეგად მიღებული სიტყვაა. ნიშნავს-მეფეს, მეუფეს. ასე აღნიშნავდნენ მთავარ ღმერთს. (ფინიკიურად MOLEK -მეფე).

მოლოქი-მზის ღმერთი.

ძველი აღმოსავლეთის ხალხები აღიარებენ მის ყოვლისმშთანთქმელ და ყოვლისგამანაყოფიერებელ ძალასაც. მას ხარის სახით გამოხატავდნენ. მოლოქს მსხვერპლად ადამიანს, განსაკუთრებით ბავშვებს სწირავდნენ. მოლოქის კულტმა ძლიერ მოიკიდა ფეხი კართაგენში.

სახელწოდება „მოლოქნარა“ საუკუნეთა ლაბირინთებში ძალიან შორს გვხვდება.

რაც შეეხება მსხვერპლშეწირვის რიტუალებს, იქნებ რაიმე კავშირი არსებობს ზემოთდასახელებულ, სავარაუდოდ მსხვერპლშეწირვის ადგილად შეგულებულ ტოპონიმ „სასირესა“და „მოლოქნარას“ შორის. გამოთქმული ვარაუდი-სასირეს სარიტუალო ტერიტორიად გამოყენებისა და მზის ღმერთზე მსხვერპლის შეწირვის პროცესუალური მსვლელობის თანხედომისა, იქნებ არც იყოს გამოსარიცხავი.



მარანი

წინამდებარე ნარკვევში ახსნილი ტოპონიმების ნახევარია მოცემული. ერთი ამდენი (ოცდაათზე მეტი) ტოპონიმი გვიჩვენებს ტერიტორიის რაღაც მიზნით გამოყენების შესახებ, რომელთა ახსნა-გან-

მარტებას აზრი არა აქვს. მაგ. „ნაფეტვარი“-მისახვედრია რომ „ფეტვის“ სათესი ადგილი იყო. დანარჩენებიც ანალოგიურია.

რაც მთავარია-არ გვაქვს ეპიგრაფიკული ძეგლები და ეს ხელს გვიშლის ისტორიული სინამდვილის დადგენაში.

იქნებ მომავალმა თავისი სიტყვა თქვას და საღორეთს ანუ „ნადარბაზვეს“ თამარ მეფის სულიერებით გაუნათოს გზა...

ყველაზე მთავარი, რაც დამახასიათებელი იყო სოფელ საღორეთში – ესაა ვახის კულტი... ამის თქმის საფუძველი ნამდვილად გვაქვს. საღორეთში,



შერვაშიძეების ვენახი

ოჯახი არაა რომელთაც არ აღმოეჩინოთ საუკუნობით უკან ჩაკირულ-ჩადუღაბებულ კვევრები, რომელთაც პოულობენ არა მარტო ეზო-მიდამოში და ბაღჩებში, არამედ ისეთ ადგილებში, რომ გაკვირვებას მართლაც იწვევს, თუმცა, ადრე რომ მოსახლეუთა სიმრავლე ვახსენე, სწორედ ამან მომცა საბაზი და

ფაქტიურად დასტურიც. ნასახლარები ბუნებამ გაანიავა, ქვევრები კი ხელუხლებელი დარჩა.

ტრადიციას აახლებენ მცხოვრებლები – ხელი მიჰყევი ვაზი მოშენებას. პირველობა შერვაშიძეებმა ითავეს და შედეგმაც არ დაიგვიანა – ტონობით ყურძენმა ტონობით ღვინის შემოსავალი შემოიტანა.

კოლორიტულად გამოიყურება საოჯახო მარანი, რომელსაც უცხოელი ტურისტებიც სტუმრობენ უკვე და იმედია მარანი საერთაშორისო არენაზე თავის ადგილს დაიმკვიდრებს – ისინი ასე ვთქვათ სულიერად დამშვიდებულნი და უაღრესად ნასიამოვნები მიდიან გულუხვი მასპინძლის მარანიდან. ესეც ერთერთი ღირსშესანიშნაობაა სოფლისა...

2014 წელი

P.S. თანამედროვე, ცივილიზებულ ადამიანებს ყოველგვარი მოვლენის გამოგონების თუ მიღწევების შესახებ ახალი, განმასხვავებელი ნიშნების და სახელების შერჩევა-გადარქმევა უხდებათ, ამდენად იცვლება სახელმწიფოთა ადგილმდებარეობათა, მოვლენათა სახელწოდებებიც.

დარქმევა-გადარქმევის ზღვარი კი ამოუწურავია.

საჭიროება მოითხოვდა სახელების შერქმევას.

... მოთუხთუხე მსოფლიოს შუა გულში მდებარეობს სოფელი პირველი მაისი. ადრე საღორეთი, მანამდე კი გადმოცემით მოღწეული, თამარ მეფის დარბაზობის საპატივსაცემოდ შერქმეული – ნადარბაზევი, უფრო ადრე – სავანეო და ასე მივიკეცავთ ავ-კარგიან, დაღხინებულ თუ ტკივილიან, სიხარულიან თუ უსიხარულო ცხოვრების გზებს.

ბევრჯერ დასმულა საკითხი საღორეთზე სახელწოდების გარდაქმევისა. ეს სახელი ღორთან ასოცირდება და ცოტა უპატიობის იმიტაციას ქმნის. არაფერია სახამუშო, მაგრამ

არც სახარბიელოა, ვინაიდან საძროხეთი, სამხეცეთი, საღორეთი უფრო ცხოველთათვის განკუთვნილ ტერიტორიას მოიცავს და არაფერი აქვთ საერთო სოფლის დასახელებასთან მიმართებაში, ამდენად ნამდვილად საჭიროებს შეცვლას. პირველი მაისიც არაა საჭირო, ვინაიდან თვის რიცხვის აღმნიშვნელია და ეს სახელწოდება მაისის კუთვნილებაა. მაგალითად ძალიან მისაღებია სახელწოდებები – ახალსოფელი, ახალშენი, ახალდაბა და სხვა მისთანა.

რაც შეეხება საღორეთს.

ადგილობრივ გაზეთ „კოლმეურნეში“ დიდი ხნის წინათ მქონდა გამოქვეყნებული სტატია სოფელზე სახელის გარდაქმნის შესახებ. ძალიან ბევრი მომხრეც გამოჩნდა მაშინ მაგრამ...

ადამიანებს საერთოდ განსხვავებული წარმოდგენები და აზრები ამოდრავებთ ამდენად არაფერია საკვირველი. მაშინ სტატიას დავარქვი სავარაუდო სახელი „სამციხე“ სოფლად არსებული თუ ყოფილი სამი ციხის არსებობის გამო. უმეტესის აზრით ეს სახელწოდება მისაღები აღმოჩნდა.

ახლა, როცა კვლავ დადგა სახელის გარდაქმნის საკითხი, პროგრესულად მოაზროვნეები თვლიან, რომ თამარ მეფის ნატყვალების სამახსოვროდ ნადარბაზევია უმჯობესი. მით უმეტეს რომ იქ სადაც მეფეთ-მეფეს დარბაზობა გაუმართავს, ადგილმდებარეობას – ნადარბაზ(ნ)ევს უწოდებს დღესაც ხალხი.

სოფელში ნაპოვნი განძი 3000 წელს იქით გვახედებს, მაგრამ, მაშინ თუ რა ერქვა სოფელს ალბათ ღმერთსაც მიავიწყდა... თუ წარსულს რაღაც ფორმით მაინც ვესათუთებით, თუ აუცილებელია გადარქმევა მაშინ „ნადარბაზევი“ მისაღებია ხალხის აზრით.

„ახლა ვნახოთ პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებების სურ-  
ვილიც...“

რადგანაც ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, სოფ-  
ლის მკვიდრთა და ადგილგადანაცვლებულებმა გადავწყვიტეთ,  
სოფლის თითოეული მცხოვრებისათვის გვეკითხა აზრი,  
რისთვისაც შევადგინეთ სოფლის სავარაუდო სახელწოდე-  
ბების რამდენიმე ვარიანტი. ადგილობრივ ტოპონიმთა მიხედ-  
ვით, წინაპართა გადმოცემების საფუძველზე შექმნილი თავი-  
ანთი მოკლე ისტორიული მიმოხილვით, რითაც თითოეულ  
მცხოვრებს ეძლევა საშუალება, თავად მიიღოს მონაწილეობა  
სოფლის სახელწოდების გადარქმევის პროცესში.

აქვე გთავაზობთ ამ მიზნით თანასოფლელებისადმი მი-  
მართვის ტექსტს. (სოფელ ადლიაში მცხოვრები, ფესვებით  
და გვარით, გენით და ჯიშ-ჯილაგით სოფელ პირველი მაი-  
სის მკვიდრი – გულნაზ ბიჭიკოს ასული სამნიძე).

ძვირფასო თანასოფლელებო

ჩვენს სოფელი ერთერთი ყველაზე ლამაზი სოფელი რომ  
არის ქედის რაიონში ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ჩვენი  
სოფლის სახელწოდებაზე დიდი ხანია მიდის აზრთა ჭიდილი,  
ესეც კარგადაა თქვენთვის ცნობილი.

გადმოცემით სოფელს სახელი ოსმალებმა შეარქვეს.

ჩვენ, საერთოდ, ახალს, თანაც უცხოს, ერთი ხელის დაკვრით  
არ ვღებულობთ, სწორედ ასე მომხდარა ძველადაც – ჩვენს  
წინაპრებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მიუღიათ  
უცხო რელიგია, დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ ოსმალებს  
და არ ემორჩილებოდნენ მათ წესებს. სწორედ ამის გამო  
ოსმალებს მათთვის ღორები უწოდებიათ (მუსლიმანური რე-  
ლიგიის მიხედვით ღორი უწმინდური პირუტყვია), ამათ სამ-  
ფლობელოს კი საღორეთი დაარქვეს. სწორედ ამიტომ სოფ-

ლის ეს სახელწოდება მუდმივად გვიქმნიდა უხერხულობას, თორემ ღორ„ფუძის“ მქონე სახელწოდებები ქართულ ტოპონომიკაში მრავლადაა:

მაგ: ღორჯომი, ღორეშა, საღორია და სხვა.

მოგვიანებით ბოლშევიკებმა პირველი მაისი უწოდეს, ხოლო კომუნისტური წეს-წყობილების შეცვლის შემდეგ ისევ საღორეთად დარჩა.

ძველად კი სოფელს „სავანე“ რქმევია. სავარაუდოა, რომ ეს სოფელი მეფეების დასასვენებელი ადგილი ყოფილიყო, რადგანაც ჩვენ მეზობელ სოფელსაც აგარა (იგივე აგარაკი, სააგარაკო ადგილი) ქვია და აქ განსაკუთრებით გამორჩეული ჰავა და წყალია.

ჩვენ სოფელში შემორჩენილი ციხის ნანგრევები და ნაეკლესიარები გვაფიქრებინებს, რომ მეფეები აქაურობას მართლაც იყენებდნენ საზაფხულო აგარაკად, და ამიტომაც აქცევდნენ ყურადღებას აქაურობას და აღმშენებლობით საქმიანობას აწარმოებდნენ, რითაც ქმნიდნენ დასასვენებელ პირობებს – ციხეთა აგებით შემოსევისაგან იცავდნენ აგარაკს და აგებდნენ სალოცავებსაც რადგანაც დასვენების პერიოდში საშუალება ჰქონოდათ სახლში ელოცათ.

ვინაიდან სოფელს თურქობამდე რქმევია სავანე, ახალი სახელწოდების შერჩევისას ეს სახელწოდებაც უნდა მოვიზროთ.

შეიძლება სახელწოდების სხვადასხვა ვარიანტი განვიხილოთ სოფელში არსებული სხვადასხვა ტოპონიმების მიხედვით.

ასე, მაგალითად:

1. ნადარბაზევი –ადგილი სადაც თამარ მეფეს დარბაზობა გაუმართავს, მოგვიანებით კი რუსების ჯარისკაცებს ტყვიამფრქვევები დაუდგამთ და ამის გავლენით ადგილმდებარეობაზეც „ნადარბაზნევი“ უწოდებიათ, რაც ნადარბაზევის სახელწოდებას შეერწყა.



2. ბეთლემი - ახლა მიუვალი ადგილია. ადრე სალოცავი ადგილი ყოფილა ოსმალებისგან შევიწროებისას ადგილობრივებს აქ შეუფარებიათ თავი. ოსმალებს დიდი წვალებით ვილაც მეგზურის მეშვეობით მიუკვლევიან შეხიზნულები და ერთიანად ამოუწყვეტიათ. მათ ხსოვნის საპატივსაცემოდ სავსებით შესაძლებელია, სოფელს ეწოდოს ბეთლემი.

3. სავანე – უკვე ვისაუბრეთ ამ სახელწოდებაზე და სავსებით მისაღებია ამ სახელწოდების მიკუთვნება.

4. ხატიმამული – ერთერთი ადგილია სოფელში და რადგანც ყველა აქაურისთვის, ცხოვრობს ამჟამად აქ თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს, მშობლიური სოფელი სათაყვანებელი სალოცავია, მამული ხატივითა აქვს, შესაძლოა ხატიმამული ეუწოდოთ.

5. სამციხე – ვინაიდან სოფელში სამი ციხეა ორი უკვე ნანგრევებად ქცეული და ერთიც იავარქმნილი, ბეთლემში ამოწყვეტილი ადგილობრივების შემდეგ დასახლებული ტერიტორია სამციხიდან (ახალციხიდან, მესხეთიდან) გადმოსულებით დასახლებულია (შალიკაშვილი, აბულაძე...) და კვლავ გაცოცხლებულა, რის გამოც შეიძლება ეუწოდოთ კიდევ სამციხე. მსგავსება სამციხე-სამციხე. ისტორიულ წყაროებში ორთავე სახელწოდებაა ცნობილი.

6. სამთა-მართალია, სოფლის ტოპონიმთა შორის სამთა არსად ფიქსირდება, მაგრამ რადგანაც ჩვენი თანასოფლედი, აწვანსვენებული ავთანდილ დიასამიძე თავის წიგნში „ნამდინარეზე წყალი ჩაივლის“ ამბობს, რომ სოფელს სამთა რქმევია, სხვა დამადასტურებელი კი ამ სახელწოდებისა არაფერი მოგვეპოვება, მაგრამ განსახილველად მაინც გამოვიტანეთ ჩვენ წინაშე...

ერთი სიტყვით, ძვირფასო თანასოფლელებო, ჩვენს წინაშეა ჩვენი სოფლის სახელწოდების 6 ვარიანტი. არჩევანი ჩვენზეა. რომელ ვარიანტსაც ვუჭერთ მხარს, მოგვწონს და ვთვ-

ლით, რომ ესა თუ ის სახელი უფრო მოუხდება და ისტორიულადაც გამართლებულია, ის ვარიანტი ავირჩიოთ. რომელი სახელწოდებაც ბევრ ხმას მოაგროვებს, ის სახელი ვუწოდოთ სოფელსაც.

შეიძლება ერთი და იგივე პიროვნებამ რამდენიმე ვარიანტს დაუჭიროს მხარი, ხელწერით დადასტურებული.

გულნაზ სამნიძე  
2015 წელი

სასიამოვნო შენიშვნა:

ვინაიდან ჩემს პირველ წიგნში „ანარეკლები წარსულიდან“ დღევანდელი სოფელი აგარა საღორეთისეულ აგარაკად მაქვს აღნიშნული, ეს ზღაპარი არაა და არც ჩემი მოგონილი. ამ სოფელს მთელი აჭარა „საღორეთის აგარად“ მოიხსენიებდა, ასე იციან მეზობელ თურქეთში მცხოვრებმა ჩვენებურებმა და ასეა დღესაც. აღვნიშნავ, რომ აგარაკზე (ანუ აგარაში) პირველად დამკვიდრდნენ თებიძეები და დევაძეები საღორეთიდან. შემდეგში ამ გვარის წარმომადგენლებმა აღარ მიატოვეს სოფელი, გამრავლდნენ და კუთხე-კუნჭული დაიკავეს.

ვინც აგარა იცის ტერიტორიულად, დამერწმუნება, რომ დამრეცი მდებარეობის გამო აქ ცხოვრება ძალიან შეჭირვებულია, თუმცა საყვარელი ნააკვნე-ნაბუდარი არ ეთმობათ.

სოფელი პერიფერიებიდან შემოსახლებულებით შეივსო. აქ ჩაიფარეს საძირკველი ფარტენაძეებმა, სურმანიძემ და სხვა რეგიონიდან შემოსახლებულმა დევაძეებმა. ეს უკანასკნელი 6 შტოა.

აგარის მკვიდრმა, პროგრესულად მოაზროვნემ, ზაზა დევაძემ (და არა მარტო მან...) ჩემს პირველ წიგნზე მიმითითა და

კატეგორიული ტონით მითხრა – დიდი შეცდომა გაქვს დაშვებული, აგარაზე ვრცლად რომ არ გაქვს ჩანაწერი, სოფელი ხომ საღორეთის აგარად იწოდებაო. ის რაც მონაკვეთიდან ჩანს, საკმარისია იმისათვის, რომ ნებისმიერი დამეთანხმოს აგარის აგარაკად და საღორეთის აგარად მოსახსენიებელ ეპიზოდებში შეტანილ ჩემი წვლილისთვის.

დანარჩენი საასპარეზოდ (გამოსაკვლევად) სხვებისთვისაცაა ხელმისაწვდომი. ალბათ ვიღაც ითავებს და აღწერს კიდევ იმას რაც საჭიროა და რაც სხვებს აინტერესებთ.

ავტორი



საღორეთის მკვიდრი მოცეკვავე ნარგიზ ყაფიძე



*,თამარის ნაშენი ანუ ყალბს გვერდითი ხედი*

## სოფელ სატორეთის პეიზაჟები



დასახლება „პერკუმი“



„ნადარბაზევი“



დასახლება „მოლოქნარა“



დასახლება „ჭაღა“



სადორეთის აგარის ნაწილი „სათიხე“



ცივასუღას ციხე





აგარაკ ტბათის საცხოვრებელი უბანი



აგარაკ ტბათის ნატბევი ადგილი



დასახლება „ბუჯია“



უსტაშაპინის წინაპრის პირველი საცხოვრებელი სახლი



ქვის ხიდი მდინარე ჭანჭახაძზე



აკედან იწყება საღორეთი

## ნაწილი II

### „ნაბიჯი გმიხობამდე“

#### აბულაძე იუნუს მურაღის ძე



იუნუს აბულაძე დაიბადა ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში 1958 წელს.

1966-1976 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1976-1979 წლებში სწავლობდა ბათუმის საზღვაო-სანაოსნო სასწავლებელში გემთ-მექანიკურ სპეციალობაზე. დიპლომი DT №029008 გაცემული 30.11. 1979 წელს, საზღვაო სასწავ-

ლებლის დირექტორის ვ.კ. ჭანტურიას მიერ.

1980 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „ცეზარ ტუნიკოვზე“ მოტორისტად, სადაც დაჰყო 1986 წლამდე. მის შემდეგ მუშაობდა დოკერმანად: „ბათუმზე“, „ვასილ კიკვიძეზე“, „დავით გურამიშვილზე“, „ფოთზე“, „იუსუფ კობალაძეზე“, სადაც ამჟამადაც მუშაობს.

პრაქტიკის დროს პირველი რეისით ბაქოდან კასპიის ზღვაში გავიდა. გემზე მუშაობის პერიოდში შესულია შემდეგი ქვეყნის ნასადგურებში: თურქეთში, (იზმირი, მერსინი, ტიკერდაკი), საბერძნეთი (პირეი, სალონიკი) ბულგარეთი (ვარნა), იტალია (ვენეცია, რავენა), იუგოსლავია (სპლიტი), ალჟირში, ესპანეთში, საფრანგეთში, პორტუგალიაში, ინგლისში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, ბელგიაში, დანიაში, ირლანდიაში, მაროკოში, ეგვიპტეში, ეთიოპიაში, კენიაში, ტანზანიაში, მოზამბიკში, მავრიკიაში, ირანში, პაკისტანში, ინდოეთში, ინდონეზიაში, მალაიზიაში, ფილიპინებში, ვიეტნამში, კორეაში, ჩინეთში, არგენტინ-

აში, პერუში, ბრაზილიაში, პარაგვაიში, ჩილეში, კოლუმბიაში, ამერიკაში, ვენესუელაში, კუბაში, კანადაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ნავსადგურში. თითოეულ ნავსადგურში მოხვედრილია რამდენიმეჯერ.

1999 წელს ტანკერ „დავით გურამიშვილს“ შეემთხვა ფათერაკი, მოჰყვა შტორმში, რის შემდეგაც ტანკერმა ფიზიკური დაზიანება განიცადა. ღია წყლებიდან გემმა „შრილანკისკენ“ აიღო გეზი, მაგრამ ნავსადგურში შესვლის ნებართვა არ მისცეს. გემის ჩაძირვა უეჭველი ხდებოდა, ტვირთი არსად მიიღეს და იძულებული გახდნენ ზღვაში გადაეყარათ გემის შემსუბუქების მიზნით.

ეკიპაჟის წევრებიდან იუნუს აბულაძეს გემი არ მიუტოვებია, რისი ცნობაც მის ჩამოსვლამდე მოვიდა მის ოჯახში.

სოფელი აღფრთოვანებული იყო იუნუსის გმირობის ტოლფასი, საქმის ერთგულებითა და პროფესიულ საქმიანობაზე პრინციპული უდალატობით. მალე გემი უვარგისად სცნეს და ჯართად ჩააბარეს.

ბატონი იუნუსი არის ენაწყლიანი, დინჯი მოსაუბრე. იგი ხშირად სხვის მოსმენას უფრო არჩევს, მაგრამ მის სიდინჯეში და უბრალოებაში იკვეთება იმ დიადი სულის მანერა, რითაც მისი ორგანიზმი და არსებაა მოცული.

ჩვენ ვამაყობთ ერთგული, პატრიოტი, პრინციპული და პროფესიონალი შორეული ნაოსნობის მეზღვაურით. იგი კაცურკაცობის ეტალონია. უყვარს სოფლელები, სოფელი და არც ისინი რჩებიან ვალში. მისი გამოჩენა ყოველთვის უხარიათ და ზეიმობენ კიდევც.

და-ძმებში დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს, გამორჩეულიც კია მისი თავაზიანობით და ნიჭიერებით, თუ იგი დუმს, ესეიგი ფიქრობს, ზომავს და წონის მოსაუბრეს.

დიდხანს გვეამაყოს შენით ბატონო იუნუს და გისურვებთ უფრო წინ და მაღლა მოხვედრას. შენ ხალხის რჩეული ხარ... არა, არა მარტო ხალხის, დროის!

ეს დრო კი შენი თამაღობით საქართველოსთვის, შენი ხალხ-  
ისათვის სიკეთის და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს.

## **„გმიხების თანაზიანი“**

### **ღევაძე ხუსნი მევლუდის ძე**



დაიბადა 1915 წელს ქედის რაიონის სოფელ აგარაში. სწავლობდა აგარის დაწყებით სკოლაში. საშუალო არ დაუმთავრებია.

1939 წელს საკუთარი სურვილით, მოხალისედ გაიწვიეს საბჭოთა არმიაში.

1939 წელს. ჩარიცხეს მეათე კავალერიაში.

1940 წელს. გადაიყვანეს 170-ე კავალერიის პოლკში უფროს სერჟანტად.

1942 წელი. მე-12 კავალერიის პოლკში ირიცხება რაზმის უფროსად, მონაწილეობდა ფინეთის ომში.

1941-1945 წლებში ქალაქ ტამბოვიდან ბერლინამდე ომის გზა განვლო ბრძოლებით.

1945 წლის ნოემბერში, მთელი შვიდი წლის ნაომარი გათავისუფლდა სამხედრო სამსახურიდან თადარიგის ლეიტენანტის ჩინით. მისი საბრძოლო დამსახურების აღმნიშვნელია ის მედლები რომელთაც სასოებით ინახავდა და დღესაც ინახება მის ოჯახში.

1. სსრკ. თავდაცვის სამინისტროს ბრძანებულებით მიღებული აქვს 1941-1945 წლების ომის „პირველი ხარისხის“ ორდენი, რომლის ნომერია BN№288555. №1878255

2. 1977 წელში, გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით მიღებული აქვს „ომში მონაწილის მედალი.“

3. 1978 წელში მიღებული აქვს შეიარაღებული ძალების 60 წლისთავთან დაკავშირებული მედლები: ავეისტოსა და ნოემბერში.

4. 1980 წელს მიეცა სამამულო ომში მონაწილის სპეციალური მოწმობა რომელიც უფლებას აძლევს სსრკ. ტერიტორიაზე ნებისმიერი ტრანსპორტით შედავათიან და უფასო გადაადგილებისას. მოწმობა № 420631.

5. 1985 წელში მიღებული აქვს მედალი „გამარჯვების 40 წლისთავთან“ დაკავშირებით.

6. 1988 წელში, 22 თებერვალს მიღებული აქვს სსრკ. შეიარაღებული ძალების 70 წლისთავთან დაკავშირებით მედალი.

7. 1995 წელში, 23 აპრილს, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ელუარდ შევარდნაძის №130-ე ბრძანებულებით დაჯილდოებულია მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების 50-ე წელი“. მედლის ნომერია №048968 – საიუბილეო. სულ ოცამდე სხვადასხვა ხარისხის მედალი.

ამასთანავე მას წლების განმავლობაში მოსდიოდა მოლოცვების საფოსტო ბარათები, მადლობის წერილები თბილისიდან, აჭარიდან, რაიონიდან კომისარიატებისა და სხვა უწყებებიდან.

მშვიდობიან პერიოდში მონაწილეობდა ყველა დღესასწაულში, იყო უაღრესად პატიოსანი, მეგობრული, დამრიგებლური, სასიამოვნო მოსაუბრე. სიკვდილამდე ხელ-ფეხი არ დაუსვენებია, შრომით განვლო სიცოცხლის წლები. მიუხედავად ფრონტზე შვიდწლიანი ბრძოლებისა, იგი საოცრად ჯანმრთელი და ხალისიანი იყო.

გარდაიცვალა 1999 წელს.

ნათელი დაადგეს სასუფეველში.

ბატონი ხუსნი ერთადერთი არაა, ვინც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა ფაშისტური ხროვის გასანადგურებლად. პირვე-

ლი მაისიდან სულ 11 ადამიანი წავიდა ფრონტზე, მათგან მხოლოდ ორი დაბრუნდა – ხუსნი და ხემიდ დევაძეები. დანარჩენი 9 უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებოდნენ. ერთი მათგანის ფეხლი სამნიძის საფლავის ადგილსამყოფელი ოჯახისთვის ცნობილი გახდა ცოცხალი ფრონტელი ამხანაგის მიერ გამოგზავნილი წერილით. ოჯახმა საფლავი მოინახულა. ყველა ესენი წიგნში „ანარეკლები წარსულიდან“ შევიტანე, თუმცა რომელიც გამომჩნა, ის აუცილებლად უნდა შევიტანო წინამდებარე წიგნში. ნაკლებად გახმაურებულია ხასან დიასამიძის ფრონტზე დაკარგვის ამბავი. ერთადერთი სურათია შემორჩენილი მისი შვილის ქაზიმ დიასამიძის ოჯახში, რომელსაც ვალად ვრაცხ, ამ წიგნში მოვათავსო მცირე ბიოგრაფიული მონაცემებით. მის სახელოვან წინაპრებს ამით თუდა მივეთბუნები, თუმცა იმედს ვიტოვებ ცოცხლებიც მადლიერი დამრჩებიან, თუმცა უნდა ვთქვა ისიც, რომ იგი ჩემი სისხლი და ხორცია (როგორც ფეხლი...) და ამდენად ჩემთვისაც ტკივილია მათი დაკარგვა. მთავარია არ ვივიწყებთ.

**„ვამი ცხოვრებისა“**

**დევაძე დავით (ჯასიმ) სულეიმანის ძე**



დავით დევაძე დაიბადა ქედის რაიონის სოფელ აგარაში, 1914 წელს. 1931 წელს დაამთავრა ზენდიდის არასრული საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო პირველი მაისის სასოფლო საბჭოს ქოს-სამკითხველოს გამგედ.

1932-1934 წლებში სწავლობდა აჭარის საბჭოთა პარტიულ სკოლაში.

1934-1938 წლებში მუშაობდა პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნად.



1939-1943 წლებში მუშაობს ამავე აღმასკომის თავმჯდომარედ.  
1943-1950 წლებში მუშაობდა საქართველოს კომუნისტური  
პარტიის ქედის რაიონული კომიტეტის მეორე მდივნად.

1949 წლის გაზეთ „კომუნისტის“ 3 მაისის ნომერში დავით  
დევაძის ლენინის ორდენით დაჯილდოების ცნობაა გაშუ-  
ქებული.

1934 წელს აგარის ღელეზე დავით დევაძის თაოსნობით  
და კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობით აშენდა ბონდის  
ხიდი.

დავით დევაძის შრომითი საქმიანობა მრავალ წელს  
მოიცავს და მრავალფეროვანია. მას აფასებდნენ და სხვადასხ-  
ვა სამსახურში აგზავნიან ჩამორჩენილობის დასაძლევად.

მუშაობდა „აწკესის“ სპეცვაჭრობის დირექტორად, ქედის  
„რაიკოოპერატივის“ თავმჯდომარედ, რაისაბჭოს აღმასკომის  
ვაჭრობის განყოფილების გამგედ. საგეგმო კომისიის თავმჯ-  
დომარედ. ავტოსატრანსპორტო საწარმოოს უფროსად, დამზა-  
დების კონტორის დირექტორად.

1974-1977 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის სახელმ-  
წიფო სატყეო მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდი-  
ვნად, საიდანაც გავიდა პენსიაზე.

დავით დევაძე არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს  
კომუნისტური პარტიის ქედის რაიონული კომიტეტის წევრად,  
რაი-საბჭოს დეპუტატად. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა საქმის-  
ადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით, კომპენტენტურობით  
და პრინციპულობით. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის  
წყალობით იგი ყოველთვის მხედველობის არეში იყო შესაბამ-  
ისი პარტიული თუ სხვა ორგანიზაციებისა და წარმოება-დაწესე-  
ბულების მუშაკების მიერ. ხანგრძლივმა კეთილსინდისიერმა  
მუშაობამ და ღვაწლმა შემდეგი ჯილდოები არგუნა.

1. 1949 წელი, ლენინის ორდენი (უმაღლესი ჯილდო).
2. 1941-1945 წლები, მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

3. დიდი სამამულო ომის დროს ზურგში მამაცური მუშაობის ორდენი.

4. გერმანიაზე გამარჯვების ორდენი.

5. ორდენი გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავი, 1965 წელს.

6. 1968 წელს შეიარაღებული ძალების 50 წლისთავის ორდენი.

7. 1979 წელს „ლენინის დაბადების 100 წლისთავი“ – ორდენი.

ასევე მიღებული აქვს ქების სიგელები და მარავალი მადლობა. მისი მედლების და ორდენების რაოდენობა 2 ათეულს აჭარბებს. სიცოცხლის ბოლომდე პუნქტუალურ, ენერგიულ და საქმისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა. დატოვა მემკვიდრეები და პირადი საარქივო მასალების რამდენიმე ათეული საქაღალდე, რომელიც სამწუხაროდ 2004 წელში ხანძარგაჩენილ სახლიანად დაიწვა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე შრომობდა, იყო ერთუზი-ასტი, მისი თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით მრავალ კეთილ საქმეს ეღირსა დაგვირგვინება.

შესანიშნავი კომუნისტი თავმდაბალ და მისაბამ ადამიანად დარჩა თაობათა ხსოვნაში.

უამი უღმობელი ყველას და ყველაფერს თავის ადგილს აკუთვნებს. არც ეს ოჯახი დატოვა უკვალოდ.

იქნებ ვინმეს დაებადოს კითხვა, თუ რატომ მოხვდა ჯასიმ დევაძე ამ წიგნში. იგი ხომ საღორეთში დაემკვიდრა და საღორეთშივე აღესრულა. ამდენად კითხვა უმართებულო იქნება მასთან მიმართებაში. მან მართლაც ზიდა „საღორეთული ტვირთი“, რამეთუ ცხოვრების მთლიანი პერიოდი საღორეთში გაატარა. არც აგარას აკლებდა ხელს, მაგრამ საცხოვრებელი სოფელი მაინც პრიორიტეტული იყო მისთვის.

## დვალდიე შოთა ღაუთის ძე

1937 წლის 1 მაისს, ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისს შეემატა ვაჟი – შოთა დვალდიე.



1945-1953 წლებში სწავლობდა პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში. სწავლა აღარ გაუგრძელებია.

1957-1960 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს.

1963 წელს ექსტერნის წესით დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა.

1963-1968 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

1969 წლიდან მუშაობას იწყებს პირველი მაისის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად.

1970 წელში გადაიყვანეს ქედის პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად.

1971 წელს აგზავნიან ბაქოს უმაღლეს პარტიულ სასწავლებელში.

1972 წელს ამთავრებს სასწავლებელს და ბრუნდება ქედის რაიონში.

1972 წლიდან მუშაობს რაიონული გაზეთი „კოლმეურნე“-ს რედაქციაში რადიოკორესპონდენტ-ორგანიზატორად.

1978-1981 წლებში მუშაობდა პირველი მაისის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1980-1982 წლებში არჩეული იყო პირველი მაისის სასოფლო საბჭოს დეპუტატად.

1981 წლიდან ქედის რაიონის „სოიუზპეჩატის“ უფროსია.

1985-1993 წლებში მუშაობს პირველი მაისის კოლმეურნეობის პროფესიული კავშირების კომიტეტის თავმჯდომარედ.

1993-1998 წლებში ისევ კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. 1986 წელში იგი კვლავ დეპუტატი იყო.

ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი. ყველა დაოჯახებულია. უნდა აღინიშნოს რომ კოლმეურნეობის მოწინავე ოჯახს შვილებიც უმაღლესდამთავრებული ჰყავს.

მიიკვცავენ ცხოვრების ხან იოლ და უმეტესად შეჭირვებულ წლებს. არასოდეს დაუწუწუნიათ სიღარიბეზე – იტყვიან ხელი გააქანე და ბარაქაც შემოგივაო. მუხლჩაუხრელი მშრომელები ბედს არ უჩივიან.

### **ღიასაშიძე ოსმან მამულის ძე**

დაიბადა 1912 წელს ქედის რაიონის სოფელ საღორეთში,



ზემო აჭარაში განთქმულ თოფების ხელოსან „მამუდ უსტის“ ოჯახში. (მამუდი ხის ხელოსანიც იყო და მაჭახლური თოფ-იარაღის უბადლო ოსტატი).

ოსმანი მამის დახმარებით ბავშვობიდან შეეჭიდა რკინის ხელოსნობას. მამა ხომ რკინას თუ ფოლადს, რვალს თუ სპილენძს, ოქროს თუ ვერცხლს ასე ვთქვათ „თითზე იხვევდა“, არც ოსმანი იდგა შორს ამ საქმისაგან, მაგრამ მასში უკვე სულ სხვა პროფესიისკენ მიდრეკილებამ იმძლავრა.

სოფელში მაშინ განათლების კერა იყო მედრესე, სადაც ლოცვა-კითხვას ასწავლიდნენ. ოსმანმაც პირველ-დაწყებითი განათლება აქედან დაიწყო. მალე მამუდი ოჯახით ბათუმში გადავიდა საცხოვრებლად. ოსმანი იმხანად პრესტიჟულ თურქულ სასწავლებელში შეიყვანეს, სადაც სწავლა დაამთავრა მეოთხე საფეხურის (კლასის) ჩათვლით. სასულიერო განათლებ-

ის უპერსპექტივობისა და სხვაგვარი ვითარების გამო მამამ იგი ქ. ბათუმის №1 სკოლაში შეიყვანა, სადაც სწავლა გააგრძელა, თუმცა მერვე კლასის დამთავრების შემდეგ, როგორც უკვე ვახსენე, სხვა პროფესიის დაუფლებამ გაიტაცა და... ასე მოხვდა თბილისის ერთერთ პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც მშობლიური ენის სწავლის გაღრმავების პარალელურად საზეინკლო საქმესაც ეზიარა.

გამომგონებლობითი ნიჭიერება ჩვენს ჯიშ-ჯილაგს გენებით გადმოსდევს წინაპართაგან. არც ოსმანი იყო გამონაკლისი. მას ტექნიკუმში სწავლის პერიოდში, ხისგან მანქანის ძრავის მოდელიც გაუკეთებია, რომელიც სპეციალისტებს ისე მოსწონებიათ, უნიკალურად ჩაუთვლიათ და ნახელავი მუზეუმში საგამოფენოდ მოუთავსებიათ. (ყურმოკრული ამბით ვიცით, რომ სადღაც დღესაც ინახება მოდელი, რომლის ადგილსამყოფელს სამწუხაროდ ვერ მივაკვლიეთ). შემდეგში აქვე სამძლოლო საქმეც შეუსწავლია, მაგრამ მძლოლად დიდხანს არ უმუშავია, უფრო მეტად ძრავის შეკეთებით გაითქვა სახელი და სიკვდილამდე „მანქანის ექიმის“ მეტსახელით მოიხსენიებდნენ. მოკლედ – მატორისტ ოსმანს თუ ვინმე ახსენებდა, იცოდნენ სად უნდა მიეკვლიათ.

ოსმანი ხუთ ქალიშვილს და ერთ ვაჟს პატიოსნებით და ღირსეულად ზრდიდა. ქალაქში 9 სულის რჩენა, რომ ვთქვათ „წილებზე ფეხების“ შემოდგმას ნამდვილად საჭიროებდა. ოსმანი არ უშინდებოდა არაფერს, სადაც მიიწვევდნენ სამუშაოდ, ყველგან კეთილსინდისიერად ირჯებოდა. ხელფასიც შემოსდიოდა და არასაკმარისი ხელის ჭუჭყიც, მაგრამ არასდროს დაუჩივლია. ლუკმა არ აკლდათ, მაგრამ... ფუფუნებაში დღესაც ვერავინ ცხოვრობს. „რკინის ოსმანი“ სიკვდილსაც ღირსეულად შეხვდა – ერთადერთი ვაჟის ტრაგიკულად დაღუპვამ (არაკაცებმა იმსხვერ-

პლეს) ძალიან დიდად იმოქმედა ოსმანზე, სიკვდილამდე შავი არ გაუხდია, მაგრამ საფლავში უცოდველი სულიერებით ჩააცილა საგვარეულომ.

მამის კვალს, ანუ „რკინაზე ჭიდილს“ სულ უმცროსი ქალიშვილი ლეილა გაჰყვა. რა ენად მოსატანია, ქალი ვერ შეძლებს რკინის „მოღუნვასო“, ანუ მოთვინიერებას. „დედაკაცმა თუ გაიწიაო“ – იტყვიან და... ლეილამაც კარგად გაიწია – ტრანსფორმატორების ქარხანაში შეება იგი რკინას და... „მოღუნა“ კიდეც. (მასზე საკმაოდ მიწერია მის ბიოგრაფიულ მონაცემებში, თუმცა არასაკმარისად). რომ იტყვიან ადამიანმა „რკინის ქალამნები“ ჩაიცვაო, ბაბუადან გამოყოფილი რკინის სიყვარული ოსმანის შემდეგ ლეილაში გაცოცხლდა და მან მართლაც ბევრჯერ ჩაიცვა „რკინის ქალამნები“, ანუ ყველა საქმე ვაჟკაცებზე უფრო მჯობად ბოლომდე დაასრულა. კიდეც ბევრჯერ მოუწევს ალბათ იმ „ქალამნების“ ჩაცმა.

ოსმანის შვილიშვილიც მანქანების სამკურნალო საქმეს შეეჭიდა და აგრძელებს დღესაც, აღიდებს და აღდევრძელებს წინაპრების მიერ დაწყებულ კეთილშობილურ საქმეს. ლეილას შვილიშვილმა კი სპორტში მონახა თავისი ბილიკი და ალბათ მსოფლიო ფეხბურთელი გახდება, რომელსაც, 11 წლისას ასაკობრივ შეჯიბრებაში საუკეთესო მეკარის, ასე ვთქვათ – ტიტული უკვე მოუპოვებია პრიზთან ერთად!

იქნებ ვინმემ გაიკვიროს ბატონი ოსმანის ამ წიგნში მოხვედრა, მაგრამ აბა დაფიქრდით – ამოღენა საქართველოს ერთი პატარა სოფლიდან წასული ახალგაზრდისთვის თბილისური ამბები განა საამაყო არაა? ვფიქრობ კი, და, როცა წიგნს უცხოები, ოსმანის მცნობები წაიკითხავენ, დამეთანხმებიან კიდეც!

**მშენიეხების ეტაღონი''**

**ღიასამიძე ლეილა ოსმანის ასული.**



ხშირად ისეც ხდებო, რომ ძალიან დაფასებულ ადამიანზე წერა გავიჭირდება ადამიანს, მით უმეტეს თუ იგი ძალიან ახლობელია, ჰოდა ამიტომაც ქალბატონ ლეილას დასახასიათებლად პოეტ ცისანა ანთაძის

პუბლიკაციიდან ამოვკრებ იმ მარცვლებს, რაც ლეილასთვის გაუმეტებია.

„კარგ ქალს მშობელს მოუნახავენო“ – ასე გემოდღვრავს ქართული ანდაზა ცისანას კალმით და სწორედაც აულია გეზი. ლეილას მამა, ოსმან ღიასამიძე სოფელ საღორეთელია, განთქმული თოფების ხელოსანი – მამუდ უსტა ღიასამიძის შვილია და მის ოჯახშიც რკინასთან ჭიდილი გაგრძელდა – ოსმანი მანქანების მკურნალი იყო, შვილი ლეილა კი?... თუმცა მივეყვით პუბლიკაციას.

მე ვურჩევდი ყველას, წაიკითხონ ცისანა ანთაძის ბროშურა „იყავ ბედნიერი“. ამ ბროშურაში ყველაფერი ისეა აკინძული, თითქოს საუცხოო გამოგონებასთან ვიდგეთ, არადა ქალბატონ ლეილაზე, ჩვეულებრივ თუ არაჩვეულებრივ ქართველ დედაზე, ოჯახის კარგ ღიასახლისზეა საუბარი.

ლეილა დაიბადა 1956 წელს ქ. ბათუმში. ექვსი და და ერთი ძმა იყვნენ. მათგან დღესდღეობით ძმა აღარაა ცოცხლებში. ძმის სიკვდილმა ლეილას მამა რომ იტყვიან „წელში მოტეხა“. ზოგი ასე ამბობდა დაჩანჩანაკებულაო, მაგრამ მე დავამატებ ცისანას გამამხნეველ სიტყვებს – ოსმანი ისე ჩავიდა საფლა-

ემი, შავი მართლაც არ მოსცილებია სულშიც, მაგრამ სიკვდილს მაინც ვაჟკაცურად შეხვდა. იგი დაავადებული არ იყო არც სულიერად, არც ფიზიკურად, თუმცა... არაა იოლი შეილის სიკვდილი რომ მოგესწრება, თანაც ოჯახის ერთასი.

ლეილას მწარე ბავშვობა ჰქონდა მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ მძიმე რომ ჰქონდა ეს სინამდვილეა. ბევრი სიმძიმე გადაიტანა ოჯახმა, მაგრამ იგი სულიერად არ დაცემულა, გააგრძელა ისეთი საქმიანობა, რაც ქალთა საქმისათვის არატრადიციულია, მაგრამ თუ ადამიანი მუყაითი იქნება, დაუზარელი და სათაკილოდ არაფერს ჩათვლის, საკუთარი ნაოფლარი, ნაშრომ-ნაღვაწი დაგიფასდება, თუმცა ეს ერთეულთა ხვედრია და არც ლეილა დარჩენილა ყურადღების გარეშე.

ლეილამ ქარხანა „ელექტროხელსაწყო“ მიაშურა და შეება ქალისთვის უჩვეულო საქმიანობას – გააგრძელა ბაბუასა და მამისეული „რკინასთან ჭიდილი“. ქალმა ოჯახს უნდა გაუძღვეს, ბავშვები გააჩინოს და დაზარდოსო – ეს აზრი დომინირებს ქართულ ტრადიციებში, მაგრამ ლეილას არაფერი შეშლია ცხოვრებაში, ოჯახიც აიწყო და არც ქარხნისთვის უღალატია. მისთვის ორი თარიღია მთავარი, ორი ქალ-ვაჟის შექმნის თარიღი... აი, ესაა დედის, ქალის, მამულიშვილის უპირველესი საზრუნავი...

ლეილა 1976 წელს სკკპ. წევრობის კანდიდატად, ხოლო 1977 წელს, მეორე შეილის შექმნის სიხარულთან ერთადაც პარტიაში მიიღეს.

1978 წელს მას ირჩევენ საამწეობო საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად და საამქროს პარტბიუროს წევრად.

1982 წლიდან კი ამავე პარტბიუროს მდივანია.

შრომაში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, საზოგადოებრივ საქმიანობაში წლების მანძილზე აქტიური მონაწილეობისათვის იგი საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ხოლო



ხუთწლედში მოპოვებული წარმატებისათვის 1986 წელს შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს. ამავე წელს საქართველოს კომპარტიის ოცდამეშვიდე ყრილობის დელეგატია. მას ამ ყრილობაზე ირჩევენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად და სკკპ XXVII ყრილობის დელეგატად. იგი უკვე მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა. მალე საზღვარგარეთის მთელ რიგ პერიოდიკაშიც ჩნდება მისი მონაცემები, სურათები. ათეულობით სასიხარულო სათაურის სტატიები ჩნდება გამოცემებში და ერთი მათგანიც შოთას აფორიზმია, „ლეკვი ღომისა სწორია“ – რაც მისი ცხოვრებისთვის მართლაც ღირსების ორდენივითაა.

სოციალისტურ შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატებების დაგვირგვინება იყო 1988 წელი, როცა 14 თებერვლის №81 დადგენილებით მას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მალე იგი ფართო გაგებით „ხალხის მსახურად“ იქცა. ძნელია მისი დამსახურებების აქ ჩამოთვლა, ყველაფერი აღწერია ცისანა ანთაძეს და ვინც წიგნს წაიკითხავს, გაიგებს, რომ ლეილა დიასამიძე თავისთავზე არ ზრუნავდა იმდენს, რამდენსაც სხვებს ეხმარებოდა და აღწევდა საქმის დაგვირგვინებას. მისთვის ყველგან ყველა კარი ღია იყო. ოცდაცამეტი წლის ქალბატონი საარაკო საქმეს აღწევდა. სკოლაში, სადაც მისი შვილები სწავლობდნენ, წარმატებული სკოლის სახელისთვის კლასები გამოიწვია სოცშეჯიბრში დევიზით: „მე შრომაში, თქვენ სწავლაში.“ ეს სტახანოვური გამოწვევა იყო და შედეგებმაც არ დააგვიანა.

ლეილას ზემდგომ ინსტანციებთან „შებრძოლების“ თავისებური მეთოდი გააჩნდა და შეუძლებელს აკეთებდა. თვითონ უბინაო, სხვებს ეხმარებოდა ბინების მიღებაში. მან იცოდა თუ როგორი ძნელი იყო ყოველგვარი გაჭირვება და

სხვებს საკუთარი დაძმებით შევლოდა. ამან კი ხალხის უდიდეს სიყვარულად უქცია გარჯა. იგი ყველაფერს ასწრებდა რასაც კი შეეჭიდებოდა, იცოდა სამართლიანად აკეთებდა. მას ყველას სიძნელისა და სატკივარ-გასაჭირის ამოცნობის საოცარი აღდო ქონდა, ყველას სწვდებოდა სულში და ცხოვრებაში.

საქართველოს არ აკლდა ლეილასთან ადამიანები, მაგრამ იგი მაინც განსაკუთრებულად კიაფობდა. მისი გახმაურებული ამბების შემდეგ, საქართველოს მცხოვრებლები ისეთად მიიჩნდათ, როგორც თავად იყო. სწორედ ქართველი ქალის ეტალონად იქცა იგი.

შეუძლებელს აკეთებდა მეთქი.. მათი ერთადერთი ძმა ავაზაკებმა იმსხვერპლეს. ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი პირები ჩარია საქმეში და მკვლელიც დაასჯევინა. დღევანდელი სამზეროდან ასეთი საქმის მოგვარება თითქოსდა იოლი ჩანს, მაგრამ... მას მართლაც „რკინის ქლამნები“ ეცვა და... რაღა ბევრი გავაგრძელო, ის დღესაც ხალხის სამსახურშია, სამშობლოს შვილიშვილებსაც უზრდის და ბევრ კარგ საქმეს დღესაც ეჭიდება.

ცისანა ანთაძის პუბლიკაცია 1989 წელს დაიწერა. დრო და ვითარება გვიჩვენებს შემდეგს და შედეგს. იქნებ კიდევ დაიწეროს მასზე უფრო ვრცლად, მე კი ამ რამდენიმე სტრიქონით ცოტა მივათბუნე. რას იზამ ადამიანი, თუ მეტი შესაძლებლობა არ გექნება... გამონდება ვიღაც მეისტორიელიტერატორი...

ლეილა ჩვეული შემართებით მიუყვება თავის გზა-შარას და იცის რომ, იგი ხალხს კვლავაც სჭირდება... იგი ჩვენი საგვარეულოს უღირსეულესი პიროვნებაა, დიხაც ელოლიავება და იცავს საგვარეულოს ტრადიციებს და ასე გააგრძელებს სიცოცხლის ბოლომდე.

**დიასამიძე ხასან მამულის ძე**



დაიბადა 1918 წელს სოფელ სალორეთში, მამულუსტა საამიოღლის ოჯახში.

1941 წელს, სამამულო ომის დაწყებამდე გაიწვიეს სამხედრო სამსახურში საიდანაც იგი პირდაპირ ფრონტის ხაზზე-სტალინგრადში მოხვდა.

(ეს ნამდვილად საეჭვოა, ვინაიდან სტალინგრადის ფრონტი გვიან გაიხსნა)

ხასანს დარჩა ერთადერთი, ექვსი თვის ვაჟი ქაზიმი, რომელიც დედამ ფადიმე ხაეიმბამ დიდი გაჭირვებით დაავაჟაკა და ცხოვრების გზაზე დააყენა. ქაზიმი პირველ მაისში აღიზარდა. მას მამის შესახებ არავითარი ცნობა არ გააჩნია. ერთადერთი რაც მამის ხსოვნასთან აკავშირებს, მშობლების ქორწინებისდროინდელი სურათია. მისი თქმით მამა ამ სურათზე 23 წლის ვაჟაკია. თუ იგი 1941 წელს 23 წლის იყო, მაშინ ჩანს რომ როგორც „მარადიულ ხსოვნის“ წიგნშია აღნიშნული არა 1923 წელს ყოფილა დაბადებული, არამედ 1918 წელს. ბოლო წერილი, რომელიც სამწუხაროდ არ შემორჩენიათ, ქაზიმის თქმით 1941 წლის ნოემბრით იყო დათარიღებული. ხსოვნის წიგნში მითითებულ 1923-1943 წლებთან აღნიშნული არაა მისი გაუჩინარების არავითარი ცნობა. ეს ეჭვს ბადებს მისი ცოცხლად ყოფნისას, მაგრამ მამულუსტის ოჯახში აღზრდილ შვილზე ეჭვის სხვაგვარი ვერსია გამორიცხულია – ცოცხალი რომ ყოფილიყო, აუცილებლად დაბრუნდებოდა. არც მისი დაღუპვის და საფლავის ადგილსამყოფელი არაა ცნობილი. ოჯახი იმედს იტოვებს, რომ ნათელი მოეფინება ყოველივეს. არავინ იცის, სტალ-

ინგრადში დაიღუპა თუ შემდეგაც გააგრძელა საბრძოლო მარშრუტი. დიდი განსხვავებაა ფრონტიდან გამოგზავნილ წერილის თარიღსა და ხსოვნის წიგნში მითითებულს შორის. ეჭვს იწვევს რამდენიმე გარემოება – თუ წერილი 1941 წლის ბოლოს მოვიდა, ხოლო ხსოვნის წიგნში 1943-ია მითითებული, ამ ხნის განმავლობაში ნუთუ არ მოიწერა, ან საიდანაა აღებული 1943 წელი? თუ სამხედრო სამსახურიდან იგი სტალინგრადის ფრონტზე მოხვდა, ვიცით რომ 1941 წელსაა გაწვეული, ხოლო როგორც აღინიშნა, ფრონტი იქ გვიან გაიხსნა, მაშ მანამდე სად იბრძოდა? ძალიან ბევრი შეუსაბამობაა...

რაც შეეხება ქაზიმს, ობლად გაზრდილმა ორი ვაჟი და ერთი ქალი შემატა სამშობლოს. შვილიშვილების პატრონია. საღორეთიდან, ჩამოტანილ მამამისის ნაცხოვრებ და შემდეგ ადლიაში აგებულ ხის სახლში ცხოვრობს. ამაცობს კიდევ ამით, მამუდუსტისა და მამის სული ტრიალებსო ამ სახლში. იმედები ნუ მოგშლოდეთ ბატონო ქაზიმ ცხოვრებაში...

**„ღვანის გვიგინი“**

**ღიასამიძე ღიანა აზიზის ასული.**



დაიბადა ქ. ბათუმში 1956 წელს. 1963-1972 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის №1 საშუალო სკოლაში. 1972-1976 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტზე. 1976-1977 წლებში კახაბრის საშუალო სკოლაში ასწავლიდა მათემატიკას. 1977-1981 წლებში მუშაობს ხელვაჩაურის რაიკომში საადრიცხ-

ვო სექტორის გამგედ, პარალელურად საორგანიზაციო განყოფილებების გამგეა. ერთდროულად კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორიცაა (ბათუმში).

1981-1991 წლებში საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი და საერთო განყოფილების გამგეა.

1984-1986 წლებში არჩეული იყო ხელვაჩაურის რაისაბჭოს დეპუტატად.

1990-1991 წლებში არჩეული იყო კახაბრის საკრებულოს წევრად.

1992-1995 წლებში იგი მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროში, საერთო განყოფილების უფროსად.

1995-1996 წლებში გადააყვავთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მთავარ სამმართველოში, მარკეტინგისა და ინფორმაციის განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1996-1997 წლებში აწინაურებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მთავარი მრჩეველის თანამდებობაზე კონტროლის, ანალიზისა და ინფორმაციის საკითხებში.

1997 წლის თებერვლიდან, სექტემბრის ჩათვლით იგი მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების მთავარ სპეციალისტად.

1997 წლის სექტემბრიდან 2004 წლის სექტემბრამდე მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სოციალური დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ ორგანოებთან მუშაობის განყოფილების მთავარ სპეციალისტად.

1995-2004 წლებში არჩეულია ქალთა საბჭოს წევრად.

2004 წლის სექტემბრიდან გადააყვავთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის კონტროლის ჯგუფის უფროსად, სადაც მუშაობდა 2005 წლის მარტამდე.

2005 წლის მარტიდან 2006 წლის ნოემბრამდე მუშაობს ქ. ბათუმის მერიის აპარატის უფროსის მოადგილედ საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო საკითხთა სამსახურის უფროსად.

2006 წლიდან ქ. ბათუმის საკრებულოს აპარატის უფროსია.

\*\*\*

ჩვენს საგვარეულოში (საამიშვილებში) აქაიქ გაივლევება ხალხური გართობების სულისჩამდგმელთა სახელები. დრო და დრო რომელიღაც შტოში, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები სიხარულს მატებდნენ ბაბუა საამისა და თამთას თაობას, შთამომავლებს, ხალხს. ვერ ვიტყვი რომ ვირტუოზები გვყავდა მეთქი, მაგრამ ვინც იყვნენ, ხალასი ნიჭის პატრონები იყვნენ.

უცხო არ იყო ჩვენ საგვარეულოში ქართული-ხალხური საკრავის ფანდურის დამკვრელი და მომღერალი, არც გიტარა იყო უცხო და არც დოლ-აკორდეონი. ვინ ჭიანურს უკრავდა, ვინ კიდევ სალამურს და რას არა, მაგრამ თუ ვირტუოზობამდე მიღება საქმე, გვყავდა ნამდვილად ასეთი – მოცეკვავე და მომღერალი, მამაჩემის ალალი ბიძაშვილი – აბდულ საამიოღლი (საამიშვილი), რომელიც არასახარბიელო ვითარების გამო ოსმალეთში გადაიხვეწა. არის მისი თაობა და გვაქვს ურთიერთობაც.

ვირტუოზი მეთქი...

ადამიანი კბილებით, ტარით ზემოთ ამართულ ხანჯლებს რომ დაიჭერს და ისე იცეკვებს, ვირტუოზია, აბა რა არის... ჰოდა ბიძა აბდულის ერთი ძმის შტოში დაწინაურდნენ კულტურის სფეროს მოღვაწეები – მამა ავთანდილი და მისი სამი ვაჟი – დათო, ზურაბი და გიორგი. საამაყო გვაქვს საგვარეულოს, რომ ასეთი პიროვნებები წარმოიშვნენ საგმირო ისტორიის მქონე სოფელ საღორეთში, საამისა და თამთას შთამომავლობაში. ისინი ხომ მადლიანი წინაპრები გვყავს და

მჯერა, მათმა მადლმა შეიღთაშვილის შეილებში ჰპოვა საშა-  
რავანდედო ასპარეზი.

მადლი და სიკეთე მათ ნაბიჯებს ცხოვრებაში.

### **დიასამიძე ავთანდილ (ქამალ) ჯემალის ძე**



ავთანდილ დიასამიძე დაიბა-  
და 1937 წელს, ქ. ბათუმში. 1943  
წელს შევიდა ბათუმის ვაჟთა პირე-  
ელ საშუალო სკოლაში. მეორე  
კლასიდან სწავლას აგრძელებს  
კახაბრის საბჭოს სოფელ მინდის  
საშუალო სკოლაში. მესამე  
კლასიდან ადლიის რვაწლიან სკო-  
ლაში, შემდეგ კი მუშა ახალგაზრ-  
დობის დამის სკოლაში. პარაღე-  
ლურად მუშაობდა ბათუმის ფეხ-  
საცმლის ფაბრიკაში.

1954 წელს მუშაობა დაიწყო  
ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატულ თეატრში,  
დამწვებ მსახიობად.

1956-1958 წლებში იმყოფებოდა სამხედრო არმიის რიგებში, რის  
შემდეგაც ბათუმში ბრუნდება და კვლავ თეატრშია მსახიობად.

1960 წელს თეატრმა თბილისის თეატრალურ სასწავ-  
ლებელში გააგზავნა სადაც დაეუფლა მსახიობის ოსტატო-  
ბას და რეჟისურას. სწავლის პერიოდში პარაღელურად  
მუშაობდა რკინიგზის სახალხო თეატრში მსახიობად, სადაც  
მოდგაწვებდა სამსახიობო ხელოვნების კორიფე აკაკი ხორა-  
ვა. სწავლის დამთავრების შემდეგ კვლავ მშობლიურ თეატრს  
უბრუნდება და ბევრი საინტერესო როლიც განასახიერა.

1965 წელს მუშაობას აგრძელებს ს. ახალშენის სახალხო  
თეატრის დირექტორად, სადაც აარსებს მუსიკალურ, ქო-  
რეოგრაფიულ ანსამბლებს და დრამატულ კოლექტივებს,

რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ახალშენის სახალხო თეატრი. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეს იყო სოფელში დაარსებული პირველი სახალხო თეატრი.

1979 წელს ბატონი ავთანდილი სათავეში ჩაუდგა ბათუმის თოჯინების თეატრს, სადაც როგორც რეჟისორმა მრავალი საინტერესო დადგმა განახორციელა, რომლებიც დღესაც აქტუალურია თეატრის რეპერტუარში.

1987 წელს იგი იწვევს ბიზნესსაქმიანობას. თავს ანებებს რა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას, გვევლინება მეცენატის ამპლუაში – ფინანსურ დახმარებას უწევს ბათუმის დრამატულ და თოჯინების თეატრს.

2003 წელს აქვეყნებს წიგნს „ნამდინარეზე წყალი ჩაივლის.“

2005 წელს მისი თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ქედის რაიონის სოფ გულებთან ევდემოზ დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობას.

ავთანდლ დიასამიძეს მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული არტისტის წოდება. იყო მრავალი თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური ფესტივალების ლაურეატი.

გარდაიცვალა 2014 წელს.

### დიასამიძე ზურაბ ავთანდილის ძე



დაიბადა 1965 წელს ქ. ბათუმში.

1972-1980 წლებში სწავლობდა ბათუმის 28-ე და 22-ე საშუალო სკოლებში. 1980 წელს გადავიდა კახაბრის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1982 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს შოთა რუსთაველის სახ-



ელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სამსახიობო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1989 წელს.

სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბათუმის დრამატულ თეატრში, რომლის სცენაზე შეასრულა მთავარი როლი სპექტაკლებში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი,“ „ხორუმი ქართული ცეკვაა,“ და სხვა.

1998 წელს, დირექტორთა საბჭოს წევრებთან ერთად დააარსა კომპანია „მიფასი.“

2003 წელს ჩაირიცხა მოსკოვის ი. გერასიმოვის სახელობის კინემატოგრაფიის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაასრულა ტელე და კინო პროდიუსერის სპეციალობით.

2007 წელს დააარსა „ანიმაციის განვითარების ფონდი“ სადაც წარმოებული ანიმაციური ფილმები არაერთი საერთაშორისო ფესტივალის პრიზორია.

2009 წელს დააარსა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, რომელიც წლების განმავლობაში იმართება ქ. ბათუმში. ასევე საფუძველი ჩუყარა ფესტივალს „ექო-თოფუზი,“ რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმართება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ამჟამად არის კომპანია „მიფასი“-ს დირექტორთა საბჭოს წევრი, სტუდია „მიფასი – ფილმი“-ს გენერალური პროდიუსერი და „ანიმაციის განვითარების ფონდი“-ს დირექტორი.

## **ღიასამიძე ღაზით ავთანდილის ძე**

დაიბადა 1967 წელს ქალაქ ბათუმში.

1974-1982 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის 28-ე და 22-ე საშუალო სკოლებში, ხოლო 1982 წელს გადავიდა კახაბრის საშუალო სკოლაში, რომელიც დაასრულა 1984 წელს, ამავე წელს ირიცხება პროფესიულ სასწავლებელში ფოტოგრაფიის სპეციალობაზე. დაასრულა 1985 წელს.



1988 წელს ჩააბარა ლენინგრადის ჩერკასოვის სახელობის თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1993 წელს დრამის, კინოსა და ტელევიზიის რეჟისორის სპეციალობით.

1987-1996 წლებში მუშაობდა აჭარის ტელევიზიაში, ჯერ ოპერატორად, ხოლო შემდეგ რეჟისორად.

1995-1996 წლებში მუშაობდა ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტში მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის პედაგოგად.

1996 წლიდან მოღვაწეობს კერძო ბიზნესში. ამჟამად არის კომპანია „მიფასი“-ს დირექტორი.

## ლიანაშიძე ბია ავთანდილის ძე

დაიბადა 1971 წლის 9 იანვრის ცივ დღეს.



სწავლობდა ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლაში. ზღვაზე გაზრდილი მოზარდისათვის სანუკვარი ოცნება იყო მეხდვაურობა და მერვე კლასის დამთავრების შემდეგ ბათუმის საზღვაო სასწავლებელში ჩარიცხვაც ამან გადააწყვეტინა. ოთხი წელი სწავლობდა და პრაქტიკებს ყოველ ზაფხულს გემზე გადიოდა. ხმელთაშუა ზღვა

არაერთხელ გადაცურა და ინდოეთის ოკეანის გადალახვა-შიც მონაწილეობდა.

1989 წელს დაამთავრა საზღვაო სასწავლებელი და მისი თქმით – იმის შემდეგ ზღვისკენ აღარ გაუხედია.

მამა – ავთანდილი (ქემალი) თოჯინების თეატრის რეჟისორი იყო. უფროსმა ძმამ თბილისის თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა (დიდი იოსელიანის სახელოსნო). შუათანა ძმა აჭარის ტელევიზიაში მუშაობდა ოპერატორად და სწავლობდა ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე (სოშნიკოვის სახელოსნო)..

როცა ბატონმა გიამ ოჯახს განუცხადა, რომ თვითონაც რეჟისორობა სურდა, მამამისმა თავში შემოირტყა ხელი და დაიჩივლა – მეგონა, ერთი შვილი მაინც დაადგებოდა რაციონალურ გზას და აქაც ჩამივარდა კოვზი ნაცარშიო...

1990 წელს ჩაირიცხა თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში. ამთავრებს 1994 წელს საერთაშორისო დიპლომატის სპეციალობით. მართალია გია დიასამიძე ირიცხება საგარეო ურთიერთობათა ფაკულტეტზე. მაგრამ პარალელურად დაკავებული იყო ბიზნესით, რომელმაც რამდენიმე წლიანი ჯაფის შემდეგ ფინანსური წარმატება მოუტანა ოჯახს.

2002 წელში გიამ ოჯახს გამოუცხადა – თქვენს წინაშე ვალი მოხდელი მაქვს და მოსკოვში სარეჟისოროზე სასწავლებლად მივდივარო, რაც სისრულეში მოიყვანა კიდევ.

2002-2004 წლებში სწავლობდა მოსკოვის ი.გერასიმოვის სახელობის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე.

2004 წელში იგი ბრუნდება მშობლიურ საქართველოში და დღემდე შექმნილი აქვს რამდენიმე დოკუმენტური ფილმი.

2013 წელს მუშაობდა აჭარის ტელევიზიაში მთავარ რეჟისორად.

## **ფილმოგრაფია. (დოკუმენტური ფილმები).**

2005 წელი – „მოგზაურობა ფოლკლორში.“

2006 წელი – „ადილა“ (ლეოვის საერთაშორისო კინოფესტივალი – ქიურის სპეციალური პრიზი და პრიზი საუკეთესო დოკუმენტური ფილმისათვის).

2007 წელი – „არტგენის დღიურები“.

2009 წელი – „როგორ იქმნება ანიმაცია“.

2010 წელი – „მოლოდინი“.

2010 წელი – „ინსაითი“ – საერთაშორისო კინოფესტივალი BIAF ქიურის სპეციალური პრიზი და ქიურის თავმჯდომარის (ზბიგნევ რიბინსკი) სპეციალური პრიზი.

2005-2008 წლებში იყო მუსიკალურ ჯგუფ „ზუმბალენდი“ (ეთნო-ჯგუფი) – ფანდური, პერკუსია, მეორე ვოკალი. წევრი.

2008-2010 წლებში იყო ჯგუფ „აუტსაიდერი“ (პანკ- როკი) აკორდეონი. წევრი.

2008 წელს ასევე ხალხურ ანსამბლ „ჩვენებურებთან“ ერთად ჩაწერა ალბომი, რომელიც მისი სიმღერის – (ნენანენა) სათაურით გამოვიდა.

2004 წელს დააფუძნა სტუდია „მიფასი ფილმი“. არის ავტორი დოკუმენტური ფილმებისა „ადილა“, „გაბრწყინება“, „მოლოდინი“, „მსოფლიო მშვიდობის ცეკვა“. ამჟამად არის სტუდია „მიფასი ფილმის“ დირექტორი და კომპანია „მიფასის“ დირექტორთა საბჭოს წევრი.

## **მუსიკალური კლიპები:**

2004 წელი – „მოდი, დავიწყეთ ერთად.“ (ზუმბალენდი)

2005 წელი – „ერთად ვართ.“ (ნინო ქათამაძე)

2006 წელი – „გურიშ ვარდი“ (ზუმბალენდი)

2007 წელი – „ნატურისთვალი“. (ზუმბალენდი)

2008 წელი – „ალილო“ (ზუმბალენდი)

2009 წელი – „ნენა-ნენა“ (ჩვენებურები)

2010 წელი – „მთიულური” (ივერია).

ამჟამად ბატონი გია მოღვაწეობს როგორც აჭარის ტელევიზიაში, ისე საქართველოს მასშტაბით აწარმოებს დოკუმენტური ფილმების გადაღებას. წინ დიდი მომავალია და გვჯერა, რომ მისი მოღვაწეობა ვარსკვლავით იკაშკაშებს – იგი ხომ ხალხის მსახურია....

### „წინ ფაქთო ასპახეზია”

#### თეგბე სულიკო მურაღის კე



სოფელ პირველ მაისს (ადრე ხაღორეთს) არასოდეს აკლდა ღირსეული მამულიშვილები და მათი ღირსეული საქმის სახალხო ასპარეზზე წარმოჩენა. ბევრჯერ მიწვევებით და იგივე სიტყვების გამეორება წიგნში მათი წარმოჩენისას. რა ვუყოთ მერე, ზოგს თითქმის იდენტური ნაბიჯები აქვს გავლილი საზოგადოებრივ ასპარეზზე, რა თქმა უნდა განსხვავებული

ბიოგრაფიებით, მაგრამ სრულიად ერთნაირი მისწრაფებით და სულისკვეთებით – ემსახურათ სახელგონად, უმწიკვლოდ და შორს გაეთქვათ, ედიდებინოთ დიდი ისტორიული წარსულის მქონე სოფელი, დაემკვიდრებინათ სოფლისთვის ის სახელი, რასაც იმსახურებს ბედკრული საქართველოს არცთუ მცირედ ბედკრულ ისტორიაში. ღირსეულები კი ნამდვილად თითზე ჩამოსათვლელები არიან, თუმცა ვინც ამ წიგნში შევიდა ცოტად თუ ბევრად ამაყად იღვანენ იმ კვარცხლბეკზე რომელსაც

ჰქვია სამშობლო და ღირსება. ზოგს ნარ-ეკლიანი გზა აქვს გავლილი, ზოგი საბჭოთა პერიოდის ავ-კარგიან გზებზე გამოიჯეკა, ზოგი კი შრომითმა მიღწევებმა აიყვანა იერარქიის უმაღლეს საფეხურზე. კიდევ ვიტყვი ყველა მათგანი თვალის-ჩინივით უფროსილდებოდა კუთხის თუ სოფლის სახელს.

ერთერთი ამათგანია სულიკო თებიძეც.

საქმემან შენმან გამოგაჩინოსო – იტყვიან. სწორედ თავის საქმიანობით გაიკვლია გზა, რომელიც დროის შესაფერისად ია-ვარდნაფენი მართლაც არ ჰქონია და ასევე რთულ, სახელმწიფოს ფორმირების პერიოდში მოხვდა იმ კიბეზე, რომლის საფეხურები სწავლა-განათლების სიწმინდეს კიდევ უფრო ამაღლებს.

დაიბადა 1964 წელს ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში.

1971 წელს სწავლას იწყებს პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1978 წელს სწავლას აგრძელებს ქ. ბათუმის ფიზიკა-მათემატიკურ (სალიბაურის) სკოლა-ინტერნატში.

1981-1986 წლებში სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1986-1991 წლებში მუშაობდა წონიარისის, დაბა ქედის, პირველი მაისის საშუალო სკოლებში მათემატიკისა და ინფორმატიკის მასწავლებლად. იყო ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებში რაიონის მთავარი სპეციალისტი. ამავდროულად არის ქედის რაიონის ახალგაზრდა პედაგოგთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

1991-1998 წლებში მუშაობდა აჭარის (გონიოს) კოოპერაციული ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის უფროს მასწავლებლად, დაწყებითი პედაგოგიური განათლების კათედრის გამგედ, მათემატიკის კათედრის გამგედ.

1991 წლიდან პარალელურად მუშაობდა ქ. ბათუმის №26 საშუალო სკოლაში (ეხლა მე-14-ე) მათემატიკის მასწავლებლად.

2005-2006 წლებში ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

2006 წელს გადააყვავა №2 საჯარო სკოლის დირექტორად.

2007-2008 წლებში ამავე სკოლაში მუშაობს მათემატიკის მასწავლებლად.

2008-2011 წლებში მუშაობს ქ. ბათუმის №18 საჯარო სკოლის დირექტორად.

2012 წლის ნოემბრიდან მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილედ.

მიღებული აქვს უამრავი ქების სიგელი, საპატიო სიგელები, ლაურეატი მასწავლებლის წოდება – მოსწავლეებთან მიღწეული წარმატებებისათვის. ორჯერ მიღებული აქვს სოროსის გრანტი.

ჰყავს ოჯახი.

ერთი შეხედვით, თითქოს მცირე ბიოგრაფიის მქონეა, როგორც თავად თვლის და ასევე არ მიაჩნია თავი წიგნში მოხვედრისათვის შესაფერისად, თუმცა მის მიერ გავლილი გზა მეტყველებს, რომ აჭარის განათლების პირველ კომისარს, საღორეთელ ბატონ სელმანს, ღირსეული გამგრძელებელი გამოუჩნდა სოფლიდან და თავისებურ, საღორეთულ ჭაპანს ეწევა განათლების სისტემაში სიახლეების შეტანისა და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

წინ დიდი ასპარეზია და იმედია ყველა ნაბიჯი გამართლებული, წარმატებული და მშობელი ხალხის საკეთილდღეო სამსახურში ღირსეულად იქნება შეფასებული მომავალშიც.

ბატონი სულიკო ერთერთი იმათგანია, ვისაც სოფლის წარსული ტკივა, სოფლის ისტორიის ყოველგვარ ნიუანსს ითავისებს, ტრადიციებს იცავს და ამაყობს იმით, რომ დიდი ისტორიული წარსულის მქონე სოფლის მკვიდრია, იბრძვის მისი კეთილდღეობისათვის.

**„აღმაფიენა“**

**თავიკე ბენო შოთას კე**

დაიბადა ქ. ბათუმში 1970 წელს, საღორეთის მედიკოსის, ვიცეპოლკოვნიკ შოთა თებიძის ოჯახში.



1977-1987 წლებში სწავლობდა ბათუმის №2 საშუალო სკოლაში.

1987-1993 წლებში სწავლობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომელშიც დაამთავრა ინჟინერ-ენერგეტიკოსის სპეციალობით.

1997-2001 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე და მინიჭებული აქვს სამართალმცოდნის სპეციალობა.

1995-1996 წლებში მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტში მთავარ სპეციალისტად.

1997-2003 წლებში მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტში სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განყოფილების უფროსად.

2007 წელს აწინაურებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანაშემწედ.

2007 წლის აგვისტოდან 2012 წლამდე მუშაობდა აჭარის მშრომელთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა საპასუხისმგებლო პოსტზე – ხელმძღვანელობს გაზეთებს „აჭარა-სა“ და „ადუარიას“ რედაქტორის რანგში.



2008 წლიდან არჩეულია ქ. ბათუმის საკრებულოში ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიისა და განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის წევრად.

1988-1991 წლებში აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ მოძრაობაში.

2003-2004 წლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „აჟა“-ს (ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია) ერთერთი დამფუძნებელია. იგი მოღვაწეობდა ქ. ბათუმის მერიაში. ამჟამად ეწევა არასამთავრობო ორგანიზაციაში საზოგადოებრივ საქმიანობას.

ამ მოკლე ბიოგრაფიით ნათლად ჩანს ენერგიული ახალგაზრდა სპეციალისტის აღმასვლის და იმიჯის წარმატებული გზა, რომელსაც ჩემი აზრით კეთილი კვალის დატოვება შეუძლია მშობელი ხალხის გულში.

მუხის ფესვებზე მუხა ამოიზრდებაო იტყვიან.

თავად შოთა თებიძე ამის მაგალითია, ხოლო ბატონ გენოს ტრიუმფალური აღმასვლა ხალხისმიერ სიყვარულს უკაშირდება. უანგარობა, კეთილშობილება და ქვეყნის პატრიოტობა მისი ერთერთი მახასიათებელია, რომელიც ხალხის გულში უკვალავს გზას.

წინაპართა სახელს კი, მწამს რომ ღირსეულად დააფასებს – დაზრდის ღირსეულ შვილებს და სამშობლოს უპატიაკებს, რომ ის ტვირთი, რომელიც ჭკვიან და ხალხის სამსახურში დამაშვრალი ადამიანების ხვედრია, ღირსეულად ატარა.

ბატონი გენო, როგორც მამა, შოთა თებიძე გულმხურვალე საღორეთელები არიან. ამის თქმის უფლება დიახაც მაქვს – ისინი არასოდეს აკლდებიან სოფლის საზეიმო თუ სამგლოვიარო პროცესებს, მუდამ ისწრაფვიან ხალხს რითიმე მიეთბუნონ, მოესიყვარულონ, სიკეთით გადაუხადონ ის ამაგი, რაც სოფლის მცხოვრებლების სიყვარულნარევი გამოხედვასა და მოპყრობაში იგრძნობა.

**თებიძე მემედ ყარიშანის ძე**



მემედ თებიძე დაიბადა სოფელ საღორეთში 1925 წელს.

1936 წელს დაამთავრა პირველი მაისის არასრული საშუალო სკოლის 4-კლასი და შემდეგ მცირეწლოვანმა კლმეურნეობაში განაგრძო მუშაობა.

1936-1944 წლებში მუშაობდა სწორედ კოლმეურნეობაში მრავალშვილიან ოჯახს ცხოვრება უჭირდა და ძირითადად შემოსავალს იყენებდა დაშურებულნი.

1944 წელს მემედს ნიშნავენ პირველი მაისის კლუბის გამგედ.

1947 წელს ოცდამეორე წლის ახალგაზრდა გადაჰყავთ პირველი მაისის სასოფლო საბჭოს მდივნად.

1953 წელს, თითქოსდა მითვისების მოტივით პენსიაზე დანაკლისის გამო 7 წლიან პატიმრობაში აგზავნიან, მაგრამ მეუღლის ცაცა ისიდორეს ასულ მელაშვილის ვაჟკაცობის მეოხებით, რაც მოსკოვში ბერიასთან შეხვედრით სრულდება, მემედი ერთი წლის შემდეგ თავისუფლდება პატიმრობიდან.

მემედ თებიძე რამდენიმე ხანს მუშაობდა პირველი მაისის აგურ-კრამიტის მრეწველობის გამგედ.

მემედ თებიძის დამსახურებად თვლიან იმასაც, რომ სოფლიდან რეპრესირებულები არ გვყავს. მემედ თებიძეს დარჩა სამი შვილი – ორი ვაჟი და ერთი ქალი, რომლებიც მამის სახელს არასოდეს შეარცხვენენ. მამისა და ბაბუის ხსოვნას ევერებიან ისინი.

**თებიძე ასლან ისრაფილის ძე**



ასლან თებიძე დაიბადა სოფელ პირველ მაისში 1967 წელს.

1975 წელს სწავლა დაიწყო პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1980 წელს სწავლას აგრძელებს ბათუმის №2 სკოლა-ინტერნატში მათემატიკის გაძლიერებული პროფილით.

1985 წელს დაამთავრა სკოლა.

1986-1988 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1989-1993 წლებში, სწავლობდა ქ. თბილისის პოლიციის აკადემიაში და დაამთავრა იურისტ-სამართალმცოდნე ლეიტენანტის წოდებით.

1991-1993 წლებში სწავლის პერიოდში მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტურ ზონაში.

1993 წელს მუშაობას იწყებს აჭარის შ.ს. სამინისტროში პოლიციის №2 ქვეგანყოფილებაში სამძებროს ინსპექტორად.

1996 წელს ამავე ქვეგანყოფილების უბნის ინსპექტორია.

1998 წელს მუშაობას აგრძელებს შ.ს. სამმართველოს ეკოლოგიის პოლიციაში განყოფილების ინსპექტორად.

1999 წელს კი აწინაურებენ ამავე განყოფილებაში უფროს ინსპექტორად პოლიციის მაიორის წოდებით.

2005 წლიდან დღეის ჩათვლით მუშაობს ინკასატორად.

ბატონი ასლანი ღირსეულ გზას აგრძელებს იმ საღორეთელთა კვალდაკვალ, რომლებიც მისი წინამორბედები იყვნენ. სოფლელებს გვწამს, რომ იგი არასოდეს უღალატებს

იმ კრიტიკიკუმებს, რასაც ჰქვია პატიოსნება, ერთგულება, სინდისი და კაცურ-კაცობა. მას, როგორც ვიცით, არასოდეს არაფერი შეშლია და ბუნების ძალით არც შეეშლება. საღორეთელი ღირსეული ადამიანების გაკვალულ ბილიკებს თავადაც დაამჩნევს იმ კვალს, რომელსაც სწავლულები „დინოზავრის ნაკვალევს“ ეძახიან. ადამიანის თვალსაწიერი ხომ უსასრულოა, და ეპიგრაფიც მასზეა ზედგამოჭრილი. ვიცით, რომ მის გამო ვერავინ დაგვცინებს და შეგვაგინებს... ამისი ღრმად სწამს სოფელს.

### **„ჰეშვით ნახოვები მადლი“**

#### **თეზიკე შოთა ჟერიმანის კე**



შოთა თეზიკე დაიბადა 1942 წელს სოფელ პირველ მაისში.

1950-1960 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1961-1968 წლებში ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1962-1965 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს.

1968 წელს მუშაობას იწყებს კოლოტაურის არასრულ საშუალო

სკოლაში მასწავლებლად.

1970 წელს საცხოვრებლად გადადის ბათუმში და მუშაობას იწყებს „აჭარკოლოპკავშირში“.

1972 წელს მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს სატრანსპორტო სამმართველოში.

1975 წელს ჩაირიცხა ქ. როსტოვის მილიციის უმაღლეს სასწავლებელში (იგივე აკადემია), რომელიც დაამთავრა 1880 წელს.

1980 წლიდან სამსახურს იწყებს აეროპორტში სოციალური საკუთრების დატა ცების წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის უფროსად. მოგვიანებით სადგურ „ბათუმში“ სამძებრო განყოფილების უფროსად.

1993-1996 წლებში მუშაობს ქ. ბათუმის საზღვაო პორტის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსად ვიცე პოლკოვნიკის ჩინით. შემდეგ ავიაკომპანია „აჭარის“ უშიშროების კომიტეტის უფროსად.

ბატონი შოთა იყო ცეკვის ვირტუოზი შემსრულებელი. ისე ჰაეროვნად ცეკვავდა, არათუ მამაკაცები, მართლაც და ჰაეროვნად ცეკვის ოსტატი გოგონებიც გაკვირვებული ჰყავდა – ცეკვისას ადამიანი იფიქრებდა ძირში კი არა ჰაერში დადისო. მოხიბლული ყავდა მაყურებელი.

შოთას მოგონებიდან: ფეხი ავიდგი ცეკვაში ბაბუჩოკლების (მახუნცეთის) საშუალო სკოლიდან. 1957 წელში თბილისში ჩატარდა სსრკ-ს მასშტაბით ოლიმპიადა, საიდანაც სიგელები და ჯილდოები წამოვიღეთ განსაკუთრებული შესრულების მანერისთვის. ჩემს ერთად იყვნენ ჰაკი ქონიაძე და ვილაც „ბაკია“...

ამის შემდეგ ბევრჯერ იცავდნენ ღირსებას საოლქო და სარაიონო დათვალიერებებში ხელოვნებისა და კულტურის სფეროში.

თუ საღორეთელთა ბუნებაში ცეკვა-სიმღერის სიყვარულს ფესვები ღრმად აქვს გამჯდარი, ეს მისი თქმით სახალხო დამკვირვლის, ცნობილ მეაკორდეონის – ჯემალ დავითაძის დამსახურებაა, რომლისგანაც დაკვრა უსწავლია ჯერ შოთას ძმას, შუქრი ყერიმანის ძეს, შემდეგ კი ნიკო შავლიძეს. ნიკომ „შალახოთი“ და შემდეგ კი ჟრუანტელისმომგვრელი სიმღერებით უკვდავება ჰპოვა პირველმაისელთა და რაიონის მცხოვრებთა გულში. იგი ნაადრევად გადაბარგდა საიქიოში.

ბატონი შოთა, ესლაც კი, ახლობელთა არც თუ ისე ხშირ ქორწილებში და იშვიათ დღეობებზე გაიხსენებს, რომ ცეკვა

იცის და მოცეკვავეებს ფეხს აუწყობს, თუმცა მრავალ ჭირ-  
ვარამგამოვლილს ცეკვის ხალისი უკვე აღარ აქვს. რომ არა  
პროფესიული ინტერესი, იქნებ სულაც მიენებებინა თავი, მა-  
გრამ იცის, რომ უდიდეს სიამოვნებას ხალხს მხოლოდ ცეკვით  
მიანიჭებს და... ცეკვაეს ხანდახან.

სულ ცეკვა-სიმღერაში გაგელიოს წუთისოფელი ბატონო  
შოთა და შეილთაშვილებიც გეზიარებინოს სიხარულს.

ერთიც მინდა დავამატო.

სადაც არ უნდა ემუშავა შოთას, ყველგან მადლიერი  
ჰყავდა ზემდგომი და ქვემდგომიც, უბრალო ადამიანებიც. მისი  
უმადლესი ჯილდო იყო მადლიერი ადამიანების გაცისკროვნე-  
ბული ღიმილი, რომელიც მისი ადამიანობიდან გამომდინარე  
არასოდეს აკლდა.

რა სჯობია ამ ჯილდოს, რა შეედრება წუთისოფელში?  
მგონი ვერაფერი. მშობელი ხალხის სიყვარული რომ დაიმ-  
სახურო, კრისტალური პიროვნება უნდა იყო.

მისი მარტო გამოჩენა კმარა სოფელში, სასიყვარულოდ  
რომ შემოეხვევიან და გულაღაღად საუბრობენ, ხანდახან  
ჭიქებს რომ მიუჭახუნებენ ერთმანეთს, რა სჯობს ამას?

სულ მოფერება სიყვარულში ჰყოლოდეთ ხალხს ბატონო  
შოთა... დღეგრძელი სიცოცხლე...

**„ამაგდახი“**

## **თეზიკე ილია მემეღის კე**

ერთ-ერთი პიროვნება, რომელმაც იერარქიაში საპატიო  
ადგილი დაიკავა, არის სოფელ პირველი მაისის მკვიდრი,  
უნანგარო, წესრიგიანი, ადამიანური, მეგობრული, ჰუმანური და  
საოცრად საინტერესო სტუმართმოყვარე, სოფლისა და რაიონ-  
ის პატრიოტი ადამიანი ბატონი ილია თეზიკე.

1940 წელს მოეკვინა იგი სოფელ პირველ მაისს.

1955 წელს დაამთავრა პირველი მაისის 8 წლიანი სკოლა.  
1960 წელს ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საბუხ-  
ჰალტრო.



1960-1963 წლებში სამხედრო  
სამსახური გაიარა.

1964-1971 წლებში მუშაობდა  
სახელმწიფო სტატისტიკის ქედის  
რაიონული ინსპექციის უფროსის  
მოადგილედ და სოფლის მეურ-  
ნეობის აღრიცხვის უფროს ინსპექ-  
ტორად.

1971 წელს დაამთავრა ბათუ-  
მის პედინსტიტუტის ისტორიის  
ფაკულტეტი. (ეს თითქოს  
დაუჯერებელია, მაგრამ ბატონ ილიას არავითარი სურვილი  
არ გააჩნდა ინსტიტუტში ჩარიცხვისა. ძმამ, რეზომ აიყოლია,  
ცოტაც წაეხმარა და ილიას ბედმა გაუღიმა – ჩაირიცხა).

აქვს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობის  
მდიდარი გამოცდილება. წლების განმავლობაში მუშაობდა  
პირველი მაისის საშუალო სკოლაში მასწავლებლად.  
საქართველოს კომუნისტური პარტიის ქედის რაიონული კო-  
მიტეტის ინსპექტორად, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ,  
რაიკომის მეორე მდივნად, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯ-  
დომარის მოადგილედ.

1992-1994 წლებში პირველი მაისის საკრებულოს გამგე-  
ბლად წამოაყენა ხალხმა და იგიც უყოყმანოდ დანიშნეს.

არაერთხელ იყო არჩეული სახალხო დეპუტატების ქე-  
დის რაიონული საბჭოს დეპუტატად და აღმასრულებელი  
კომიტეტის წევრად, საქართველოს კ.პ. ქედის რაიკომის ბი-  
უროს წევრად, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრო-  
ბის კანდიდატად.

1997 წლიდან მუშაობს ქედის საშუალო სკოლის დირექტორად.

ასწავლის მსოფლიოს და საქართველოს ისტორიას, საზოგადოებათმცოდნეობას. არის სასკოლო საქმის კარგი მცოდნე, მკაცრი, პრინციპული, მაგრამ ობიექტური და სამართლიანი. მისი დირექტორობის პერიოდში, მაღალი აკადემიური წარმატებებისა და წესრიგისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ სკოლას გადაეცა საუკეთესო სასწავლო დაწესებულების „2000-2001 სასწავლო წელს მიღწეული განსაკუთრებული წარმატებისათვის“ დიპლომი.

ბატ. ილია თებიძე, როგორც ძლიერი ისტორიკოსი, განსაკუთრებით აქტიურობს როგორც რაიონის, ისე თავისი სოფლის ისტორიის წარმოჩენის საქმეში. ამ მიზნით, თუ რამ საინტერესო მოვლენას ან აღმოჩენას ექნება ადგილი სათანადო რეაგირებას უკეთებს. არის თავისი სოფლის გულმხურვალე პატრიოტი, ახალგაზრდების დამრიგებელი, რაც მისი პედაგოგიური გამოცდილების ერთგვარი გაგრძელებაა. არის კარგი მეურნე. თუ თავის კარ-მიდამოს ვინმე უხდება ბართოხით, ერთერთი ბატონი ილიაცაა. იგი საოცრად ენაწყლიანია - როგორც პედაგოგის ერთერთი თვისებათაგანი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, სოფლის მეურნეობის სა-მუშაოთა შესრულებისას გვერდიდან არ იცილებს ინტელექტის ამბღლების საშუალებებს, რაც ბავშვობიდან გამოჰყვა.

შეუდარებელი მეზობელია. თუ ვინმეს რამე უჭირს, მის გვერდითაა მატერიალურად თუ მორალურად. უყვართ იგი სოფლელებს და თავადაც სცემს პატივს მათ. სოფლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, არადა სოფელს კარგა მანძილითაა დაშორებული სამსახურეობრივი მოვალეობის გამო, თუმცა ეს მანძილი ხელს არ უშლის და ხანდახან ყოველდღიურად მოგზაურობს მიზერული ხელფასის მიუხედავად -



ქედის სკოლაში აღსაზრდელები ელოდებიან ორ პედაგოგ შეიღო-  
ან ერთად, სოფლად კი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

ბედნიერი ბაბუა და მშობელი, ჩვეული გულმხურვალები-  
თა და ამაყი ნაბიჯებით მიაბიჯებს შექცირვებული ცხოვრების  
შარავზახე.

**P.S** როცა ეს სტატია დაიწერა, მეუღლე ცოცხალი ჰყავდა,  
მაგრამ დროუაშმა გამოაცალა ხელიდან. ამან ძალიან მოტეხა,  
თავადაც დიდხანს იავადმყოფა და 2012 წელში გადასახლდა  
იმ ქვეყნად.

ნათელი დაადგეს სასუფეველში.

### **„სახემლიდან დანახელი ჰოხიზონცი.**

#### **თებიძე რეზო მემეღის ძე**



თუ ვინმეზე ითქმის უფლის  
რჩეულიაო, ეს ფრაზა აუცილე-  
ბლად მიესადაგება თითქოსდა  
უბრალო ადამიანს, პოეტად აღზევე-  
ბულ საღორეთის მკვიდრს.

რეზო თებიძე დაიბადა 1946  
წლის 9 ოქტომბერს.

1954-1965 წლებში სწავლობდა  
პირველი მაისის საშუალო სკო-  
ლაში.

1966-1971 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინ-  
სტიტუტში პედაგოგიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყო-  
ფილებაზე.

1966 წელს ქედის გაზეთმა „კოლმეურნემ“ პირველად  
დაბეჭდა მისი ლექსი.

1965-1969 წლებში მუშაობდა კოლმეურნეობის რიგით წევრად.

1970-1971 წლებში მუშაობდა „კოლმეურნის“ რედაქციაში ლიტმუშაკად.

1971 წლის სექტემბრიდან გადაჰყავთ კოლოტაურის არასრულ საშუალო სკოლაში.

1979 წლიდან ასწავლის ძენწმანის არასრულ საშუალო სკოლაში.

1979 წელსვე ინიშნება რაიონის განათლების განყოფილებაში ფილმთოეკის გამგედ და პარალელურად ასწავლის აგარის არასრულ საშუალო სკოლაში. ფილმთოეკის გამგედ იმუშავა 1994 წლამდე.

1993 წლიდან კი ასწავლის პირველი მაისის საშუალო სკოლაში დღემდე.

რეზო თებიძე ფუსფუსა და საქმიანი ადამიანია, კარგი მეურნე, აღიარებული პოეტი და სანიმუშო პედაგოგი, ავტორიტეტული და უანგარო ადამიანია. მისთვის არ არსებობს თავისუფალი დრო და აი რატომ: თუ გაკვეთილს ატარებს-წერს, თუ ძინავს, ალბათ მაშინაც წერს, საუზმობს თუ ისვენებს მაშინაც წერს. ფრიდონ ხალვაშის თქმისა არ იყოს „მე დრო არა მაქვს, მე დრო არ მყოფნის“-ო, რეზოც ასეა გადატვირთული.

რაც შეეხება მუზეუმის ტყვეობას, მეოთხე კლასიდან შეეჭიდა რითმებს, შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ, ასო-ასო აგროვა მოფრენილი მუზეები და ამჟამად რამდენიმე კრებულის ავტორია. ბავშვობაში მუზეებში ჩაფლულს, თითქოსდა სიზარმაცე შეეპარა სწავლაში, მაგრამ არა, იგი ჩვენმა სახელოვანმა პედაგოგმა უსუფ აბაშიძემ შეაგულიანა და... მის შემდეგ ბატონ რეზოს კალამი არ დაუღვია. მოგვიანებით, ასევე პოეტური სულის პედაგოგმა ლევან ქაღიძემ სწორი არჩევანი გააკეთებინა, რომელთაც რეზო დღესაც ემადლიერება. ასევე მადლიერებით იხსენებს მეგობრებს ინსტიტუტიდან, ბატონ ალექსანდრე ჩავლეიშვილს, მწერალ ნოდარ ძირკვაძეს, შემდეგ „ლიტერ-

ატურული აჭარის” რედაქტორს, ნანა გვარიშვილს, „საბჭოთა აჭარის” ერთ ერთი განყოფილების გამგეს. არაერთ მუშაკს იხსენებს გულთბილად და სინანულით, რადგან იმ ქვეყნის მკვიდრი არიან უკვე ბევრი მათგანი.

ბატ. რეზო ძალიან მოკრძალებულია, ასევე უპრეტენზიო პოეტიც. იგი არსოდეს არავის შეხვეწნია თავისი ნაღვაწის გამოქვეყნებაზე. იგი, უფრო სწორად აღმოაჩინეს. აღმოჩენნი კი იმდროინდელი ავტორიტეტები იყვნენ, პატრიოტები და ნიჭიერების ნაღდი შემფასებლები. ერთერთი ასეთი აღმოჩენი, თავად რეზოცაა. მან აღმოაჩინა და ბიძგი მისცა პოეტ სანდრო ბერიძეს. სანდროს მიმართ გამოჩენილი სიყვარულნარევი ღიმილის თანაავტორი რეზოცაა – მოძღვარი დამოძღვრილისგან მუდამ დალოცვილია.

ვეთანხმები ბატონ რეზოს: ბრწყინვალე ადამიანების გვერდით კაცი კი არ მსუბუქდება, უფრო მიიმდება შემოქმედის ტვირთით, კაცობის ტვირთითაც... ნამდვილად – დიდ ადამიანთა შორის ყოფნა მართლაც ძნელია, საამაყოც, თუმცა ვერაფერი შედავათია შემოქმედისთვის, გარდა იმისა კეთილად მოიგონო...

ბატონი რეზო უადრესად კეთილმეზობლურია, სტუმართმოყვარე, პურ და სიტყვა მადლიანი, მუდამ მდიმარი და იუმორიანი. მისი ჯილდოა მშობელი ხალხის წინაშე პატივისცემისა და სიყვარულის მოპოვება, რაც აისრულა კიდევც.

ბევრი სიტყვები პირმოთნეობაში რომ არ ჩამეთვალოს, ერთი სიტყვით ვიტყვი – იგი კაცური კაცია, ისეთი იღია რომ იტყოდა და ისეთი, ქვეყანას რომ სჭირდება. აი- იათი ნასაზრდოები კაცი რომ გათელილ ბალახზე ლექსს დაწერს, იმაზე კარგს ვინ რას დაუტოვებს პოეზიას, თორემ ქალი და დედა, ყველას კალმის წვერზე უზის. წიქარების მიერ ამობრუნებულ ბელტებზე რომ ლექსს დაწერს კაცი, ამაზე კარგს რას დაუტოვებს მომავალ თაობას, ქვეყნად მოვლენილი კაცი.

ჰოდა, მიდის და მიიკეცავს ცხოვრების წლებს, ლექსებს და მუზებს ხედნის ბატონი რეზო მერმისისკენ.

იგი კარგ პოეტად, პედაგოგად და კაცურკაცად შერჩება წუთისოფელს.

ღმერთმა ქნას

## „ქსახელო მისია“

### თეზიკე თინა იაშას ასული



1977 წლის 5 თებერვალს მემედ თებიძის ოჯახს მოეკლინა შვილიშვილი, თინიკო.

1984-1994 წლებში თინა თებიძე სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1994-1998 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის ინდუსტრიულ პედაგოგიურ ინსტიტუტში სახალხო მეურნეობის დარგების ეკონომიკა და დაგეგმვა, ეკონომისტის ფაკულტეტის დაუსწრებელ

განყოფილებაზე.

1995 წელს მუშაობას იწყებს პირველი მაისის თემის საკრებულოს მოლარე-მოანგარიშედ.

2006 წლის მარტში გადავიდა სამუშაოდ პირველი მაისის თემის საკრებულოს მიწათმომწვობად.

2006 წლის ნოემბრიდან არჩეულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ.

2010 წლიდან არჩეულია პირველი მაისის საკრებულოს თავმჯდომარედ.

აღსანიშნავია ის, რომ პირველი მაისის სამი სოფლიდან, რომელთაც უმაღლესდამთავრებულები ნამდვილად არ აკლიათ, თემსაბჭოს და შემდეგში საკრებულოდ წოდებულ დაწესებულებას მხოლოდ სოფელ პირველი მაისიდან ჰყავდა ქალი თავმჯდომარე. პირველად 1970-იან წლებში, ნათელა ისმაილის ასული სამნიძე და მეორედ 2010 წელს.

2012 წელს თინა გადადის ქედის მუნიციპალიტეტში – ს.ს.ი.პ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს. ქედის განყოფილების უფროსად.

### **„ვახე-ეკიანი შექ ჩხიციები“**

#### **ლორთქიფანიძე სელმან ყაღირის ძე**



სელმან ლორთქიფანიძე დაიბადა 1896 წელს ქ. ბათუმში, საღორეთელ ყეღირ ხასანის ძე ლორთქიფანიძის ოჯახში.

სწავლა-განათლებას ეზიარა ქ. ბათუმის №1 სკოლაში, შემდეგში უკვე ცნობილი პიროვნებების ერთად.

უმაღლესი განათლება სხვადასხვა ადგილას მიუღია, რის შესახებაც ზუსტი ინფორმაცია არ გავიანია, მაგრამ ვიცით ის, რომ მას ინტელექტი გააჩნდა მაღალ დონეზე და სწორედ ამან მოუპოვა

ხალხის გულში ის გზა, რაც მან გაიარა.

სელმან ლორთქიფანიძე მემედ აბაშიძის, ჰაიდარ აბაშიძის, კადირ შერვაშიძის, რეჯებ ნიუარაძის და სხვათა, თანამებრძოლი პროგრესული პიროვნება და შორსმჭვრეტელი პატრიოტია. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა რთულ გეოპოლიტიკურ და

დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. მის თვალწინ ჩაიარა ინტერვენტოა ექსპანსიამ, ოსმალურმა რთულმა და მძიმე რეჟიმმა, თვითმპყრობელურმა რუსულმა პოლიტიკამ, ოქტომბრის რევოლუციამ, მენშევიკური მთავრობის დროებითმა პარპაშმა, საქართველოს პირველი დამოუკიდებელი მთავრობის მოღვაწეობამ და ბოლოს ბოლშევიკთა ზეიმმა.

1921 წელს ნიშნავენ აჭარის განათლების სახალხო კომისრად. ვინაიდან მის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია არ გაგვაჩნია, მოპოვებული მცირე ინფორმაციით ვეცდებით რამდენიმე შტრიხი მივუმატო ბიოგრაფიულ მონაცემებს.

ბათუმში 1888 წლის დასაწყისში ჩატარდა თვითმმართველობის არჩევნები. აირჩიეს ქალაქის საკრებულო (დუმა).

ცოტა მოგვიანებით, არჩევნების წესით დაინიშნა ქალაქის თავი (დღეს მერი) ფოთის ყოფილი ქალაქისთავი – ლუკა ასათიანი.

დუმისა და ქალაქისთავის ერთსულოვნებით წევრად მიიღეს საღორეთელი – ყედირ ხასანის ძე ლორთქიფანიძე, რომლის მოღვაწეობის შესახებ ცალკე წიგნი შეიძლება დაიწეროს, რაც ჩემს უნარს აღემატება. აქ მხოლოდ იმიტომ მოვიტანე ეს ცნობა, რომ საფიქრებელია, სწორედ ყედირის მოღვაწეობამ განაპირობა სელმანის აღზევებაც.

სელმანმა განათლების პოსტზე დაჰყო 1933 წლამდე და მშობელ ხალხს მიზანმიმართულად და კეთილსინდისიერად ემსახურა.

ამ 12 წლის განმავლობაში იგი სხვადასხვა ადგილას გადაჰყავდათ სამუშაოდ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მიეხედა აჭარელთა განათლების საქმისათვის.

1921 წელს მისი უშუალო მითითებით, საღორეთის მკვიდრის, მემედ დიასამიძისა და სხვათა თხოვნით საღორეთში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, თუმცა მიზეზთა გამო სკოლის არსებობა 1924 წლიდანაა დაფიქსირებული. ძირეული ინფორმაცია კი არქივში ვერ მოვიპოვეთ.

1930-იან წლებში დაისვა საკითხი საღორეთში არასრული საშუალო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, რაც სისრულეში მოიყვანეს.

1933 წელს ს. ლორთქიფანიძის წინადადებით საღორეთს „წითელი აჭარის“ სახელწოდება მიანიჭეს.

1931 წლიდან სელმანი არჩიეს ბათუმის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ. შემდეგ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანია.

1937 წლის 25-28 აპრილს, ქედის რაინის პარტიულმა კონფერენციამ ქედის რაიკომის მდივნად ერთსულოვნად აირჩია სელმან ლორთქიფანიძე, მაგრამ საუბედუროდ მშობლიურ რაიონში მისი მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1937 წლის ბოლოს შეთითხნილი ბრალდებით რეპრესიების მსხვერპლი შეიქმნა.

ბატონმა სელმანმა სამი მცირეწლოვანი ქალიშვილი დატოვა – ნადია, ნუნუ და ლილი. ნადია რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია. 45 წელი ბაგა-ბაღის გამგედ იმუშავა. ნუნუ რამდენიმე ათეულწლიანი სტაჟით მათემატიკის პედაგოგია.

შვილიშვილები დასაქმებული არიან სხვადასხვა სფეროში, უმაღლესი განათლებით. ისინი ნამდვილად ამაყობენ მამითა და ბაბუით, კეთილად იხსენიებენ, მაგრამ იმ ტკივილს, რომელიც 37 წლის რეპრესიებმა მოუტანა, კვალი დაუმჩნევია ყველა-სათვის – ნოსტალგია იგრძნობა შთამომავლების ბუნებაში.

არა მარტო ბატონ სელმანს, ლორთქიფანიძეთა მთლიან მოდგმას სიყვარულით და პატივისცემით იხსენიებენ საღორეთელი მცხოვრებლები. მათ წარუშლელი კვალი დატოვეს სოფელში – დღესაც მოთქრიალებს მათი თაოსნობით და სოფლის ახალგაზრდების ერთსულოვანი შრომის შედეგად სარწყავი არხით გამოყვანილი „ჭანჭახადის“ წყალი. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში სხვა მაგისტრალითაც შემოდის წყალი, ამ საშვილიშვილოდ გააკეთებულ არხს,

ლორთქიფანიძეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად არასოდეს მოშლიან.

ასევე არ მოშლოდეთ ურთიერთ პატივისცემა და ურთიერთსიყვარული.

პატარა ცნობა: ყედირის დედა იყო აბაშიძეთა საგვარეულოდან. ალბათ ამანაც იქონია დიდი როლი ლორთქიფანიძეთა დაწინაურებაში. ყედირი როგორც ვიცით ქალაქის საკრებულოს წევრად მიიიღეს. შემდეგში კი დეპუტატი გახდა და მეჯლისის წევრიც. სელმანის ძმა მემედი პირველი აჭარელი ინჟინერი იყო. მას მოსკოვის სამხედრო აკადემია ქონდა დამთავრებული. როგორც სელმანის ძმა, რეპრესიებს გადაურჩა...

### **„მამულისთვის თავდაებული“**

#### **ლორთქიფანიძე ხასან ისმაილის ძე**



ხასან ლორთქიფანიძე დაიბადა 1888 წელს. იგი საღორეთში მერისიდან მოწვეული სწავლული ხოჯის – ხასან მუფთიზადე ლორთქიფანიძის შვილიშვილია. მამა ისმაილიც ნასწავლი პიროვნება იყო. აჭარაში ვითარების მიხედვით იყენებდნენ მის განათლებულობას. ვიცით რომ მთავრობები აფასებდნენ ღირსეულად.

როცა 1878 წელს საქართველოს ნაწილი „აჭარა“ იმიერსაქართველოთი საქართველოს დაუბრუნდა, ბრესტ-ლიტოვსკის 1919 წლის ხელშეკრულებით კი კვლავ ოსმალეთს დაუბრუნდა. სიხარულით თუ სხვა მოსახრებით, შერიფ ფაშის შვილი, თემურ ფაშა ხიმშიაშვილი 18 წევრის თანხლებით, სულთან ვაჰდეთინს ეწვია დელეგაციური მისი-



ით. გახარებულმა სულთანმა საჩუქრები ჩამოარიგა: თემურ ფაშა – პრივილეგიის ვერცხლის მედლით, დანარჩენები რომელთა სადურობა ასეა ჩამოთვლილი – ბათუმელები, არტანუჯის, ოლთისელი, ართვინელი, სარფელი, ყარსელი, კალიზმანელი, და (საღორეთელი) ისმაილ მუფტიზადე (ლორთქიფანიძე) მეჯიდის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. („ოსმალეთის ქართველები“. გვ. 175). ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ ისმაილი ათათურქმაც დააჯილდოვა. რამდენად მართალია ეს ცნობა, არავინ იცის. ხოლო 1920-იანი წლების შემდეგ ისმაილი ბათუმის პორტის საბაჟოს უფროსია. სხვა ისმაილ მუფთიზადე ფიზიკურად არ არსებობდა.

იქმნება ასეთი მოსაზრება, რომ არ დაეკარგათ ოსმალეთის კეთილგანწყობა, რაღაცნაირად ახერხებდნენ ურთიერთობას, მაგრამ თარიღები მაინც ეჭვს იწვევს. (ამას ალბათ ისტორიკოსები გაარკვევენ).

ხასან ლორთქიფანიძე ქ. ბათუმის №1 სკოლის სრულკურსს ამთავრებს და ორი აჭარელის – რეჯებ ნიჟარაძის და კადირ (ყედირ) შერვაშიძის ერთად მიემგზავრება რუსეთისკენ, კერძოდ ქალაქ ტარტუს უნივერსიტეტში ირიცხებიან.

უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ ხასანი ბრუნდება საქართველოში, მშობლიურ აჭარაში და შემდგომ აბაშიძის მხარდამხარ იბრძვის აჭარის კეთილდღეობისათვის.

1918 წლის 15 მაისს ხასანს ირჩევენ „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის“ წევრად, ხოლო 1919 წლის 31 აგვისტოს მეჯლისის წევრად.

1921 წლის სექტემბერში ხასანს ირჩევენ აჭარაში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – გაერთიანებული რევეკომის თავმჯდომარედ.

(უნდა აღინიშნოს რომ ხასანის დედა იყო ხუსეინ ალა შალიკაშვილის ქალიშვილი, ნასწაველი და სწორედ მან შეაყვარა ხასანს სწავლა-განათლება).

ხასანს მალე ირჩევენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი საკონსულტაციო კომისიის თავმჯდომარედ.

აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისთვის აქტიური მებრძოლი ხასან ლორთქიფანიძე მემედ-ბეგ აბაშიძის გვერდით იხსენიება ყოველთვის. მას აჭარისთვის და სახალხო საქმისთვის არასოდეს უღალატია და ისტორიაში ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის არაერთი ფურცელი ჩასწერა. მუდამ იბრძოდა აჭარის კეთილდღეობისათვის, მაგრამ ბოლოს შეთითხნილი ბრალდებით 1937 წელს სხვა პატრიოტებთან ერთად გააცემიბირეს.

მისი ხსოვნა დღესაც ცოცხლობს პროგრესულად მოაზროვნე შთამომავლებისა და პირველმაისელების გულში. მისი თანამებრძოლები და ახლობლები თავიანთი სიწმინდითა და ერთგულებით, ქველმოქმედებითა და თავგადაკლული პატრიოტობით მუდამ დარჩებიან მშობელი ხალხის ხსოვნაში.

ისტორია არაფერს ივიწყებს, არაფერს კარგავს. ამდენად ეს მცირე ბიოგრაფიული მონაცემები თუმცა ვერ პასუხობს იმ სიდიადეს, რომელიც ხასანს გააჩნდა, მაგრამ ვიმედოვნებ, მომავალი თაობა უფრო ღრმად ჩაწვდება და ღირსეულად შეაფასებს ხასანისა და სხვათა მოღვაწეობას.

ბატონ ხასანის სიდიადეზე, დიდხულოვნებაზე და პატრიოტობაზე მეტყველებს ის ფურცლები, რომლებიც მის პირად არქივში ინახება. მათგან რამდენიმე ფურცელით შევეცდები შევაღამაზო ბიოგრაფიული მონაცემები, რაც ასევე არასრული იქნება, მთელი იმ ცხოვრებისეული მონაკვეთიდან, რაც მან უძღვნა ხალხს, სიყვარულით და სიკეთით, მაგრამ ბოლოს ბოროტებს და ბოროტებას შეეწირა მაინც.

იქნებ ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტი ხომ ჯიუტია – აჭარას ყველა საუკუნეში ჯიჯგვნა, შეურაცხყოფა, დარბევა და აკლება ხვდა წილად.

აჭარას ერთნაირად უტევდნენ და აოხრებდნენ შინაური თუ გარეშე მტრები, ფაშები, ბეგები, მენშევიკები, იმპერიალ-

ისტების მიერ შემოგზავნილი ყველა ჯურის ვიგინდარა, მაგრამ აჭარაში და მთელ საქართველოში ყოველთვის იყვნენ ისეთი პატრიოტები, რომლებიც არავის და არაფერს არ უშინდებოდნენ და ყოველთვის იბრძოდნენ აჭარელთა თვითგამორკვევისა და ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებისათვის, უცხოელთა კლანჭებისგან განთავისუფლებისათვის.

აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისა და მისი აღორძინებისათვის მეტროლ მამულიშვილების რიგში ირიცხებოდა ქედის რაიონის სოფელ საღორეთელი პატრიოტი, იურისტი და სახელმწიფო მოღვაწე ხასან ლორთქიფანიძე.

ხასანი ოჯახმა პატრიოტული სულისკვეთებით აღზარდა და სწორედ ასეთმა აღზრდამ მოუპოვა მშობელ ხალხში ის აღიარება, რაც მას ხვდა წილად.

ქ. ტარტუში სწავლამიღებული, უნივერსიტეტდამთავრებული იურისტი სამშობლოში რთულ ვითარებაში დაბრუნდა და აქტიურ რევოლუციონერთა რიგში ჩადგა. იგი იმთავითვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს მთავრობის წევრებთან. მათთან და მათი მითითების შესაბამისად გონივრულად უძღვებოდა იმ საჭირობორტო საქმეებს, რომელიც ხალხს ყოფა-ცხოვრებას გაუუმჯობესებდა და ბედნიერი მომავლისკენ მისცემდა მიმართულებას.

ხასან ლორთქიფანიძის დახასიათებისთვის ისიც საკმარისია, რომ თურქეთისკენ პირმიბრუნებულ, ყელშისულამოსულ მოსახლეობას წინ გადაუდგა და ყველანაირი ხერხის ცდით ხალხს ხელი ააღებინა განზრახვაზე.

ხასან ლორთქიფანიძე ყოველნაირად ეხმარებოდა მოსახლეობას, შუამდგომლობდა მთავრობაში, საქმეებს ხალხის სასარგებლოდ აგვარებდა. ყოველთვის მეკრდით იცავდა მოსახლეობას ათასი ჯურის მაქინატორებსა და იდეოლოგებისაგან, ხალხის აზროვნების ნებისმიერი გამმრუდებლებისაგან. მას მძიმე წლებში მოუხდა მთავრობაში მოღვაწეობა და ცხოვრება.

აჭარაში „მოღვაწეობდნენ” პროგრესული სულით გაჟღენთილი ქართველი „ინტელიგენცია”, რომელიც ყოველგვარ ავანტიურისტულ საქმიანობას უჭერდნენ მხარს და სათავეში ედგნენ ავი საქმის ჩამდენთ.

1921 წლის ივნის-ივლისში 700-ზე მეტი „გამოსწორებუ-ლი” მენშევიკი გამოავლინეს. პატრიოტი აჭარლების ზეწოლით, წნეხის ქვეშ ატარებდნენ ყალბსახიანებს და აძევებდნენ კიდევც.

მოღვაწეობდა რა, სამთავრობო ორგანოებში, ყოველწლიურ ანგარიშს ადგენდა როგორც ხალხის წინაშე მოხსენებისათვის, ისეც პირადი არქივისათვის. სწორედ ამ არქივით ხდება ცნობილი მისი პატრიოტული და უანგარო საქმიანობის ყველა ფრაგმენტი. იგი ყოველთვის ამხელდა ყალბისმქმნელებს, ავანტიურისტებს, გამყიდველებს და ებრძოდა მაღალი ტრიბუნიდანაც.

ოსმალებს დიდი გავლენა ჰქონდათ ბათუმშიც, ზოგიერთი ანტიელემენტების მხარდაჭერასაც გრძნობდნენ და სწორედ მათი მავნებლური ქმედებებით ხასან ლორთქიფანიძეს და ჯემალ ქიქავას, მემედ აბაშიძეს და სულეიმან ბეჟანიძეს, ტრაპიზონის ციხეში ამოაყოფინეს თავი, იქედან კი სხვაგან გადაიყვანეს.

ეს ხდება 1918 წლის ივნისში.

აჭარელმა პატრიოტებმა ყველა ღონე იხმარეს მათ გასათავისუფლებლად.

ხასან ლორთქიფანიძე ხალხმა ქ. ბათუმის აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე დააბრუნა, მაგრამ არ ცხრებოდნენ ავანტიურისტები. ყველა ჯურის ნაძირალა კვლავ ილაშქრებდა პროგრესულად მოაზროვნეებსა და მომუშავეებზე.

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, არეულობის წლებში თანამდებობებზე ასვლა-ჩამოგდება თითქმის ყოველწლიურად და ყოველთვიურადაც ხდებოდა.

ხასან ლორთქიფანიძე ყოველთვის გრძნობდა სულეიმან დიასამიძის, რეჯებ ნიჟარაძის, სერდალ დიასამიძის, ფერათ

ლორთქიფანიძის და სხვა პატრიოტთა მხარდაჭერას და არასოდეს იხევდა უკან.

აჭარის მიტაცების მცდელობა ჰქონდათ როგორც ოსმალებს, ასევე ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის მთავრობებს და თეთრგვარდიელებსაც, მაგრამ 1920 წელს იგი საქართველოს საგამგებლოდ სახეიმოდ დაათმობინეს ყველას.

1921 წელს, 18 მარტს, აჭარაში და მთლიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, მაგრამ სამწუხარო ის იყო რომ მმართველ ორგანოებში ან სულ არ ირჩევდნენ, ან უმნიშვნელო რაოდენობას აჭარელთაგან.

1923 წელს პარტიის საოლქო კომიტეტი წინააღმდეგი წავიდა მთლიანი აჭარის მასშტაბით აღორძინების, ეკონომიკის წამოწევის საქმეში, ხოლო ცნობილი რუსი ჟურნალისტი და ისტორიკოსი ალექსანდრე ფრენკელი პირიქით ფიქრობდა და მართალიც იყო. ხალხს უნდა დაენახა და ხელ-ფეხი გახნოდა უკეთესი მომავლის ავ-კარგიანობისაკენ.

ხასან ლორთქიფანიძე იყო პრინციპული, დიდი ბუნების, უადრესად პატოსანი და საქართველოს უერთგულესი შვილი.

1921 წლის 16 ივლისს, თბილისში დელეგაცია გაიგზავნა ხასან ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. იგი პირადად ესაუბრა ამხანაგ სტალინს და ბათუმის დედაქალაქად გამოცხადებაზე დაითანხმა კიდევ, რის შესახებაც გამოიცა დეკრეტი. (დედანი მის არქივში ინახება).

აჭარის რეკომისის შემადგენლობაში შევიდნენ: ხასან ლორთქიფანიძე, ზია ხარაზი, მემედ კონცელიძე, ჯემალ ფაღავა, ზექერია ლორთქიფანიძე და ხასან ბერიძე. რეკომისის თავმჯდომარედ დასახელდა ხასან ლორთქიფანიძე.

1923 წელს აჭარის საბჭოების III ყრილობაზე დადგინდა, რომ აჭარის ხელმძღვანელი ორგანოა მეჯლისი.

1923 წლიდან ხასან ლორთქიფანიძე აქტიურად მონაწილეობდა „აწჰკის“-ს მშენებლობის დაწყების საქმეში, აჭარელ

ქალთა სასწავლებლის გახსნაში, ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების დაარსებაში. საერთო სახალხო საქმეების კეთებით იმდენად იყო გატაცებული, კუთხის ბედობადი ისე აინტერესებდა, რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში ყოველ მიზეზგარეშე მონაწილეობდა.

წლების განმავლობაში იგი სხვადასხვა თანამდებობებზეა, აკეთებს მოხსენებებს, ეხება აჭარის ეკონომიკურად გაძლიერების ყოველგვარ საკითხს, თვითონ ფიზიკურად ბევრს მოღვაწეობს. ერთდროულად აგიტატორის როლსაც ითვისებს, ხალხს უხსნის რომ ახალი ცხოვრების პირობებში ახლებურად უნდა აზროვნებდნენ. ესწრება ყველა ყრილობას და მუშათა თუ გლეხთა კრებებს. ამხელს ნაკლოვანებებს, წასახალისებელს ახალისებს, შესაბამის ორგანოებში წარუდგენს ანგარიშებს და თხოვს მთავრობას, აჭარელი ხალხის გაძლიერებისთვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას.

შოვინისტები არ ცხრებოდნენ და ნაციონალურ-უკლონისტების წინააღმდეგ შეუდრეკელ მებრძოლს, პარტიისა და ხალხის საქმისათვის თავდადებულ პატრიოტს, მრავალმხვრივი მოღვაწის ნიჭის გაფურჩქვნის ასაკში – 49 წლისას უდანაშაულოდ აპატიმრებენ.

1937 წელში მას და მის ბიძაშვილ სელმანს დახვრეტა მიუსაჯეს. 1950 წლის 30 მაისის დადგენილებით კი ისინი რეაბილიტირებული იქნენ.

ჭაობი თუ ზღვა ხშირად საუკეთესო მოცურავესაც ღუპავს, სწორედ ასე დაემართათ გულმხურვალე აჭარელ პატრიოტებსაც.

უთქმელობა არ იქნება. დაპატიმრებულთა, დახვრეტილთა და გადასახლებულთა ცოდვაში ადგილობრივ მესვეურებს ლომის წილი უდევთ-ვინც თვალში არ მოსდიოდათ, მთავრობას ასპობინებდნენ. შურს კი დიდი სიღრმე გააჩნია...

შთამომავლები არსოდეს ივიწყებენ პრინციპულ, უშიშარ და ნიჭიერ, სახალხო საქმისთვის თავდადებულ და მგზნებარე მამულიშვილების სახელს.

ასეა ხასან ლორთქიფანიძის შემთხვევაშიც – უკვდავყოფენ მის სახელს.

## **„დაემთავიებელი ჩუქხითმის საგალობელი“**

### **ლორთქიფანიძე ზულეიკა ხასანის ასული.**



დაიბადა 1930 წელს ქ. ბათუმში, პირველი აჭარელი უმაღლეს განათლებული ადვოკატის, ტარტუში სწავლადამთავრებული, აჭარის ერთერთი ძლიერი პოლიტიკოსის და საზოგადო მოღვაწის – ხასან ლორთქიფანიძის ოჯახში.

1937-1947 წლებში სწავლობდა ბათუმის ძერჟინსკის სახელობის საშუალო სკოლაში.

1949 წელს ზულეიკა ლორთქიფანიძემ დაამთავრა ბათუმის სამედიცინო ტექნიკუმი, რის შემდეგაც სამი წელი იმუშავა დედის, სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლის – მავი ხიმშიაშვილის სოფელში შემდეგში გადაჰყავთ ხულოს რაიონულ საავადმყოფოში თერაპიული განყოფილების ექიმის თანაშემწედ.

1952-1958 წლებში ზულეიკა სწავლობს ასტრახანის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნლო ფაკულტეტზე, რის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ აგზავნიან მშობლიურ ქედის რაიონში ნევროპათოლოგად.

1959 წელში გადაჰყავთ რესპუბლიკური საავადმყოფოს ნევროლოგიური განყოფილების ორდინატორად.

1960-1971 წლებში ხუთჯერ აიმაღლა კვალიფიკაცია თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის წამყვან ცენტრებში და დახელოვნების ინსტიტუტში, რის შემდეგ, როგორც ერუდირებულ პროფესიონალს მიენიჭა ექიმის პირველი კატეგორია.

1974-1978 წლებში იყო ქალაქ ბათუმის მთავარი სპეციალისტი, ხოლო 1981 წლიდან მთელი 15 წლის განმავლობაში იყო აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ნევროპათოლოგი. მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. (1990 წლის 25 ივლისს, აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით).

1963 წლიდან 1996 წლამდე, მთელი 33 წლის განმავლობაში იყო ქ. ბათუმის მეორე საავადმყოფოს (ბონი) ნევროლოგიური განყოფილების ორდინატორი.

სარეგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით. იყო მაღალი დონის სპეციალისტი, გამოირჩეოდა გარეგნობით, ინტელექტურობით, თავმდაბლობით, კეთილშობილებით. იყო ბათუმისა და მთლიანად აჭარის საზოგადოებისთვის საყვარელი და საამაყო ადამიანი.

(რამაზ სურმანიძე - რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში).

ქალბატონი ზუღეიკა ლორთქიფანიძე ამყოფდა თავისი საღორეთული წარმოშობით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ხშირად შევხვედრივარ, ვიყავი მისი პაციენტიც (1968 წელში) და ყოველთვის, როცა შევხვდებოდი იყო საოცრად გულთბილი. ისე მოგესიყვარულებოდა როგორც სპეტაკი აღმზრდელი თავის მოსწავლეს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ როცა რომელიმე საღორეთელს შეხვდებოდა, სული მაინც ჩვენი სოფლისკენ ეწეოდა, მამა-პაპის ნაფუძარისკენ და ყოველი შემხვედრი მისთვის ყველაზე მეტად მშობლიური იყო, მჯერა ისიც, რომ მაშინ სულის სიმები ერხეოდა და არსოდეს ისეთ სიამაყეს არ გრძნობდა, როგორც ჩვენთან, საღორეთელებთან შეხვედრისას, თითქოს ჩვენი სუნთქავდა და ჩვენი სიხ-



არულით ხარობდა. ეს ბუნებრივია ასეც იქნებოდა მას ხომ ბავშვობის წლები, თავისუფალი დრო საღორეთში, ნათესავებთან აქვს გატარებული, ბავშვობის წლების გახსენება კი დედის ნანინასავით ტკბილია.

როცა მისი პაციენტი ვიყავი და გაიგო რომ საღორეთელი ვიყავი, იმ დამსახურების ექიმს არ დაუმაღლავს და სიამაყითაც მითხრა – მეც საღორეთელი ვარო.

იგი პირველი საღორეთელი ექიმი. მიუხედავად იმისა, ბათუმში იყო დაბადებული, საღორეთელობა ეამაყებოდა და ჩვენ რა უფლება გვაქვს მისი ხსოვნა წავშალოთ. არასოდეს წაიშლება მასზე მოგონებები კეთილშობილი ადამიანების გულში.

ასეთი მაღალბუნებოვანი ქართველი მამულიშვილი, დამსახურებული ექიმი და შესანიშნავი ადამიანი 78 წლის ასაკში გამოეთხოვა წუთისოფელს.

მადლი მის ნაღვაწარს...

### პიხველმაისელი გენჯალი

#### ლორთქიფანიძე ვიქტორ მიხეილის ძე



ოსმალეთის ქალაქ ტრაპიზონიდან ქედის რაიონის სოფელ მერისში გადმობარგებული ხასან-ეფენდი ლორთქიფანიძე, სტამბოლში ნასწავლი უმაღლესი სასულიერო პირი იყო.

მერისში იგი მეუღლითა და ხუთი ქალიშვილით გადმოვიდა. მალე სოფელ საღორეთში მოიწვიეს ხოჯად. მისი საგვარეულოს მოკლე ისტორია მოთავსებულია წიგნში „ანარეკლები წარსულიდან“ რომელიც 2000 წელს დაიბეჭდა, მაგრამ იქ

ყველაფერი არ მაქვს მოთხრობილი და ვეცდები სხვადასხვა დროს შევეხო მათ ცხოვრებას და საქმიანობას. ისე კი, სიმაღლეთლე უნდა ითქვას – ხასან ეფენდის შთამომავლების ისტორია მცირე ფორმატის წიგნში ნამდვილად არ მოთავსდება. დაველოდოთ, ვინმე იტვირთებს ამ საქმეს.

ხასან-ეფენდის შთამომავლები საღორეთში შეძლებულად ცხოვრობდნენ, თუ შეიძლება ეს ითქვას სოფლის პირობებში მცხოვრებზე. მათ სახელზე ბევრ სასიკეთო ნამოღვაწარს ინახავს ხალხის ხსოვნა.

დიდხანს ცხოვრობდნენ სოფლად და როცა გასული საუკუნის ოციანი წლებიდან საქართველოც განვითარების ახალ საფეხურზე შედგა, ლორთქიფანიძეების გვარის ახალგაზრდებმა უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურეს.

იმ დროისათვის აჭარაში 3 უმაღლეს დამთავრებულიდან ერთი უკვე ლორთქიფანიძე იყო. (ყადირ შერვაშიძე, რეჯეპ ნიჟარაძე და ხასან ლორთქიფანიძე). შთამომავლებში პარტიულმა ფუნქციონერებმა იმრავლა.

ერთერთი მათგანია პირველი საღორეთელი პარლამენტარი ვიქტორ მემედის ძე ლორთქიფანიძე. მან გრძელი და ძნელი გზა განვლო რიგითი ადამიანიდან გენერალ-ლეიტენანტის წოდების მინიჭების ჩათვლით.

ვიქტორი (ბიჭიკო) დაიბადა ქ. ბათუმში, მაგრამ თავისი წინამორბედებივით სოფლისთვის არასოდეს უღალატნია.

ხშირად ამოდიოდა სოფელში, წმინდანი წინაპრების საფლავებს მოინახულებდა, სოფლელებს მოესიყვარულებოდა, ძველი ამბების მოგონებით თავს გაირთობდნენ, ცოტას წაიპურმარილებდნენ და.. ასეთ სილამაზეში იღვევა სტუმარ-მასპინძლური დრო და საათები...

ბატონი ვიქტორი დიდხანს მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე და რომ იტყვიან – ადამიანობის ეტალონი იყო, მასზე ითქმის ნამდვილად. არასოდეს ამოვარდნილა ყალი-

ბიდან, მიუხედავად იმისა, ყოველთვის ეჭვით უცქეროდნენ რეპრესირებულთა (ხასანის და სელმანის) გამო, მაგრამ ვინც იცის ისინი – აკაცობის ჟინით დახვრეტილები, შეთითხნილ ბრალდებებს შეეწირნენ.

არ სწვალობდათ ბედი მაშინ, იმ არეულ დროში აჭარელ განათლებულებს, სამსახურში, მთავრობაში დაწინაურებულებს და ვინაიდან აჭარაში ფანატოზში ფესვმაგარი იყო, განუკითხაობაც პიკს აღწევდა.

განა მარტო ესენი? სხვებიც – ათასები და ათიათასები!..

ამ განუკითხაობამ აჭარას იმიჯიც დაუკარგა – დაბეზავებულ ხალხს თვითგამორკვევისა თუ მშვიდობიანი ცხოვრების საშუალებას არ აძლევდნენ. ღორთქიფანიძეების წარმომადგენლები შევიწროებას ნამდვილად განიცდიდნენ. ამ ეპიზოდებს იხსენებს ბატონი ვიქტორი.

სადაც კი მოხვდით სამსახურში, ეჭვიანად, ცალი თვალით მიცქერდნენ, მაგრამ ჩემმა კეთილსინდისიერებამ მიხსნა და კიდევ მთავრობაში მოხვედრილმა, სინდის-ნამუსისა და პარტიული ძლიერების მქონე პიროვნებებმა. ისეთი დრო იყო ჩემი მოღვაწეობისას, ძალიან სიფრთხილე იყო საჭირო. ამგვარად გავედი ფართო გზაზე. ანუ... აღარ დაამთავრა სათქმელი, ფანჯარაში გაიხედა და წინაპრების განვლილ გზას გადაწვდა გონებით, რომელ გზაზედაც ძალიან მძიმედ და კეთილსინდისიერად ვიდოდნენ, მაგრამ უხეშობისა და უხერხულობის, მავნე ძალების მსხვერპლი ხდებოდნენ.

ძნელი და მძიმე იყო მართლაც მათ მიერ განვლილი გზები. ახალი ცხოვრება, განუკითხაობა, ომის წლები, ეჭვიანი დამოკიდებულება, უქურადღებობა და უგულისყურობა, შიმშილი და გაჭირვება, რეპრესიები და დევნა... რა არ განიცადეს მათ, ვიდრე ნორმალური ვითარება შეიქმნებოდა... თუმცა, განა ნორმალური ეთქმის დროს, როცა იცი რომ გვარში რეპრესირებულები გყავს, გულის რაღაც გაკლია, ტკივილი

ლოდივით გაწევს?! ესენი ჩამოსათვლელადაა იოლი, თორემ ყველაფერს შავი აჩრდილი დასდევს, სიკვდილის აჩრდილი...

ნამდვილად მტკივნეულია, როცა ისეთ ადამიანებს, როგორც იყვნენ ხასან და სელმან ლორთქიფანიძეები, უჭკვიანესი პიროვნებები, რაღაც მიზეზით მგონილი თუ შეთითხნილი ბრალდებებით გვარს და კუთხეს მოწყვეტ, ან სულაც უარესი – დახვრეტ?!

სიცოცხლე გრძელდება, მაგრამ ამისთანა შავი ლაქა მესხიერებაშიც ილექება და სულშიც, ლაქა რომელიც არა არაკაცობის, არამედ კაიკაცობის სანაცვლოდ მიაკერეს მედროვეებმა დიდებულ გვარს.

საქართველოში პრეზიდენტობის ხანა დადგა...

პრეზიდენტ შვეარდნაძის დროს ბატონი ვიქტორი მაღალ თანამდებობაზე მოხვდა – დაინიშნა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის უფროსად და პირადად შვეარდნაძემ გენერალ ლეიტენანტის წოდებაც მიანიჭა. იგი რამდენიმე წელიწადს უნარიანად და წარმატებით უძღვებოდა დაკისრებულ მოვალეობას, იცოდა ისიც, რომ აჭარიდან მაღალ პოსტზე მოხვედრილებს, დიდხანს მაინც არ სწყალობდნენ (ეს თბილისელთა დაავადებაა!..) და სწორედ ამიტომ სიფრთხილესაც იჩენდა.

საქართველოში წეს-წყობილების სულ სხვა რელსებზე გადასვლამ მოამწიფა ვითარება, ვინც მაღალ პოსტს ფლობდა, უნდა ეზრუნათ საკუთარ თავზე, როგორც იტყვიან ტყავი უნდა გადაერჩინათ, ანუ შესაფერისი სამსახური ეშოვათ.

ბატონ ვიქტორს ეყო გამბედაობა და დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. შემდეგ იგი საბიუჯეტო-საფინანსო დარგში მოღვაწეობდა. პარალელურად ამავე დარგში ლექციებს კითხულობდა, სხვადასხვა ინსტიტუტებში და სასწავლებლებში. აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და წიგნები.

ბატონი ვიქტორი მძიმე და ძნელი გზების გავლის შემდეგ, ნერვიულობის ნიადაგზე, რომელიც მის ცხოვრებაში საძე-

ბარი ნამდვილად არ იყო, პარკინსონის დაავადებით დას-  
ნეულდა და ხან ბათუმშია და ისვენებს, ხან თბილისშია და  
მკურნალობს.

როგორც ყველა აჭარელი პატრიოტი, ვიქტორიც ნაღდი  
ბათუმელია და შინ ყოფნა უფრო ურჩევნია, ვიდრე სხვათა და  
სხვათა ჭკუის დაღაგებისთვის ბრძოლა, ამიტომაც დამსახ-  
ურებულ პენსიაზე გავიდა და სუფთა შუბლით და სინდისით  
ხვდება სიბერეს.

ორი შვილით ამაცობს ბატონი ვიქტორი. ამ მხრივ სიამაყე  
მის არისტოკრატი მეუღლეს უფრო ემჩნევა – ღალი იერით  
ხვდება სტუმარს და ღირსეულად უმასპინძლდება... აი, როცა  
ასეთი მანერების ადამიანებთან მოხვდები, თავადაც სიამაყე  
დაგეუფლება.

ქალიშვილი, დოლიძეების საამაყო რძალი, ოფთალმოლოგია  
და პაციენტები არასოდეს აკლია, არც მადლიერი ხალხი კიდევ.  
ვაჟიშვილი კი მოსკოვში მოღვაწეობს.

ბატონი ვიქტორი თითქოსდა მხიარული მოსაუბრეა, მა-  
გრამ წარსულის სიმძიმეს დაღი მაინც დაუსვამს – ჩაფიქრე-  
ბულია მუდამ და ცივი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს...  
მაგრამ სულაც არაა ასე... იგი ნაღდი, ხალისიანი, ავტორი-  
ტეტნიანი და შუბლნათელი ადამიანია... ასეთი ადამიანები კი  
ცხოვრებაში ღამაზ კვალს ტოვებენ. თავისთავად სილამაზეა,  
ღორთქიფანიძის გვარს ატარებდნენ და ხალხსაც უყვარდნენ.

აქვე უნდა გავიხსენო ვიქტორის ბიძაშვილები – ბატონი  
ხასან ღორთქიფანიძის შვილები – ზულეიკა და რასიმი.

რომ არა არეული დრო და ვითარება, მედიცინის დამსახ-  
ურებული მუშაკი, ავტორიტეტნიანი და ხალხის ნდობით და  
სიყვარულით აღჭურვილი ექიმი ქალი – ზულეიკა და ტექნი-  
კურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერი რასიმი, უდავოდ იმ-  
სახურებდნენ შესაბამისი სამსახურის მინისტრის სავარძელს,  
თუმცა მათ კარიერისთვის არ უბრძოლიათ და ის სახელიც

იკმარეს, რაც დატოვეს – ისინი ხალხს უყვარდა და არ დაივიწყებენ.

ხალხის სიყვარული არსოდეს დაგკარგოდეთ ბატონო ვიქტორ, მთელი ცხოვრების მანძილზე – თქვენ ხომ დიდი ისტორიული წარსულის მქონე სოფელ საღორეთში გაქვთ უჭკნობი ფესვები. ღირსეული წინაპრების ღირსეული წარსულით, ადამიანობისა და კეთილსინდისიერების ძარღვით ხართ ნასაზრდოები!..

დიდხანს სიცოცხლე ბატონო გენერალო!..

**„თუ კაცი გონიერია“**

**ლორთქიფანიძე თეიმურაზ მიხეილის ძე**



დაიბადა ქ. ბათუმში 1946 წელს.

1953-1964 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის მეცხრე საშუალო სკოლაში.

1964-1970 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მიდის მწვანე კონცხზე განთავსებულ სანატორიუმ „ჭარის“ ექიმ-თერაპევტად. სწავლისა და პროფესიისადმი ზედმიწევნით ინტერესმა, კვლავ სასწავლებლად უბიძგა. კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე

დაუფლები დაუოკებელმა წყურვილმა 1970- წელსვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის კარები შეადებინა, სადაც ჩაერიცხა ასპირანტად. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ამავე ინსტიტუტში ჯერ

უფროსი და ბოლოს წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის რანგ-ში განაგრძობდა მუშაობას და კვლევას.

1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

მორფოლოგიის ინსტიტუტის პარალელურად მოღვაწეობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

1991-1993 წლებში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრის ასისტენტი.

1993 წლიდან ინიშნება საქართველოს ჯანდაცვის ნაციონალური ცენტრის საოჯახო მედიცინის ამბულატორიის ხელმძღვანელად.

საოჯახო მედიცინის ეროვნულ ცენტრთან შეერთებულ ამბულატორიის ხელმძღვანელად, ამავე ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე ინიშნება. პარალელურად თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში შინაგან სნეულებათა ფაკულტეტის კათედრის გამგის მოადგილეა.

ამჟამად ნაყოფიერ მოღვაწეობას განაგრძობს სხვადასხვა ინსტიტუტებში. არის საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი.

ბატონი თემურის ნაყოფიერი მუშაობა მთავრობის მიერ წახალისებითა და ჯილდოებით აღინიშნა – მრავალი სიგელი და მედალი ინახება მის ავტორიტეტზე.

აჭარიდან დედაქალაქში მოხვედრილი მეცნიერი ადამიანი აჭარის სიდიადეს არ ღალატობს. თავისი ბათუმელობით მრავალ მეცნიერთა შორის გამოირჩევა თავისი უშუალოდ, კეთილი ბუნებით, სტუმართმოყვარეობითა და იმ ადამიანობით რომელიც დიდებულმა წინაპრებმა დაანათლეს ღირსეულ მამულიშვილს. მისი სახელ-დიდება წინაპართა ნაკვალევს წარუშლელის იმიჯს უქმნის და ერთხელ კიდევ ადიდებას იმ ფესვებს, საიდანაც სახელოვანი წინაპრები ამოიზარდნენ.

მათი ნააკვნევ-ნაბუდარი, დიდებული სოფელი პირველი მაისია (საღორეთი). თუმცა ხშირად ვერა, მგრამ მაინც სტუმრობენ, ეფერებიან იმ ბუნებას, რომელსაც მისი წინაპრები ეფერებოდნენ და ახლა მათ ფუძეზე დამკვიდრებული ადამიანები ეფერებიან.

არიან სოფელში თუ სხვაგან, არიან ბათუმში თუ თბილისში. არასოდეს ავიწყდებათ, რომ მათი სახელ-დიდება, მთელი კუთხისა და საღორეთელთა სიამაყეცაა.

ნურასოდეს დაგნატრობდეს ბატონო თემურ მამა-პაპური კუთხის მადლი და ხიბლი.

დიდხანს გეცხლოთ და სახელოვანი დედის, განთქმული გინეკოლოგის სუსანა შერვაშიძის მადლი წაგყოლოდეთ, სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

**P.S.** როცა მის ავტობიოგრაფიას ვწერდი, იგი ცოცხალი მეგონა, თუმცა ადამიანს იმდენი სიცოცხლე გააჩნია, რამდენიც ღმერთს მიუცია. სამწუხაროდ 2013 წლის აგვისტოში გარდაიცვალა. ერთი თვით დამაგვიანდა.

როცა თითქოსდა შესახვედრად ჩავედი, კარი მისმა შვილმა გამიღო. თემური მინდა მეტქი და.. აღარ არისო მითხრა. მუხლებში მომეშვა, ცუდად ვიგრძენი თავი და ჩამოჯდომა ვთხოვე. თემური დედამისის განთქმული გინეკოლოგის სუსანა შერვაშიძის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

მაღე მეუღლე დაბრუნდა ქალაქიდან და თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მივუსამძიმრე. ცოტა წავისაუბრეთ და, უცებ შეჩერდა, რადაცნაირი სიამაყით მომხედა, მერე კი დააბოლოვა: – კარგი შვილები დატოვა თემურმა – მითხრა ქალბატონმა ნანა ნოღაიდელმა – გოგო-ბიჭი გვყავს და ორთავე პროფესორები არიანო – დაამატა.

ძალიან მესიამოვნა ამის მოსმენა... აბა ვინ დაძრახავს შვილებს, ქალბატონ ნანას ნათქვამს კი ნაღდი, უეშმაკო სიამაყის ელფერი ეღო და ყველაზე მეტად ეს მესიამოვნა. ეს ქედმაღ-



ლობით არ მოსვლია – ალაღად, გულიდან ამოხეთქილი სინამდვილის გაცხადება იყო!

ბოლო დროს ბატონი თემური მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, გაწვევის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარედ. პროფესორმა მამამ მართლაც სასახელო შვილები დატოვა.

მამუკა – ექიმი რევმატოლოგია, პროფესორი.

ნინო – ექიმი დერმატოლოგია, პროფესორი.

ისინი სახელოვანი მამის და ზულეიკა ლორთქიფანიძის გზას დიახაც შემატებენ სახელ-დიდებას.

მადლი შენს ოჯახს ქალბატონო ნანა, შვილები ამაგს დაგიფასებენ და არა თუ აჭარას, საქართველოს არ შეარცხვენენ. მჯერა ეს! შენი, ცოცხალი ადამიანის ნათელი შუბლი გზას გაუნათებს ორთავეს და ამას თემური ალბათ საიქიოშიც იგრძნობს.

ბედნიერება გაგძლოდეთ წინ, სიწმინდე, სიამაყე და რაც მთავარია ნაღდი მამულიშვილობის მადლი და სიკეთე.

**მელიქიშვილი ნოდარ ტარიელის ძე**



დაიბადა 1955 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბერში.

1962-1972 წლებში სწავლობდა კახაბრის საშუალო სკოლაში.

1973-1984 წლებში სწავლობდა ჩრდილო ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარმატებით.

1973-1974 წლებში მუშაობდა აჭარის საყოფაცხოვრებო მომ-

სახურების სამინისტროს საწარმოში მუშად.

1974-1976 წლებში გადიოდა სამსახურს საბჭოთა არმიის რიგებში.

1977 წელში მუშაობდა ჩრდილო ოსეთის შსს არასაუწყებო დაცვის განყოფილებაში დარაჯად.

1979-1982 წლებში მუშაობს ქ. ბათუმის სახლსაშენ კომბინატში მუშად.

1982 წელში მუშაობს „აჭარკოპკავშირის“ სავაჭრო საბითუმო ბაზაში იურისკონსულტად.

1982-1986 წლებში მუშაობს აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროში უფროს ინსპექტორად.

1986-1987 წლებში საქართველოს გენერალური პროკურატურის ხელგაჩაურის რაიონის პროკურატურის გამომძიებელია.

1987-1991 წლებში ხელგაჩაურის რაიონის პროკურორის თანაშემწეა.

1991-1992 წლებში, ხელგაჩაურის რაიონის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლის პირველი მოადგილეა.

1992-1993 წლებში იგი ინიშნება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო პროკურორად.

1993 წლის 16.03. დან 1993 წლის 30.06-მდე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეა.

1993 წლის 30.06-დან 1993 წლის 3.11 თვემდე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი.

დღემდე მუშაობს მრავალდარგობრივ შ.პ.ს. „ნჩ“-ს გენერალურ დირექტორად.

ბატონი ნოდარი გამოცდილი იურისტი. აქვს მაღალპროფესიონალური ანალიზის უნარი. ყოველგვარ საკითხში

სწრაფად ერკვევა და შეძლია მათი დადებითად გადაწყვეტა. სადაც კი უმოღვაწია, მას დადებითად ახასიათებენ. მასებთან ურთიერთობაში არის განსაკუთრებულად კომუნიკაბელური. ადვილად ამყარებს კავშირს ნებისმიერი სფეროს ნებისმიერ მუშაკთან. აზროვნებს საღად. მისი სჯა-ბაასი დამაჯერებელია.

არ ვიცი როგორ ახერხებს, მარამ ვიცი რომ არასოდეს არაეინ უწყენინებია. ყოველგვარ საკითხს ობიექტურად უდგება და მგონი ამით უფრო აღწევს წარმატებებს. ვისაც შევხვედრივარ, ყველა მის პიროვნულ თვისებებს იწონებს. ერთი შეხედვით ადამიანის ცნობა როგორ შეიძლებაო იტყვიან, მაგრამ ვისაც მასთან წამიერი შეხებაც კი ჰქონია, ამ შეფასებაში ალბათ დამეთანხმება – დალაპარაკება და მისდამი კეთილგანწყობა გეუფლება ადამიანს. ზედმეტ ხოტბასავით არ გამომივიდეს, მაგრამ ვიცი რომ არაფერი დამიწერავს ზედმეტი. ის კი არა და მისი პიროვნულ თვისებებსა და ღირსებაზე სიტყვებიც საძებარია რომ შეაფასო. ყველაზე წინ დგას მისი უბრალოება, უშუალოება საქმისადმი ხალისიანი მიდგომა და ფიზიკური შრომა კარ-მიდამოში, რაც არსოდეს უთაკილია. მთავრობაში დიახაც წონა აქვს სწორედ თავისი ობიექტურობით. ყველა წამოწყებულ საქმეს წარმატებულად აგვირგვინებს. რასაც შეგპირდება, აუცილებლად შეასრულებს. არ უყვარს მატყუარები, საქმისადმი გულგრილად დამოკიდებულები და შემსრულებლები. საერთოდ ვერ იტანს ისეთ ადამიანებს, ვინც ხალხის საზიანო საქმეს აკეთებენ.

**„მან აჯობა ძიხს“**

### **მელიქიშვილი ოსმან ალა**

დაიბადა 1863 წელს ცნობილ ხუსეინ-ალა ჩავლეიშვილის ოჯახში. ხუსეინ-ალა მდიდარი გლეხი იყო. იგი მეცხოველეობის ფერმებს ფლობდა. ვინაიდან მდიდარი იყო ალას ტიტუ-



ლით მოიხსნიებენ. გვარი კი დიდებული ბაბუის – მელეგის (მელეგი – მელიქი – ღვთისნაცვალი) გავლენით გადაიკეთა, რითაც უკვდავო მისი სახელი. გვარის გადაკეთებაში ცუდი არაფერია, პირიქით ფესვებს ამაგრებს – მაინც წინაპრისეულია, შთამომავლობითი.

25 წლის ოსმანი მამას ამოუდგა მხარში და ხელი მიჰყო მეცხოველეობის განვითარებას.

ოსმან-ალა იმ დრისათვის გონებაგახსნილ ადამიანად ითვლებოდა, ჭკვიანი და ბრძენი კაცი იყო – წერდა და კითხულობდა ქართულად, თურქულად და რუსულად, ფლობდა ქართულ და სომხურ ენებს, სასაუბრო აფხაზურს და ბერძნულს.

ოსმან-ალას მეცხოველეობის ფერმა და საცხოვრებელი შენობები მოთავსებული იყო ამჟამინდელი ბათუმის საბაჟო „ადლიის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რვა ჰექტარის ფართობზე – იქვე იყო განთავსებული მეცხენეობის ფერმაც და საგარჯიშო-სავაჭრო ბაზაც.

მეცხენეობის ფერმაში მოთავსებული იყო 500 ცხენზე მეტი. მას ხელშეკრულება ქონდა დადებული რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან და ვაჭრობდა მათთან.

ადლიის სიღრმისკენ, აეროპორტის დასავლეთით კიდევ ერთი სახორცე მეურნეობა გააჩნდა ოსმან-ალას, 600 სულის ოდენობით.

ამ მსხვილ მეურნეს მდინარე ჭოროხმა სოფელ თოფალოღლების ჩათვლით სასიშროება შეუქმნა, ამიტომაც ოსმან

აღამ 1901 წელს ადგილი იცვალა და დასახლდა ეხლანდელი აეროპორტის მიმდებარე, ზღვის მიმართულებით, ვაგზლიდან 800 მეტრის მოშორებით. მოაშენა ციტრუსის ბაღიც. სოფელი თოფალოღლები თანდათან იშლებოდა.

1924 წელს, ოსმან-აღას კომუნისტურმა ხელისუფლებამ ჩამოართვა მამულების რეზერვი (სულ ფლობდა 40-მდე დესეტინას, ანუ 40000 კვადრატულ მეტრს), ხოლო ფერმები აუტანელი გადასახადებით დაბეგრეს. ფერმებმა 1930-იან წლებამდე იარსება.

1935 წელს მეჯინისწელის კოლმეურნეობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ოსმან-აღას ჩამოართვეს უძრავ-მოდრავი ქონება და მხოლოდ სახლთან მისასვლელი გზა დაუტოვეს.

1937 წელში დააპატიმრეს, მაგრამ ბედმა არ გაწირა და უკან დააბრუნეს.

1940 წელს ინსულტით გარდაიცვალა.

1942 წელში, აეროპორტის მშენებლობასთან დაკავშირებით შვილებს სამხედრო ძალის გამოყენებით იმ სამოსახლოდან ადგილი შეაცვლევინეს.

რამ განაპირობა ოსმან-აღას შეტანა წიგნში? იქნებ ვიღაცას დაებადოს ეს კითხვაც... ვცემ პასუხს.

ოსმან აღა-მელიქიშვილი იყო როგორც ძალზე გათვითცნობიერებული, ასევე ბრძენი და გამჭრიახი, სამართლიანი და სწორედ ამის გამოც ძლიერ ავტორიტეტისანი. მასთან მაშინდელი მთავრობის ხალხი დადიოდნენ და რჩევას ეკითხებოდნენ.

არასოდეს დაუღალატიანებია არავინ. იყო „შავი მეჯლისის“ თავკაცი და ამიტომაც აფასებდნენ. სამართალს კი, გაგიხარიათ ნამდვილს ატარებდა. მამაჩემი და ხშირად სხვებიც ქებით მოიხსენიებდნენ. იგი იყო აგრეთვე ჩვენი საგვარეულოს სიძე ბატონი. მეუღლედ ჰყავდა განთქმული თოფების მკეთებელი მამუდ-უსტის შვილი.

ოსმან ადას არაერთი სიკეთე უყვია როგორც სოფლისთვის, ისეც თავისთავად მოყვრებისათვის.

და, რაც მთავარია – შვილები სამართლიანობისათვის დამოძღვრა, არც შვილებს და შვილიშვილებს არასოდეს უღალატნიათ მისი უღვაშებისთვის – ისინი სინდის-ნამუსიან გზას ადგანან, ხალხის სამსახურში იღვწიან.

ეს სურვილი კი ნამდვილად შეუსრულეს ოსმან-ადას.

### **„სინმინდის ეტალონი“**

#### **საამიშვილი შაან (უსტა-შაჰინი)**

მამაჩემის ბაბუა, უსტაშაჰინი (შაჰინ - თეთრი ქორი) ახლვანი აგებულების ზორბა, განიერი მხარ-ბეჭის და რაც მთავარია დიდი ღონის პატრონი ყოფილა, ძალიან ჭკვიანი და ლამაზიო, ზედმიწევნით მორწმუნე, თავისი დროისათვის მუსლიმანურ სარწმუნოებაში ძალიან გათვითცნობიერებული და ჭკუასაკითხავი ადამიანი. ოქრო ვერცხლით და სხვა ფულებით ძალიან მდიდარი.

იგი დაიბადა სოფელ საღორეთში 1798 წელს, საამის შვილის აბდულის ოჯახში.

ბაბუა შაანის ბებია მესხეთელი თამთა დიასამიძე იყო. თვითონ ბაბუა შაანი კი ბებიაშ დააქორწინა და გულებელ დიასამიძეთა ასული ჰევა მოიყვანა რძლად.

ბებია ჰევა (ევა) ძალიან კეთილი, ნაკითხი და სათნოებით დაჯილდოებული ქალი იყო. მისთვის ცხოვრების მსაზღვრელს წარმოადგენდა ყოველგვარი ადამიანური ქცევა. ერთი თვისება კი ჰქონდა ისეთი, რაც რჩეულთა ხვედრია – თუ მეუღლე სახლში დროულად ვერ დაბრუნდებოდა, არ ჭამდა და არც დაიძინებდა კიდევ. როცა მიზეზს შეეკითხებოდნენ, პასუხობდა: მე რა ვიცი სადაა და რა მდგომარეობაში, სანამ არ მოვა რა დამაძინებსო.

ბაბუა შაანი მადლიანი ადამიანი ყოფილა. ახლა ასეთ ადამიანს ქველმოქმედს, მეცენატს და რას აღარ უწოდებენ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ დიდბაბუა უსტაშაჰინმა მართლაც სამადლო საქმე გააკეთა.

სოფლის ბოლოს, ე.წ. „აბრეშუმის გზის“ მოპირკეთება დააწყებინა თანასოფლელებს, ფულს კი ოქროთი უხდიდა. ეს გზა აჭარისწყალს მარჯვენა ნაპირზე ჩაუდის. ვინ იცის, რამდენი ასეულათასი მგზავრი ჩაუტარებია ზღვისკენ თუ პირიქით თავისი არსებობის ისტორიაში. დადიოდნენ მგზავრები, ვინ სურსათ-სანოვაგით, ვინ კიდევ სავაჭროდ. ბილიკი მაინც ბილიკია, ჰოდა გზაწერილს რომ შარა სჯობია, არც ეს იყო მისთვის უცხო და სწორედ ამიტომ დააწყებინა გზის მოპირკეთება. დაახლოებით ოცდაათმეტრიანი მონაკვეთი დღესაც უწევს სამსახურს გამეფლებებს. ვინ იცის სანამდე გასწვდებოდა სახსრები, ალბათ სიკვდილმა აღარ დააცალა გზის გაგრძელება.

უსტაშაჰინი ძალიან თავდაჯერებული ყოფილა.

მეორედ გათხონილი სიმინდი სეტყვამ გაანადგურა თურმე. სოფლელებმა ხელმეორედ დათესეს, შაანმა კი ხალხს შეკითხვაზე პასუხი გასცა: მე ვიშრომე ერთხელ, თუ მოსაცემია ღმერთი მომცემს, თუ არა და არც მშიერს მომკლავსო.

ხელმეორედ ნათესმა სასაქონლე სიმინდი მისცა მცხოვრებლებს, ბაბუას ბაღჩაში კი ერთ ძირზე სამ-სამი ამოიყარა და სიმინდი უხვად მოვიდაო.

ზედმიწვევით მუსლიმანი იყო. პარასკევობით კი „ჯუმაზე“ აუცილებლად მიდიოდა, არასოდეს გამოაკლდებოდა. ჯამე ხომ მისი პირველი ვაჟის (ხასან ბაბუა) დაბადების წელს მისი ინიციატივით აშენდა და სალოცველს აბა როგორ დააკლდებოდა. ერთ დღეს გაღმაუბნელს უთხრა თურმე სალოცავად რატომ არ შემოდიხარო. იუკადრისა თურმე გაღმაუბნელმა და ბაბუას დამბაჩა ესროლა. (ბაბუასივე განაკეთები!) ამ დროს მსროლელი ვიღაცას მოუკლავს. ხოჯამ წესის აუ-

გებლად დაამარხვინა თურმე. (ამ ამბავს სხვაგვარადაც პყვე-  
ბიან. ეს ამბავი ნაღდია მამაჩემის გადმოცემით).

ჯანმაგარი ადამიანი იყო და მალე გამოჯანმრთელდა მა-  
გრამ სიკვდილის ანგელოზმა, მისის თვეში კარებზე მიუკაკუნა.

გარდაიცვალა 1878 წელს. იცოცხლა 80 წელი, მაგრამ ეს  
ოთხმოცი წელი კაცურად გალია და კაცურადაც დალია  
სული ლოცვის ხანს, როცა ჩამუხლულა (სეჯდე), მხრით  
კედელზე მიყრდნობილი, გარდაცვლილი უნახავთ.

განა ასეთი სიკვდილით კვდება ყველა?

ეს ღვთისრჩეულთა ხვედრია. (ასე გარდაიცვალა დედანემიც)  
უსტაშაჰინის შთამომავლობამ ფუტკარივით იმრავლა და  
ყველა თუ არა, უმეტესობა ხალხის სამსახურშია.

ფესვები ნედლია და გახმობა არ უწერია.

იქნებ დაგებადოთ კითხვა, თუ რატომ შევიტანე წიგნში  
დიდბაბუა? გაცემთ პასუხს: იგი იყო ქველმოქმედი და წმინდანი...  
დანარჩენს ღმერთი განსჯის.

### **„მაჩვენით მოპოვებული ძიება“**

#### **საამიშვილი (ღიასამიძე) მამულ - უსტა.**

დაიბადა 1860 წელს, სოფელ საღორეთში.

მამული იყო ახოვანი აგებულების, ღამაზი და ჭკვიანი.  
კარგად გათვითცნობიერებული მუსლიმანურ რელიგიაში. ფლობ-  
და რამდენიმე ხელობას, ძირითადად და განსაკუთრებით კი  
თოფისმკეთებელთა იშვიათი ხელოსნების რიგში ირიცხებოდა.

საღორეთში, ამჟამად ჩემს მფლობელობაში არსებულ კარმი-  
დამოში, კერძოდ კი „ბელლად“ წოდებულ შენობის პირველ  
სართულზე განთავსებული იყო სამჭედლო, ეგრეთ წოდებუ-  
ლი „დემეხანა“. (სწორია – დემირჩი ხანა), დემირჯი (დემირ-  
რკინა) - მჭედელია.



მამუდ უსტა ბაბუა შაანის ხელქვეშ იზრდებოდა მის სიკვდილამდე. თვრამეტი წლის ყმაწვილი უკვე ბაბუას ეჯიბრებოდა ხელოსნობაში.

პატარა სამჭედლო ველარ იტევდა მომუშავეებს და შენობა გააფართოვეს – ასე ვთქვათ – ყებასის ბაღჩისკენ. (ეს სიტყვის მაგალითად მოვიყვანე თანამედროვეთა მისახვედრად, თორემ მამუდუსტისანი იყო ის მიწაც).

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა სამჭედლოში. ძლივს აუდიოდნენ დამკვეთებს. მამუდმა მამისა და ბაბუის მიერ უფრო ზემოთ აგებულ სახლშიც გამართა სამჭედლო. იქ ძმაც წამოეხმარა და გაჩაღდა საღორეთში „მაჭახელების“ სისტემის თოფების წარმოება, რომელსაც რატომღაც „ფილინთას“ ეძახიან. ორთავე სამჭედლო სრული დატვირთვით მუშაობდა. ფუძისეულ სამჭედლოში „უსტა-ასანი“ – ხასან ბაბუა აკეთებდა თოფ-იარაღებს.

მაჭახლის შემდეგ თუ სადმე თოფების მკეთებლებს ახსენებენ, საუკეთესონი საღორეთში იყვნენ. მზადდებოდა ყველა სახეობის იარაღი. სწორედ ეს აქვს აღწერილი ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს – საღორეთში დიდი თუ პატარა იარაღს ატარებდაო.

იმხანად საღორეთში ხოჯიობდა ყირიმლიოღლი – დიასამიძე აბდულ-ეფენდი. ხოჯას ყურადღება მიუქცევია ოსტატისადმი. ეს ხოჯა „ცივასულას“ ტერიტორიაზე ფლობდა ცოლეურების ნამზითევ მიწას. მამუდ უსტისთვის უთქვამს – ცივასულას მიწას დაგიტომობ, გზასთან ახლოს იქნები და მუშტარიც გამოუღვეველი გეყოლებო.

დაუჯერა მამუდმა და ჩაინაცვლა „ცივასულას“. ჩაუდგამს პატარა ქოხი, სამჭედლო და ხანიც გაუკეთებია. (ხანი მგზავრების მოსაცდელი – ღამის გასათევი). ჭანჭახად – აგარის დელეზე წისქვილიც გაუმართავს და ცხოვრობდა და შრომობდა დღენიდაღ.

ჯასიმ დევადის ნაცხოვრები ადგილ-მამული ეკუთვნოდა მამუდ უსტის უფროს ბიძას – ხასან (უსტა-ასანი) საამიოღლის.

მამუდუსტას კი საღორეთში „ისმეილაბაღჩის“ შუა ქვედა ტერიტორია ზემოთნახსენებ ყებასის ბაღჩის შუას ქვემოთა. მამუდმა ბიძამისს უთხრა: ისმეილა ბაღჩის ჩემი ნაკვეთი შენი იყოს და ცივასულას მიწა დამითმე, კოჭლი კაცი ცოდვა ხარ საღორეთიდან აქ რომ დადიხარ და მიწას ამუშავებო. დაყაბულდა ბიძამისი (ჩემი ბაბუა) და გაცვაღეს მიწები.

მამაჩემს არასოდეს განუცხადებია იმ მიწაზე პრეტენზია, ვინაიდან კანონიერად (ნამუსიანად) ჰქონდათ გადაცვლილი.

ოჯახური ტრაგედიის გამო, მამუდუსტა ცივასულას აღარ დააყენეს, (მისმა ძმამ აბღულმა კაცი მოკლა აგარის გზაზე) მიატოვა ყველაფერი და გადაბარგდა ქალაქში.

1924 წლამდე მამული იწერებოდა საამიოღლის.

მამუდის დედის ძმა ბათუმში საწარმოში მუშაობდა. მამუდს შესთავაზა იქ მუშაობა. დათანხმდა მამუდიც – სიბერეში ხელფასს ავიღებო... ბიძამისმა წარმოებაში დაუბარა – ჩემი „იეგანი“ მოვა და სამუშაოზე გააფორმეთო. იეგანი თურქულია და საკუთრივ მხოლოდ ძმისშვილს აღნიშნავს. მივიდა მამუდიც და წარუდგა გამფორმებლებს. იგიც მამუდ დიასამიძედ გაატარეს, როგორც „იეგანი“, მუშაობდა მჭედლად. ხელფასის აღების დროს ეს ცდომილება გამოაშკარავდა, მამუდს უთქვამს, მაგით ხომ კაცობა არ შემეღახებო და ჩაიქნია ხელიო.

ეს ხდება 1924 წელში. დიასამიძედ გატარებული დაიტირეს ამავე წელში.

შთამომავლობის ნაწილმა, ორი დამარხული ძმის ისმიღ უსტის და მამუდ უსტის საფლავზე სამნიძე წააწერეს. მეორე ნაწილმა მის საფლავზე საპატივცემულო სტელა აღმართეს – მაჭახელა თოფით და ჩაქუჩიან მარჯვენა გამოსახულებიანი.

საღორეთი ბაბუა შიანით და მამუდ უსტით ძალიან პოპულარულ სოფლად იქცა. ისე როგორც მაჭახელი. დიას, მამუდმა და მისმა ბაბუამ აღიდეს საღორეთის სახელი.  
ეს კი ცოტა არაა.

**„ღვთიუხი სულიუხა“**

**სურმანიძე ხასან-ეფენდი**



დაიბადა და აღიზარდა სოფელ პირველ მაისში (საღორეთში). იგი ბავშვობიდანვე დაეუფლა როგორც მშობლიურ, ისე არაბულ და თურქულ ენას. მასზე ძალიან ცოტა რამ ვიცით და რაც ცნობილია ისიც პროფესორ რამაზ სურმანიძის დამსახურებაა. როგორც ცნობილია, იგი აჭარის მუფთადაც ყოფილა, ამჟამად სავარაუდოა, რომ სწავლა-განათლება

ოსმალეთში აქვს მიღებული. 1880 წელს გადაღებულ, აჭარის პირველი მეჯლისის წევრების საერთო სურათით თუ ვიძსჯელებთ, იმჟამად უკვე ოთხმოცი წლის ასაკის იერთაა აღბეჭდილი, თუმცა ხელალებით ამის თქმა არ შეიძლება – წვერი ადამიანს უფრო ასაკოვანს აჩენს.

„სურმანიძეთა გვარიდან მრავალი მოწინავე და პროგრესული სასულიერო პირიც გამოვიდა. მათ შორის ერთერთი მნიშვნელოვანი და ცნობილი ფიგურაა აჭარის მუფთი, საღორეთელი ხასან ეფენდი სურმანიძე.

ამ პიროვნებას დაწვრილებით ახასიათებს გაზეთ „დროების“ ბათუმელი კორესპონდენტი „კრაზანა“ (ლევან მჭედლიშვილი)... ქვემო აჭარაში არის ერთი სოფელი – საღორეთი,

რომელიც მამაცობითაც და ყოველისფრით ნაქები არის და შესანიშნავი მთელს აჭარაში... და ოსმალოს მთავრობასთანაც. ეს სოფელი შესდგება 120-130 კომლისგან.

ამათ ჰყავთ შესანიშნავი პირი, რომელსაც ოსმალოს მთავრობასთან დიდი გავლენა ჰქონდა და ბათუმში იყო დიდი ხნის აქეთ დანიშნული მუფთად (სასულიერო მსაჯული) – ხასან სურმანიძე. ამას მოსვლია წინადადება და თხოვნა ბაღდადიდან, რომ მან იკისროს და მთელი აჭარა გადაიყვანოს ბაღდადში, რომლისთვისაც თურმე ჰპირდებოდნენ დიდ ჯილდოს და ყოველნაირ საშუალების მიცემას ხალხის ცხოვრებისათვის. როგორც შევიტყვე, ხალხისთვის სრულებით არ გამოუცხადებია ეს აზრი და დაჩუმებული არისო. ღმერთმა ნუ ქნას და ამ კაცმა თუ უქადაგა ხალხს წასვლა, მენამდვილად დაჯერებული ვარ, რომ ზედა აჭარას თუ არა, თავისი სოფლის და რამოდენიმე თავისი ნაცნობებით ერთიან გადავლენ აქედან. ამისათვის ცუდი არ იქნება, რომ ჩვენებმა ამ პირის ღირსეულობა გამოიკვლიონ და ისე ღირსეულად იყოლიონ ყოველთვის სახეში. თითონ პატრა ტანით, თეთრი წვერით და მაღალი შუბლით იმნაირ არსებას შეადგენს, რომ გეგონებათ ამას წყილის გადავიძება არ შეუძლიაო. მხოლოდ, მე როგორც ვიცი, ამას იმდენი გავლენა აქვს, რომ ხუთ დიდ მუცლიანებზე და მოსულტანიანებზე და განათლებულეებზე მეტს იმოქმედებს”.

(დროება №217 26 ოქტომბერი, 1879 წ. გვ.2)

როგორც სჩანს მოწინავე ქართველებმა ყურად იღეს კორესპონდენტის შენიშვნა. ერთი თვეც არ გასულა ამ სტატიის გამოქვეყნებიდან, შერიფ ხიმშიაშვილმა და ხუსეინ ბეჟანიძემ სხვა მოწინავე მუსლიმან ქართველებთან ერთად მუფთი ხასან სურმანიძე თბილისში მიწვეულ დელეგაციაში შეიყვანეს. იგი ესწრებოდა მუხრან ბატონის სასახლეში, დიმიტრი ვიფიანის ინიციატივით გამართულ იტორიულ ბანკეტს.

როგორც აჭარა-შავშეთის დელეგაციის წევრი. (სერგი მესხი. თხზ. ტ. III. თბილისი, 1964 წ. გვ. 75).

მოგვიანებით ხასან სურმანიძე აჭარის მეჯლისის წევრადც აირჩიეს.

ხასან ეფენდი სურმანიძემ, ჩიქუნეთის ჯამესთან თავმოყრილ, სამუჰაჯიროდ გამზადებულ ხალხს ასე მიმართა: „რომ ამბობთ მიწა წაბილწულიაო, მიწა ყველგან მიწაა. მიწა ღმერთმა გააჩინა და მისია. ჩვენ არც ფადიშაჰი გვაცხონებს და არც მიწა. კაცი მხოლოდ სიკეთით და კარგი საქმით ცხონდება. ავ კაცს არაფერი აცხონებს, გინდ მექას წავიდეს და გინდ მედინას. გირჩევთ უკან თქვენ ცოლ-შვილში და თქვენს მამულში დაბრუნდეთ“.

ხალხი უკან დაბრუნდა.

### **„ნახუშელი ავალი“**

#### **სურმანიძე შუქრი ასლანის ძე**



დაიბადა 1913 წელს ქედის რაიონის სოფელ საღორეთში.

1933 წელს დაამთავრა ახალგაზრდობის 7 წლიანი სკოლა.

ამავე წელს იგი დანიშნეს ქედის რაიონის „მიწგანის“ გამგედ.

1942 წელში ნიშნავენ ქედის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ.

1943-1947 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე დირექტორის მოადგილედ. პარალელურად

მუშაობდა ბათუმის რაიონის ხეხილ-სანერგე მეურნეების დირექტორად.

1947 წელში მუდმივ საცხოვრებლად გადადის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენში.

1947-1962 წლებში მუშაობდა ახალშენის მეცხოველეობის ფერმის გამგედ.

1975 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თავის მერ დაარსებულ ახალშენის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამგედ.

გარდაიცვალა 1980 წელს.

სადაც კი მოღვაწეობდა, იყო შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი, უანგარო, დისციპლინიანი და პრინციპული ადამიანი. მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას და ენერგიას ახმარდა ადამიანების კეთილდღეობის ამალეებისათვის ბრძოლას.

მისი თანამედროვენი თუ შემდეგი თაობები კეთილად იხსენიებენ ალალ მამულიშვილს, არავის ავიწყდება იგი. მან კეთილი, შესაშური და სამაგალითო კვალი დატოვა ცხოვრების მანძილზე, დაულაღავი და უზადო მოღვაწეობით. რომელ კუთხეშიც არ უნდა მოხვდეს, შუქრი სურმანიძეს კაცურკაცობის ეტალონად დაგისახელებენ და მჯერა რომ იმ კაცურკაცობის მაღლი მთელ საგვარეულოს დღესაც მოსდგამს და არც სხვები არიან შორს იმ აზრისგან რომ პირნათლად ყოფნა ყველას ვალია.

და მჯერა კიდევ იმისა, რომ ამ კეთილსინდისიერი კაცის სიკეთე, დაუშრეტელი ამაგი დიდხანს ასულდგმულებს მათ, ვისაც შეეძლება მისგან აიღოს მაგალითი.

საუკუნო სასუფეველი!

## სურმანიძე იზოლდა ალიოსმანის ასული



დაიბადა 1951 წელს ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში.

1957-1967 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1967 წელს ჩაება საკოლმეურნეო შრომაში და თამბაქოს სარეკორდო მოსავლის მიღებისათვის, შრომაში მიღწეული უდიდესი წარმატების გარანტი იყო საქართველოს სსრ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევა ქედის რაიონის №384-ე საარჩევნო უბნიდან.

დეპუტატის მოწმობა №384.

1983 წელს დაოჯახდა, ბედი დაუკავშირა თანასოფელელ შოთა აბდულის ძე სამნიძეს. მალე ისინი გადავიდნენ საცხოვრებლად ქ. ბათუმში. ზრდიან სასახელო შვილებს და შვილიშვილებს.

ამჟამად დიასახლისია.

ქალბატონი იზოლდა ყოველთვის გამოირჩეოდა სიკოხტავით, წესრიგით, კაიადამიანობით. სანაქებო სტუმართმოყვარეა, არ უყვარს წუწუნი და ვიშივიში, თავდაჯერებული და წინდახედულია. როცა საუბრობს, ენაწყლიანია და დამაჯერებელი არგუმენტების მოშველიებაც უყვარს. ეთაყვანება სოფელს. როცა სტუმრად ამოდის, მერცხლის სილაღეს გრძნობს. ღამაზი ბავშვობა ქონდა და იმ ბავშვობის ეიფორია დღესაც ახალისებს. რაც მთავარია დაუზარელია. მოვ-

ლენათა სწრაფი აღქმის უნარი გააჩნია და კრიზისული ვითარებიდან ყოველთვის პოულობს გამოსავალს.

მისი ვალდებულება იყო კარგი მეუღლეობა და კარგი შვილების აღზრდა. ფრიადი ჩაუწერა ბუნებამ ამ მისიაში.

მამულის სიყვარულს კი ვერავინ შეეცილება.

ღმერთმა ადღეგრძელოს და ახაროს.

### **„შოხს გაჭიცი მიზნები“**

#### **სურმანიძე ილია ალიოსმანის ძე**

სოფელ პირველ მაისს უმაღლეს დამთავრებულები ნამდვილად არ აკლია, მაგრამ ამ პატარა სოფლიდან რომ რუსეთის წამყვან ქალაქში დაამთავრებს უმაღლესს და თანაც იქაურები რომ პატივისცემით მოეპყრობიან, ამას არაფერი სჯობს.



დაიბადა 1959 წელს სოფელ პირველ მაისში.

1966-1976 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში. მიღებული აქვს ქების სიგელები.

წარმატების შედეგად მას აგზავნიან ქალაქ ბორის ძნელაძეში, პიონერთა ბანაკში. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სკოლის სამსახურ ნაწილის გამგედ.

1978-1980 წლებში გადიოდა სამსახურს საბჭოთა არმიაში. მიღებული აქვს მადლობები და წახალისებები. დაამთავრა სამსახური ზემდეგის წოდებით. დემობილიზაციის შემდეგ ლიმიტით იგზავნება თბილისში, მაგრამ შეაცვლევინა და 1981-1986 წლებში წარმატებით დაამთავრა ქ. ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ელექტროფიკაციის ფაკულტეტი. იყო



სტუდენტური საბჭოს თავმჯდომარე, საერთო საცხოვრებლის კომენდანტი, ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშე.

1986-1993 წლებში მუშაობდა ინსტიტუტის საცდელ მეურნეობაში ჯერ მძღოლად შემდეგ კი უსაფრთხოების ინჟინრად.

მუშაობდა კერძო წარმოებაში ვაჭრობის დარგის დირექტორად. შემდეგ გადადის სამშენებლო მრავალპროფილიან ორგანიზაციაში გენერალური დირექტორის მოადგილედ.

2007-2010 წლებში მუშაობდა სანკ-პეტერბურგის ენერგომშენებლობებზე ობიექტების აგებაში.

ამჟამად აქვს ფირმა „სურმანიძე და კომპანია“, რომელიც ეწევა როგორც ხის, ისე რკინა-ბეტონის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

მეუღლე ქალაქ პუშკინოს საქალაქო ადმინისტრაციაში მოღვაწეობს. ერთმა ვაჟმა დაამთავრა პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული ჩრდილო-დასავლეთის აკადემიის სახელმწიფო სამსახურის აკადემია, მეორე ვაჟიც ამ აკადემიის სტუდენტია.

ილიაზე ძალიან ბევრის დაწერა შეიძლება, მაგრამ ამ კონკრეტული შემთხვევით... ესეც ძალიან დიდი რამაა პირველმაისელი ჭაბუკისათვის.

დროდადრო სოფელს მოისიყვარულებს.

## **„სიყუთის განსახიხება“**

### **სამნძიმ ხელილ აღის კე**

ბატონი ხელილის შესახებ ბიოგრაფიული მონაცემები ძალზე მწირია. ის, რასაც აქ ჩაეწერ ხალხის წიაღიდან ამოეკრიბე.

დაიბადა 1914 წელს სოფელ საღორეთში. დაწეებითი განათლება მიიღო აქვე.

წლების განმავლობაში მუშაობდა ქედის რაიონის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უფროსად. შემდეგში



გადავიდა სამუშაოდ ხიჭაურის საჯარისო ნაწილში სამნეო ნაწილის უფროსად.

იქედან დაუბრუნებიათ ქედის რაიონის მიწათმოქმედობად. ყოფილი საოლქო კომიტეტის მდივანი – ალექსანდრე თხილაიშვილი მისი ერთერთი აგრონომი გახლდათ. მოგვიანებით ბატ. ხელილი გადმოუყვანიათ პირველი მაისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ. ერთი პერიოდი საღორეთის ბოლოს

ეგრეთწოდებულ „ჭალაში“ აგურ-კრამიტის ქარხანას ხელმძღვანელობდა, საიდანაც გადასახლებულა საცხოვრებლად ქ. ბათუმში. მთარული ცნობით იგი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტშიც მოღვაწეობდა, საიდანაც დაუთხოვნიათ ასეთი მიზეზით – თავისიანი ყოფილა დაჭერილი და მისი თავდებობით რამდენიმე საათით გაუშვიათ სახლში. დანიშნულ საათზე რომ ვერ მოაღწია პატიმარმა, უთქვამთ – ავტორიტეტისანი არა ხარო და გაუშვიათ სახლში. გარდაცვალებამდე მუშაობდა სასახლეფრო ჯარების ცენტრალურ საწყოში.

გარდაიცვალა 1981 წელს.

აქვე მოვიტან რამდენიმე სტრიქონს თვით ბატონ ხელილის ნაამბობიდან, რომელიც მისმა ქალიშვილმა ნარიმ ჩამაწერინა:

„ესწავლობდი საღორეთის დაწყებით სკოლაში 1921 წელს. ახლად გახსნეს სკოლა და რამდენიმე მოსწავლე ვიყავით პირველკლასელი. (არ უთქვამს თუ ვინ იყვნენ მის ერთად). ვიყავი ფრიადლოსანი. დავამთავრე ცხრა კლასი. ომამდე 1940 წელს ქედის რაიონიდან საქართველოს ცენტრალური კომიტეტის (პარტიული) სკოლაში, რომელიც მდებარეობდა ქ. თბი-

ლისში ჩიტადის ქუჩაზე, სასწავლებლად გამოიშვეს ქედიდან მარტო მე. სწავლის პერიოდში, როცა ომი უკვე დაწყებული იყო, სკოლაში შევიდა კომისია, რომელიც არჩევდა ფრონტზე გასაგზავნ და ორგანოებში სამუშაოდ მისაწვევ ახალგაზრდებს. ასე მოვხვდი აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში. მაშინ უშიშროებას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთნაირი საქმიანობის ჩატარება უწევდათ”...

აი ეს პატარა ცნობა მისი მოღვაწეობიდან...

ბიჭაურის სამხედრო ნაწილის (ატრიადის) უფროსი ყოფილა პანტელეიმონ ივანეს ძე გიორგაძე, ვისთანაც უმსახურია ბატონ ხელილს. სიკვდილამდე პატივს სცემდნენ ერთმანეთს. ხელილის დასაფლავებაზეც დასწრებია ბატონი გენერალი. სიკვდილამდე სამნიძეებთან კავშირი არ გაუწყვეტია პანტელეიმონ ივანიძეს. ასევე მეგობრობდა ჩვენთანაც.

ბატონმა ხელილმა ომის სიმძიმე ზურგში გადაიტანა. მთავრობამ იგი დატოვა იქ, სადაც სახელმწიფოს სჭირდებოდა. იქორწინა 1944 წელს. აღზარდა წყვილი ქალ-ვაჟები, რომლებიც მამის ნაკვალევებს ერთიანად მატებენ სილამაზეს და სიდიადეს. ხელილის შვილიშვილმა ხათუნა სამნიძემ თბილისშიც ჩააღწია, რომელიც რესპუბლიკურ პარტიას ჩაუყენეს სათავეში. მასზე აქვე ცალკე მაქვს მოთხრობილი, აქვეა მოთხრობილი ხათუნას მამაზეც, ხოლო ორმა ქალიშვილმა და ვაჟმა ზედმეტად ჩათვალეს წიგნში მოხვედრა, არადა მათაც არანაკლები წვლილი მიუძღვით ხალხის, ქვეყნითვის საკეთილდღეო შრომაში. დიდება მათ და მათ შთამომავლებს. რა სათქმელია და... ბატონ ხელილის მოდგმაში უღირსი არავინ გამორეულა...

ესეც ძალიან დიდ რამეს ნიშნავს გვარისა და ქვეყნითვის.

**სამნიქი რევაზ ხელილის კი**



დაიბადა 1949 წელს ქ. ბათუმში.

1956-1967 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის №5 საშუალო სკოლაში.

1970 წელს ხარკოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები ჩააბარა ფრიაღზე. იყო ლენინური სტიპენდიანტი. იმ დროისათვის კვალიფიციური ინჟინრის შესაფერისი ხელფასის ტოლ სტიპენდიას ასოც მანეთს ღებულობდა. იყო ინსტიტუტის კომკავშირის მდივანი. ყამირ მიწებზე გაწვეული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ხელმძღვანელი. იყო ქ. ხარკოვის საპატიო მოქალაქე.

1975 წელს, ინსტიტუტდამთავრებული, ინჟინრის დიპლომით ბრუნდება მშობლიურ ქალაქში.

1976 წელს მუშაობას იწყებს აჭარის საკონსერვო კომბინატის მთავარ ინჟინრად, ეკონომისტად.

1984 წელში მუშაობს ხელვაჩაურის რაიონში, ქარხანა „ნარინჯის“ დირექტორად 1991 წლამდე.

1992 წლიდან ფირმა „აჭარპეტროლეუმის“ დირექტორია. სადღეისოდ დაკავებულია კერძო საქმიანობით.

ბატონი რევაზი ღირსეული მამის ღირსეული გამგრძელებელია. არის სტუმართმოყვარე, საინტერესო მოსაუბრე, კარგი თამადა, მგობრული და პურმარილიანი. რაც მთავარია ამჟღავნებს უადრესად კეთილშობილურ ადამიანურ თვისებებს.

ხელილ სამნიძის ოთხივე შვილი უმაღლესდამთავრებულ-  
ლია და მათი წინაპრების და მამის სახელს ადიდებენ კეთილს-  
ინდისიერებით, სხვაგვარად არც შეიძლება.

რევაზ სამნიძით ამაყობენ მეგობრები, ახლობლები, შინაუ-  
რები და რაც მისაბაძი და სამაგალითოა – პირველმისელები.

ღმერთმა ნუ მოვიშალოს ბატონო რევაზ პირველმისელო-  
ბა, რამეთუ ეს სოფელი შენი მშობლიურია და მასაზრდოებელი,  
რა თქმა უნდა საღი ფესვებით. შენ ხალხს ღირსეულად ემსახ-  
ურე და ხალხის სიყვარულს ხომ არაფერი სჯობს, ეს უმაღლე-  
სი ჯილდოა ადამიანისათვის, რომელსაც ვერავითარი პრემია  
და მედალი ვერ შეედრება.

იცოცხლე და იხარე დიდხანს.

### **„ტყუემთი ნიჭიეხებისა“**

#### **სამნიძე ხათუნა რევაზის ასული**



დაიბადა 1978 წელს ქ. ბათუმში.  
1985-1996 წლებში სწავლობდა  
დ. აღმაშენებლის სახელობის, ქ.  
ბათუმის №1 საშუალო სკოლაში.

1995-1996 წლებში ამერიკის  
შეერთებულ შტატების, აიოვას შტა-  
ტის ქ.დეკორას საშუალო სკოლის,  
მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამა  
„Freedom Support Act“-ის სტიპენ-  
დიანტია.

1996-1999 წლებში სწავლობს  
საქართველოს ტექნიკური უნივერ-  
სიტეტის ფილიალ – ბათუმის ტე-  
ქნიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო ეკონომიკური ურთ-  
იერთობების ფაკულტეტზე.

1997-1999 წლებში მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიული და ადამიანის უფლებების საკითხთა კომიტეტის კომისიაში, თარჯიმან-რეფერენტი, კომპიუტერის ოპერატორად.

1999/06-დან 1999/07-მდე გერმანული ენის შემსწავლელ კურსებს გადის დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში, გოეთეს სახელობის ინსტიტუტში.

1999-2003 წლებში გერმანიის ქ. მაგდებურგის ოტტო-ფონ-გუერიკეს სახელობის ინსტიტუტის სტუდენტი.

2004-2008 წლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად, პარალელურად საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის საკითხთა კომიტეტის წევრია.

2005-2006 წლებში სწავლობს თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლაში, სადაც ტარდება ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ორგანიზებული სემინარები „დემოკრატიული ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება“. აქვს ბაკალავრის ხარისხი (BSC) – ეკონომიკა და მენეჯმენტი – არის აჭარის ავტ. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი.

ფლობს მშობლიურ ქართულ ენას, თავისუფლად რუსულ ენას, ინგლისურს (TOEFL TEST). გერმანულ ენას (DSH Prufung). მიღებული აქვს სერტიფიკატები.

არის კომუნიკაბელური, ჭკვიანი გამომეტყველების, მეგობრული დამოკიდებულების, შემრიგებლური ხასიათის. უყვარს სპორტი, მუსიკა და მოგზაურობა. წინ კიდევ ფართო ასპარეზი და აღმავალი იმიჯი ელოდება.

2013 წლის 5 ნოემბერს ხათუნა სამნიძე აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ.

სერთიფიკატები:

1. International Education Forum - Certificate of Successful Completion of the

Academic Year Program in America (01.05.1995)

2. Close Up Foundation - Certificate of Program Participation  
Government Studies Program in Washington, D.C. (26.01.1996)
3. Foundation For Economic Freedom - Freedom University Certificate of Completion for  
Pursuit of Knowledge in the Freedom Philosophy (20.03.2006)
4. Tbilisi School of Political Studies with support of the Council of Europe -  
Certificate of Completion, Seminars „Democratic Institutions and Civil Society” (14.07.2007)
5. Summer University for Democracy of the Schools of Political Studies of the Council of Europe-  
Certificate of Participation (10-14.07.2006)

**„ნინ დიდი ასპაჩუზია“**

**სამხედრო ელიტის რიგების ძე**



დაიბადა 1968 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოში.

1975-1985 წლებში სწავლობდა მახოს საშუალო სკოლაში.

1985 წელს დაამთავრა „დოსააფ“-ის სამძღოლო სკოლა.

1985 წელს გადიოდა სამხედრო სამსახურს ჩეჩნეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქალაქ გროზნოში, საიდანაც 1986 წლის იანვრიდან გადაჰყავთ ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალაქ გაზნში.

1988 წლის ივნისის თვეში გადმოჰყავთ საბჭოთა კავშირში, ქალაქ პეტრო-პავლოვსკ – კამჩატკაზე, საიდანაც ოქტომბერში დემობილიზებულ იქნა.

1990 წელს მუშაობას იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ არასაუწყებლო დაცვის პოლიციაში.

1991 წელს ჩაირიცხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის აკადემიაში.

1994 წელს გადავიდა დაუსწრებელ განყოფილებაზე და მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის განყოფილებაში უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე.

1996 წელს დაამთავრა პოლიციის აკადემია.

1998 წელს გადაჰყავთ ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის განყოფილებაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

2004 წელს ინიშნება არასრულწლოვანთა ხაზით უფროსის თანამდებობაზე.

2005 წელში ინიშნება ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის განყოფილებაში გამომძიებლის თანამდებობაზე.

2007 წლიდან მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოში საკურატორო სამსახურში.

2008 წლიდან დღემდე მუშაობს ბათუმის საქალაქო სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე გამომძიებლის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

### **სამნიძე ხათუნა ზაქროს ასული**

დაიბადა 1982 წელს ქ. ბათუმში.

1989-2000 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის №1 საშუალო სკლაში.

2000-2006 წელს სწავლობდა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალობა – სამკურნალო საქმე.

2006-2008 წლებში სწავლობდა სანკ-პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში, კლინიკური ორდინატურის მომზადების ფაკულტეტზე სპეციალობით მეანობა და გინეკოლოგია.





იქვე სამედიცინო აკადემიაში გადიოდა სტაჟირებას ქალთა რეპროდუქციისა და ჯანმრთელობის კათედრაზე მეან-გინეკოლოგიაში. 2008 წელში გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები იმავე სამედიცინო აკადემიაში სპეციალობით „კოლპოსკოპია-კოლპოციტოლოგიის” საფუძვლები.

იმავე 2008 წელში იმავე აკადემიაში იმაღლებს კვალიფიკაციას – „დიაგნოსტიკური და ქირურგიული ენდოსკოპია გინეკოლოგიაში.”

2010 წელში გაიარა ტრენინგი სერტიფიკატზე – „ეფექტური პრენატალური ზრუნვა.”

2011 წელს წარმატებით ჩააბარა სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა სპეციალობაზე – მეან-გინეკოლოგია.

2009-2010 წლებში მუშაობს ქ. ბათუმის სამშობიარო სახლში, სამეანო განყოფილების დღის ექიმად.

დღესდღეობით მეან გინეკოლოგად მუშაობს სამედიცინო ცენტრ „მედინაში”.

ფლობს: მშობლიურ ენას, რუსულს და ინგლისურს.

ერთი შეხედვით, თითქოს მცირე ბიოგრაფიული მონაცემებია, მაგრამ იმედს ვიტოვებ, მომავალში უფრო გამრავალფეროვნდება მისი როგორც ბიოგრაფიული მონაცემები ისეც ხალხის სამსახურში ფეხნადგმული პიროვნების იმიჯი. გეჯერა რომ იგი სამნიძეების საგვარეულოს ერთერთ უშესანიშნავეს პიროვნებად დარჩება სოფელ საღორეთის ისტორიაში.

**სამნიქი ღაჭიოი სერბოს ქი**



დაიბადა ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში 1983 წელს.

1989-2000 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა ოქროს მედალზე, არის სოფლის ისტორიაში რიგით მეოთხე მედალოსანი.

2000-2004 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გეოგრაფია-ეკოლოგიური ექსპერტიზის სპეციალობაზე. დაამთავრა წითელ დიპლომზე.

2005-2009 წლებში სწავლობდა უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

2006-2008 წლებში პარალელურად სწავლობდა ნიადაგმცოდნეობის მაგისტრატურაზე.

2010-2012 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მოწვეულ სპეციალისტად.

2010 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სასოფლო მეურნეობათა შერჩევით გამოკვლევაში ქედის კოორდინატორად.

2011-2013 წლებში მუშაობდა ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტში მოწვეულ მასწავლებლად.

2011 წლიდან დღემდე მუშაობს ბათუმის უნივერსიტეტში იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის მოწვეულ მასწავლებლად.

2015 წლიდან მუშაობს საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტში მოწვეულ მასწავლებლად. არის „საქართველოს ახალგაზრ-

დული სასამართლოს” თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი, ასევე „სამოქალაქო განთლების ლექტორთა ასოციაციის” თანადამფუძნებელი და აჭარის კოორდინატორი. არის თანაავტორი (პროფესორ მურმან გორგოშაძესთან ერთად) წიგნისა „იურიდიული გეოგრაფია”. (ბათუმი 2008 წ.)

\*\*\*

დავით სამნიძე არის იურიდიული ფაკულტეტის ერთერთი გამორჩეული კურსდამთავრებული და ამჟამად ამავე ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი.

მე და დავითი ოთხი წლის განმავლობაში ერთად ვმუშაობდით წიგნზე „იურიდიული გეოგრაფია”, ამ პერიოდში დავითმა თავი წარმოაჩინა როგორც მიზანსწრაფულმა, გამრჯე და ნიჭიერმა პიროვნებამ, რაც საბოლოოდ გახდა მისი უნივერსიტეტში მოწვევის მიზეზი.

დავითის შრომისმოყვარეობამ, ნიჭმა და ცოდნამ განაპირობა აგრეთვე მეორე, ჩვენი ერთობლივი პროექტი, რომელსაც 2016 წლისთვის იხილავს მკითხველი.

დავით სამნიძე მეიმედება იმ ახალგაზრდა კაცად, რომელიც ხვალ ჩამოყალიბებულ, მაღალ კვალიფიციციურ პროფესორად უნდა იქცეს.

მინდა წარმატებები ვუსურვო მას პირად და საქვეყნო საქმეებში.

**პროფესორი: მურმან დავითაძე**

**სამნობე ზაქრო ჯემალის ძე**

დაიბადა სოფელ პირველ მაისში 1950 წელს.



1957-1967 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1968-1973 წლებში დაამთავრა ქ. ბათუმის საზღვაო სასწავლებელი გემთწამყვანის სეციალობით.

1973 წელს განაწილებით წავიდა ქალაქ ნახოდკაში სადაც მუშაობდა შორეული აღმოსავლეთის სანაოსნოში, ჯერ კაპიტნის მეოთხე თანამშემწედ, შემდეგ მრავალი მადლობისა და დამსახურების

შედეგად მიადწია კაპიტნის უფროს თანამშემწეობამდე. მალე გემის კაპიტნის თანამდებობაც ელოდა, მაგრამ ვითარების გამო 1980 წელს ბრუნდება ბათუმში.

1982 წელს მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ბათუმის განყოფილებაში. მალე სადგურის მორიგედ აწინაურებენ, სადაც მუშაობდა ცვლილებამდე.

მეზავრთა გადაყვანის სერვისი გადავიდა მახინჯაურში და ამჟამად განაგრძობს სამსახურს საქართველოს რკინიგზის მახინჯაურის, მეზავრთა გადაყვანის ცენტრის პასუხისმგებელ მორიგედ.

ბატონი ზაქრო მთელი მისი მუშაობის პერიოდში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. იგი არასოდეს ანსხვავებს ადამიანებს, არ ჰყოფს კატეგორიებად. მისთვის ყველა ერთია და ამიტომაც აფასებენ მას. არის პუნქტუალური, საღი აზროვნების, დამაჯერებელი ლოგიკით მოსაუბრე, უანგარო და უღალა-

ტო. ყოველთვის გულთბილი და მომღიმარი, გულდია და გულაღალი. ბევრ გაჭირვებულს დახმარებია, კრიტიკულ მომენტებში გამოსავალი მოუნახავს. არავინ ჰყავს მომდურავი. სწორედ ამ კეთილი თვისებებით მოიპოვა მან საყოველთაო აღიარება. მისთვის ზეიმის ტოლფასია სხვაზე გაწეული სამსახურის შემდეგ გულწრფელი მადლობა.

## „კვალი ნათელი“

### სამნიძე არიფ უსუზის ძე



დაიბადა 1907 წელს სოფელ სალორეთში. დაწყებითი განათლება მიიღო სახლში. სწავლობდა სოფლის მედრესეშიც.

1922 წელს სწავლობს „წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო“ სალორეთის სკოლაში.

1924 წელს მუშობას იწყებს „აჭქესის“ მშენებლობაზე, ჯერ მუშად, შემდეგ მოტორისტად. იყო მმართველი ფარის მორიგე. პასუხისმგებელი მორიგე. იყო თვითნასწავლი ინჟინერი. რიონჰესში დაეუფლა მემანქანის პროფესიას, რომელსაც წარმატებით იყენებდა აჭქესში მუშაობის პერიოდში. მის ხელქვეით მრავალი ახალგაზრდა დაოსტატდა ენერგეტიკის დარგში.

არიფ სამნიძე ბევრჯერ იყო არჩეული პირველი მაისის სასოფლო საბჭოს დეპუტატად, „აჭქესის“ მმართველი კოლექტივის წევრად. მას ანდობდნენ პასუხსაგებ თანამდებობებს, რომელთაც შესანიშნავად ართმევდა თავს. აქტიური და უმწიკვლო სამსახურისთვის დაჯილდოებული იყო ქების სიგელებითა და მედლებით.


არიფ სამნიძის სახელი და საქმიანობა ეტალონად დრჩა „აწჰესში“ მცხოვრებთა და მომსახურეთა ცხოვრებასა და ხსოვნაში.

გარდაიცვალა 1985 წელს.

არიფ სამნიძემ სამშობლოს ათი შვილი შემატა ღვთისნიერ მეუღლესთან ერთად, რომელმაც 100 წელს გადააბიჯა, თუმცა, სამწუხაროდ 2013 წელში სხვა სამყაროში გადაბარგდა.

### **„სიამაყე ამ სოფლისა“**

#### **სამნიძე ეთერ სულეიმანის ასული**



დაიბადა 1948 წელს სოფელ პირველ მაისში.

1954-1966 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1966-1970 წლებში როგორც ოქროს მედალოსანი, უპრობლემოდ ჩაირიცხა პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე. პედი-ინსტიტუტში 4 წლის განმავლობაში იყო ჯგუფხელი, ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, კედლის გაზეთის რედაქტორი.

1973 წლიდან მუშაობას იწყებს შუახევის რაიონის სოფ. ხაბელაშვილების საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად, ვიდრე 1986 წლამდე.

ამჟამად მუშაობს ქ. ბათუმის №2 სკოლა-ინტერნატში. ჰყავს პედაგოგი მეუღლე და სამი უმაღლესდამთავრებული შვილი.

ქალბატონი ეთერი სამაგალითო მეუღლეა, უპრეტენზიო, სტუმართმოყვარე და რაც მთავარია, მოყვასისა და პატარების სიყვარულით ავსილი.. თავადაც ასევე სიყვარულს იმის.

ქედის რაიონის მცხოვრებლები განებივრებულები არ იყვნენ არათუ მედალოსნებით, განათლებული თაობით და ამდენად მედალოსნების მოვლენა სასიხარულოდ და საამაყოდ იქცა.

ქალბატონი ეთერი არა უბრალოდ მედალოსანია, იგი ღირსეული მედალოსანია, ძლიერთა შორის ძლიერი. ამის თქმის საფუძველს მიქმნის მისი უბადლო ნიჭის აღიარება. იგი უფროსკლასელებს საგნების დაძლევაში ეხმარებოდა, ამან კი შედეგად მედალი არგუნა. საქებარი და საამაყო კი ისაა, რომ სოფელ პირველ მაისს ამჟამად ხუთი მედალოსანი ჰყავს – სამი 1966 წელს სკოლადამთავრებული და ორიც ოცდა-ოთხმეტი წლის შემდეგ, 2000 წელში.

ქალბატონმა ეთერიმ ოქროს მედლით დაულოცა გზა სოფელს მომავლისაკენ. დაე, ეს ოქროს გზა მოვარაყებოდეს სოფელს და ქალბატონ ეთერის ამითაც ეამაყოს – ხომ მან და მისმა კლასელმა დაუდეს სათავე „ვარსკვლავოცვენას“ პირველ მაისში...

## **„უფლის ხედვასმული“**

### **სამნიძე ნათელა ისმაილის ასული**



ნათელა სამნიძე დაიბადა 1938 წელს სოფელ პირველ მაისში.

1954 წელს დაამთავრა პირველი მაისის 8 წლიანი სკოლა.

1957 წელს დაამთავრა ქედის პედაგოგიური ტექნიკუმი, რის შემდეგაც იმავე წელს მუშაობას იწყებს პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

1963 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის

დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება.

1967 წელში აირჩიეს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 1972 წლამდე. 1973 წლიდან მუშაობს ქ. ბათუმის №26-ე საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

ქალბატონი ნათელა ერთი შეხედვით უბრალო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არა – იგი განათლებული, ინტელექტუალური და ამავე დროს ამაყიცაა, ოღონდ კარგი გაგებით. ეამაყება რომ პირველმაისელია და დიდი წვლილი მიუძღვის პირველი მაისის საბჭოში შემავალი მცხოვრებლების კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს მოახდინა სამივე სოფლის – აგარის, პირველი მაისისა და კოლოტაურის გაზიფიცირება. მისივე დამსახურება იყო სოფლების რადიოფიცირებაც, თუმცა ჩვენს ყოფაცხოვრებაში რადიო უდღეური აღმოჩნდა.

ქალბატონ ნათელას სახელს უკავშირდება პირველი მაისის საშუალო სკოლის პროექტირება, დასრულება და საბჭოს ახალი შენობის აგება.

საშუალო სკოლის სოფლიდან სააგრომობილო მაგისტრალის მიმდებარედ ანუ პირველი მაისის ცენტრში აშენების ინიციატორები იყვნენ ქაზიმ შერვაშიძე, დავით დევაძე და სკოლის დირექტორი – არჩილ ბეჟანიძე.

საბჭოს თავმჯდომარის წილად მოდის სკოლის მშენებლობის დამთავრების საქმე.

სკოლის მშენებლობის პერიოდში ქალბატონ ნათელას საქმიანობის შესახებ კარგად იყო გაშუქებული. 1969 წლის 6 დეკემბრით დათარიღებულ გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ ვლადიმერ ბაბაიანის საგაზეთო სტატიით – „თავმჯდომარის გეგმები.“



ქალბატონ ნათელას გეგმებში შედიოდა სოფლების მთლიანი გაზიფიცირება, გზების შეკეთება, წყლის გაყვანა, ქალებთან აქტიური თანამშრომლობით და ურთიერთობით მათი ცხოვრების დონის ამაღლება და ბევრი სხვა სასიკეთო საქმე. უნდა ითქვას რომ მან კარგად გაართვა თავი ყველა საქმეს. იყო აქტიური, შემტევი და პრინციპული, საქმის მომხონიც და თავად გამკეთებელიც.

სოფელშიც და ოჯახშიც ძალიან გაიკვირვეს ქალი საბჭოს თავმჯდომარე, მაგრამ მას თავი არ შეურცხვენია – სოფელურ ცხოვრების ბურჯი იყო და მისი წასვლის შემდეგ თითქოსდა მოიწყინეს მცხოვრებლებმაც.

შეკითხვაზე – თუ როგორ აირჩიეს პედაგოგი ქალიშვილი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, ასე პასუხობს: – ალბათ იმიტომ, რომ თავს არავის დავაჩაგვრინებ და თუ საჭიროა, სხვებსაც დავიცავ. ქალებთანაც საჭიროა მუშაობა, უნდა ავამაღლოთ მათი აქტიურობა, უნდა ირწმუნონ საკუთარი თავი – ამას კი მამაკაცზე უკეთ ქალი გააკეთებს...

ქალბატონ ნათელას სახელი 70-იან წლებში რაიონში მკვეთრად გამოირჩეოდა, იგი თავისმა საქმემ დიახაც გამოაჩინა – ხელმძღვანელობისგან მადლობები და წახალისებები აქვს მიღებული.

დიდხანს ებრწინოს შენს სახელს, შენს საქმეებს ქალბატონო ნათელა, შენი ხალხის, შენი რაიონისა და შენი სოფლის მცხოვრებთა გულებში, იმიტომ რომ სოფლის ქალთა დასიდან ერთერთი პირველი შენც იყავი განათლებული, რაც იმ დროისათვის დიდ მიღწევად ითვლებოდა.

დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

**„ჩიხაძენების ციციცი“**

**სამნიკე შოთა აბულის ძე**



დაიბადა სოფელ პირველ მაისში 1949 წელს.

1955-1966 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1967-1972 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1966-1970 წლებში მუშაობდა პირველი მაისის კოლმეურნეობაში რიგით წევრად.

1970-1973 წლებში მუშაობს

ქედის რაიონის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში უფროს ინსპექტორად.

1973-1974 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1974-1975 წლებში კვლავ ქედის რაიონის სოც-უზრუნველყოფის უფროსი ინსპექტორია და განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელიც.

1975-1980 წლებში ქედის რაიონის სოც-უზრუნველყოფის გამგეა.

1980-1988 წლებში მუშაობს ქედის რაიონის პარტიის რაიკომში საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად.

1988-1991 წლებში ქედის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგეა.

1991-1992 წლებში გადაჰყავთ პირველი მაისის თემის საკრებულოს გამგებლად.

1992-2002 წლებში მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადგილობრივი მმართველობისა და ორგანიზაციული მუშაობის განყოფილების პასუხისმგებელ

ორგანიზატორად. 2002 წლიდან მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადგილობრივი მმართველობისა და ორგანიზაციული მუშაობის განყოფილების პასუხისმგებელ ორგანიზატორად.

წლების განმავლობაში არჩეული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პროფკომიტეტის თავმჯდომარედ.

2003 წლიდან პარალელურად არჩეული იყო საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანების მუშაკთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საზოგადოებრივ საწყისებზე. 2010 წელს არჩეულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატად.

დაჯილდოებულია მედლით „შრომითი წარჩინებისათვის.“

მის, როგორც ადამიანისა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის, უღრმეს მადლობას უხდის სკოლის პედაგოგებს, ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლებს, სამსახურის ხელმძღვანელებს, რაი-საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეებს, პარტიის რაიკომის მდივნებს, რაიონის გამგებლებს, მინისტრებს, მოადგილეებს, განყოფილებათა გამგეებს, ყველა ხელმძღვანელსა და თანამებრძოლებს, ვისთან ერთად უმუშავია და დღესაც მოღვაწეობს, განსაუთრებული მადლიერებით იხსენებს პირველ ხელმძღვანელს – დავით დევაძეს.

ბატონი შოთა ამხანაგებთან, ნაცნობ-მეგობრებთან, თანასოფელელებთან თუ სამსახურის მუშაკებთან არის უშუალო, პირწმინდა, ენაწყლიანი, მუდამ მოღიმარი, ხუმარა და სიტუაციის შესაფერისი აქტიორი.

იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობით დაჯილდოებული, გულმხიარული, ინტელექტუალური და ღრმად ერუდირებული, არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარე და სანიმუშო თამადა.

ბატონ შოთას ხასიათის შტრიხები მის სახეზეა აღბეჭდილი და სწორედაც ამიტომ ჰპოვა ესოდენი აღიარება და საქმიანობაში წარმატებული ნაბიჯები.

ჰყავს მეუღლე, შვილები და შვილიშვილები. იმედია ისინიც მის კვალს გაჰყვებიან და მამასავით ასახელებენ არა მარტო სოფელს, არამედ ფართო ასპარეზზეც გავიდნენ იქნებ. დრო მათ სასარგებლოდ მიიმართება...

**„მიუციო ნიქსა გზა ფაჩიო“**

**სამნობე ზია სულეიმაანის კე**



დაიბადა სოფელ პირველ მაის-ში 1955 წელს.

1962-1972 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1974-1976 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1977-1982 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტზე, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა

მშენებლობის სპეციალობაზე. აქვს ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობა წითელი დიპლომით. 1983-1985 წლებში მუშაობდა №5 ტრესტის სამშენებლო საწარმოო განყოფილების ინჟინრად.

1985-1992 წლებში მუშაობდა ამავე ტრესტის საბინაო კომუნალური განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1993 წლის იანვარ-სექტემბერში მუშაობს ქ. ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის სამეურნეო ნაწილის ცვლის უფროსად.

1994 წელს ინიშნება ამავე განყოფილების უფროს ინსპექტორად.

1999 წელს ინიშნება ამავე ინსპექციის კონტროლის სამმართველოს უფროს ინსპექტორად.

1998-2002 წლებში დაუსწრებლად სწავლობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის, ქ. ბათუმის სასოფლო

სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკა-სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. აქვს ეკონომიკის იურისტის კვალიფიკაცია.

2004 წლის ოქტომბრიდან, საწარმოო რეორგანიზაციასთან დაკავშირებით თავისუფლდება სამსახურიდან.

სადაც კი უმუშავია, ყველგან კარგად ახასიათებენ. არის შრომისმოყვარე, ზედმიწევნით კეთილსინდისიერი, ყველგან გამორჩეული. მისმა დადებითმა თვისებებმა აღმასვლა გაუადვილა. სწორედ ეს იყო ფაქტორი იმისა, რომ იერარქიის საფეხურებზე დამსახურებულად იარა. მას არასოდეს უსარგებლია ვინმეს პროტექციით. მუყაითმა და უნგარო, კვალიფიციურმა და უპრეტენზიო მუშაკმა საყოველთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა. რაც მთავარია – სარგებლობდა და სარგებლობს ავტორიტეტით საზოგადოების ყველა საფეხურზე. ასეთი ადამიანები საქართველოს აღმავლობისთვის ყოველთვის იბრძოდნენ და კიდევ უნდა იდგნენ მოწინავე ხაზზე. მათ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მადლობა ღირსეულად დაიმსახურეს და შეიშნეს.

**„ეკიხტებაუმსჯაჰი ღამაზი ნღები“**

**სამნიძე ბუნაზ სოსოს ასული**

დაიბადა 1965 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ადლიაში. 1971-1981 წლებში სწავლობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის კახაბრის №1 საშუალო სკოლაში.

1982 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის 76-ე პროფესიული ტექნიკუმი. ამავე წელს მუშაობას იწყებს ბათუმის „ბელოზ-ერსკის რაიონის“ სახელობის მეურნეობაში.

1986-1991 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია.



1992-1997 წლებში ასწავლიდა ადგილის სასუალო სკოლაში ჯერ დაწყებით, შემდეგ კი მაღალკლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურას.

1996 წელს სკოლის პარალელურად მუშაობს ს.ს., გამომცემლობა აჭარაში” ჯერ კორექტორად, შემდეგ რედაქტორად.

2003 წლიდან „გამომცემლობა აჭარის” პოლიგრაფიული ცენტრის პასუხისმგებელი რედაქტორია. ასრულებდა გამომცემლობის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობას. პარალელურად მუშაობს ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის” მთავარი რედაქტორის მოადგილედ.

2007 წლიდან მუშაობს ბათუმის „მეგობრობის” ლიცეუმში და მასთან არსებულ, ენების შემსწავლელ და აბიტურიენტთა მომზადების ცენტრში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად.

2011 წლიდან ბათუმის „კავკასიის ბიზნესსკოლაში” ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

2012 წლის აგვისტოდან შ.პ.ს ბავშვთა გასართობი ცენტრის „თავდაყირას” დირექტორია.

2013 წლის მარტიდან ჯერ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელის” კადრების მართვის მენეჯერია, შემდგომ კი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

არის ხუთასამდე წიგნის რედაქტორი.

ქალბატონი გულნაზი საკმაოდ ენამახვილიცაა და სასიამოვნო მოსაუბრეც. უნარი აქვს რჩევა-დარიგებისა და მითითებისა. არის ჭკვიანი და დაკვირვებულნი. მრავალი მეგობრული შარჟის ავტორიცაა, რომელიც ზეპირად ახსოვს. უჭრის

კალამიც. დაუზარელია და ვერცხლისწყალივით მოძრავი. სადაც კი უმუშავია, ყველგან დადებითად ახასიათებენ და დიდი სიყვარულით იხსენიებენ. მწერლებთან, პოეტებთან და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან სიახლოვის კვალი მასში ნათლად იგრძნობა. თავაზიანობის განსახიერებაა. მას ვერასოდეს იხილავთ გულწათხრობილს, სულ მზიანი აქვს სახეც და ღიმილიც. არის არაჩვეულებრივი დეკლამატორი. წვეულებებში თუ პიენიკების დროს მის სიახლოვეს ყოველთვის მხიარული ატმოსფერო და განწყობილება სუფევს. არ აკლია სიბრძნე, როგორც იტყვიან დიდთან დიდია პატარასთან პატარა. ყოველთვის საქმიანია, პუნქტუალურია და იცის დროის ფასი.წამი, რომ წამია იმასაც გონივრულად იყენებს. ფლობს ქართულს, რუსულს და საგნობრივად საჭირო თურქულ ენას. არის გულდია, ხელგაშლილი და პურმარილიანი, ნათესავ-მოყვარის უებრო მასპინძელი. მშობლები ისაგან გადმოყოლილი ნიჭიერებით – პირდაპირი და სამართლიანია. თავისი მუშაობის პერიოდში არაერთ კურიოზულ ამბავს შესწრია, რომელთაც ხშირად იხსენებს.

როგორც ვახსენე, მას კალამიც უჭრის, მაგრამ არასოდეს დაინტერესებულა, ბედი ეცადა მწერლობაში, არადა რაღაც ლამაზს შემატებდა ქართულ მწერლობას.

დრო წინაა და იქნებ, მაინც მოჰკიდოს ხელი ამ სასიამოვნო საქმიანობას. მწამს, რომ ლამაზ კვალს დაამჩნევს შემოქმედებით სივრცეს.

## **„კეთილი ნაკვალევი“**

### **სამნიძე ალექსანდრე (ტუხუზა) სულეიმანის ძე**

დაიბადა ქ. ბათუმში 1949 წელს.

1956-1966 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის №1 საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობას იწყებს ავტოტექნომსახურების სადგურში ზეინკლად.



1970-1975 წლებში სწავლობს ქ. ვოლგოგრადის (სტალინგრადი) პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ავტო-საინჟინრო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

1975 წელს ინიშნება №4 ავტოტრესტში სამგზავრო გადაზიდვების განყოფილებაში ინჟინერის თანამდებობაზე.

1977 წელს გადაჰყავთ ქ. ბათუმის საქალაქო კომიტეტში ტრანსპორტის საინფორმაციო სექტორის უფროსად.

1978 წელში ინიშნება ქ. ბათუმის საკვანძო ავტოსადგურის უფროსად სადაც დაჰყო 1983 წლამდის.

1983-1987 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში სხვადასხვა თანამდებობაზე.

1988 წელში ბრუნდება №4-ე ავტოტრესტში – აჭარის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში მოძრაობის უსაფრთხოების განყოფილებაში ინჟინრად.

1992 წელს ინიშნება იმხანად აჭარაში ყველაზე მასშტაბურ, №1 სატვირთო ავტო-საწარმოს დირექტორად.

2002 წელში სამუშაოდ გადადის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციაში სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების სამმართველოს უფროსად.

არის პუნქტუალური, მომთხოვნი და სამართლიანი სახელმწიფო მოსამსახურე. ყოველთვის გამოირჩევა აქტიურობით და აკურატულობით, კეთილშობილებითა და ავტორიტეტით, ტაქტიანობითა და უშუალოდ და რაც მთავარია – არის ტრადიციული სტუმართმოყვარე.



იქნებ გაზვიადებულად ჩამითვალონ., მაგრამ უთქმელობაც ცოდვია. იგი აჭარის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის დიდებული ოჯახის ტრადიციების მატარებელია. სანიმუშო მშობლების შვილს, ოჯახიც სანიმუშო ჰყავს. შვილი ელგუჯა – უშიშროების მსახურია.

ლელა კი – საზღვაო კლინიკის ექიმი ენდოკრინოლოგი...

### **„გზები უსახელობისკენ“**

#### **სამნიძე ზურაბ (ნიაზ) სულეიმანის ძე**



დაიბადა ქ. ბათუმში 1942 წელს. 1949-1959 წლებში სწავლობდა №4 საშუალო სკოლაში.

1963 წელს დაამთავრა სავაჭრო ტექნიკუმი.

1968-1973 წლებში სწავლობდა ქ. მოსკოვის კვების მრეწველობის ინსტიტუტში, დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1956-1961 წლებში სხვადასხვა ხელოსნობას მისდევდა.

1961 წელს მუშაობას იწყებს სავაჭრო სისტემაში, კერძოდ კი მაღაზიის გამგედ.

1969 წელში გადაჰყავთ „აჭარმომარაგების“ დირექტორად, საიდანაც აირჩიეს აჭარის მინისტრთა საბჭოს ნომენკლატურაში და მუშაობდა 1973 წლამდე.

1973 წლიდან გადაჰყავთ „აჭარკოოპკავშირის“ ცენტრალური ბაზის უფროს საქონელმცოდნედ.

1975-1979 წლებში მუშაობას იწყებს უნივერსიტეტის დირექტორად. იყო აჭარის წარჩინებული ვაჭრობის მუშაკი. მიღებული აქვს მადლობები.

1979 წლიდან გადაჰყავთ აჭარის „ჯანდაცვის სამინისტროს“ მომარაგების ბაზის დირექტორად.

1984 წელში, აჭარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში თავისი სპეციალობით გახსნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი, სადაც დღესაც მისეული პროგრამით იკითხება ლექციები.

1995 წელს სამუშაოდ გადაჰყავთ ქ. ბათუმის მერიის დაქვემდებარების №9 მიკრორაიონის გამგებლად. აქ მუშაობის პერიოდში აითვისა დატოვებული ტერიტორია და მთავრობის წინააღმდეგობების გადალახვით და რის ვაი-ვაგლახით აშენებს ბაზარს, სახელწოდებით „ბონი“ (ფარეხი). ამ სავაჭრო ობიექტის აშენების შემდეგ დაუწყეს დევნა, იარაღის სროლა, ოჯახის წევრების დევნა-შევიწროება და დაჭერები, მოსამსახურეთა და მოვაჭრეთა გაყრა სავაჭრო ობიექტიდან. ამ დევნა შევიწროებამ საერთო ჯამში ნახევარ მილონზე მეტი აზარადა. (ლარებში).

დღესდღეობით ბატონი ზურაბი მაინც იბრძვის ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ემსახურება ხალხს. სურვილი აქვს საქართველოს გაერთიანებისა და ეკონომიკურად გაძლიერებისა. ოცნებობს მეტალურგიული ქარხნის აგებაზე.

აღბათ ოცნებებს და სურვილებს მომავალი გაუნადღებს.

ბატონი ზურაბი არის კეთილსინდისიერი და პატიოსანი, სახელმწიფო მოღვაწე და ხალხის მსახური, მას ჰყავს შესანიშნავი ოჯახი. შვილებიც ხალხის სამსახურში არიან.

რასაც თავისი ხელით ქმნის, არის უზადო. ბავშვობიდან მოყოლებული ხე-მასალაზე მუშაობდა. მიმდებარე ბაზარში მისი ნახელავი – ჭურჭლეულის შესანახავი ე.წ. „პასუდნი შკაფები“, მაგიდები, ტაბურეტები და სხვა ნაწარმი უპრობლემოდ საღებობდა. იგი დროს მაქსიმალურად იყენებდა, რითაც ოჯახს სარჩო-საბადებელს მატებდა.

ბატონი ზურაბისთვის ვიწრო სამოქმედო არეალი ნამდვილად არაა საკმარისი. მას ბევრის გაკეთება შეუძლია. მომავალი წინაა და იქნებ იმ გეგმებს, რაც დასახული ქონდა და აქვს, ფრთები შეესხას, თუმცა ვიტყვი დანანებითაც – ღრმა შემოქმედებითს ასაკს გადაცილდა უკვე და დღევანდელი ვითარებიდანაც გამომდინარე, მგონი აღარავის ვჭირდებით... რას ვიზამთ...

**სამნიქვ ღავით თამაზის კი**

დაიბადა ქ. ბათუმში 1974 წელს.



1981-1991 სწავლობდა №--- საშუალო სკოლაში.

1991-1996 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

1994-1995 წლებში მუშაობდა ა.რ. ფინანსთა სამინისტროში სახელმწიფო შემოსავლების დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების წამყვან ეკონომისტად.

1995-1998 წლებში აჭარის ა.რ. ფინანსთა სამინისტროს სახელმ-

წიფო შემოსავლების დაგეგმვისა და ანალიზების განყოფილების მთავარი ეკონომისტია.

1999-03-1999-04: აჭარის ა.რ. ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო საბაჟო პოლიტიკის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

1999-2004 წლებში აწინაურებენ ამავე განყოფილების უფროსად.

2004-2005 წლებში აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის და ლიცენზირების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

2005-2006 წლებში: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – საფინანსო სამსახურის უფროსი.

2006-2007 წლებში ქ. ბათუმის მერიის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე.

2007 წელში – მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი.

2007-2010 წლებში იგი ქ. ბათუმის მერის პირველი მოადგილეა.

2012 წლიდან იგი დაკავებულია ბიზნესსაქმიანობით.

## **„*დეკვი ღომისა სწოხია*“**

### **სამნიქე ნათა ზურაბის ასული**

დაიბადა ქ. ბათუმში 1987 წელს.

1999-2004 წლებში სწავლობს ქ. ბათუმში რიფაედინ შაჰინის სახელობის საერო მეგობრობის ლიცეუმში, რომელიც დასრულებულია საშუალო სკოლის ატესტატით. პარალელურად აქვე იგი 2002-2003 წლებში გადის თურქული ენის შემსწავლელ კურსებს, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს.



2004-2005 წლებში აშშ-ში, ვაშინგტონში ჯონ რ.როჯერსის საშუალო სკოლაში სწავლობს, რომელსაც ამთავრებს წარჩინებით.

2005-2009 წლებში სწავლობს ქ. თბილისში „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ბაკალავრის პროგრამა-ინ-

დუსტრიული ინჟინერია და მინიჭებული აქვს ბაკალავრის ხარისხი.

2004-2005 წლები-საემიგრაციო სერვისის სააგენტო, ასისტენტი (მოხალისე) ვაშინგტონი, აშშ.

2009-2011 წლებში, შვედეთში „იონშოპინგის“ უნივერსიტეტში გადის სამაგისტრო პროგრამას-პროდუქციის განვითარება და მენეჯმენტი – მაგისტრის ხარისხით.

2009/III-2009/VII შვედეთში კომპანია ჰუსკვარნაში იმყოფება, საპროდუქციო ხაზის პროექტში მონაწილეობის გამო.

2009/X-2009/XII შვედეთში კომპანია ფაგერჰულტში იმყოფება ხარისხისა და ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების პროექტში მონაწილეობის გამო.

2011 – იანვარ-ივნისში კომპანია ჰულტბერუკში, შვედეთში, შესყიდვების დეპარტამენტში გადის შესყიდვების დეპარტამენტის სტრუქტურისა და ფასების ნიმუშის ანალიზის კურსებს, სადიპლომო სამუშაოს განხრით.

2011 წლის სექტემბრიდან მუშაობს სამშენებლო მასალისა და მომსახურების შესყიდვა, ლოჯისტიკა, სამშენებლო დეველოპერული კომპანია „ორბი“ ჯგუფში შესყიდვების მენეჯერად.

მიღწევები, გრანტები: 2004-2005 წლებში – მომავალი ლიდერების გაცვლითი პროგრამა (FLEX) გრანტის გამცემი: აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, ვაშინგტონის შტატი.

2002-2003-2004 რესპუბლიკური კონფერენციები მეცნიერებაში.

2002- წელში – მათემატიკის სკოლის პრეზიდენტი.

ფლობს სრულყოფილად კომპიუტერულ პროგრამებს და ენებს: ქართულს, რუსულს, ინგლისურს, თურქულს–საშუალოდ, შვედურ ენას როგორც დამწყები. აქვს B-კატეგორიის მართვის მოწმობა. არის დაოჯახებული.

**სამნიძე ჯიმშერ აბდულის ძე**



დაიბადა სოფელ პირველ მაის-ში 1982 წელს.

1989-1999 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

2000-2004 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ ფაკულტეტზე, სპეციალობით დაწვებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდა.

2006-2007 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში თავისი სპეციალობით.

2008-2009 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, დიპლომატიურ ქვეგანყოფილებაში.

2009 წლის მაისიდან დეკემბრის თვის ჩათვლით სწავლობდა ქ. თბილისში პოლიციის აკადემიაში.

2010 წლის აპრილიდან მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პირველ სამმართველოში უფროსი ლეიტენანტის წოდებით პატრულ-ინსპექტორად.

ეს მცირე ბიოგრაფიაა. მომავალი ალბათ კიდევ გააფართოებს მონაცემებს მასზე.

**„ღამაზი წლების გაეცემა“**

**ყაღიძე მუხამედი (ტუხა) ისმაილის ძე**

ტუხა დაიბადა ღამაზ სოფელ საღორეთში. ცხოვრება უზრუნველი ქონდა მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ბუნებით აზარტულ კომიკს და იუმორის ნიჭით დაჯილდოვებულს, ბედმა ადრე უმტყუნა.



ნიკო შავლიძის მსგავსად, არც ტუხას დაბადების თარიღით დაეკონკრეტდები, იმიტომ რომ ასეთი აღამიანები იშვიათად იბადებიან და მათზე თარიღის დასმა მკრეხელობად მიმანია, არადა ისიც ჩვეულებრივი დედის ნაშობი იყო. დიახ, დღეს თაღხით მოსილი დედის ნაზი არძანოღლი-ყადიძის, რომელიც, იმისთანა შვილის დამკარგავი, მაინც მუდამ გულგახსნილი ხვდება ყველა სტუმარს, ნაცნობსა თუ უცნობს, დიდსა თუ პატარას და თანაც იუმორითა და ქათინაურებით. მე კი მჯერა, რომ ჩვენს მიმტოვებელ ტუხას დედისგან ჰქონდა გადაყოლილი იუმორის ნიჭი, ხალასი ხუმრობა.

ჭირ-ვარამის გამზიარებელი, ღხინ-ქორწილების დამამშვენებელი, უბადლო მოსაუბრე და თამადა, ჭკვიანური გამომეტყველების, მეგობრული და რომ იტყვიან-დიდთან დიდი პატარასთან პატარა.

დიდხანს ემსახურა სამშობლოსა და საზოგადოებას, თავის ხალხს – იყო არაამბიციური წესრიგის დამცველი, საგზაო ზედამხედველობისა და უსაფრთხოების მუშაკი, თუმცა უნდა ვადიარო – მთელი საქართველოს მასშტაბით იცნობდნენ ავტონისპექტორ – ტუხას...

მოკლე დროში, რომელიც მან იცხოვრა, კაიადამიანობის, სპეტაკი მუშაკის და პირგაუტყხელი პიროვნების სახელი დატოვა. დატოვა კიდევ ნაადრევად დაქვრივებული ლამაზი და ახალგაზრდა მეუღლე სამ ქალიშვილთან ერთად.

უძეობას არც ჩიოდა – მისი ქალიშვილები მშობლებს უძეობას არ აგრძნობინებდნენ.

სახელი და დიდება თავისით არ მოდის.

ტუხა იყო შრომისმოყვარე, სიმართლისმოყვარე, ტოლმეგობრების და ხალხის მოყვარე. მის გვერდით ყოველთვის ხალხმრავლობა იყო – იუმორის მოყვარეს მარტოდ არავინ ტოვებდა. სახელ–დიდებაც ხალხთან გამუდმებულმა ურთიერთობამ, და მათდამი პატივისცემით და სიყვარულით განმსჭვალულმა ხასიათმა მოუპოვა.

უყვარდათ იგი და აფასებდნენ არამარტო ტოლ-მეგობრები, არამედ უფროსებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩათვლით, მთავრობის ხალხიც და სხვა რესპუბლიკიდან შემოსული მძღოლებიც. გარდაცვლილზე თუმცა იშვიათად ამბობენ აუგს, მაგრამ არ არსებობს თუნდაც ერთი ადამიანი, ვინც ტუხას სხვაგვარ კონტექსტში მოიხსენიებს. პირიქით – ტუხა, რაღაც ეტალონისმაგვარი იყო ყოველთვის და ვინც მის სახელს ახსენებდა, პრობლემები არასოდეს ექმნებოდა.

ტუხას განსაკუთრებით უყვარდა ჩვენი სოფლის შუაგული, ეგრეთწოდებული „ჯამიკარი“ და აგარაკი „ტბათი“, რომლის ხშირი სტუმარიც იყო.

ტუხა ყოველთვის ცდილობდა რაღაც მნიშვნელოვანი რამ დაეტოვებინა სოფლისთვის, თავისი აღმზრდელი ხალხისთვის. ერთხელ კიდევ შემეკითხა ამის შესახებ, მაგრამ მე ასეთი პასუხი გავეცი – ისიც საამაყოა, სოფელს, ტუხა რომ ჰყავს მეთქი. გაიცინა, მაგრამ... ჰო, ასე სიცილ-სიცილით გამოგვეცალა ხელიდან და გაგვეპარა იმ ქვეყნად. რაღაცას ვეღარ გაუძლო გულმა... ბოლივით თითქოს ცად ამადლდა მისი სული... დიახ, მწიკვი თუთუნის ბოლივით...

ტუხა – ავტონისპექტორად მუშაობის პერიოდში მან საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ავტონისპექტორებისთვის იგი ვაჟკაცობის, სიმართლის, სიტუაციიდან გამოსავლის პოვნის, მოხერხებულობის და სიწმინდის ეტალონი იყო.



ასეთად რჩება იგი ყველას გულში...

ტუხა ცხოვრების მანძილზე ბევრ კურიოზს გადაჰყრია, მაგრამ ყოველთვის მოუნახავს შესატყვისი. ასეთი ამბების მოყოლა მაინცდამაინც სიხარულს არ გვრიდა, სამაგიეროდ მისმა ამხანაგებმა მისი სიკვდილის შემდეგ კურიოზებს მტვერი არ წააყარეს.

## ტუხა და უჩიოზები

შინაგან საქმეთა მინისტრი ოთარ კახიძეს და ტუხას აყოლებს მძღოლს, მასალის ჩამოსატანად. ადიგენში ხედებიან სამ კაცს, რომელთაც ზარზმის გზას ეკითხებიან.

- რად გინდათ ზარზმის გზა? – ეკითხებიან დამხვდურები
- ჩვენი ბიჭები მასალის დასამზადებლად წამოვიდნენ და...
- ჩვენთ სწორედ მაგათ ვეძებთ – იყო პასუხი.

ინსპექტორებმა ერთმანეთს გადახედეს და...

– ჩვენი მინისტრის დავალებით ვართ – უპასუხა ტუხამ... დამხვდურმა მეტყვევებმა სტუმრები რესტორანში შეიპატიეს. პურმარილი დამხვდურებმა იკისრეს, თუმცა აჭარლებიდან დამლევით არცერთი არ იყო. ადიგენლებსაც კახელებივით გინება ჰყვარებიათ და...

– დალიეთ, თქვენი კეთილებით – შეიგინა ერთმა. აბა აჭარლებს ეს როგორ გვესიამოვნებოდლო – მითხრა ოთარმა.

– დამისხით, თქვენი კეთილებიცო – უთხრა ოთარმა და... ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და...

ტუხა გარეთ გავიდა და კვდება სიცილით.

მოთავდა პურმარილი...

– რა ჯანდაბა გეტაკა, რა გაცინებდა – ჰკითხა ოთარმა.

– შენ შეგინება გინდოდა და ამისთვის დალიე თორემ კარგად ვიცი დამლევით არ იყავი – უთხრა ტუხამ და კვლავ ჩაბუიღდა.

\*\*\*

ტუხას სახელს ხშირად იყენებდნენ მძღოლები.

დგას ტუხა ერგეს ქვემოთ ძმაკაცებთან ერთად. მოდის შემოთ დატვირთული ხულოელი მძღოლი. (ქედლებმაც იციან ტყუილი, მაგრამ არა საზიანო. ხულო-შუახევის ხალხმა კი გადამეტებული იციან, თანაც სიტყვის თავზე იზინებიან კიდევ... ტყუილი ხომ...)

აჩერებენ ინსპექტორები.

– სად მიგაქვთ? – ეკითხებიან.

ტუხასთან. (იგი ტუხას არ იცნობდა მხოლოდ სახელი იცოდა)

– იცნობ? – კვლავ შეეკითხნენ.

– ბრეჰ, ძმაკაცები ვართ.

– მაშინ ჩაგაცილებთ, რომ სხვებმა არ გაგაჩერონ... და ტუხა გაჰყვა გამცილებლად.

– ურეხიდან გადადი, მოკლე გზაა – ეუბნება ტუხა და მიიყვანა თავის სახლთან..

– იცნობ ტუხას? – ახლა თავად ტუხა ეკითხება.

– ვიცნობ მა რა...

– მაშინ იგერაა მისი სახლი და დაცალე.

მძღოლს სახის ფერი ეცვალა.

– შე, კაი დედმამიშვილო ორი მანეთის გულისთვის ამხელა ტყუილი იქნება? ტუხა მე ვარ. აჰა შენ სამი მანეთი და მეორედ აღარ მოიტყუო – უთხრა და გაუშვა.

\*\*\*

მოკვდა ტუხა. ყველა ხომ ვერ გაიგებდა მის გარდაცვალებას, ჰოდა ერთ დღეს მოაქვს ხულოელს შეშა. აჩერებენ ერგეს ქვემოთ.

– სად მიგაქვს? – ეკითხებიან და თან ტუხას სურათს აეფარნენ. (წყარო და სურათი ძმაკაცებმა გაუკეთეს)

- ტუხასთან - იყო პასუხი.
- შე უსინდისო, ტუხაი მკვდარიც ჯობია თქვენისთანა არაკაცებს. ორი მანეთის გულისთვის დედ-მამასაც ჩააწვენთ მიწაში და ჯიშ-ჯილაგს ამოატრილებთ - უთხრეს ინსპექტორებმა და ტუხას სურათიც დაანახეს.
- წაეთრიე ახლა და ამგვარად ტუხა აღარ ახსენო.

\*\*\*

- ტუხას ძმას შეშა მიაქვს ქვრივ-ობლებთან. აჩერებენ მასაც.
- სად მივაქვს? - ჩვეულებრივ ეკითხებიან.
  - ტუხას სახლში - პასუხობს აბღული.
  - კი მარა, ხუთი მანქანა ჩაიარა და ყველამ ასე თქვა, შენ ვინღა ხარ?
  - ძმა ვარ ბიჭებო მისი და თქვენ ვინ გაატარეთ ეს არ ვიცი.
  - წამოგყვებით, რახან ეგრეა და დაგაცლევინებთ.
  - დიდი მადლობა ბიჭებო, თითქოს უკვე დაგვეხმარეთ. გმადლობთ.

ძალიან ბევრია ტუხაზე მოსაყოლი, მაგრამ ძმაკაცებიც დაიფანტნენ მისი სიკვდილის შემდეგ, რის გამოც ბევრი ველ-არაფერი გავიგე. მისი კაცურკაცობის და სიაღვლის შესაფასებლად ჯერჯერობით ესენი ვიკმაროთ...

**„აღლით ნახომი მადლი“**

### **ყადიძე მემედ შაქირის ძე**

მემედ ყადიძე დაიბადა 1925 წელს სოფელ საღორეთში. აჭარის წყლის ჰიდროელსადგურის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, 1946 წლიდან მუშაობდა ამავე ობიექტის მცველად. (ახრანიკი...). მუყაითი და ენერგიული მუშაობით „აწკესის“ კოლექტივში დროთა განმავლობაში მოიხვეჭა პატიოსანი და თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნის საპატიო სახელი.



იყო დინჯი და აუქჩარებელი, ელექტროსაქმის კვალიფიციური მცოდნე. მის სახელთან დაკავშირებით სწორედ ეს მანერები ფიგურირებს და სიმართლეს შეესაბამება იმდენად, რამდენადაც უჩინარი მტერი ისეთ ცოდნას საჭიროებს, შეცდომა კატასტროფულად მთავრდება.

მისი თანამდებობა იყო მზირის მოვალეობის შესრულება. წოდებით ელექტროტექნიკოსს პერიოდულად გამოცდა უტარდებოდა უსაფრთხოების ტექნიკაში.

1958 წელს მიღებული აქვს მოწმობა „აწჷკისის“ ღირეკციის მიერ. №21/19.

1962 წელს კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ გაცემულია ასეთივე მოწმობა საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობის მიერ, სადაც გამოცდების შედეგებიცაა.

იყო სამხედრო ვალდებული, ვინაიდან წარმოება გასამხედროებული იყო.

1972 წელს გაცემულია სპეციალური საშვი №9

1952 წელს ელექტრომონტიორია.

1956 წელს გადაჷყავთ ტურბინის მემანქანედ.

1969 წელში დაინიშნა მორივე ინჷინრად.

1973 წელს წარმოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაიყვანეს ბათუმის ელექტროკვანძში.

1985 წელს მიენიჭა ელექტრო მონტიორის V-თანრივი.

1993 წელში ენერგეტიკულ-საიჯარო კომერციულ ფირმაში ელექტრო ინჷინერიია.

2001 წლის ჩათვლით ამ წარმოებაში მუშაობდა ელექტრო-მეაკუმულატორედ, შეთავსებით მუშაობდა მართვის ფარის

მორიგედ. მიღებული ქონდა მრავალი მადლობის ფურცელი, ქების სიგელები, ფულადი ჯილდოები. მინიჭებული ქონდა სახალხო ინჟინრის და ელექტრომონტიორის წოდება.

ბატონი მეძედი იყო სოფლის აქტივისტი, მუშაობდა კოლმეურნეობის რიგით წევრად. სარგებლობდა აღიარებული ავტორიტეტით. მცხოვრებთა ხსოვნაში მუდამ დარჩება სპეტაკი და სიმართლის მოყვარული ადამიანის სახელით. აწჷვის კოლექტივი ყოველთვის გადაჭარბებული პატივით მოიხსენიებდა.

იყო პროფკავშირის და წითელი ჯვრის წევრი. იყო მძღლიც. უსაფრთხოების ტექნიკაში საკუთარი ჩანაწერებიც ქონდა.

გარდაიცვალა 2003 წელს.

**„მადე მოხილი ლიხება“**

**შერვაშიძე (ბაღაძე) ვადიმე**



დაიბადა 1890 წელს ქედის რაიონის სოფელ ზედა მახუნცეთში. ტრადიციული ოჯახური მეურნალის სახლში.

პირველდაწყებითი განათლება მიიღო სახლში. იცოდა წერა-კითხვა, მაგრამ რომ იტყვიან „დედაბრული“ ქართულით. კაფანდარა გოგომ მამის ხელოვნებას მიაქცია ყურადღება და რიგიანად შეისწავლა ამოვარდნილობების, მოტეხილობებისა და რიგი დაავადებების მეურნალობა.

იქნებ ვინმემ თქვას – გამორჩეულ ადამიანთა რიგში რა შესატანი იყო ეგ ღვთისნიერიო. ისეთი შთამომავლობის წარმომშობი ქალი, რომლებიც საღორეთის შერვაშიძეებს ედგნენ

სათავეში, დიახაც ღირსია ღირსეული ადამიანების გვერდით მოვიხსენიოთ.

ოჯახის შექმნას როცა ფიქრობდა ალბათ ღვთის მიერ წინასწარ დაგეგმილი იყო მისი ბედნიერება, თუმცა ბედნიერება არ შეიძლება ვუწოდოთ მის დაოჯახებას, ვინაიდან გასული საუკუნის 30-იან წლებში გვარი რეპრესიების ქსელში გააბეს. მის მიერ გატარებული ცხოვრების წლები ძალიან მძიმე იყო, ოღონდ ესაა, კერა არ გამოაცივა და ღირსეულად წარუძღვა ძნელბედობის ბილიკებზე უკაცოდ დარჩენილ ოჯახებს.

მან კაცის ტვირთიც იტვირთა, გაჭირვებას კი თავისი ხელობა უმსუბუქებდა. სხვებს რომ დახმარებას აღმოუჩენდა, ეს ასულდგამულებდა და წლების სიმძიმეს ვერც გრძნობდა თითქოს. მას არასოდეს დაუწუწუნია, არასოდეს არავისთან მისულა სესხისთვის, პირიქით – თავად იყო სხვათა შემწე და ხელისშემწეობი.

მასსოვს – იგი პირქუში გეჩვენებოდა ადამიანს თითქოს, მაგრამ სრულებითაც არ იყო ასე. საოცარი იუმორის ნიჭით იყო დაჯილდოებული და როგორც მკურნალის პროფესიას შეეფერებოდა და როგორც იტყვიან „ექიმის ენა უფრო მკურნალიაო,” სწორედ ამ ადამიანზე ითქმებოდა. მასთან არაადამიანურ ტკივილებით მისულ ადამიანს მოქარგული ენით, მოსიყვარულე გულით და იშვიათი ღიმილით უქარვებდა თუ უნახევრებდა ტკივილს.

ღიახ, ღიმილი რაღაც უფრო ზეციური ქონდა. მკურნალობა კი უებრო იცოდა – არასოდეს მოსვლია შეცდომა.

იქნებ ვინმეს გაეცინოს, მაგრამ მაინც უნდა დაგარწმუნოთ – მას თითებში ბიოდენები ნამდვილად ქონდა, რაშიც ჩემს თავზე გადახდენილი ტრავმის და მისი დასმული დიაგნოზის შემდეგ დავრწმუნდი, გადაჭარბებულად ნუ მოგეჩვენებათ ჩემი ნაამბობი – დღეს ამისთანა რამ დადგენილია.

ქალბატონი ფადიმე თანასოფლელი ორი მანდილოსნის ერთად ბებიაქალობასაც სწევდა, რამეთუ მედიცინის სიკეთე ახალშემოსული იყო აჭარაში და ბევრი კიდევ სეკეპტიკურად უყურებდა, ექიმბაშებს უფრო ენდობოდნენ. რაც არ უნდა ყბა მიქციონ და ძვირიც თქვან ჩემზე, მე მაინც სიმართლეს ვიტყვი – ქალბატონი ფადიმე არ იყო ექიმბაში. (ზოგი სეკეპტიკურად უყურებს ამ პროფესიას. იქნებ მართლებიც იყვნენ – შარლატანები მართლაც მომრავლდნენ). იგი ნამდვილი უდიპლომო, მაგრამ ექიმ ტრავმატოლოგის დონისა იყო. ამაში ბევრი დამერწმუნება.

ერთი რამ კი ნამდვილად ახასიათებდა. ტრავმირებულ ადამიანს ძალიან უხეშად გაეხუმრებოდა, მაგრამ არავის არასოდეს სწყენია. უხდებოდა კიდევ მის პროფესიას.

ბებიაქალობა ვახსენე.

ქალბატონ ფადიმეს ესმერ დვალიძისა და ხატიჯე სამნიძის ერთად (ეს ორი რძალ-ძული იყვნენ)იმდენი ბავშვი ჰყავთ აყვანილი (მარტო მას 75 ბავშვი) იმდენი ბედნიერება თქვენ, პატივცემულო მკითხველო. სოფლად ოჯახი არ დარჩენილა, მათი მადლიანი ხელის მიღმა და სხვა სოფლებშიც კი – ნულარ იკითხავთ.

ამდენი მადლის ჩამდენი ადამიანი კი ნამდვილად ღირსია მოხედეს არათუ წიგნში, საპატიო დაფა უნდა იყოს მათთვის უზარმაზარი, მაგრამ სადაა...

1991 წელში, 101 წლისა მიიბარა მშობლიურმა მიწამ.

ჩაიღინეთ თქვენაც მადლი. ჰქმენით სიკეთე და დადეთ ქვაზე... თქვენ თუ აღარ დაგხვდებათ, სხვა ხომ ისარგებლებს და ამით თქვენც გაგიმრავლდებათ მადლი...

ჰქმენით მადლი და სიკეთე...

**შერვაშიძე ქაზიმ ხუსეინის ძე**



დაიბადა 1924 წელს სოფელ საღორეთში, ისწავლა ხუთი კლასი. გვარში რეპრესიების მსხვერპლი შეიქმნენ თავისი მკვიდრები, ამან კი გავლენა იქონია მოზარდზე და მას სკოლა არ დაუმთავრებია, თუმცა ამ ამბავს ქაზიმისთვის გული არ გაუტეხია. დედის ამარა დარჩენილმა, საკოლმეურნეო შრომას შეება. კეთილსინდისიერმა შრომამ მისი გზები სასიკეთოდ გაკვალა.

1949-1954 წლების განმავლობაში პირველი მაისის კლმეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

1954 წელს მას ირჩევენ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სადაც მან 1965 წლამდე იმუშავა.

1964 წელს დავამთავრეთ საწარმოო სწავლებიანი საშუალო სკოლა. ბოლო გამოცდებზე სოფლის მეურნეობის საფუძვლებშიც უნდა გვეჩვენებინა წარმატებები. ამ დარგში გამოცდები ჩაიბარა ქაზიმ შერვაშიძემ და წარმატებებიც ვაჩვენეთ.

1965-1970 წლებში, დაწინაურებული ქ. შერვაშიძე პირველი მაისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა.

1977-1987 წლებში იგი ხელმძღვანელობს ქედის რაიონის საკოლმეურნეობათა შორისო ცხოველმრეწვეს.

1987 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

ქ. შერვაშიძე არჩეული იყო ქედის რაიადმასკომის რამდენიმე მოწვევის დეპუტატად.



დაჯილდოებული იყო აჭარის ასსრ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით და მედლებით.

ბატონი ქაზიმი, ვინაიდან ობლობაში გაიზარდა და გამრჯე ადამიანი იყო, ბავშვების, უფრო მეტად თავისი შვილების მიმართ მომთხოვნი იყო. შესაფერისად ასაქმებდა შვილებს. არ მიაჩნია ზარმაცობას და მუქთახორობას. გამრჯე ადამიანმა შრომის ყადრი და ფასი, ნამდვილად მუყაითი გლეხკაცის ზომასზე იცოდა და შვილებიც ასე აღზარდა.

სტუმართმოყვარე იყო, პურმარილიანი. სტუმრის თადარიგი ყოველთვის წინა პლანზე იყო მის ოჯახში. სოფელში შემოსული სტუმარი, ადგილობრივი იყო თუ ზემდგომი, პირველი მასპინძელი უთუოდ ქაზიმი იყო. იგი ცნობილი იყო უხვისიტყვიანი თამადის სახელით. იყო ჭკუის დამრიგებელი, ხელგაშლილი გადამხდელი, უბადლო მეურნე, აკურატული და პუნქტუალური კომუნისტი, დაუღალავი სახელმწიფო მუშაკი.

მისმა კაიადამიანობამ შედეგი ნამდვილად მოიტანა – ხუთივე შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინა, რომელთა შესახებ ამავე წიგნში იქნება მოთხრობილი.

ქაზიმის დედა ფადიმე ბალაძე, როგორც ავღნიშნე, იყო ტრადიციული ოჯახური მედიცინის უბადლო ოსტატი – მოტეხილობებისა და ამოვარდნილობების უმეცდომოდ და შედეგიანად, აგრეთვე უანგაროდ შემსრულებელი. როგორც ზემოთ ავღნიშნე, ქალბატონ ფადიმეს ესმერ დვალიძის და ხატიჯე სამნიძის ერთად ბებიაქალობაში მარცხი არასოდეს მოსვლიათ.

ქაზიმს დედისგან გენებით გადმოჰყვა, ასე ვთქვათ ექიმბაშობა და დედის ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში თვითონ მკურნალობდა.

ოჯახი ყოველთვის ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. იქ, იმ ეზოში, თუთისა თუ ხეჭეჭურის ძირას ყოველთვის ჟრიაშიანი და სიცილი-სიმღერა ისმოდა. სტუმართმოყვარე ოჯახს

თავისიანები, როგორც ფუტკარი სკას, ისე ავსებდნენ და ახმინებდნენ... და ასეა დღესაც.

ქაზიმ შერვაშიძე 1988 წელს ტრაგიკულ შემთხვევას შეეწირა. სახლში გაჩენილ ხანძრის გამო გამოწვეულ ელდისაგან გარდაიცვალა. გაწეული სამედიცინო დახმარება დაგვიანებული აღმოჩნდა.

ეს კი მამაზეციერის ძალა და კანონზომიერებაა...

## **„ვახსენებოვებ“**

### **შერვაშიძე ჟუჟუნა ქაზიმის ასული.**



სოფელ პირველ მაისში მასწავლებელთა მეორე ცვლა ადგილობრივთაგან იყვნენ: მერი და ნათელა სამნიძეები, ნათელა, ლევან და ამირან შავლიძეები, შალვა და ზურაბ თებიძეები, ნათელა ჩავლეიშვილი, ლევან ქადიძე. შემდეგში ანუ მესამე ცვლა იყო 1964-1966 წლებში სკოლადამთავრებულები: ციალა ყადიძე, გურამ შავლიძე ქეთევან სამნიძე. ეთერ სამნიძე, ჟუჟუნა და ნათელა შერვაშიძეები პირველი მაისის სკოლის ისტორიაში პირველი ოქროს მედალოსნები იყვნენ. სამივემ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და პატიოსნად იხდიან სამშობლოს წინაშე აღებულ ვალდებულებას – უმწიკლოდ ემსახურებიან არჩეულ პროფესიას და ხალხს.

ჟუჟუნა შერვაშიძე დაიბადა სოფელ პირველ მაისში 1948 წელს.

1966 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა.

1966-1971 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რის შემდეგაც მუშაობდა ჯერ პირველი მაისის საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად, შემდეგ დაოჯახდა, გადავიდა საცხოვრებლად ქ. ბათუმში და მოღვაწეობა განაგრძო ქ. ბათუმის №1 საშუალო სკოლაში.


ბედი დაუკავშირა ცნობილ პედაგოგს, სალიბაურის სკოლა-ინტერნატის დირექტორს – ლევან ჯიჯავაძეს.

აღზარდეს ოთხი კარგი შვილი, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა ბატონი ლევანი.

...და ღირსეული მამის შვილი ცალუდელად, ღირსეულად შეეჭიდა ცხოვრებას და მიიკეცავს მადლიან ბილიკებს... დაზარდა სანიმუშო შვილები და თავად პენსიონერი ბებია სიამაყით ზრდის ამჟამად შვილიშვილებს.

**აღალი ლუმა"**

**შერვაშიძე იოსებ ქაზიმის ძე.**



დაიბადა 1950 წელს სოფელ პირველ მაისში.

1966 წელს დაამთავრა „აწქესის“ სკოლა-ინტერნატი და სწავლა განაგრძო ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

1972 წელს მუშაობას იწყებს პირველი მაისის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად.

წლების განმავლობაში მუშაობდა მახინჯაურის ტურისტულ ბაზაში. შემდეგ სალიბაურის სკოლა-ინტერნატში.

სადაც კი უმუშავია, ყველგან ახასიათებენ დადებითად და საქმის მცოდნედ. არის აკურატული და დაუზარელი. მხიარული და ენერგიული, ენაწყლიანი და იუმორის მოყვარული. დაკვირვებულნი მოსაუბრე და განსჯის ოსტატი. იგი არასოდეს გადადგამს მოუფიქრებელ ნაბიჯს და ასევე, არც მოუფიქრებელ და უინტერესო პასუხს არ გააცემს.

არის სამი შვილის და შვილიშვილების პატრონი. ეწევა კერძო ბიზნესს.

აღბათ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას თუ ყოველ კვირას არა, თვეში ორჯერ მაინც ეწევა ნააკენევ ნაბუდარ სოფელს, მოინახულებს დედას, მიესიყვარულება მამა-პაპისეულ ეზო-კარ მიდამოს, მეზობლებს და მძიმე-მძიმედ ტოვებს სოფელს, რომელზეც უზომოდ შეყვარებულია. ბედმა კი ქალაქად ცხოვრება არგუნა.

„კაცი იყავ კაცურიო“ – ამბობს ანდაზა და ლექს სიმღერაშიც ამგვარად ჟღერს, თუმცა ეს ჟღერადობა მოაკლდა მის ცხოვრებას. როცა ნამდვილად მიუყვებოდა დაღხინებული იერით ცხოვრების არც თუ ისე იოლ გზას, მოულოდნელად არსთაგამრიგის განაჩენი მოეწია გზაზე...

გარდაიცვალა 2013 წლის ზაფხულში.

ადამიანი ჰა და ჰა, რაღაცას მოეწევა სიცოცხლის მანძილზე, რაღაცას დაგეგმავს და...

ზღაპარია ეს ქვეყანა...

**„საუნჯე დაუშეჯელი“**

### **შერვაშიძე ნოდარ ქაზიმის ძე**

დაიბადა 1955 წელს სოფელ პირველ მაისში.

1962-1972 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1974-1979 წლებში სწავლობდა ქ. თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე,



რომელიც წარმატებულად დაამთავრა ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით.

1980-1983 წლებში მუშაობდა ქედის კომკავშირის რაიკომში მეორე მდივნად.

კომკავშირში მუშაობის წლებში აიღო ინიციატივა და სოფელ პირველი მაისის შიდა გზების ერთკილომეტრიან მონაკვეთს ჩაუტარა გეგმიური რემონტი – გააფართოვა სამიმოსვლო სამანქანე გზა, რა თქმა უნდა სახელმწიფოს დახმარებით, რის შემდეგაც მას მალე აწინაურებენ და გადაჰყავთ სულ სხვა სფეროში სამუშაოდ.

1983-1995 წლებში იგი ხელმძღვანელ თანამდებობაზეა – ქედის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში უფროსის მოადგილის სტატუსით.

1995-2004 წლებში ქედის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსია.

ბატ. ნოდარი დაუღალავად იღვწოდა ქედის რაიონის კეთილდღეობისათვის. სხვადასხვა საქმეში ბევრჯერ გამოიჩინა ინიციატივა, რასაც ზემდგომები ნამდვილად აფასებდნენ. მისი პოლიციის უფროსობის დროს ბევრ სიკეთეს ჩაეყარა საფუძველი რაიონის მასშტაბით. კარგი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ მას ჯერ კიდევ 1989 წელში აგზავნიან მოსკოვში, სადაც გაიარა პოლიციის აკადემიის სპეციალური კურსები. სწორედ ამან მიაღწევინა პოლიციის უფროსობამდის.

2004 წელს გავიდა თადარიგში პოლიციის პოლკოვნიკის წოდებით. მიღებული აქვს ქების სიგელები და მადლობები. დიდხანს მუშაობდა კერძო ბიზნესში. პარალელურად ჩაერთო სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, მოაშენა ვენახისა და ხურმის

კულტურა, რომლის მოსავალსაც უკვე აჭირნახულებს – მარანში ღვინის ბარაქა შევიდა და სწორედ ეს ახარებს მამაპაპისეულ მიწაზე დარჩენილ ადამიანს. მამისეულმა დარიგებებმა სოფლის მეურნეობაში ამოხეთქა მადლ-ბარაქით...

ბარაქადაუღეველი იქნება ნალოცი ეზო-მიდამო. იქნებ გაიკვირვოს ვინმემ, როგორ თუ ნალოციო. აბა როდის იყო ჩვენი მარჩენალი მიწა-მამული დაწყევლილი. ნალოცი, დიას, დანალოცი – რომელიც არ აკლია ბატონი ნოდარის და მისი ოჯახის წევრებს. ნოდარი გულუხვია და იცის მტერ-მოყვარის საფიქრალიც.

გამგები გაიგებს...

აქ ერთ ნიუანსს რომ არ მიექცეს ყურადღება არ იქნება მართებული. გენებმა იმძლავრაო – მართებულად მიესადაგება ქაზიმ შერვაშიძის ოჯახს.

პირველი მედალოსანი ქუქუნა იყო ოჯახში. ოცდაათოთხმეტი წლის შემდეგ მეორე მედალოსანი მოჰყვა შერვაშიძეების გვარს – რუსიკო შერვაშიძე, ბატონი ნოდარის მეორე ქალიშვილი, მანაც დიდი სიხარული შემოიტანა გვარში.

მეუღლე პედაგოგია: ჰყავთ სამი შვილი.

შორენა – დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი.

რუსიკო – დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტი.

ალეკო – დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკა და მართვის სისტემების ფაკულტეტი სასამართლო ტექნიკური ექსპერტიზის განხრით.

**„დაუოკებელი სულის სიღიაჲ“**

**შერვაშიძე იაშა ქაზიმის ძე**

დაიბადა 1957 წელს ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში.



1964-1974 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში. როგორც ძმა ნოდარმა, ისე იაშამაც სწავლა დაიწვეს პირველი მაისის (საღორეთში) საშუალო სკოლაში, ხოლო დაამთავრეს პირველი მაისის საბჭოს ტერიტორიაზე 1970 წელს აგებულ სკოლაში.

1975-1980 წლებში იაშა სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე. იგი ინჟინერ-მშენებლის დიპლომით დაუბრუნდა მშობ-

ლიურ ბათუმს...

1980-1990 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის სახლსაშენ კომბინატში, ე.წ. დ.ს.კ-ში ინჟინრად სხვადასხვა ობიექტზე.

1990 წლიდან იაშა იწვებს და ქმნის მცირე ბიზნესს, რომელიც შემდეგ გააფართოვა და აჭარის ფარგლებს გასცდა. კერძოდ კი თავისი ადამიანური ფასეულობებით მოხვდა მსხვილ ბიზნესმენტთა თვალთახედვის არეში და არც გასაკვირი არ უნდა დარჩეს, ვინაიდან იგი არის უაღრესად ზრდილობიანი, თავისი საქმიანობის ზედმიწევნით მცოდნე, ვაღდებულებების დროულად, აკურატულად და ხარისხიანად შემსრულებელი. მასზე ყურადღება შეაჩერეს როგორც საქართველოს, ისე მეზობელი თურქეთის საქმოსნებმა. მუყაითმა და კეთილსინდისიერმა შრომამ და ქცევამ საყოველთაო აღიარება და დაფასება მოუტანა ჯილდოდ.

ბიზნეს საქმიანობის წარმატებით მსვლელობამ საკუთარი ბიუჯეტიც შეაქმნევინა და იერარქიის საფეხურებზე აღმასვლის წინაპირობაც შეუქმნა. მთელი აჭარის მასშტაბით და თურქეთის რესპუბლიკაში, იაშამ სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. ამ სიტბოს კი მან მრავალწლიანი შრომა შეაღია და დღეს ამაყობს კიდევ, იმით რომ შერვაშიძეთა გვარი ისე წარმოაჩინა, დიახაც რომ იმსახურებენ.იაშა გაჭირვებულთა ქომაგია. არ ყოფილა მისგან რომ ადამიანი უკმაყოფილო წასულიყოს. იქნებ ვინმეს არ ეყოს ჭკუა, ცილი დამწამონ და მითხრან – იაშა ფულს არავის ჩუქნისო. დიახ, ეს ასეცაა, მაგრამ იაშასთან როცა ადამიანი სათხოვარით მივა, ის საქმეს ისე გაუკეთებს ადამიანს, ყოველგვარ ფულს სჯობია და განა ეს არაა მისი ადამიანობის შტრიხი? დიახ, არის და ამაში ყველა დამეთანხმება. რა გასაკვირია ისიც, თუ ყველას ერთნაირად ვერ მიეთბუნები. ასეც ხდება ცხოვრებაში და თუნდაც ერთი მინუსით ადამიანი არ გადაიფასება.

ბატონი იაშა საქვეყნო საქმეებსაც აკეთებს – ეხმარება თავის რაიონსაც და თანასოფლელებსაც გზებისა და სასმელი წყლის კეთილმოწყობით. იქნებ ვინმეს გაუჩნდეს ეჭვი და თქვას – იგი რასაც დახარჯავს, ათმაგად აინაზღაურებსო.

ნეტამც ასე იქნებოდეს, მაგრამ ასე არაა და არც ამის მტკიცებას დავუწყებ ვინმეს, ერთი ესაა, მე მჯერა, რომ იგი ყველა ნაბიჯს სიყვარულით დგამს და ამ სიყვარულის საფასურს ისევ მშობელი ხალხის გაცისკროვნებული სახეების ხილვით ინაზღაურებს.

ეს კი ყველა ჯილდოზე მეტია.

იერარქიის კიბე ვახსენე... დააფასეს იგი და...

საყოველთაო სიყვარულმა, მზრუნველმა ხასიათმა, გულმონწყალებამ, მეცენატობამ თუ ქველმოქმედებამ მაინც თავისი ქნა და იგი აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. დიახ, ეს მიღწევა პატარა სოფელ პირველი მაისის მცხოვრებთ-



ათვის დიდად საამაყოა. თავად იაშაც იღვწის იმისთვის, ქართველ ხალხს როგორმე სასიკეთოდ დაუბრუნოს ის ვალი, რომელიც მისი წარმონეწით დაგვირგვინდა. ვალის გადახდა რა ენად მოსატანია, მაგრამ პატივცემული იაშა ღიახაც იმ გზით ივლის, რა გზითაც უვლია და უპირველესად არ დაავიწყდება თუ ვისი „გორისა არს“.

და ეს არც თუ ისე ცოტაა.

თუმცა უნდა დავამატო ესეც – იაშამ ნამდვილად დაიმსახურა ხალხის სიყვარული, რის დასტურიც იყო, მისი როგორც ერთი ნაღდი ქართველის ხელმეორედ გადაეპუტატება მაჟორიტარული მანდატით ქედის რაიონიდან.

ღიას, ეს ძალიან დიდი საჩუქარია მისთვის მშობელი ხალხისგან და გვწამს, იგი ღირსეულ ქართველობას არასოდეს უღალატებს.

ფესვები და მშობლიური მიწა ამას უკიჟინებს...

### **„მახვილი სიღამაზის ზღაპარი“**

#### **შერვაშიძე ნათელა (გარდა) რიზალის ასული.**



დაიბადა 1949 წელს ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში.

1952 წელს ნაადრევად გარდაეცვალა მამა. დაობლებული შვილი დედამ და ბებიაშვილს ღირსეულად აღზარდეს და დააყენეს ცხოვრების გზაზე, რომელიც მისაბამია ნებისმიერი ადამიანისათვის, მისთვის ობლობა არავის უგრძნობინებია.

1956-1966 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლა-

ში იყო აქტიური მოსწავლე, რამაც შედეგი გამოიღო – გახდა ოქროს მედლის კავალერი.

1966 წელს სკოლადამთავრებულთა გამოშვება ერთდროულად მოხდა ანუ იმ წელს გავიდა XI და X კლასი. მეოთხემეტე კლასელთა გამოშვებაზე ორი მედალოსანია – ეთერ სამნიძე და ჟუჟუნა შერვაშიძე. X კლასიდან კი მხოლოდ ნათელა შერვაშიძე.

ეს სამი პიროვნება ფაქტიურად პირველი მედალოსნებია სკოლის ისტორიაში.

1967-1972 წლებში ნათელა სწავლობს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1975 წლიდან დღეის ჩათვლით მოღვაწეობს აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმში – ლაბორანტად, მეცნიერ-თანამშრომლად, განყოფილების გამგედ.

ამჟამად მუშაობს ხელნაწერთა ფონდის უფროს მეცნიერ-მუშაკად..

ეწევა ნაყოფიერ მუშაობას – გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მეცნიერული ნარკვევი.

ჰყავს შესანიშნავი ოჯახი. ერუდირებული მეუღლე ნაადრევად გამოეცალა ხელიდან, თვითონ ნათელა ზრდის შვილიშვილებსაც.

ქალბატონი ნათელა კოლექტივში, მეზობლებში თუ ნაცნობ-მეგობრებში სარგებლობს უმწიკვლო რეპუტაციით. არის მოზომილად მხიარული, სტუმართმოყვარე, დამრიგებელი და გაჭირვებულზე ხელის გამმართველი. იგი სოფელს არასოდეს ივიწყებს, იქ დედა მოელის ყოველთვის და როცა სოფელშია, სხვაგვარად სიამოვნებს, კეთილად მაგრამ ნოსტალგიით ისვენებს განვლილ წლებს.

2014 წელში კი დედაც გამოეცალა ხელიდან.

**შერვაშიძე შოკენა ნოღარის ასული**



დაიბადა 1981 წელს 28 მარტს, სოფელ პირველ მაისში.

1987-1998 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1998-2005 წლებში სწავლობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

2010 წლიდან მუშაობს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იურიდიული და საპროცედურო

საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

**„გამახილებული იმეები**

**შერვაშიძე რუსუდან ნოღარის ასული**



დაიბადა სოფელ პირველ მაისში 1983 წელს.

1989-2000 წლებში სწავლობს პირველი მაისის საშუალო სკოლაში. არის რიგით მესამე მედალოსანი სკოლის ისტორიაში.

2000-2004 წლებში სწავლობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, აღრიცხვა-კონტროლისა და აუდიტის სპეციალობით.

2006 წელს მუშაობა დაიწყო შპს „ეეროსკან“-ში, გაყიდვების განყოფილების ოპერატორის

თანამდებობაზე. პარალელურად ითავსებს თარჯიმნის ფუნქციასაც.

2007 წელს მუშაობას იწყებს შპს „ხახუტაში“ ოფის-მენეჯერად, პარალელურად თარჯიმანია.

2008 წელს იმყოფება თურქეთის რესპუბლიკაში თურქული ენის პრაქტიკულად გამართვის გამო. შემდეგ ამავე წელს ჩააბარა და გაიარა „ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების“ პრაქტიკული გამოყენების შესახებ კურსები და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი.

2008 წელს მუშაობა დაიწყო შპს „სტარ-არ-ჯე“-ში ოფის მენეჯრის თანამდებობაზე. პარალელურად ითავსებს თარჯიმნობას და უმცროსი ბულალტრის ფუნქციებს.

**„ბაეცვება ძიში“**

**შავლიძე ნიკოლოზ (ნიკო) შუშროს ძე**



ყოველი ქვეყნად მოვლენილის ბიოგრაფია იწყება კონკრეტული თარიღით – დაბადების წლით, მაგრამ ამჯერად ვუღალატებ ამ შაბლონურ ვერსიას, ვინაიდან ვისზედაც იწერება ეს მოკლე ესსე, იყო არა კონკრეტულად იმ წელზე გათვლილი, როცა რომ ჩვენს გვერდით იყო ღვთისმყერი შავარანდელით მოსილი, ციური გაცხადებული ანგელოზი, რომელსაც დაბადების თარიღი ნამდვილად არ

გააჩნიათ, თუმცა სამწუხაროდ თუ საუბედუროდ ისიც ადამიანისგან იყო გაჩენილი და იმთავითვე, როცა სამყაროს მოევლინა მისი ბედი გადაწყვეტილი იყო და ასაკიც განსაზღვრუ-

ლი ქონდა, რაც თავად კარგად იცოდა, მაგრამ განა იპოვება ქვეყნიერებაზე ისეთი ადამიანი, ვისაც სიცოცხლე არ უნდოდეს, ან კმაროდეს ის, რა ასაკშიც ადამიანი იმყოფება ნებისმიერ წელში? არა, არ არსებობს და ასეთი იყო ნიკო შავლიძეც, უბრალოდ ნიკო.

იგი განთიადისას მოეველინა ქვეყნიერებას სოფელ სალორეთში, მაგრამ მისი დაბადებისას ქვეყანა ბურუსში იყო გახვეული. სწორედ ის ბურუსი იყო მისი ბედ-იღბლის განმსაზღვრელი, თორემ განთიადისას დაბადებულები ყოველგვარი სიკეთის მახარობლები, თავადაც კეთილშობილები და ირგვლივ მყოფთა გამაკეთილშობილებლები არიან. დიახ, ასეთი იყო ნიკოც.

სოფლად თუ სოფელ გარეთ ნიკო და მისი წრის მეგობრები დოლ-გარმონითა და საკუთარი შეთხზული თუ საყოველთაოდ გაგრცვლებული სიმღერებით ართობდნენ მექორწილეთ თუ სხვა საზეიმო განწყობილების საზოგადოებას. დიახ, არ არსებობდა სამხიარულო მაგიდა, სადაც ნიკო არ მიეწვიათ და იგიც დაუზარელი იყო – მუდამ მზად იყო სხვისთვის სიხარული და ბედნიერება მიენიჭებინა. ვინაიდან იცოდა, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერა, სულ სიკეთედ იღვრებოდა.

რამდენიმე წელი გვაშორებდა ასაკში, მაგრამ ყოველთვის თანატოლად მთვლიდა, მაგრამ თავადაც ბუნებით მომღერალსა და მოპოეტოს ყოველთვის შეამაყებოდა, როცა მის ექსტაზიან სიმღერას და დაკვრას ვისმენდი. იგი ნამდვილად იყო ვირტუოზი დამკვრელი და არა მარტო გარმონის – უკრავდა პიანინოს, გიტარას, დოლს, ფანდურს, იშვიათი ხმით ამღერებდა ყველა ინსტრუმენტზე და მონაწილეობდა დათვალიერებებში და ფესტივალებზე.

წინასწარბედგანსაზღვრულმა დაოჯახებაც არ ინდომა, შეეცოდა დასაობლებლები, არადა გულის მურაზი იყო ერთი

ლამაზი თანაკურსელისა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ მის საფლავს დიდხანს ამკობდა ყვავილებით.

მამაზეციერმა ოცდაშვიდი წელი არგუნა მხოლოდ. წავიდა ლამაზი ქვეყნიდან, ყვავილების თაიგულებში ჩაფლული ნიკო. წავიდა და მილიონობით ცრემლები გაიყოლა.

მისი სიკვდილით სოფელში ჩაკვდა მხიარულებაც. არავის ავიწყდება იგი. ნათელი იმ ქვეყნად და სამოთხე.

სამწუხაროდ არავინაა სოფელში ისეთი, ვისაც მის მიერ შეთხზული და ნამღერი სიმღერები ეხსომება. სამწუხაროდ დაიკარგა ფოლკლორის ნიმუში. ერთადერთი ვინც ნიკოს შეთხზული ლექს-სიმღერები იცოდა, იყო მისი ბიძაშვილი – ზია შავლიძე, რომელიც მელექსეებს ეჯიბრებოდა კიდევ, მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ არც ნიკოსი და არც ზიას მელექსეობა არ შემონახულა. ეს დიდი ნაკლია სოფლისათვის. არც მე ვფიქრობდი, რომ ასეთი წიგნის შექმნა მომიწევდა, თორემ მართლაც ჩავიწერდი. მე კიდევ ჩემს სტიქიაში ვიყავი – ვწერდი ლექსებს, ნოველებს, მოთხრობებს და ალბათ ამის გამოც ვერ გავამახვილე ყურადღება.

ბოდიშს მოვიხდი ყველას წინაშე, არადა ნამდვილად კარგ საქმეს გავაკეთებდი.

**„მიჯნა ახ ახსებობს“**

### **შავლიძე ბადრი ზურაბის ძე**

დაიბადა 1962 წელს სოფელ პირველ მაისში.

1969-1979 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1979 წელს. კერძოდ იგი მუშაობდა 1979-1981 წლებში დნეპროპეტროვსკის კომბაინის ქარხანაში მუშად.

1982 წელს გაიწვიეს სამხედრო არმიის რიგებში.

1984 წელს იქნა დემობილიზებული.



1986-1990 წლებში სწავლობდა ნოვოჩერკასკის საინჟინრო მედიორაციის ინსტიტუტში.

1992-1996 წლებში არჩეული იყო სოფელ შარაბიძეების სასოფლო საკრებულოს დეპუტატად.

1994-1995 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის შემფუთავ ქარხანაში დირექტორად.

2005 წლამდე ეწეოდა სხვადასხვა კომერციულ საქმიანობას.

2005-2006 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის გამგებლის მოადგილედ.

2006 წლის ნოემბრიდან 2008 წლის მარტამდე არჩეული იყო და მუშაობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლად.

2008 წლის 7 მარტიდან ინიშნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამსახურის უფროსად.

სადაც კი უმუშავია ბატონ ბადრის, ყველგან დადებითად ახასიათებენ, უყვართ და პატივს სცემენ. არის თავისი საქმისა და მასზე მინდობილი საქმიანობის პირუთვნელი მსახური. არ უყვარს მლიქვნელები და მედროვე ადამიანები. ზედმიწევნით პედანტური მამის ხელში ნამდვილ, სამშობლოს პატრიოტად აღიზარდა იგი. თავადაც ზედმიწევნით აკურატულია, დისციპლინის მოყვარული, სამართლიანი და მომთხოვნის. სადაც კი უმუშავია, ხელქვეითები თუ ზემდგომნი, მისით ყველა კმაყოფილია. სახელი და ჯიშ-ჯილაგი არასოდეს შეუბღალავს. კეთილსინდისიერი პიროვნება გულუხვი და ენაწყლიანი მოსაუბრეა. მის გარშემო ვერ ნახავთ ადამიანს, ვინც მასზე ძვირს იტყვის.

მას აფასებენ მამულ-დედულში. არის მხიარული და გულუხვი მასპინძელი, რაც მამიდან გადმოჰყოლია. (ბოდიშს მოვიხდი, მარტო მამა რომ ვახსენე, მის ჯიშ-ჯილაგში ყველა გულუხვია და შეუდარებელი მასპინძლები.)

ბატ. ბადრის გვერდით მოწყენილობა არასოდეს დაგეუფლება. პასუხს გაგცემს დროულად და დამაჯერებლად. მისი ჭკუისა და ნიჭის დადასტურებაა ის, რომ სამზეოზე გამოიტანა პოეტური ნამუშევარი, რომლისთვისაც „მოლოდინი“ შეურქმევია.

სიკეთის მოლოდინი არ მოგშლოდეს ბატონო ბადრი, სამართლიანობის მოლოდინი და გამართლება გქონოდეს ცხოვრებაში შენი ქვეყნის, შენი ხალხის, შენი სოფლის საკეთილდღეოდ.

მწამს ისეთად დარჩები, როგორც ხალხს სჭირდება, როგორც ქვეყანას სჭირდება. ვიცი რომ არასოდეს არაფერი გეშლება. რა ვუყოთ თუ ცხოვრებაში ოდესმე გული გტკენია – ადამიანის, მამაკაცის თავზე ბევრი ქარბორბალა გადაიფლის, რომელსაც უნდა გავუძლოთ, იმიტომ გვქვია კაცები. დრო წარმავალია. მეფეები მოდიან და მიდიან, ჩვენ კი ვრჩებით, დაე ვყოფილიყავით ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

იტყვიან „ძაღლები ყეფენ, ქარავანი კი მაინც მიდისო“. იყეფონ იმ ძაღლებმაც, თუ სადმე იყეფებიან, ღმერთი ყველას მოუგლის საკადრისად, შენ კი ცხოვრების აღმართები ისე აგველოს, ნეტავი მეო გეთქვას ოდესმე. არ არსებობს აყვავებული და გამარჯვებული ბოროტება. ბოროტებას სხვა ბოროტება მოსპობს...

კეთილმიზნებიანი და ასრულებული გეგმები დაგბედებოდეთ.



## შავლიძე ნიაზ ხასანის ძე



დაიბადა 1941 წლის 17 ოქტომბერს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ შავლიძეებში.

1948 წელს სწავლა დაიწყო მეჯინისწყლის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1958 წელს.

შრომის სტაჟის მოსაპოვებლად მუშაობდა ხელვაჩაურის კოლმეურნეობაში რიგით წევრად.

1961-1966 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტზე.

1966-1968 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1968 წლის 12 ნოემბრიდან მუშაობას იწყებს ხელვაჩაურის რაიონის მთავარი ექიმის აპარატში უფროს ეკონომისტად.

1976-2005 წლებში მუშაობდა აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსად.

2005 წელს მუშაობა დაიწყო აჭარის ა.რ. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციაში მთავარ ფინანსისტად. დაწესებულების ლიკვიდაციის შემდეგ 2006 წელს სამუშაოდ გადავიდა შპს „ბათუმის სამშობიარო საავადმყოფოში“ კომერციული დირექტორის თანამდებობაზე.

1994-1998 წლებში პარალელურად მუშაობდა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ.

1978-1992 წლებში საზოგადოებრივ საწყისებზე სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა აჭარის ა.რ. მედმუშაკთა პროფკავშირისა და აჭარის წითელი ჯვრის საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ. გაერთიანებული იყო პრო-

ფესიული კავშირის ლექტორთა ჯგუფში. კითხულობდა ლექციებს შრომისა და ხელფასის სხვადასხვა საკითხებზე. 1984 წელს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ქ. მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში „ჯანდაცვის დაგეგმარება.“ 1989 წელს დაამთავრა საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი. 1995 წელს თბილისში მიიღო ჯანდაცვის დარგის მენეჯმენტის რწმუნება უმაღლესი კომპეტენტურობისა და საკვანძო პრობლემების ცოდნაში. შემდგომ ბათუმში მიღებული აქვს ჯანდაცვის მენეჯერის რამდენიმე სერტიფიკატი.

საფინანსო დარგში ნაყოფიერი და ხანგრძლივი მუშაობისათვის დაჯილდოებული არის აჭარის ა.რ. უზენაესი საბჭოს ჯანდაცვის სამინისტროს საპატიო სიგელებით.

ფესვებით საღორეთელობამ განაპირობა ბატ. ნიაზის ამ წიგნში მოხვედრა...

## **„ამაგდაფასებული“**

### **ჩავლეიშვილი ნური უსუზის ძე**



დაიბადა 1946 წელს სოფელ პირველ მაისში.

1953-1964 წლებში სწავლობდა ჩაქვის-ჩაისუბნის სკოლა ინტერნატში.

1964 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში.

1967 წლიდან მსახურობს ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილებაში.

1970-2002 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში სხვა-

დასხვა თანამდებობაზე. დამთავრებული აქვს თბილისის მილიციის სკოლა. აქვს მიღებული ჯილდოები, მადლობები, სიგელები. ხალხში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

ბატონი ნური, ცნობილი, თოფების ოსტატის – მამუდუსტის შთამომავალია, ქალიშვილ ჰუმაიშეს შვილიშვილია. მას სახელოვანი წინაპრები არასოდეს შეურცხვენია, პირიქით თავისი კაი ადამიანობით საუკუნო განსასვენებელში მყოფ მამუდუსტის (და არა მარტო მისი) სახელს კიდევ უფრო მატებდა დიდებას.

2002 წელში გავიდა თადარიგში ვიცე პოლკოვნიკის წოდებით. ჰყავს შესანიშნავი ოჯახი, შვილები და შვილიშვილები.

როგორც ნურის ძმა გურამი, თავადაც მოზომილი იუმორის მოყვარულია. გამოირჩევა სიტყვაუხვობით, მაგრამ როცა საუბრობს, იცის რასაც ამბობს. კარგი მასპინძელია და კარგი წაძლოლაც იცის პურ-მარილში. ყოფილი თანამშრომლები ძალიან ემადლიერებიან, ასევე ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები.

რაც იცხოვრა, კაცურად იცხოვრა, ასე ვთქვათ ნამუსის ქუდი არ შეურცხვენია არასოდეს. მას გააჩნდა უნარი ყოველგვარი სიტუაციიდან უპრობლემოდ გამოსვლისა, ასე-რომ ჩიხში არასოდეს ყოფილა და არც ჩავარდნები ქონია, როგორც სამსახურში, ისეც კაცობაში.

სანატრელი სიბერე ბატონო ნური...

**„ძმა ძმითა“**

### **ჩავლიეშვილი გურამ უსუფის ძე**

დაიბადა 1951 წელს ბათუმის რაიონის სოფელ კახაბერში. 1958-1968 წლებში სწავლობდა სალიბაურის სკოლა-ინტერნატში.

1970-1972 წლებში გაიარა სამხედრო სამსახური. დემობილიზების შემდეგ მუშაობდა ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილებაში.



1974-1976 წლებში სწავლობდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მილიციის სკოლაში.

1976 წლიდან იგი ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორია.

წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა განყოფილებებში, სხვადასხვა თანამდებობებზე.

დიდხანს მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბატონსპორტო პოლიციის სამ-

მართველს უფროსის მოადგილედ.

2004 წელს გავიდა თადარიგში ვიცე პოლკოვნიკის წოდებით. აქვს მიღებული მადლობები, წახალისებები, ფულადი ჯილდოები, მედლები.

ბატონი გურამიძე, ძმა ნურისთან ერთად, მამუდ-უსტის ჯიშ-ჯილაგის ღირსეული გამგრძელებელია, დიდებული წინაპარივით დინჯი და სპეტაკი, უანგარო მუშაკი, რითაც დიდებულ წინაპრებს ღირსებას უმდიდრებენ.

ბატონ გურამის შესახებ ბევრი საუბარი და წერა შეიძლება, მაგრამ სჯობს ცოტა და კარგი...

გურამი არ არის ენაწყლიანი მოსაუბრე, მაგრამ მასთან ყოფნა არასოდეს მოსწყინდება ადამიანს. ზომიერად მხიარული და იუმორის ოსტატია. საერთოდ კი, ორგანოში მომუშავეებს ცოტად თუ აღმატებულად იუმორის გრძნობა აქვთ მომადლებული ღეთისგან.

აი ის, რისი თქმაც შეიძლებოდა გურამის პიროვნების შესახებ.

აწინდელი გზები დაგელოცოთ ბატონო გურამ.

**ჩავლეიშვილი ნათელა მერჯანის ასული.**



დაიბადა 1936 წელს სოფელ პირველ მაისში, სოფლის პირველი თავმჯდომარის ოჯახში.

1944-1953 წლებში სწავლობდა პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში. იყო კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

1953 წლიდან სწავლა გააგრძელა მახუნცეთის საშუალო სკოლაში.

1956-1961 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია - ქართული ენა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა. ეს ის პერიოდია როცა სასწავლებელში ძნელად აგზავნიდნენ აბიტურიენტ გოგონებს. ქალბატონი ნათელა ერთერთი პირველი იყო პირველი მაისის ადგილობრივი კადრების თვალსაზრისით.

1961 წელში ანაწილებენ ქედის საშუალო სკოლაში.

1972 წლიდან იყო სკკპ წევრი.

1974 წელში, ყოფილი რაიკომის პირველი მდივნის – შოთა სირაბიძის ოჯახი ბათუმში გადადის საცხოვრებლად. მეუღლე ნათელაც მიჰყვება ოჯახს.

(ბატონი შოთა ბათუმში მუშაობდა რიგ მაღალ თანამდებობებზე. გარდაიცვალა 2013 წელს.).

1974-1975 წლებში ნათელა მუშაობდა №4 საშუალო სკოლაში.

1975-1976 წლებში მუშაობას იწყებს №1 საშუალო სკოლაში. (ახლა №2 სკოლაში). 18 წლის განმავლობაში მუშაობდა ამ სკოლაში.

1993 წელს ოჯახს დაატყდა ტრაგედია – ხელიდან გამოცდალათ ერთი ვაჟიშვილი. მწუხარებამ მოტეხა დედაც, რის გამოც გავიდა პენსიაში.

**P.S.** იქნებ ვინმემ ზედმეტად მიიჩნიოს ამ წიგნში ქალბატონი ნათელას შეტანა, მე კი საჭიროდ ვცნობ, იმიტომ, რომ ქალი – განათლებული ძალიან ნაკლებად იყო სოფლის ცხოვრებაში. მგონი დამეთანხმებით რომ ზედმეტობა არ მომსვლია. სხვა რომ არა იყოს რა, იგი სოფლის პირველი თავმჯდომარის შვილია და ჩვენი სურვილიც ხომ ეს იყო წარმოგვეჩინა პირველები, ასეთები კი თითებზე ჩამოსათველები და კვართით საძებარი გვეყავდა. მაღლობა დმერთს რომ უკვე გულნაკლულად აღარაა სოფელი...

## ფიგურები სალოხეთის ცხოვრებიდან

ერეკლე II-ის ჯარში 1776 წელს დაუგეგმავთ შეთქმულება, რომლის მონაწილედ ყოფილა ციციშვილთა შთამომავალი – გლახა (გალხო) ციციშვილი. იგი დაუსჯიათ და ენამოკვეთილი აჭარაში გაუსახლებიათ. იგი ქედაში დასახლებულა 1778 წელს, მიუღია მაჰმადიანობა და დაქორწინებულა აქვე. როგორც ჩანს მაშინ აჭარაში გასახლება ყოფილა ახლო წარსულში – „გაციმბირების” ტოლფასი.

გლახა ციციშვილს შეძენია შვილი, რომლის სახელი უცნობია, შემდეგ ამ შვილსაც შეძენია შვილი შაქირი, შაქირს კი ხასანი 1868 წელს.

ხასანი თავის ოჯახთან ერთად რუსეთ-თურქეთის ომის დროს ოსმალეთის ქალაქ ტრაპიზონში გადასახლებულა. რამდენიმე ხანში ხასანი, აბდულ-ბეგ პირსახურისძეს (ბეჟან-იძე) ტრაპიზონიდან გადმოუყვანია და წინაპრის სოფელ გულებში დაუსახლებია. ქართული წერა-კითხვა ხასანისთვის ქობ-

უღეთის რაიონის სოფელ ზერაბოსელიდან გამოთხოვილ დევრიშბეგ ბეჟანიძის დედას – გულხანუმს უსწავლებია.

ხასანმა ისე აითვისა წერა-კითხვა, რომ გახეთ „ივერიას“ წერილებს უგზავნიდა და უქვეყნებდნენ კიდევც.

1892 წელს ხასანი სხვა წარგზავნილების ერთად თბილისში ანტონ ფურცელაძის სახლში გამართულ ნადიმზე გასცნობია მწერალ – ეთნოგრაფ ზაქარია ჭიჭინაძეს. ნადიმზე ხასანის განსწავლულობით დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებულია.

ხასან ციციშვილს ცოლად შერთეს საღორეთიდან გულებში ჩასახლებული ტატალოღლების (ყარყარაშვილი) გოგო ილდიზი.

1893 წელს 25 წლის ხასან ციციშვილი გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს იქ სადაც ცხოვრობდა.

ტატალოღლები ისევ უკან გადმოსახლდნენ საღორეთში, მათი და კი მარტოღმარტო, მცირეწლოვანი – სულეიმანის ამარა დარჩა ხასანის ფუჟეზე, მარტო თავის გატანა გაუჭირდა და საღორეთში ძმებთან გადმოსახლდა. 1896-97 წლებში.

1914 წელში ილდიზისათვის ძმებს ორსართულიანი წაბლის ხის სახლი აუშენებიათ და იქ ჩაასახლეს და და დისშვილი.

სულეიმანმა იქორწინა ვაიოელ აიშე ჩიკვაიძეზე და ოჯახი მრავალშვილიანი გახდა.

ზაზა ფანასკერტელი – ციციშვილის გვარი – ციციშვილი ხასანის სიკვდილის შემდეგ მაჰმადიან ციციშვილთა დასასრულად ითვლება. გვარმა „ციცი“ ფუძით საღორეთში სულ სხვა ელფერი შეიძინა. ხასანის შთამომავლობა გვარ „ციციანიძით“ გავრძელდა.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გვარებს (აჭარაში) აღარც „ოღლი“ დაბოლოება უნდა ჰქონოდა და აღარც „შვილი“ არამედ მხოლოდ „ძე“ დაბოლოება.

ხასანის ცოლს, როდესაც მიმართეს შვილის გვარის შეცვლის შესახებ, ილდიზმა უპასუხა:

– რა მიქვია გვარის შეცვლა. ჩემს შვილს დიდებული წინაპრები ჰყავდა. თუ მაინცდამაინც „ძე“-ზე უნდა დამთავრდეს გვარი, ფუძედ „ციცი“ დატოვეთ და ციცია-ანი-ძე გაგვატარეთო.

ასეც მოიქცენ და ციცოშვილის შთამომავალი „ციციან-იძედ“ გაატარეს ქართულ დაეთარში.

## ბასო თებიძე

თებიძეებს ოღლი დაბოლოება არა აქვთ. ყოველშემთხვევაში ასე ირწმუნებიან მცხოვრებლები, თორემ ოსმალობის დროს, რომელიდაც შტო გვარ – ყალისმაილოღლის ატარებდა. თებიძეებიდან, 1835-45 წლებში, დიდი ბაბუა – ლომან ბაი-არახტარი ოსმალთა ჯარში მედროშედ ყოფილა. ლომანის ერთად ხასან თებიძე, მეტსახელად „ბასო“ ყოფილა ოსმალეთის ჯარში. პირველი საომარი აღჭურვილობაც სწორედ ბასო ბაბუას ხვდა წილად. ლომანი დიდხანს დარჩენილა ოსმალეთში, ბასო კი უკან დაბრუნებულა.

ლომან ბაირახტარი 115 წლისა გარდაცვლილა.

ბასო ყოფილა დიდი ღონი პატრონი. თავს არავის დააჩაგვრინებდა და სხვათა ქომაგიც ყოფილა. მისი უფრო ეშინოდათ, ვიდრე უყვარდათ და სწორედ ამის გამო მტრები ბლომად გასჩენია. გადმოცემით ხარს აიკიდებდა ზურგზე და აღმართ დაღმართი სულ ერთი იყო მისთვისო. ცხენზე რომ შეჯდებოდა ფეხები ძირს ეთრეოდა თურმე. დამით ცხენს ვილაცის ყანაში გადასვამდა საბალახოდ და ეტყოდა – დამით მე გატარებ, დღისით კი შენ მატარეო და ამისთანა ამბები გამოუღეველია.

ბასოს ფიზიკური მონაცემები აჭარის მაშინდელ მთავრობას, გუბერნატორ კომაროვს პეტერბურგში იმპერატორისათვის უცნობებია, რის შემდეგაც იმპერატორს სახელმწიფო ხარჯებით ბასოს პეტერბურგში გამგზავრება უბრძანებია.



საღორეთის ხალხი უფრო დაშინებულან და უთქვამთ. აქამდე ხომ თავზე გვაჯდა და ეგ თუ იმპერატორმა წყალობით აავსო და ისევ უკან გამოგვიგზავნა, ხეირს არ დაგვაყრისო. ბათუმში ჩასვლამდე ჩაუსაფრდნენ და სადღაც გზაში მოკლეს. მისი საფლავი კი უცნობია.

საღორეთის ხალხი – მეთქი... ყველას კი არ ჰყავდა ის მოძულებული, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვისაც გულზე ნამდვილად არ ეხატებოდა და სწორედ მათ მოუსწრაფეს სიცოცხლე.

## ხასან ეფენდი მუფთი ზადე

ქვეყნიერებაზე ბევრ ანომალიურ მოვლენას აქვს ადგილი, ზოგი მისტიკურია და დაუჯერებელი, ზოგიერთი დამაფიქრებელი, ზოგი კი სკეპტიკურად გამოიყურება.

ზოგ ადამიანში წმინდანია ჩასახლებული, მაგრამ ეს მხოლოდ თავად იცის, სხვებისათვის დაუჯერებელია და უბრალოდ შეუმჩნეველია. უფლის ხედვა კი ასეთი წმინდანის სულიერებიდან გამომდინარეობს.

საღორეთში ხოჯად მოწვეული ხასან-ეფენდი მუფთი ზადე ღორთქიფანიძე შავშეთელია, მაგრამ უამთა ვითარების გამო საქართველოდან გადახვეწილი და ოსმალეთში მცხოვრები.

საღორეთს ხოჯა არ ჰყავდა და იწვევდნენ მხოლოდ ქართველს, ოსმალეთში სწავლამილებულს. არასოდეს ჰყოლიათ ოსმალთ ხოჯა.

ხასან-ეფენდი სიწმინდის განსახიერება იყო, უყვარდათ და აფასებდნენ. თავადაც სიყვარულს სიყვარულით პასუხობდა. მას აღარსად ქონდა წასასვლელი – ოთხივე ქალიშვილი საღორეთში ჰყავდა გათხოვილი.

სიკვდილამდე ასეთი თხოვნა დაუტოვა მცხოვრებლებს.

– მე რომ მოკვდები, რიტუალებისათვის (ჯანისთვის) ხოჯა არ მოძებნოთ, იგი თვითონ მოვაო.

მართლაც ასე მომხდარა. ხოჯა მოვიდა, გაასვენეს ხასანი და კიდევ დაღამდა. ხოჯა წასვლას დაეშურა.

– ამაღამ ჩვენთან დაბრძანდი და ხვალე საღაც ისურვებ, იქ წაბრძანდიო – უთხრეს.

– არა, შეილებო, არ შემიძლია თქვენი თხოვნის ასრულება, მიმეჩქარებაო – თქვა და წავიდა.

რამდენიმე ხანში ქობულეთელი კაცი ამოვიდა საღორეთში. ამ კაცს ამბავი მოუყვნენ ხოჯის გაუზინარებაზე.

– მაი კაცი, იმ დღეს იმ საათზე ქობულეთში მიდიოდა ცხენითო – უთქვამს სტუმარს.

ეჰ, შეილებო, ხასან-ეფენდიც ევლია ყოფილა და ჯანის მლოცველი ხოჯაცო – თქვა სოფლის უხუცესმა.

## ზიზილ ახმედი

ყველა სარწმუნოებას ახლავს თავისი ავ-კარგი, უცნაურობები, საიდუმლოებები, ამოუცნობი მოვლენები და სხვა კუთხითაც რომ მივუდგეთ არის ისეთი ფანტასტიკური ამბებიც, რომელთა დაჯერება უბრალო მოკვდავებს არ ძალუბთ, იმიტომ რომ ღვთის რჩეულთა განსჯა უფლის საქმეა მხოლოდ, ხალხი კი ყოველთვის სკეპტიკურად უყურებს ამოუხსნელ მოვლენებს, ასტრალურ ამბებს ევლიებზე (წმინდანი) და ჯინებზე შეთხზულებს. შეიძლება ერთმა ადამიანმა მოიტყუოს, მაგრამ ბევრი რომ აღიარებს, როგორ არ უნდა დაიჯეროს ადამიანმა.

საღორეთის ჯამეში როდესაც მლოცველები შედიოდნენ ერთი ჩამოკონკილ-დაუბანელი კაცი ყოველთვის მხართემოზე წამოწოლილი უცქერდა მათ. ამ კაცს „ზიზილ-ახმედს“ ეძახდნენ.

ხოჯამ ერთ დღეს განაცხადა მისი მისამართით:

– შენ რომ მოკვდები შენს ჯანას არ ვილოცებო.

გაიცინა ზიბილ-ახმედმა და ცაში ახედა, თქმით კი არაფერი უთხრა ხოჯას, ისე კი წარბიც არ შეტოკებია.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში იყვნენ ხოჯიობის შესწავლის მსურველები და მათ სტამბოლში აგზავნიდნენ უმაღლესი ცოდნის მისაღებად, ზოგს კი ძალით აგზავნიდნენ და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ აჭარაში მაინცდამაინც ოსმალთა ხოჯები არ იყვნენ, მხოლოდ ბათუმში და ძალიან ცოტა.

საღორეთიდან ორი ახალგაზრდა მიავლინეს სტამბოლში სახოჯიო სასწავლებელში. სიხარულით ღებულობდნენ სასწავლებელში, მაგრამ მთავრობა მათ მთლიანად ვერ ავიანანებდა, ნაწილი თავიანთი გადასახდელი იყო.

ბოლოს დაასრულეს სწავლა, მაგრამ უკან დასაბრუნებელი სახარჯო აღარ ჰქონდათ. შუადღის ღოცვის შემდეგ ადრინად გამოვიდნენ ჯამედან და იქვე ძელსკამზე ჩამოჯდნენ, მაგრამ სახე ჩამოსტიროდათ, შეამჩნია ეს ერთმა მლოცველმა და მიზეზი ჰკითხა:

– აჭარაში უნდა დაგებრუნდეთ, მაგრამ გზის ხარჯი აღარ გვაქვს და ამას ვფიქრობთ – უპასუხეს მათ.

– დადექით კარებთან და ბოლო მლოცველი რომ გამოვა ჯამედან, იმას სთხოვეთ, დაგეხმარებათ – თქვა უცნობმა და გაშორდა.

მართლაც დაელოდნენ და მოხდა საოცრება – ზიბილ-ახმედი შერჩათ ხელში. იცნო ახმედმაც.

– რა გინდათ ახალგაზრდებო, გიჭირთ რამე?

– უკან დასაბრუნებელი თანხაა საჭირო. ბოლო მლოცველი დაგეხმარებათო გვითხრეს და ნუთუ შენ ხარ ის კაცი?

– იგერ რომ მინდორია, იქ მიდით და დამელოდეთ – თქვა ახმედმა და ხალხში შეერია.

შუაქალაქში მინდორი სად იქნებოდა, მაგრამ ფაქტიურად დაინახეს საღორეთელებმა, მივიდნენ და კიდევ ერთი საოცრება – ახმედი იქ დახვდათ მათ.

– რასაც დაინახავთ ჩემს სიკვდილამდე არავისთან წამოგცდეთ, მერე კი რაც გინდათ ის თქვით. ესლა ორთავემ თვალი დახუჭეთ. ასეც მოიქცნენ, რამოდენიმე წუთში მოესმათ ხმა...

– გაახილეთ თვალები...

გაახილეს თვალები და საღორეთის ჯამესთან აღმოჩნდნენ. ენაჩავარდნილები, გაკვირვებულები უცქერდნენ მხართეძოზე წამოწოლილ ახმედს – ასეთი ახსოვდა იგი ყველას.

მიიცვალა ბოლოს ახმედი. ხალხმა გასვენების თადარიგი დაიჭირა. ხალხს ვერ იტყვდა სოფელიო – ასე ამბობდნენ. მივიდა ხოჯა და ყველა წესის დაცვით ალოცა ხალხი და დიდი პატივით დაკრძალეს ახმედი.

– აკი ჯანის ღოცვას არ აპირებდით ეფენდი – შეეკითხნენ ხოჯას.

– ხალხო, ისეთი მლოცველები დაეინახე, მე რომ არ მელოცვინებია ჩემს ხოჯიობას ფასი აღარ ექნებოდა, მგონი მელაიქები იყვნენ.

იმ ორმა საღორეთელმა კი ყველაფერი თქვეს.

– ეჰ, დაილოცოს უფლის ნება. ევლია გეყოლია სოფელში და მე როგორ მიემართავდი... ღმერთო მაპატიე თუ შეგცოდენ, მაპატიე უფალო მე ცოდვილს, ნუ მაზღვევინებ ცოდვებს.

## სუელიმანი

როგორც ზემოთ ვთქვი ოსმალეთში სასწავლებლად ბევრი მიდიოდა. ზოგი რჩებოდა, ზოგი ბრუნდებოდა და ხოჯიობას ეწეოდა, ზოგი კიდევ საცხოვრებლად რჩებოდა.

საღორეთიდან კიდევ ერთი კაცი წასულა, მაგრამ ჰაჯობაზე (მექის მოლოცვა), თუმცა უკან დაბრუნება გადაუფიქრებია და სწავლის წყურვილით დარჩენილა.

ერთ სოფელში ყოფილა მოსაფირივით (სტუმარი) თავისიანთან. აჭარაში ევლია კაცი იყო ოქტომბრელი სულეიმიან ეფენდი „ქელემოდლი“, მისივე თქმით „ქელემაშვილი ქელემა“...

სულეიმიან ეფენდი სტუმრებია იმ ადამიანს, ვისთანაც ღამეს ითევდა წასული სულეიმიანი.

ერთ საღამოს თურმე სულეიმიანმა დაიწვილა: – ახლა ნენეს გაკეთებულ ფხალობიოს ვჭამდე, მეტი არაფერი მინდაო.

ქელემოდლიმ შეხედა და...

– 15 წუთში მოგიტანო – უთხრა და გარეთ გავიდა... მართლაც 15 წუთში ფხალობიო მიიტანა და თან დააყოლა – გემოში თუ იცნობო.

ჭამა სულეიმიანმა და დედამისის ხელი ეცნო. – თვალებს არ ვუჯერებო – დაიწვილა.

– ხომ ჭამე, დანარჩენი აღარ მოიკითხო უთხრა ქელემოდლიმ. დაბრუნდა სულეიმიანი ბოლოს სახლში და ფხალობიოს ამბავი მოყვა.

– ქელემოდლიმ წამოიღო შვილო ვახშობისხანს უთხრა დედამისმა.

სულეიმიანმა ჭურჭელი ამოიღო ჩანთიდან.

– ჰო, ამით გამოვატანე – უთხრა დედამ.

– ევლია ყოფილა მაი კაცი – თქვა სულეიმიანმა.

– აქამდე არ იცოდი შვილო? მაი ქვეყანამ იცის...

## ხოჯიოღლი

საღორეთში ვიდაც შვიდი ძმა ხოჯიოღლი ცხოვრობდა, სოფლის უკიდურეს დასავლეთით. მათი წარმომავლობა კი არავენ იცოდა. რადგან მუსლიმანები იყვნენ, აღარავენ ინტერესდებოდა მათით. ძალიან კარგი მეზობლობა ჰქონიათ სოფლელებს. მთავრობას არ მოსდიოდა თვალში ეს ძმები და ყოველთვის აწუხებდნენ. გაიგეს თურმე სოფლელებმა და

ხოჯიოღლის სახლს ზემოდან მოექცნენ, ყველა შეიარაღებული იყო თოფ-დამბანით.

მთავრობის წარმომადგენლებს თოფი გაუსვრიათ ხოჯიოღლის სახლისაკენ. ეგებ სადმეიდან გადმოხტნენ და დავიჭიროთო, მაგრამ ატყდა თოფებისა და დამბანების ბათქაბუთი. სოფლელებმა იმდენი ქნეს გარეკეს მომხვდურები, მაგრამ მინიშნება საკმარისი აღმოჩნდა ძმებისთვის და გაიქცნენ სახლიდან – სადღაც გადაიხვეწნენ.

რამდენიმე წლის შემდეგ ერთი ძმა ისმაილი მობრუნებული უკან და მიწა მამულის გაყიდვა მოისურვა. მსურველები აღმოჩნდნენ კიდევ. ზოგი ტატალოდლებმა შეიძინეს, ზოგიც საამის შთამომავლებმა. სახლში კი აღარვის უცხოვრია. ტერორის ნაწილს დღესაც ხოჯიოღლებს უწოდებენ.

ხოჯიოღლებს სხვაგანაც ქონდათ პატარ პატარა მიწები. ყველა გაყიდეს, ზოგიც გააჩუქეს და საღორეთიდან საერთოდ ამოიკვეთეს ფეხი. თუ სად გადასახლდნენ არავინ დაინტერესებულა და არც დღეს იცის არავინ მათი ავანჩავანი.

ასე იკარგებოდა გვარი, ოჯახი და... ტრადიციებიც.

## მუთია

ზოგი ამბავი მისტიკურია და ზოგიც დაუჯერებელი, მაგრამ თუ გწამს უფალი და მისი ყოვლისშემძლეობა, მაშინ არაფერია გასაკვირი, მოულოდნელი და დაუჯერებელიც.

საღორეთში დღევანდელი ქადიძეების უბანში ერთ დროს ცხოვრობდა თურმე ვიღაც „მუთია“. შემორჩენილია ნასახლარიც.

მუთია ერთ დღეს წასულა „ლორიყბათში“ (ადგილია) ყანის დასამუშავებლად. ძაღლიც წაიყოლია თან, გულადიც ყოფილა მუთია და უხანჯლოდ, უთოფოდ არსად წავიდოდა თურმე. საჭმელიც წაუღია ყანაში, იმდენი მეორე დღესაც რომ ყოფნოდა, ის ღამე ნაღიაში უნდა გაეთია. ღამის ნამაზის

განბანვის შემდეგ ძაღლს საჭმელი დაუდო და ნალიაში ნამაზის შესრულებას შეუდგა. როდესაც ნამაზი დაასრულა ორი უღამაზესი ასული გამოეცხადა მას.

– საიდან გაჩნდით გოგონებო ამ ღამეში? – გაიოცა მუთიამ.

– ციდან ჩამოვფარდით... გზა აგვებნა და სახლამდე მიგვაცილეთ.

– სახლში აღარ მივდიოდი, ეხლა კი წამოვალ და გაგაცვილებთ.

– მაი ძაღლი დააბი, გვეშინია... (არაამქვეყნიურ „სულებს“ მხოლოდ ძაღლები ამჩნევენ და აშინებენ).

მუთიამ ძაღლი დააბა და გოგონებს წინ წარუძღვა, ისინი ჯინების გამოგზავნილი ჯინი ასულები იყვნენ. მუთია მთვარიან ღამეში მიუძღვებოდა გოგონებს, მათ მიერ მითითებულ გზაზე და იგი ჯინთა სამყაროში აღმოჩნდა. (ეს დღევანდელ ადამიანთა მოტაცებას ჰგავს უცხოპლანეტელთა მიერ)...

მუთიას ჯინები შემოერთყნენ ირგვლივ...

ჯინების ხელმწიფემ მუთია ცალკე გაიწვია სასაუბროდ.

– პირდაპირ გეტყვი ადამიანო. სხვა ჯინების ხელმწიფემ ომი გამოგვიცხადა და შენ იარაღით უნდა დაგვეხმარო. ომის მოგების შემდეგ რასაც მთხოვ შეგისრულებთ. ვიცოდი კაცს არ გამოყვებოდი და ამიტომ გამოსატყუებლად გოგონები გამოგიგზავნეთ. აწე შენი იმედი გვაქვს. თუ ომის შემდეგ დარჩები, ერთ-ერთი გოგო აირჩიე და მოგათხოვებთ...

– თქვენ ხელში ვარ და გამომიყენეთ – უპასუხა მუთიამ.

ექვსი წელი იომეს და მოიგეს კიდევ. უკან ზარზეიმით დაბრუნდნენ.

– ახლა გვითხარი ადამიანო, სამაგიეროდ რას ითხოვ – ქონება გინდა თუ ჯინდრობა (ჯინებიდან გადმოღებული ექიმობა) გასწავლოთ.

მუთია თურმე დაფიქრებულა და ექიმობა ირჩია.

თვრამეტი წელი ასწავლიდნენ მუთიას მკურნალობას,

ზუსტად იმ დროს მოიყვანეს ღორიყბათში, რა დროსაც წაიყვანეს მზეთუნახავებმა. უკან რომ მოიხედა ველარავინ დაინახა.

ნალია კი ვერსად დაღანდა.

ხალხს უკვე გამოტირებული ჰყავდა მუთია, მაგრამ მისი დაბრუნებიდან მეორე დღით სოფელში მივიდა საღ-საღამათი და ისევ ისეთი ასაკის ოცდაოთხი წლის წინ რომ იყო. მუთია მოყვა მისი გაუჩინარების ამბავს, მაგრამ არავინ დაუჯერა, თუმცა ყოველგვარ დაავადებას რომ მკურნალობდა, მაშინ კი ირწმუნეს.

ზენაარის გარდა არაფერია მარადიული. არც მუთია იყო უბერებელი. ესტუმრა მიქელგაბრიელი და წაიყვანა იმქვეყნად, საუკუნო სასუფეველში. ზღაპარივით გამოიყურება ეს მონათხრობი, მაგრამ ასეთი ამბებით ნამდვილად სულდგმულობდა სოფელი...

## სასიხე \_ სანიხი

ქვეყნიერებაზე ადამიანი რომ გაჩნდა მათ უფლისადმი რწმენა ჩაენერგათ გულში, უფალზე მსხვერპლის მირთმევა-შეწირვაც წესად აქციეს. არავინ იცის რა დროიდან, მაგრამ ადამიანებსაც სწირავდნენ უფალს. წილს ყრიდნენ, რომელ წელს ქალიშვილი და რომელ წელს ვაჟიშვილი უნდა შეეწირათ უფლისთვის, მსხვერპლშეწირვა ხდებოდა გამორჩეულად შემადლებულ ადგილას, რომ შორიდან შესამჩნევი ყოფილიყო. მსხვერპლშეწირვის ადგილას კოცონს ანთებდნენ და გარშემო მდებარე დასახლებებიდან კარგად მოჩანდა მსხვერპლშეწირვის ცერემონიალი.

მსოფლიოში ყველგან ტარდებოდა ასეთი ცერემონიალები, არც საქართველო იყო გამონაკლისი.

გვიანობამდე შემორჩა ეს ტრადიცია. გადმოცემა არ შემორჩენილა საღორეთში ასეთ მსხვერპლშეწირვაზე, მაგრამ ყურადღებას იქცევენ ტოპონიმები – „სასირე“ და „მოლოქნარა“.



სიტყვა სასირე თითქოსდა საჩიტეს უნდა ნიშნავდეს, ეს ვერსია არცაა გამორიცხული. სულხან-საბას განმარტებით სირი – ჩიტია (სირაქლემა, სირი – ნოზი და სხვა).

მთაგრეხილის დაბოლოებაზე შეინიშნება შემონაყორის ნაშთი, რომელიც ნახევარი საუკუნის უკან ნახევარ მეტრამდე სიმაღლის ყოფილა, მაგრამ ონავარ ბავშვებს დაუნგრევიათ. შემონაყორი უბრალო წყობა იყო, ფართობით სამასი კვადრატული მეტრი. ახლოს გადაყეღვის ნიშანიცაა, რაც სამშენებლო მასალის ადგილზე მოპოვებას მიუთითებს.

აღნიშნული ტოპონიმ „სასირეს“ ეტიმოლოგიის სრულყოფისათვის უნდა განვმარტო მსხვერპლშეწირვის წესი და თავისებურებანი.

...მსხვერპლშეწირვას დასაბამი მისცა სულთა კეთილგანწყობის მოპოვების სურვილმა. იგი ხდებოდა გაღვთაებრივებული საგნებისა ან ღვთაებებისადმი კეთილგანწყობილებისა და მათი გულისმოგების ან ცოდვათა მიტევების გამო.

უძველესი დროიდან არსებობდა მსხვერპლშეწირვის ორი ფორმა – სისხლიანი და უსისხლო. სისხლიანი მსხვერპლი ძირითადად ცხოველური იყო, მაგრამ უმაღლესი გამოვლინება იყო ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, მოგვიანებით ცხოველთა შეწირვა ხდებოდა. ორივე ფორმა საშინელ მორალურ და ეკონომიკურ ზარალს აყენებდა პიროვნებას და მთელ სოციალურ ფენას.

საწირავი-საწირეთი-საწირე-სასირე. არის ტოპონიმი „საწილიეთი“, რომელიც იგივეა, რაც საწირეთი. ხალხური კოლოკაცში ხშირად ხდება მსგავსი ცვლილებები, დისიმილაცია, ერთი სახელწოდების მეორესთან შერწყმა რაც სულ სხვა, სახეცვლილი ფორმით აღიქმება. ხალხურმა ყოველდღიურობამ შთანთქა უძველესი წარმოშობის დასახელებათა „კონფიგურაცია“, რამაც შედეგად დატოვა ძველქართული სიტყვების დისიმილირებული ფორმა, იმავე ძველქართულით, ოღონდ სხვა მნიშვნელობით.

სკეპტიკოსები ამ ვერსიას სხვა თვალით შეხედავენ, მაგრამ აღნიშნულ ტოპონიმს სხვა მტკიცებულება არ გააჩნია. თუ ვინმე დაიწყებს მტკიცებას, რომ „სასირე“ – საჩიტე ადგილს ნიშნავს, მაშინ მთელ მსოფლიოს და „ჩიტების ბაზარს“ სასირე უნდა ერქვას...

„მოლოქნარა“, ამ სიტყვას ბევრი განმარტება აქვს: – „მოლოქი“ – მცენარეა, ბალბისებრთა ოჯახისა. მოლოქი – (moloch horridus) – ხვლიკი ჯოჯოსებრთა ოჯახისა. „ბოლოქნარა“ – ფრინველია ხოხბისებრთა ოჯახისა. „მოლოქი“ – სემიტურ „მლქ“ – ძირის არასწორი ვოკალიზაციის შედეგად მიღებული სიტყვაა, ნიშნავს მეფეს, მეუფეს. ასე აღნიშნავდნენ მთავარ ღმერთს. (ფინიკურად – მოლექ – მეფე). „მოლოქი“ მზის ღმერთია. მას ხარის სახით გამოხატავდნენ. მოლოქს – ადამიანებს, განსაკუთრებით ბავშვებს სწირავდნენ მსხვერპლად. მოლოქის კულტმა ძლიერ მოიკიდა ფეხი კართაგენში. საქართველოში ბავშვთა მსხვერპლად შეწირვა შემორჩენილია „ჭყონდიდის“ – ისტორიიდან.

მსხვერპლშეწირვის რიტუალებს თუ ძირეულად ჩავუკვირდებით, იქნებ რაიმე კავშირი არსებობდეს ზემოთდასახელებულ სავარაუდოდ მსხვერპლშეწირვის ადგილად შეგულებულ ტოპონიმ „სასირესა“ და „მოლოქნარას“ რელიეფურად ახლომდებარეობის გამო.

გამოთქმული ვარაუდი – სასირე (საწირეს) სარიტუალო ტერიტორიად გამოყენებისა და მზის ღმერთებზე მსხვერპლის შეწირვის პრიცესუალური მსვლელობის თანხვედრისა, იქნებ არც იყოს გამოსარიცხავი. თუ საღორეთში აღმოჩენილი ცულები სამი ათასი წლის იქეთ გვახედებს, იქნებ ამ ტოპონიმებს ათასწლეულები უდევს საფუძვლად, ფაქტია, რომ ადამიანები დიდი ხნიდან ცხოვრობდნენ საღორეთის მიწაზე...

## ტაბუდადებული სალოცავი

სოფელ საღორეთს ბევრი სალოცავი ჰქონდა. ორი სოფელში და ორიც სოფლიდან მოშორებით. უშორესს „ბეთლემის“ სალოცავს ეძახიან დღესაც, მაგრამ სახელდობრ ეს სალოცავი და მისი შემოგარენი არაა მიკვლეული, მხოლოდ ცოცხლობს ლეგენდის მსგავსი, ნახევრად მართალი და ნახევრად დაუჯერებელი გადმოცემა, თუმცა როგორც ბევრჯერ ავსენი უფლის ხელქვეით არაფერი არაა არასერიოზული და დაუჯერებელი.

მაშ, ბეთლემი...

საღორეთელების ამოწყვეტით ისტორია არ დამთავრებულა, რამდენადაც სიცოცხლე გრძელდება, ამდენად გრძელდება ისტორიაც.

საღორეთელთა ამოწყვეტა უფალს მხედველობიდან არ გამორჩენია.

ბეთლემის სალოცავთან ამოწყვეტილი ხალხის ცოდვა ოსმალებს აზღვევინა თუ არა უფალმა, არავინ იცის, მაგრამ იმ ადგილებში ამოწყვეტილთა სულები რომ შურისძიებას ითხოვს, ეს არცაა საეჭვო, მაგრამ ქარაშოტებიც ხომ ცხრებიან?.. ერთი რამ კი უდავოა – ბეთლემის ხსოვნა ხალხში ზღაპარივით ცოცხლობს, მაგრამ უფრო მითიური სარჩული უდევს მონათხრობს და გადმოცემულ ეპიზოდებს.

ტაბუდადებულიაო ბეთლემის ხსენებაც და იმ ტერიტორიაზე გავლაც. ამის თქმის საფუძველს იძლევა ხალხში შემორჩენილი ფრაგმენტული ამბებიც.

თუ რამ და რისთვის გამოიწვია ტაბუირება, ამას ვერავინ ხსნის, მაგრამ ჩემი აზრი ასეთია ტაბუდადებულზე:

ვინაიდან ოსმალებმა უზარმაზარი ცოდვა ჩაიდინეს, ფაქტიურად სოფელი მთლიანად გაანადგურეს, ეს არ შეიძლებოდა და ამ ცოდვის გამო იქაურობა შეჩვენებულია თუ ცოდვის

სუნი ისევ ტრიალებს, ეს ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ რაღაც ამის მსგავსია, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ ბეთლემში, გიპასუხებენ – შეეშვით ბეთლემის მონახულებას და მასზე ფიქრს, რაიმე ხიფათს არ გადაეყაროთ...

მართლაც ასეა და ვინაიდან ცოდვა დაატრიალეს ოსმალებმა მლოცველთა ამოწვევით, ეს ცოდვა არავის მოასვენებს. ჩვენ ხომ კეთილი განზრახვით გვინდა მისი მიკვლევა, მაშ რად უნდა იყოს კეთილგანზრახვიანთათვის ბეთლემის მონახულება, ისტორიის ნაწილის გამომზეურება ტაბუდადებული?

აი, ფრაგმენტი ბეთლემის „ულრანიდან“.

„სოფელ დოლოგნელი ასულა ბეთლემის სალოცავის წინ მდებარე ტბაზე სათევზაოდ. ბადეს ბევრი თევზი მოჰყოლია. აღამიანი ხარბია და მეორედ რომ უნდა გაეშალა ბადე, ხმამ, უჩინარმა სულმა დაუძახა თურმე „გეყოფაო“. თევზი იმდენი დაუჭერია ზიდვა გაჭირვებია. ხმას რომ მიაყურადა და ვერაინ დაინახა, მანაც მიაძახა თურმე – მაშინ შენი ჭკუისა უნდა ვიყო, რომ დაგიჯერო. მეორედ და მესამედ გაუმეორა თურმე ხმამ – გეყოფაო. ბოლოს წამოსულა დოლოგნელი ნანადირევით. ჯიუტ მეთევზეს ხმა შორს გამოჰყოლია და თანაც დაქადნებია: „შავ მორევზე“ გაგისწორდებით. ეს მორევი მდინარე აჭარისწყალშია, დოლოგნის ტერიტორიაზე.

დოლოგნელი მეთევზე ერთ დილას ამდგარა და ამ მორევზე წასულა სათევზაოდ, მაგრამ დამხრჩვალა იმ მორევში. ხალხმა კი მის თავსგადახდენილი ამბავი იცოდა და ასე შემოინახეს ამბავიც.

ერიდებიან ბეთლემის ტერიტორიას, ბევრი ვინმე დამარცხებულია რაღაცნაირი ფათერაკებით.

ვინც დაიჯერებს ხომ კარგი და ვინც არ დაიჯერებს და შეეჭიდება იმ აღმართს, რომელსაც „ტაბუირებული ბეთლემი“ ჰქვია, ღმერთმა ხელი მოუშარტოს. მე კი ნამდვილად მაქვს

სურვილი მისი მონახულებისა, მაგრამ არა ბოროტი განზრახვით – მიინდა როგორმე ნათელი მოვფინო თავშეწირულთა სულების ამბავს, რამეთუ სოფელში მაინც ტრიალებს იმ სულების მატარებელთა ამოწვევების გამოისობით დარჩენილი ცოდვა...

უფალი შემწვა და დაგვეხმარება...

P.S. სურვილი სურვილად დამრჩა, ისე დავზიანდი იქ ველ-არასოდეს მივალწევ მგონი, ტაბუს ძალამ შემიშალა ხელი, ვინაიდან ფიქრით შევეხე....

## დათვთან მოქიდავე

საქართველოში ოსმალების შემოტრის პერიოდში, ოსმალეთში წასულა რომელიღაცა დვალიძე. ესენი დიდი ხნიდან ცხოვრობდნენ საღორეთში. დვალიძე, სახელად – ემინი ოსმალეთში სწავლის მიზნით წასულა. ისეთი სიმაღლისათვის მიუღწევია, რომ ქალაქის თავადაც აურჩევიათ, თუ ქალაქის მმართველობაში მოღვაწეობდა, ზუსტად არავენ იცის, მაგრამ რადგანაც ემინი შანბაშოდლად იწოდებოდა ეს სხვა არაფერია თუ არა ოსმალურად „შან“ რჩეულთა რჩეული, „ბაში“ კი თავია, ანუ ემინი რჩეულთა საზოგადოების, ქალაქის მმართველი ელიტის მეთაური გამხდარა. უდიდეს თავყრილობებს და წვეულებებს მის გარეშე არ მართავდნენ. „შანი“ ოსმალურად კიდევ სახელს, დიდებას ნიშნავს. „შანი“ – დიდებული... უფრო მართებული იყო, ემინის შთამომავლების გვარი „დიდებულიძე“ გადაკეთებულიყო, მაგრამ მან შთამომავლებს „შანბაშოდლი“ გვარი დაუტოვა. თუმცა ზოგიერთი არა „შანბაშოდლის“ გამოთქვამს – არამედ შამბაშოდლის, სინამდვილეში ეს ორთავე გვარი დღესაც ფიგურირებს და მესამეცაა, მათ გვერდით „სამბაშოდლი“...

ემინი ოსმალეთიდან გამოქცეულა და მამისეულ (სულეიმანის) ფუძეზე დასახლებულა, შემდეგ ჩაქვში

გადასულა და იქ აღარც დვალიძე, აღარც შანბაშოდლი,

არამედ ლორთქიფანიძე დაიწერა. თუ რაა ამის მიზეზი, ვერაინ სსნის ზუსტად. 1840-იან წლებში, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო რაზმის ერთერთი მეთაურთაგანი იყო ყიზეთ ალა შანბაშოდლი–დვალიძე. ზაქარია ჭიჭინაძე წერს, რომ ყიზეთ ალას სახელი მაშინ ისე სჭექდა, როგორც თავის დროზე არსენა ოძელაშვილის სახელიო. იგი ყველას უყვარდა და მასზე შეთხზულ ლექსებს პატარებიც კი მღეროდნენო.

მოდწეული ცნობებით იგი მის რაზმელებთან ერთად სელიმ ხიმშიაშვილის ჯვარიც მონაწილეობდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ბევრია მოსათხრობი, მაგრამ განსაკუთრებით ოსმან დვალიძის ამბავია საინტერესო. იგი მიზანაუცდენელი მონადირე იყო.

დათვმა ძროხა დაგლიჯა, ჭამა და დანარჩენი შემდეგისათვის შეინახა. მიუწვა და უყარაულა კიდევ, მაგრამ მოყარაულე ოსმანიც იყო. დელისპირ ფერდობს ამოეფარა და დათვის ტყვია დაახალა, მაგრამ როგორც ოსმანი მოყვა მათ შორის მანძილი 20-30 მეტრი ყოფილა და თოფის გავარდნა და დათვის ზედ დაცემა ერთი ყოფილა. შეებნენ ერთმანეთს დათვი და ოსმანი, მხეცი და ადამიანი. ბურძგლა-ძიძგილაგში დელეში, მორეგში ჩვარდნილან. თოფი მორეგში ჩავარდნამდე გავარდნია ხელიდან. მორეგში ყურებში ჩაავლო ხელი და დაჭრილი დათვი დიდხანს აყურყუმელავა, უშვა ხელი, გადახტა და ისევ თოფი დაახალა.

დათვთან შებმა ექვსთვიან მკურნალობად დაუჯდა ოსმანს – მხეცმა იგი დააზიანა და ძლივს გადარჩა. როდესაც ოსმანზე მოყვებიან, უმალ ხალხური – „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ გაახსენდება ადამიანს.

ეს მოხდა გვიან, XX საუკუნის შუა ხანებში, მანამდე კი ერთი თარიღია დვალიძეებში აღსანიშნავი რითაც, ყოველთვის ამყოფენ ისინი – 1873 წელს დვალიძეებს სტუმრობდა ქართველი

ისტორიოგრაფი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც დოკუმენტური ამბები დაგვიტოვა.

## საბეჩნეთიდან სალოხეთში

ადამიანების მიგრაცია-ემიგრაციას ყველა საუკუნეში, ყველა წეობაში და სხვადასხვა მიზეზებით მუდამ ქონდა ადგილი. ერთერთი ასეთი ემიგრანტი იყო საბერძნეთის სოფელ სურმანიდან გადმოსახლებული ბერძენი, რომელიც ქელაში მოსულა პირველად.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით 400 წლის წინათ მოსულაო სურმანიძე ქელაში. იქნებ აჭარის პირ ველი აღწერისას ახლდა ოსმალებს, ან იქნებ მარტოდ მარტო ჩამოაღწია? ფაქტია, რომ იგი ქელაში დასახლებულა.

ჭიჭინაძისავე ცნობით „ქედის ჯამის“ გვერდით ხოჯა სურმანიძეს ქართველი მოღების აღსაზრდელად სკოლა აქვს... ამ ხოჯამ ქართული ენა არ იცის. სურმანიძეები საბერძნეთის „სურმანიდან“ მოსულან საქართველოში, ჯერ გაქართველებულან და სურმანი-ძე უწოდებიან ქართველთ და მერე გათათრებულან. ალბათ, სოფლის სახელი აქციეს გვარად.

სურმანიძეები 400 წლის განმავლობაში (ამჟამად უკვე 500 გასული) ძალიან ბევრ შტოდ გამრავლდენ. სად არ სახლობენ ისინი...

ერთი შტო ჩვენთანაა სალორეთში. ჭვანის ხეობის სურმანიძეთა შტოდანაა მწერალი და საზოგადო მოღვაწე – რამაზ სურმანიძე. ექიმი, პროფესორი ყოფილი პარტიული მოღვაწე, ყოფილი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, სამედიცინო სასწავლებლის დირექტორი. ეს არასრული სიაა მისი რეგალიებისა. ბატონ რამაზის კალამს ეკუთვნის სალორეთელი ხასან-ეფენდი სურმანიძის კაიკაცობის ამბავი.

როდესაც ხალხი მუჰაჯირში გასარეკად მოამზადეს თურქო-ფილებმა, ასე უქადაგეს მათ: „აქაური მიწა წაბილწულია, მუ-

ჰაჯირებმა უკან დაბრუნებაზე აღარ უნდა იფიქრონ, იქ უნდა მოკვდეთ და წმინდა მიწაზე დაიმარხოთ”.

რამაზ სურმანიძე: „პატარა ტანის, თეთრკამკამა წვერიანმა, მაღალი შუბლის პატრონმა, აჭარის მუფთმა, საღორეთელმა ხასან ეფენდი სურმანიძემ, რომელიც 1878 წლის 20 ნოემბერს თბილისში, მუხრან ბატონის სახლში გამართულ წვეულებაზე აჭარის დეპუტაციას თან ახლდა, ჩიქუნეთის ჯამესთან თავმოყრილ, სამუჰაჯიროდ გამზადებულ ხალხს ასე მიმართა: „რომ ამბობთ მიწა წაბილწულია, მიწა ყველგან მიწაა. მიწა ღმერთმა გააჩინა და მისია. ჩვენ არც ფადიშაჰი გვაცხონებს და არც მიწა. კაცი მხოლოდ სიკეთით და კარგი საქმით ცხონდება. ავ კაცს არაფერი აცხონებს, გინდ მექას წავიდეს და გინდ მედინას. გირჩევთ უკან თქვენს ცოლ-შვილში და თქვენ მამულში დაბრუნდეთ.”

ხალხი ამ კეთილი რჩევით უკან დაბრუნებულა. ჯერ აჭარის მუფთად დაწინაურება დიდი მიღწევა იყო საღორეთელი კაცი-სათვის და მუჰაჯირობაზე წინააღმდეგობის გაწევა კიდევ გამირობის ტოლფასი.

## ციხისთავები, მეციხოვნეები თუ ყელეჯი-შვილები

„ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“-ო ამბობს ქართული ანდაზა, მაგრამ მე ვიტყვოდი რომ უგვარო და უჯიშო ადამიანი ერთი და იგივეა. გვარი ერის ისტორიის ნაწილია. თუ ადამიანი ისეთ რამეს ჩაიდენს, რომ საქვეყნოდ გახდეს ცნობილი, მაშინ მარტო მისი გვარი მოიხსენიება და ამ გვარით მისი მოდგმა წინაურდება, მაგრამ მხოლოდ გამორჩეულის მიმართ წარმოითქმება გვარი და ას ვთქვათ თითქოს ტიტულადაც იქცევა.

როგორც ავღნიშნეთ საღორეთში მოდიოდნენ, სახლდებოდნენ, მერე რაღაც მიზეზებით მიდიოდნენ და ასე საუკუნეების განმავლობაში, ოღონდ წასულები კარგ სახელს ტოვებდ-



ნენ მუდამ.

გადამფრენმა ფრინველებმა იციან ასე, ადგილის შერჩევა. ასე ემართებოდათ საღორეთში მომსვლელ-წამსვლელთ.

ერთ-ერთი ასეთი იყო სოფელში – ყულეჯიოღლი ანუ ყულეჯიშვილი. მრავალთა აზრი ასეთია, რომ ეს გვარი ციხის მცველი პიროვნებისაგან მომდინარეობს. „ყულე“ – გადაკეთებული – გადაკუთხურებული, თურქული სიტყვის – „CALA“ – დან მომდინარეობს, რაც ციხეს ნიშნავს, „ყულეჯი“ – მეციხოვნეა, ან ციხის თავი. „ყულეჯიშვილი“ კი თავისთავად „მეციხოვნისშვილია“ ან პირდაპირ „ციხისთავი“.

მაშ ასე, საღორეთში სახლობდა აღმოსავლეთ ფერდობზე შალიკაშვილების მეზობლად ხუსეინ ყულეჯიშვილი. იგი მოგვიანებით ჩაასიძეს სოფლის დასავლეთ ფერდობზე მცხოვრებ მარტოხელა ქალს.

ხუსეინ-აღას, მეზობლურ კონფლიქტის მიზეზთა გამო შვილები მამისეულ მხარეს გაუგზავნია, სახლი დაუტოვებია და ქვრივ ქალს ჩაასიძებია, რომელიც აღნიშნულ ხოჯიოდლები-ის ბოლოს სახლობდა.

8 წლის ხუსეინ-აღას ქალ-ვაჟი შეეძინა. ბიჭი რომ შეეძინა, ხალხმა სიყვარულით „ბიჭა“ შეარქვა და ასეც მოიხსენიებდნენ. „ბიჭაშვილი“, ბიჭასანი და სხვა.

ხუსეინმა შვილსაც ხუსეინი დაარქვა. სამი წლისას მამა მოკვდენია. იგი გასაზრდელად ჯოჭოში წაუყვანიათ ყულეჯიშვილებს. 1870 -იან წლებში, მუჰაჯირობას ჯოჭოელებიც გაჰყოლიან და 3 წლის ბიჭიც თან წაუყვანიათ.

საღორეთში ყულეჯიშვილების გვარზე ისე იყვნენ შეთვისებული დიდად დააკლდათ უგვარობა და მუჰაჯირად წასვლიდან 8 წლის შემდეგ ბაბუა – ხასან საამიოდლი (უსტა შაჰინი, ან შანოდლი) გადავიდა ოსმალეთში, 12 წლის ხუსეინი გადმოიყვანა სოფელში, მამისეული დამტვრეულ-დაღეწილი სახლის ადგილას ახალი სახლი აუშენეს და 16 წლის ბიჭი

დააქორწინეს, მაგრამ სანამ თავის სახლში შეასახლებდნენ, მანამ საამის ხელით აგებულ ეგრეთწოდებულ „ბედელში“ ყოფილან 8 თვეს. სახლი დაასრულეს და ახალ ცოლ ქმარს საკუთარი ჭერი დაულოცეს.

გადარჩა გვარი გადაშენებას, ოჯახი გაუქმებას, რაშიც დიდი წვლილი უდევს ხასან საამიოღლის ანუ ამ წიგნის ავტორის ბაბუას.

ორიოდე სიტყვა ბაბუაზე.

იგი ისეთი მადლიანი და შუბლნათელი იყო მისი დასაფლავების შემდეგ ღამდამობით თურმე ხალხი მის საფლავზე არაჩვეულებრივ ნათებას ხედავდა. ეს სამოთხის სინათლე იყო ასე ამიხსნეს.

ყულეჯიშვილების ოჯახის „განედლება“ ისეთი სამადლო საქმე იყო, ნამდვილად სამოთხეში იქნება ბაბუა...

საქმე ძეგლზე რომ მიდგეს ბაბუაჩემს მათგან ნამდვილად ეკუთვნის ძეგლის დადგმა...

ცხოვრება წინაა... სიცოცხლე გრძელდება, მადლის მკეთებელს კი უფალი პატრონობს ყოველთვის... მთავარია მადლი არ ტიროდეს, თუმცა გამოერევა გვარში ისეთიც, საფლავიც შეუგინოს მათი გვარის გადამრჩენელს...

## **ბახიშოლი ანუ ყადიოლი ყადიქე**

ბევრჯერ მომიწია დაუჯერებელი ამბის აღწერა და ერთიც უნდა დავამატო, იმდენად, რამდენადაც მეც მჯერა ამ ყოველგვარი თითქოსდა დაუჯერებელი ამბებისა და მოვლენების. ბუნებაში ყველაფერი ხდება, ამდენად ადგილი აქვს პარანორმალურ მოვლენებსაც.

სანამ მისტიკურ ამბებს ავლწერდე, ცოტა რამ გვარის შესახებ.

გვარის შორეული წინაპარი ყოფილა „ლაშქარაშვილი“ გვარში გაჩენილა ერთი ჯმუხი, ქოჩორა ვაჟიშვილი, რომლის

შთამომავლებს გვარი „ქორრაშვილი“ მიაკუთვნეს – „ქორრაღან“ გამოძინარე.

ლაშქარაშვილი ქორრაშვილმა შთანთქა...

ქორრაშვილის შთამომავლებიდან მხოლოდ ქალიშვილის თაობაა ცნობილი, მაგრამ სწორედ ამ ქალიშვილს უკავშირდება მისტიკური ამბავიც, რომელიც პირ დაპირ დამოკიდებულებაშია ჯინებთან, ხოლო ჯინებთან დაკავშირებით ამბები მხოლოდ ქადიეებში და მათ უბანს ეხება.

ქორრაშვილის გოგო ავად გამხდარა, ისე რომ ვერანაირმა წამალმა ვერ უშველა. მშობლებს ჯინდარის მოყვანა ურჩიეს. მართლაც მოიყვანეს, რომელსაც ჯინებთან ქონია კავშირი. (იქნებ მუთია იყო ის ჯინდარი?)

ჯინდარმა ჯინები გამოძახა და იკითხა – ამ გოგოს რამე ხომ არ დაუშავეთო. არაო – უპასუხეს. ყველა ხართ თუ არაო – კვლავ იკითხა ჯინდარმა. არა, კოჭლი ჯინი გვაკლიაო უთხრეს და ისიც მოიყვანეს.

– რამე ხომ არ დაგიშავებია ამ გოგოსთვის? – იკითხა ჯინდარმა.

– კი დაუშავე. მე რომ ხის ძირში საჭმელს ვჭამდი იმ ხეს ნაჯახი დაარტყა მაგ გოგომ, მე ფეხზე მომხვდა და ამიტომ დაგკოჭლდი. სამაგიერო გადაუხადე და სილა შემოგკარი – უპასუხნია მას.

ჯინდარმა და ჯინებმა ერთხმად თხოვეს კოჭლ ჯინს გოგო გაეთავისუფლებინა, დაუჯერა მათ ჯინმა, გოგოს შეეშვა და გამოჯანმრთელდა კიდევ...

ეს ამბავი მართლაც დაუჯერებელია, მაგრამ ჯინებთან კავშირი დღესაც დასტურდება... ეს მეცნიერების თემაა და მათ დაუუთმოთ კვლევა.

გვარში ბიჭი, რომ არ ყავდათ გადაწვიტეს ზედსიძის მოყვანა. მართლაც ასე მოიქცნენ და ჩამოისიძეს ყადიოდლი. გაქრა გვარი ქორრაშვილიც და დაემკვიდრა ყადი-ოდლი.

ხელოში ყადი-ოდლები ბოლქვაძეებად იწერებიან ჩვენთან კი ყადი-ოდლი გადაკეთდა ყადიძედ.

რაც შეეხება ყადი-ოდლის. ყადი მოსამართლეა თურქულად. ბოლქვაძეებში ვინაიდან ყადის წოდების კაცი ჰყავდათ, მის შთამომავლებს მოსამართლის შვილები ანუ „ყადიოდლები“ უწოდეს.

სადორეთში მისი ნამრავლი „ბარიშოდლად“ იწოდება. მოსამართლე – მომრიგებელიცაა. „ბარიში“ მომრიგებელს ნიშნავს.

ოსმალებს არ მოსწონდათ ძლიერი გვარი და „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით გვარი გაყვეს, მაგრამ ამ გაყოფას ვითარებამ შეუწყო ხელი. ყადიოდლი „მემი“ ოსმალების ჯარში, რუსეთ-ოსმალეთის 1860-1870-იანი წლების ომში მედროშედ ყოფილა. ბრძოლაში დაღუპულ მემი – მებაირახტრის შთამომავლებს „მემიბაირახტაროდლი“, შემოკლებით „მეიბახტიშვილებს“ უწოდებენ.

ამ გვარიდან იყო სახალხო მთქმელი, წერა-კითხვის უცოდინარი შაქირ ყადიძე, რომელსაც მეტსახელი „კიტა“ ერქვა.

ყადიოდლი-ყადიძის ანუ ბარიშოდლის გვარში გამორჩეული ბიჭი იყო, მთელი საქართველოს მაშტაბით ცნობილი, მხიარული, ავტორიტეტიანი, ყადის გამწევი და გამგები – ავტონისპექტორი – მუხამედ ყადიძე, რომელიც მთელ საქართველოში იყო ცნობილი – „ტუხა“დ.

## ბუნებრივი საყინეც

საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი ანომალიური მოვლენები ხდება და ამათ გვერდით ისეთი უცნაური, ბუნებრივი წარმონაქმნები გვხვდება, მეცნიერთა და დაინტერესებულ პირთათვის დღემდე ნაკლებად შესწავლილია.

სიცხეში, რომ მიწის ზედაპირზე ყინული წარმოიქმნება, საოცრებაა პირდაპირ... აი, ამისთანა საოცრებები ხდება ყველგან.

სოფელ საღორეთს ორი კილომეტრით მოშორებული მინდორი აქვს, რამდენიმე ჰექტრის ფართობის. მინდვრის უკიდურეს დასავლეთით აღმართულია უზარმაზარი მოცულობის კლდე, რომლის ფუძესთან მიწის სიღრმიდან ზაფხულობით უბერავს ცივზე-ცივი ქარი. ამ ბუნებრივ ღრმულში თუკი შედგამ წყალს, სასიამოვნოდ აგრილებს და მაცივარში გაგრილებულ წყალს არაფრით ჩამოუვარდება, პირიქით მაცივრისგან განსხვავებით თავის გემოს ინარჩუნებს.

ზამთრობით, თოვლიან ამინდში ამ ადგილას თოვლი შრება ქარის გავლენით.

გეოლოგებმა დასკვნა გააკეთეს – გამჭოლი ქარი იქნებაო, რაც არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, ვინაიდან ასეთი ქროლვა ამ ადგილმდებარეობაში გამორიცხულია. საიდანაც უბერავს იმ მხრიდან სწორედ ის კლდეა და უკან კიდევ ვინ იცის რამდენი კილომეტრის მთიანი მასივი. გეოლოგებმა კარსტული გამოქვაბულიც გამორიცხეს, ვინაიდან აჭარის ტერიტორია ვულკანური წარმოშობისაა...

უფლის ხელქვეითაა ბევრზე ბევრი უცნაურობებიც და მთლიანი შესაძლებლობებიც.

დასკვნა გამომაქვს, იმ გადმოცემიდან, რომელიც ამ ღრმულიდან მომდინარე ქარზეა შემორჩენილი. უხსოვარ დროს, ამ ღრმულიდან გამოედინებოდა ანკარა მდინარე, რომელიც არასოდეს იმღვრებოდა. წყლის არსებობას კი წყლის მიერ დატოვებული ხრამიც ადასტურებს.

ირმების და შგლების საყვარელი თავშეყრის ადგილი ყოფილა ეს მდინარე – წყალსაც სვამდნენ და ნებივრობდნენ ამ მინდორზე.

ვიღაც გოგო შესულა მდინარეში საბანაოდ. ამ დროს შემოჯარულა თურმე ჯოჯი წყლის დასაღვეად და როდესაც ადამიანი ნახეს, თითქოს წყლის „წამბილწველი“, ერთი შებღაველეს საწყალობლად და იქაურობას გაეცალნენ. მაღე კი

თითქოს ამ გოგოს „შეცოდების“ გამო წყალი საერთოდ გამ-  
ქრალა.

ეს ლამაზად მოსასმენი ამბავია, მაგრამ სინამდვილე ისაა,  
რომ ნაწყლევი ადგილი ნამდვილად არსებობს.

რა ხდება და რატომ?

თუ წყალი მოედინებოდა და გაქრა, ესეგი მიწის შრე  
ჩაინგრა და წყალი „ჩავარდა, ანუ საქმე გვაქვს უზარმაზარ  
მიწისქვეშა გადინებასთან. შესაბამისად მიწისქვეშა ხეობა-  
ცაა ალბათ. ცნობილია, რომ მთიდან მოთქრიალე მდინარეს  
ხეობაში ქარიც ახლავს თან. ამის მტკიცება შეიძლება. დავი-  
ჭიროთ მდინარის ზედაპირზე ქაღალდი ან მატერია, უცილო-  
ბლად შეირხევა ქარის ქროლვის მიმართულებით ანუ დინებ-  
ის მიმართულებით...

თუ ამ ღრმულში წყალი ჩავარდა, ზემოთ ხომ დარჩა  
ნაპრალი, ჰოდა წყლის ძლიერი გადინების მეოხებით, ამ ნაპრალ-  
იდან ჰაერის ძლიერი მასა გამოიტუმბება გარეთ მიწისქვეშა  
„ვაკუუმიდან“ მდინარის ზეგავლენით წარმოქმნილი. სხვანაირ  
მტკიცებულებას არააქვს ადგილი, ვინაიდან ამ მოსაზრებას  
აღტერნატივაც არ გააჩნია..

ამ ღრმულს დღესდღეობით „საცივოს“ უწოდებს ხალხი...

მომავალში იქნებ საკვლევე ობიექტად იქცეს ჩვენი ყოველდ-  
ღიური, თითქოს არასამეცნიერო „საცივო“...

ანომალიებს და უცნაურობებს რა გამოლევს ქვეყნად...

## მოლოქნახელი ასულები

საღორეთს, გარდა ტაფობში მოქცეული ტერიტორიისა,  
რომელიც 4 კვ. კილომეტრს შეადგენს. აქვს გარეუბნებიც –  
ცივასულა, სათიხე, ფიქალთი, მოლოქნარა, გუფთი, ჭალა, პერ-  
კუმი და ბუჭია. საერთო ჯამში 7 კვ. კილომეტრამდეა სოფე-  
ლი გადაჭიმული.

მოლოქნარა პატარა ვაკეა, რომელიც მახუნცეთელთა ტყის

ბოლოს მდებარეობს და ამჟამად საავტომობილო შარავზას ებჯინება.

ამ პატარა გავაკებაზე ცხოვრობდნენ ობლად დარჩენილი დები – ჰუქნარი და ჰუმაიშე, მაგრამ მათი ვინაობის და სადაურობის დამადასტურებელი ამბები არაეინ იცის.

როდესაც აჭარაში ოსმალთა გასარეკად რუსეთის ჯარი შემოვიდა, ფანატიკმა თურქოფილებმა მავნებლური ფარაზა შეაგდეს გლეხთა შეგნებაში – რუსი მოდის და აჭარა უნდა გაჭრასო, ესეიგი უნდა ამოგვწყვიტონო. იყო ამის მიზეხიცი და თურქოფილთა ანკესზე წამოგებული ხალხი აზვირთებულა და ოსმალეთისაკენ იბრუნეს პირი.

ეს ხდება 1914 წლის ბოლომდის. უფრო სწორედ შუა ზაფხულში უკვე ბათუმში იყვნენ რუსული გარნიზონები და ნელნელა მიიწევდნენ წინ და აჭარისაკენ.

მოლოქნარას, უპატრონოდ დარჩენილმა დებმა სახლის და მიწების გაყიდვა და აქაურობაზე გაცლა ამჯობინეს. ვინაიდან მათი ტერიტორია მახუნცეთის ტყის დაბოლოება იყო, ავიდნენ მახუნცეთში და შესთავაზეს მათი უძრავი ქონების შესყიდვა.

ეშმაკობა იხმარეს მახუნცეთლებმა, ქვა ჩაიდვეს გულის მაგიერ და თქვეს – მიწას ხომ ვერ წაიდებენო და უარი განუცხადეს დებს. დაღონებულები საღორეთის ჯამეზე ავიდნენ ჯუმა დდეს და აქაც იგივე გაიმეორეს. ხასან საამიოღლიმ შეისყიდა მოლოქნარას ვაკეც და ტყეც, სათანადო საბუთიც შეადგინეს ჯამეში და ხელწერილებიც გააკეთეს, იყიდა ხასანმა ტერიტორია. წავიდნენ დები...

ავგისტოს ბოლოს ხასანის მეუღლე და შვილები გაერიდნენ სოფელს და ოსმალეთისაკენ ქნეს პირი. დარჩა უსტა ასანი მარტო.

სოფელში რუსის საღდათები ჩამორიგდნენ ყველას სახლში. ვითარება დაიძაბა...

უსტა ასანი ვიღაცამ სასიკვდილოდ გაიმეტა.

მახუნცეთლებმა გაიგეს დების წასვლა და მამულის დასაპატრონებლად დაეშვნენ მოლოქნარას, მაგრამ საღორეთლებმა არ დაანებეს და ნასყიდობის საბუთიც კი უჩვენეს, შემდეგ თავად დაეპატრონნენ უსტა ასანის მიერ ნაყიდ მამულს, ხოლო საბუთი გააქრეს... თუ მახუნცეთლებმა ეშმაკობა იხმარეს, სამაგიეროდ საღორეთლები უფრო ვერაგები აღმოჩნდნენ. ტრაგიკული ისტორია საღორეთს ტკივილად დაჰყვება... დების ასავად დასავალი დღესაც არავინ იცის...

მოკლეული უსტა ასანის ცოდვა კი ტრიალებს და ტრიალებს...

## ქეთილი ხვადი

უკვე ავლნიშნეთ საღორეთში შემოსული ღორთქიფანიძეების წველილი თუმცა ნაწილობრივ მინდა შევეხო მათ საქმიანობას, ქველმოქმედების და კაცურ-კაცობის მადლით მოსილ ყულაბას ისევ მათივე ნასაქმარებით თუ მერმინდელი ნაბიჯების ხიბლით.

სანამ რუსეთში ოქტომბრის რევოლუცია მოხდებოდა, მანამდე აჭარიდან რუსეთის ერთ ერთ ქალაქში სასწავლებლად სამი კაცი წავიდა. ერთი მათგანი იყო საღორეთელი ხასან ღორთქიფანიძე, მეორე, მაშინდელი ყოფილი მაზრის უფროსის შვილი – ყადირ შერვაშიძე და ქობულეთელი – რეჯებ ნიჟარაძე.

ხასან ღორთქიფანიძე იურიდიულ ცოდნას დაეწავა და იმ დროისათვის იგი ერთადერთი ძლიერი იურიდიული ცოდნით აღჭურვილი პიროვნება იყო.

აჭარაში ფეხს იკიდებდა ახალი ცხოვრების, სწავლა-განათლების ძლიერი სურვილი და მონდომება. ამიტომაც წარუზაგნეს რუსეთში სასწავლებლად ახალგაზრდა თაობა, ეს ინიციატივა საქართველოს დედაქალაქიდან მოდიოდა – მოწინავე ინტელიგენციის, მათი მეთაურის, საქართველოს სასიქადულო შვილის – ილია ჭავჭავაძის დევიზით.



აჭარაში იყვნენ ბუნებით დაწინაურებული, გამჭრიახი და ბრძენი ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ჩამორჩენილობისაგან თავდასაღწევი ადგილობრივი ძლიერი კოლექტივი – ხასან ლორთქიფანიძე, ყადირ შერვაშიძე, მემედ აბაშიძე, ჯემალ ქიქავა, რეჯებ ნიჟარაძე, ჰაიდარ აბაშიძე, კაიკაციშვილები, დიასამიძეები, შალიკაშვილები და სხვები და სხვები, რომლებმაც აჭარელი გლეხკაცის შეგნებაში რევოლუცია მოახდინეს, თუმცა ძალიან ძნელი და მძიმე ვითარება სუფევდა აჭარაში, მაგრამ მაინც მოახერხეს და სწორი ორიენტაცია განავითარეს სამომავლო ცხოვრებისაკენ.

ხასან ლორთქიფანიძემ მძიმე და ძნელი ნაბიჯებით გაუკვალა ხალხს გზა წარსულის ლაბირინთებიდან უკეთესი ცხოვრების მოწყობისაკენ. დიას, მძიმე და ძნელი იყო ხასანის მოღვაწეობა – აჭარაში კონტრრევოლუციონერები, თურქოფილები და მათზე მიტმასნილი აჭარელი ფანატიკოსები და ვინ მოთვლის რამდენი მავნე ელემენტი არ ბოგინობდა მაშინ. ძნელი იყო მანებელთა ხროში გზის გაკვალვა, მაგრამ ხასანმა და აჭარაში მოქმედმა პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილებმა მაინც მოახერხეს საქმის სასიკეთოდ შემობრუნება. ხასანს მშობლებიც გვერდში ედგნენ, ბიძებიც, ბიძაშვილებიც და ერთიანი ძალით უტევდნენ შავბნელ ძალებს და მათ შავბნელ მოქმედებებს.

ხასანი, სელმანი, ყადირი და მემედ ლორთქიფანიძეები აჭარელთა გათვითცნობიერების, უკეთესი ცხოვრების მოწყობის საქმეში თავგადაკლული შემოქმედები იყვნენ.

შავბნელი ძალები-მეთქი... ისინი ყველა წყობაში არსებობდნენ. თითქოსდა აწყობილი ცხოვრების პირობებში, როდესაც მთელი საბჭოთა ქვეყანა იბრძოდა ახალი ცხოვრების საფეხურებზე ამადლებისათვის, გამოჩნდნენ ისეთი საქმოსნები, ვისაც არ აწყობლათ მავანთა ზესვლა...

მრავალთან ერთად ხასანს და სელმანს, რომლებიც მაღალ პოსტებს ფლობდნენ და აჭარელ ხალხს მაღალი იდეალებით აპურებდნენ, არ აპატიეს მამულიშვილობა და 1937 წელს ისინი რეპრესიაში მოაყოლეს.

პატრიოტები „სადირკველში“ ჩააყოლეს ახალ ცხოვრებას... კეთილი ნამოქმედარი კი ესტაფეტად გადაეცათ მომდევნო თაობებს, მაგრამ 37-ის ტკივილები არასოდეს მოისპობა. რეაბილიტაცია? – ეს იგივეა, ბავში გაღახო, იტიროს და მერე ფოჩიანი კანფეტები მიაჩქრო ხელში...

ღორთქიფანიძეებმა არაერთი ფურცელი დატოვეს აჭარის უახლოეს ისტორიაში. ექიმი ზულეიკას სახელი საფიცრადა აქვთ აჭარლებს. გენერალ ლეიტენანტი ვიქტორ ღორთქიფანიძე ჩენი სიამაყეა.

მათ საღორეთის სახელი არასოდეს შეურცხვენიათ...

## ზიხვედი ენათუხი

როდესაც მდინარე აჭარისწყალზე პიდროლექტრო სადგურის მშენებლობა დაიწყო, სოფელ საღორეთიდან უამრავმა მუშახელმა მიიღო მონაწილეობა. იყო ენთუზიაზმი, სიხარული იმისა, რომ ჭრაქსა და ნავთის ლამპას ელექტრო დენი შეცვლიდა და ყოველ ოჯახში შეაღწევდა ეს სიახლე. ზოგი სკეპტიკურად უყურებდა ამ საქმიანობას, მაგრამ ამ ზოგიერთებით არ წყდებოდა საკითხი. ინდუსტრიალიზაცია და სიახლე გრანდიოზული ნაბიჯებით მიიწევდა პროგრესისაკენ.

„აწკის“-ს დამთავრების შემდეგ როდესაც ექსპლოატაციაში გაუშვეს გენერატორები, პირველი დენი ქ. ბათუმს მიეწოდა, ასევე გაჩახჩახდა დაბის ტიპის ახალი დასახლება, რომელიც გარს აკრავდა ჰესის შენობებს და მახუნცეთლები ამ ადგილს „ბარად“ მოიხსენიებდნენ. მრავალმა ოჯახმა იხეიმა ჰესის ამოქმედების პარალელურად ახალმოსახლეობა, ძირითადი მოსამსახურე პერსონალიც დაბაში იყო დასახლებული.

სოფელ საღორეთიდან რამდენიმე პიროვნება ემსახურებოდა ხალხის სამსახურში ჩამდგარ ელსადგურის დანადგარებს და სხვადასხვა მოწყობილობებს.

პასუხსაგებ სამსახურში იყო მთელი ომიანობის განმავლობაში საღორეთელი – ჰემზე სამნიძე. იგი ჰესის დაცვის პასუხისმგებელი პირი იყო, როდესაც ჯერი მიღვა მოსახლეობის ელექტროფიკაციაზე, სოფელში პირველი ელექტრონათურა. სწორედ ჰემზე სამნიძის (იგივე მუსტაფ სამნიძის) ოჯახში აინთო. ეს დიდი პრივილეგია და პატივი იყო იმ დროისათვის, შემდეგ მასიურად დაიწყო მოსახლეობის უზრუნველყოფა. გაიხარეს სოფლის მცხოვრებლებმა. თანდათანობით ყველა სოფელს მიეწოდა შუქი. დენით უზრუნველყოფამ ასახვა ჰპოვა ახალ საქმიანობაში - ამუშავდა რიგი საწარმოები, რომლებიც ხალხს და სახელმწიფოს აწვდიდა სხვადასხვა სახის პროდუქციას.

## ზიხველი სეხიოზელობები

სოფელი საღორეთი უხემოსავლიანი იყო გამრჯე ადამიანების მცდელობითა და საქმიანობით. გასაბჭოების შემდეგ როდესაც კოლექტივიზაციის რელსებზე გადავიდა სოფლის ცხოვრება, მოსახლეობამ საზოგადოებრივის გარდა კერძო სექტორში დაიწყო ხეხილის ბაღების მოშენებაც. ჩაი და გენახი ხომ ყველა სოფელში ირგებოდა, იქ სადაც საამისო მონაცემები იყო, ხოლო ზღვასთან ახლო სოფლებში ჩაისთან ერთად ტუნგოსა და ციტრუსოვანთა ბაღები მოაშენეს. ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო სუბტროპიკული კულტურების მოშენების სფეროში, ნელი და მძიმე ნაბიჯებით მიიწევა სოფლებში სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხი. ბოლოს და ბოლოს ხალხი ჩაწედა სიახლეთა სიკეთეს და წინააღმდეგობას აღარავინ უწევა მთავრობის ისეთ დადგენილებებს, რომლებიც თვით ხალხის კეთილდღეობის სამსახურში ბანდებოდა.

ადამიანები უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის ფერხულში

დგებოდნენ და ყოველგვარ სიახლეს სიხარულით ხედებოდნენ. ბარაქა შევიდა გლეხის ოჯახში, ყველა ოჯახი იყო ჩაბმული საკოლმეურნეო შრომაში – ვინ ვენახს უვლიდა, ვინ ჩაიში შრომობდა, ზოგი მეცხოველეობას ემსახურებოდა, ზოგი თამბაქოს პლანტაციას, ზოგი მებაღეობას, ვინ კიდევ მებაზრეშუმეობას და სხვა.

პერსპექტივა და უკეთესი მერმისის იმედი ყველას გულში სახლობდა.

ვიდრე კოლექტივიზაცია შემოაბიჯებდა სოფლებში, საღორეთის მცხოვრებმა – მუსტაფ სამნიძემ სოფელში შემოიტანა ახალი კულტურა – ხურმა და კოროლიოკი. მანამდე არავის ენახა ეს ხილი და მით უმეტეს იმის გემოც არ იცოდნენ შესაბამისად. მუსტაფმა არა მარტო თავისთვის, სხვებისთვისაც იზრუნა და აგიტაციით სოფელში უმეტესობის საკარმიდამოში გაიღვა ფესვები ამ კულტურამ. მუსტაფის მიერ დამყნობილი პირველი ძირები დღესაც ხარობს სოფელშიც და სოფელ გარეთაც. ვიდრე სხვები შეისწავლიდნენ ამ ხეხილის მყნობის ხელოვნებას და სურვილი ექნებოდათ კულტურის მოშენებისა, მანამდე მუსტაფ სამნიძე დაჰყავდათ სხვადასხვა სოფელში და ისიც უსასყიდლოდ ამყნობდა „უცხო ხილს“.

მუსტაფ სამნიძემ ოსმალეთში ცხოვრების პერიოდში (1914-1919 წ.წ) აითვისა იმ დროისათვის სავალდებულო ხელობა – წინდაცვეთის სპეციალობა. დადიოდა სოფლიდან სოფელში და ჰიგიენის ამ ფორმას ატარებდა მსურველთა დავალებით. სიკვდილამდე არ უღალატნია თავის პროფესიაზე და უნაკლოდ ასრულებდა. დღეს ამ ტრადიციას ქირურგები მისდევენ მსურველთა მონდომების გათვალისწინებით, ხშირად გართულელებით მიმდინარეობს ამგვარი პროცესები, მაგრამ მუსტაფ სამნიძის შემთხვევაში არასდროს ყოფილა არავითარი გართულება, იმიტომ რომ იგი ზუსტად იცავდა წესებს...

სოფელში პირველი აკვანი ბაბუამისმა – უსტაშაჰინმა

გააკეთა. პირველად ხურმის კულტურა მუსტაფ სამნიძემ მოაშენა. პირველი ნათურა მის ოჯახში აინთო. ზედა აჭარაში პირველი იარაღის წარმოება მუსტაფ სამნიძის ეზოში გამართულ საწარმოოში ხდებოდა. სოფლიდან პირველი „სუნთქი“ (წინდაცვეთის სპეციალისტი) მუსტაფი იყო. გასულ საუკუნეში სოფელ ხოხნიდან პირველი ქალი – რძალიც მან გამოიყვანა, რომლის შემდეგაც დღეის ანგარიშით 30-მდე რძალია გამოთხოვილი...

საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე აჭარაში განათლების სახალხო კომისარი პირველად, საღორეთელი სელიმან ლორთქიფანიძე იყო, პირველი იურისტი მისი ბიძაშვილი ხასან ლორთქიფანიძე.

## **ენეხი და აზიზი ანუ სხაგიუცი დასახული**

სოფელში, როგორც ვახსენე არიან ბარიშოღლები ანუ ყადიძეები. რამოდენიმე ოჯახი ერთმანეთით და მეზობლობით ხარობენ. ამ გვარიდან ერთი ვაჟკაცი სამამულო ომს შეეწირა, მოგვიანებით საქარველოს მასშტაბით ცნობილი ავტონისპექტორი, მეტსახელად „ტუხა“ გამოაკლდა ამ გვარს. სამოციან წლებამდე კი ტრაგედია დატრიალდა გვარში, რომელიც სოფლის ტრაგედიაა თავისთავად.

მოვიყვან ურნალ „საქართველოს ბუნება“ -დან მკვლევარ არნოლდ გეგეჭკორისეული პუბლიკაციიდან ამონარიდს, რომელიც ტყისმცველებს უამბნიათ მისთვის. „...შარშან, მეზობელი სოფლიდან ორი მონადირე დადგომოდა შგლეების კვალს. ამ დღეში წყურვილის მოსაკლავად ჩამოსული ჯოგიდან დედალ-მამალს ყინული ჩასტეხოდათ და თოვლისთვის თავი ვეღარ დაეღწიათ. ამითაც ისარგებლეს და დახოცეს. მადა ჭამაში მოდისო და ხელახლა იმავე დღეში მოაწვეეს საფარი და აი, გამოჩნდა მოწყურებული ნადირი. თითქმის ერთდროულად იგრიალა ორმა წყვილმა ლულამ და ორი შველი კვლავ წააქ

ციეს, მაგრამ აქ მოხდა სრულიად მოულოდნელი და გასაოცარი ამბავი. სროლის ექომ შუაზანზარა იქაურობა, თუ სხვა რამ მიზეზით მოხდა, უშველებელი ზვავე წამოვიდა და მონადირეები თან ჩაიყოლია. სწორედ ცოდვამ უწიათ იმ საცოდავებს. ნიშნის მოგება როდი მინდა, ძმები იყვნენ ის უბედურები, უდროოდ გამოესალმნენ სიცოცხლეს... და მაინც არ ვარგა, არ უნდა იაროს კაცმა ცუდ და უკუღმართ გზაზე!”

დიახ, შვლების დახოცვა ნამდვილად ცოდვაა, უფლისაგანაც აკრძალულია. ძმებს რომ ცოდვამ უწია ეს ნამდვილია. აი რა მოხდა სინამდვილეში.

„ძმები, ენვერი და აზიზი სანადიროდ გავიდნენ სახლიდან, ჭანჭახადის დელეში მოულოდნელად წყალს დაწაფებულ შვლებს წააწყდნენ და გააგორეს. წამოიღეს სახლში და მეორე დღეს ისევ წავიდნენ სანადიროდ, თან ახლდათ მეზობელი ამირან ქადიძე. ძმები იმავე ადგილას მივიდნენ, სადაც შვლები წყალს იყვნენ დაწაფებულნი და თავადაც მიადგნენ წყურვილის მოსაკლავად. ამირანი მოშორებით იდგა. ამ დროს მართლაც საოცრება მოხდა ზვავე წამოვიდა და სამთავე აიხვია თოვლმა. ამირანი იმ დღესვე იპოვეს, რომელიც ზედაპირზე იყო ხოლო ძმები რამდენიმე დღის შემდეგ.

ბუნებაში არაფერი იკარგებაო... უფალსაც არაფერი ეშვლებაო, ვინაიდან შვლის მოკვლა დიდი ცოდვაა, ეს არ აპატიო მათ მამაზეციერმა და სამაგიეროც გადაუხადა..

მთელმა რაიონმა იგლოვა ტრაგიკულად დაღუპულები. ენვერს მეუღლე და ქალიშვილი დარჩა. ქალიშვილი გათხოვდა და შვილიშვილებით ხარობს. კერა არ გაციებულა. მესამე ძმამ დააფრთიანა შვილები, ხოლო დებს ყველას საკუთარი ოჯახები გააჩნიათ... და მაინც ძალიან მტკივნეულია მათი დაღუპვა სოფლებებისათვის. ხომ არასოდეს ივიწყებენ მიცვალებულებს, მაგრამ ტრაგიკულად დაღუპულები სულ სხვაა”...

## ეპილოგი

წლები შევალიე წინამდებარე წიგნის შედგენას. (და არა მარტო ამ წიგნის). რამდენი სიძნელე შემხვდა, გაჭირვება, ჯანმრთელობის გაუარესება და არავისთვის არაფერი მითხოვია სურათისა და ბიოგრაფიის გარდა. მოგეხსენებათ, დღეს აღარავის აინტერესებს წიგნი. თუ სადმე ახალი რამ გამოჩნდა და ალბათ კაპიკების ფასადაც, ახლოს არავინ ეკარება... სასაცილოა ეს იმ ფონზე, როცა კომპიუტერმა დაიპყრო მსოფლიო და ადამიანის გონებაც, თუმცა უნდა გამოვთქვა მოსაზრებაც – დადგება დრო, წიგნიც ისევე საჭირო გახდება, როგორც პური. მთავარი კი აი რა არის: უინტერესო გახდა ქართველი ერი მთლიანობაში და ამაში დამნაშავეა დასავლეთი... არა, მარტო დასავლეთი კი არა აღმოსავლეთიც, თანაც „ახლო“... და კიდევ, – უკვე გონებრივი სიბეცით გამორჩეული, ოდესღაც გმირული სულით შთაგონებული სიბრძნით ნაქები, ყველას ცნობისწადილი – ქართველი ხალხი... დიახ, ამ ნაქებ ერს უკვე აღარ აინტერესებს გმირული წარსული... აინტერესებს კი არა, საერთოდაც დავიწყების სტადიაშია ჩვენი ისტორია... ჰო, ეს უინტერესობა გარედან გამიზნული „ზეწოლით“ თუ ქვეწოლით ხდება. გინდ გაიკვირვებ გინდ არა, ეს ასეა, წყალი არ გაუვა... მთელი თუ არა, ნახევარი მსოფლიო დაინტერესებულია საქართველოს, ქართველი ერის გაჩანაგებამოსპობით!.. ნურავის ექნება იმის ილუზია, ჩვენი აყვავება სურდეთ საქართველოს „მეგობარ“ ქვეყნებს... თუ აღარ ვიქნებით, საქართველოს კუბის მსგავსად კურორტად აქცევენ დიდი სახელმწიფოები... დიახ, ეს სურვილი ნამდვილად არის და ყოველნაირად ხელს უწყობენ ქართველებს გადაგვარება-გახრწანა-მოსპობის გზაზე... რატომ ასეთი დასკვნა, როცა „გავევროპელებით“ და ნატოს ვუღებთ კარებსო, იქნებ ვინმე შემედავოს. ქართული კულტურა სხვა ქვეყნების კულტურაზე უძველესი რომაა, ეს საქვეყნოდ ცნობილია და სწორედ ამის

გადავიწყებინების გზაზე ჰყავთ შემდგარი ქართველი ახალგაზრდები, რომელთაც მეტი არა უნდათ-რა, ოღონდ მამიკო ჰყავდეთ მდიდარი და „იგულაონ“ აკრძალულ სამყაროში, უფლებელჰყონ ტრადიციები და მენტალიტეტი, რომლითაც სამართლიანად ამაყობდა ქართველი ერი.

თითქოს სათქმელი გამექცა?... არა!.. ალენ დაღესი საბჭოთა კავშირის დანგრევის გრანდიოზული გეგმით წარსდგა ამერიკელი ელიტის წინაშე... უკვე „გაეგროპელელებული“ ადამიანები (სულაც „გაამერიკელებული“..) მათ დაკრულ დუდუკზე ცეკვავენ დღეს და აზრზე არ არიან, თუ როგორი მომავლის წინაშე ვდგავართ (თუ გვაყენებენ) – დასავლეთი თუ ჩრდილოეთი?... ჰო, რუსეთი „კარაქის“ ბუდე აღარ გვინდა და ამერიკული „ვიტა“ ვამჯობინეთ...

უკვე პოლიტიკაში გადავიჭარი, მაგრამ არა, – ვინ გაჰყოფს ერი და პოლიტიკა? ესენი ურთიერთკავშირში არიან ისე, როგორც გული და კუჭი, ტვინი და გონება...

ქართველებს ისეთი გონებრივი პოტენციალი გაგვაჩნია, რომ მსოფლიო ხალხები ასეული წლების გასვლის შემდეგ ხედებიან ქართული გენის უპირატესობას, თუმცა ამ ტალანტების აღმოჩენა გვიჭირს ისევ ჩვენ... იმ ზომაზე დავუშვით ჩვენი ღირსება, დაგვცინიან კიდევ და ამას რომ შიგნით ვერ აღვიქვამთ ისე, როგორც საჭიროა, „გვაცეკვებენ“ მათ დუდუკზე, აბა რა იქნება... ვიდას აინტერესებს ჩვენი ღირსება, როცა ქალია თუ კაცი, საზღვარგარეთის ნაგავში იქექება და ამას რომ აცნობიერებენ ჩვენი „მეგობრები“ განა დაგვეხმარებიან, რომ თავი მაღლა აეწიოთ და სიამაყით მიმოვატაროთ თვალები?..

ხელი აკლია საქართველოს (არა სახელმწიფოს), თავი აკლია და როცა თავი არ მუშაობს, იქ ფეხები (ანუ ჩვენ...) ზიანდებიან.

აი, ამ პრობლემის წინაშე ვდგავართ უკვე 25 წელიწადია და თუ არ მოვაგვარებთ ისევ ჩვენ, გარედან არავინ დაგვე-



მარება...

ჰოდა, რაღა გასაკვირია, ტვინგამორეცხილ საზოგადოებას წიგნი რომ აღარ აინტერესებდეს...

ვთქვი უკვე, წლები შევალიე-მეთქი, რაც სინამდვილეა... დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას ვარ მიჩვეული ბავშვობიდან და ამიტომ ვეღარ შეველიე დაგროვილ ინფორმაციას, თორემ სწორი თუ გინდათ ვთქვა, ესაა სიმართლე – აღარ ღირს ნამდვილად წვალებად, იმ ფონზე, როცა შვილს მშობლის წარსული ფეხებზე მოაკიდებინეს ამ ოცდახუთი წლის მანძილზე...

კომუნისტურ პერიოდში, ძალიან ბევრი და კარგი ნომენკლატურული პიროვნებები მოღვაწეობდნენ საზოგადოებრივ საწყისებზე, ყველა სფეროში მოგვეპოვებოდა ისეთი მუშაკები, ვისაც მართლა შეეძლოთ თაიგულებიან რელსებზე გადაეყვანათ ცხოვრება, მაგრამ რატომღაც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მშობელ ხალხს ზურგი აქციეს და განდიდების მანიით შეპყრობილნი, მამებლურად შესცქეროდნენ სათავეში მოქცეულ „ბელადებს“... ყოფილ საბჭოთა კავშირს კი, სტალინის შემდეგ ბელადის დეფიციტმა უმაღ დაამჩნია კვალი... დიახ, ჩვენ, ქართველებს გვყავდა ისეთი თავები, ანუ უნარიანი, ტალანტი ადამიანები, რომელთაც ნამდვილად შეეძლოთ არათუ საქართველოს, მთლიანი საბჭოთა კავშირის ცხოვრების იმაზე უკეთ წარმართვა, რაც დატოვა ბელადმა სტალინმა... დიახ, დიახ, გვყავდა მაგრამ... ბევრი მაგრამი დაგროვდა...

ეს პოლიტიკა, ეპილოგში არ მოთავსდება, არც იყო საჭირო, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენშიც, რუსეთში ჩასახულმა ნიჰილიზმმა მოიკიდა ფეხი და ალბათ ათწლეულები აღარ ეყოფა გამოსწორებას... თანამდებობას მორგებულებმა ხალხის მიმართ გულგრილობა ნამდვილად გამოამჟღავნეს, უგულისყურობა სენივით მოედო ხელისუფალთა ატმოსფეროს... ყველა ერთი ჯოხით არ გაიდენებო, იტყვიან...

პრაქტიკიდან გამოდინარე (ალბათ დღესაც გრძელდება...) მართლაც აღარ ღირდა რაიმეს შექმნა, ზოგის მოთავსება ამ წიგნში, ზოგმა ჭკუა იხმარა და ამისთანა კომენტარს თავი წინასწარ აარიდა, უბრალოდ ინფორმაცია აღარ მოგვაწოდა.

სამწუხაროდ, ბევრი ისეთიცაა წიგნში მოხვედრილი, ვისაც ხალხისთვის არ უზრუნვია (არც აძლევენენ საშუალებას ალბათ...) მაგრამ ვიღაცების თვალში ზოგი მათგანი წმინდანის რანგში იყვნენ აყვანილი (მართლაცდა – რატომაც არა წესიერად მომუშავე განა წმინდანი არაა?..) და რომ არ მოგვეხვედრებინა, აგვიკლებდნენ.

სწორედ ამას მოვერიდე, არც არავის დაუკვეთია წიგნის შექმნა, მაგრამ ხომ გვერდიგვერდ ვცხოვრობთ ავებიც და კარგებიც? ჰოდა, ამან გამაბედვინა ამ საქმეს რომ შევჭიდებოდი. მთავარი დევიზი კი ეს იყო: ვის რა წვლილი (ან საერთოდ...) მიუძღვის ხალხის წინაშე, ამის დაკარგვა ნამდვილად არ მინდოდა...

როცა წიგნი იწერება და ამას საზოგადოება გაიგებს, შემქმნელს იდეურად მაინც უნდა დაეხმარონ, ნაცვლად იმისა, როცა დაისტამბება მაშინ გამოჩნდებიან ისეთები, ანდაზა რომაა ქართული: „კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო“... უხეში შედარება მოვიყვანე, მაგრამ უნდა დაგამატო ისიც, რომ როცა ეს ნაწერი უკვე საზოგადოების ხელში გადავა, იმდენი კრიტიკოსი გამოჩნდება, ფურცელი არ იქნება წიგნში. კრიტიკა საჭიროა ნამდვილად, მაგრამ ანტიპროვინების ადამიანები უფრო მომრავლდებიან შეფასებისას...

კიდევ ერთი ანდაზა: ყეფონ ძაღლებმა, ქარავანმა კი გზა გააგრძელოს...

ნურავის ემწვაება ეს ნათქვამი – ნუ აღმოჩნდებიან ძაღლის როლში აქ მოყვანილი ეპითეტით, თუმცა ისიც უნდა ვთქვა – ძაღლი ადამიანის მეგობარია, მაგრამ არა ყველა... ცოფიანმა კბენა იცის...

და ბოლოს ყველა ნაკბენი მორჩება...

ქვეყნიერებაზე არ არსებობს ორი, აბსოლუტურად ერთ-ნაირი ადამიანი, ყოველმხრივ დადებითი ან უარყოფითი, ამდენად ადამიანები მეტნაკლებად განვითარებულნი და მოაზროვნეები არიან, უნაკლო მხოლოდ მამაზეციერია, ხოლო ადამიანებს გააჩნიათ ზოგს კომიკური, ზოგს ტრაგიკომიკური, ზოგს ამორალური, ზოგს მაღალზნეობრივი, ზოგს მდიდარი, ზოგს კი მწირი წარმოსახვა და მხარე.

ადამიანმა ღრმად რომ იფიქროს, ერთი შეხედვით სიცოცხლე არაფრად ღირს, მაგრამ თუნდაც რომ დავეთანხმო ამ ფრაზას, ადამიანმა მაინც უნდა შეხედო ცხოვრებას სხვა კუთხით, იმდენად, რამდენადაც იმსახურებს იგი.

რაც არ უნდა კარგად ახასიათონ ადამიანები, სახელმწიფო მოღვაწეები, მეფეები, ხელმწიფეები, პრეზიდენტები თუ სასულიერო ელიტის წარმომადგენლები, ყველა მათგანს რაღაც ჩრდილოვანი მხარე აუცილებლად გააჩნიათ, ამდენად ყველა ესენი ერთნაირი დონით და განზომილებით, ადამიანებს ყველაფრით ვერ შეაყვარებენ თავს. ამიტომ, რადგანაც მეტნაკლებად ხასიათდებიან ისინი, უხინჯო კვალს ვერასდროს დატოვებენ, მაგრამ ადამიანებში თუ დადებითი აჭარბებს, მაშინ ჩრდილოვანი მხარე აღარც უნდა დაეიხსომოთ, ხოლო ავწონ-გაგზომოთ იმით, თუ რა სარგებლობა მოუტანიათ ქვეყნისა და საზოგადოებისათვის. დიახ, ეს ასეც უნდა გავაკეთოთ. ამბიციებს არ უნდა გადავაყოლოთ არავინ, რამეთუ, ყველა ბოროტების სათავე იყო და იქნება დამსახურებული თუ გაზვიადებული ქება ადამიანისა, რომელიც იწვევს მისი სულიერი სამყაროს, ავსილი საწაოს ამღვრევას. ცოტანი თუ გადაურჩებიან იმ სენს, რომელსაც განდიდების მანია ქვია და სწორედ, განდიდება, გადიდკაცება და არსწორად აღზრდა ამსხვრევს ადამიანთა ხასიათის იმ შტრიხებს, რასაც ასე თუ ისე დადებითი ქვია. პირფერობით, ქვემძრომობით, ქლესაობით და დაუმსახურებელი თუ დამსახ-

ურებულ – გაზვიადებული ქებითა და მოქმედებით ადამიანი ისეთ ჭაობში იფლობა, მამაზეციერიც ვედარ უშველის. ეს რომ ასე არ მოხდეს, ადამიანი სწორად აღზრდას საჭიროებს, თუმცა ადამიანთა შორის არიან ღვთის რჩეულებიც, უპრეტენზიო, ჩუმი და უნაგარო პიროვნებები და ჩვენი ვალია ისინი შევამჩნიოთ და მივუზღაოთ „კეისარს კეისრისა.“

ვიცი რომ, ვისაც კი შევეხე, ჩემი ეს შეფარული ტონი კიდევ გააღიაზიანებს და გაარისხებს, მაგრამ სიმართლეს ხომ ვერასოდეს გავექცევით?!

აბა ჩავიხედოთ საკუთარ მეში, განა ისე გავვივლია ცხოვრებისეული გზები, რომ ნებისითი თუ უნებლიე, რაღაც შეცდომა არ გვექონებოდა?.. არ არსებობს ასეთი შეფასება. თუ ვინმე თავისთავში აღმოაჩენს ამგვარ ნიუანსს, თვითკრიტიკის მსგავსი იქნება და ალბათ ღმერთიც აპატიებს. დიახ, უნებლიეთ დაშვებული შეცდომები გვეპატიება მგონი, თუმცა ჩვენი უგულისყურობით ვიღაცის სიყვარული თუ ვერ დავიმსახურეთ, არც ის უნდა გვეხამუშოს, ამაზე თუ მიგვითითებენ. ეს აქსიომაა!..

ჰო, ყველას ვერ შევაყვარებთ თავს და რამდენადაც არ არსებობენ ერთნაირი ხასიათის და ქცევა აზროვნების ადამიანები, იმდენად მოვიმკით სიყვარულსა და დაფასებასაც. სიყვარულს იმავე მონეცით ანაზღაურებენ, რომელსაც ის ჭრის...

შემხვედრია ადამიანები, რომლებიც თავისთავს ისე განადიდებენ, წარბსაც არ შეიხრიან, თუმცა ეს წარბები ფარავენ იმ მზერას რომელსაც „გველის მზერა“ ჰქვია, ანუ მათ ავიწყდებათ, რომ ბევრი ვერაფერი იყვნენ და ვერც ისეთი შექმნეს, მართლა დაფნის გვირგვინი დაემსახურებინათ.

რა ვქნათ, რა ვუყოთ ასეთ ადამიანებს, გავრიყოთ თუ შევრისხოთ?.. არც ერთი და არც მეორე. იტყვიან, ადამიანებს თუ რაიმე შეცოდება გააჩნია, ღმერთი ყველას თავისას მოჰკითხავს და ვაი მას, ვისაც თავისი ხარბობით, უგულისყურობით, ავი დამოკიდებულებით სხვისთვის ზიანი მიუყენებია,

მამაზეციერი მართლაც „კუპრის მორევში“ უკრავს თავს. ამიტომაც თავს ნურავინ დაიმშვიდებს იმით, თუ ერთი ან ორი სიკეთე გაუკეთებია და თავსაც გამოიდებს – ქვეყნის საქმე ჩემს კისერზე ჰკიდიაო... დამშვიდების უფლება ნამდვილად არ გვაქვს, იმიტომ, რომ სიკეთის კეთება დაუსრულებელია და თუკი ვინმეს ცხოვრების მათრახი კიდევ უჭრელებს ზურგს, ჯობია სულ სიქველეში გალიოს ცხოვრება.

წინამდებარე წიგნი რა შეფასებას დაიმსახურებს, ეს მკითხველზეა დამოკიდებული, მაგრამ მე ვიცი, რომ შეფასებები არაერთგვაროვანი იქნება, ინდივიდუალური იმდენად, რამდენადაც ყველას არ ეყვარება ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანებიდან რამდენიმე და თუ ეყვარებათ, სიყვარულს სიყვარულის და ქველი საქმის წილ დაიმსახურებენ.

უნაკლო ადამიანი არ არსებობს და მათზე მიძღვნილი წიგნიც ხომ ნაკლოვანებებით იქნება სავსე. არ მეშინია იმის, რომ თქვან – ასე უნდა დაეწერა და არა ისეო. შენიშვნებს დიდი სიამოვნებით მივიღებ, ჩემთვის უცხო და გამაღიზიანებელი არ იქნება არც ტონი და მიდგომაც.

და ბოლოს ერთ სიმართლესაც ვიტყვი, რჩევის სახით: ვინმეს თუ ვინმე არ მიაჩნია არა თუ წიგნში მოხვედრის, არამედ საერთოდ ცხოვრებაში, მოდით ვიყოთ პირდაპირი და პირდაპირაც უშუალოდ იმას მივმართოთ, ვინც არ მოგვწონს, (ოღონდ უტყუარად!..) აი, მაშინ ვიქნებით ყველაფრისა და ყველას წინაშე მართლები! იტყვიან „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“...

ადამიანს, ვისაც ხალხი აირჩევს მთავრობაში თუ სადმე სხვაგან, ხალხის კი არ უნდა ეშინოდეს, ხალხს უნდა ესიყვარულებოდეს, ვინაიდან მათ მშობელი ხალხი ქვიათ. არ უნდა ანსხვავებდეს ადამიანებს პიროვნულად, ყველა ერთნაირად უნდა უყვარდეს. ასე წერია ყველა რელიგიურ წიგნებში. აქედან გამომდინარე – ადამიანი კი არ უნდა ამშვენებდეს

სკამს, ან პირიქით, ეს არც უნდა შეინიშნებოდეს სხვათა თვალთ. ან სულაც სჯობია ამბობდნენ – სკამი და პიროვნება ერთმანეთს ამშვენებენო.

რა გვაქვს სინამდვილეში?

მოთავსდებიან თუ არა თბილ ადგილზე მიუკარებლები ხდებიან... ამ დროს ნათესაობაც იკარგება მგონი... რისი ან ვისი ეშინიათ?... ეს „პარანოია“ ქართული მენტალიტეტიდან უნდა ამოვარდეს!... რა წაჰყვათ ქვეყნების მმართველებს იმ ქვეყნად? არაფერი... როცა ამ ქვეყნად ზეკაცობ, არ უნდა ამოვარდე ყალიბიდან... კომუნისტურ პერიოდში საოლქო კომიტეტში მომუშავეს ვიზიტი თხოვა თავისიანმა. ისაუბრეს და სტუმარი კაბინეტს რომ ტოვებდა, მაშინ კითხა – საქმე ხომ არ გქონდაო... მომენატრე და მოვედიო – უპასუხა ვიზიტორმა... ჰოდა, სახეზე ფერი მაშინ მოუვიდაო... იქნებ მსგავსი შემთხვევა ვინმეს ქონია კიდევ მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ასეთები ბოლოს მაინც მოეგებიან ჭკუას (აბა, ადრე არ ეცალათ ამისთვის) და სულიერად განიწმინდებიან, რაც ბოდიშის მოხდის მსგავსი იქნება „ქვეყნიერებისათვის“... ღმერთი გაითვალისწინებს.

რჩევის სახით კი თხოვნას დავტოვებ – ნუ იქნებით კარნაკეტილები, (ნუ გეშინიათ, არავინ შემოგივარდებათ), მაღლიერი გყავდეთ ხალხი და მათზე კარგად ვერავინ დაგიცავთ; თუ კარებზე რამდენიმე საკეტს დააყენებთ გულსაც ნუღარ დაუმატებთ საკეტს, თორემ გარიყვა არ აცდებათ ხალხისაგან!..

ცხოვრება გვატკობს, ხან გვწიხლავს, ღვთის წესით მიედინება, მიტომც ვერ გაჭრის ცუდკაცთა, ალაღმართალთან რკინება!

## გახსოვდეთ

კაცი არ ვარგა უმტერო, არც უსაშ ველოდ მტრიანი,  
წლებს მივაუყვებო? – მიგველის ორმო მეტრნახევრიანი!  
ავი ნაქნარი ავის მქმნელს, ღვთის ძალით დაუბრუნდება,  
ბოროტი გულის პატრონი, ალაღთან მუდამ მტყუნდება!  
დიდი მდინარე, თუ ტბები, სულ წვეთ-წვეთობით გროვდება,  
უღირსს – არ ღირსი დიდება, სულ ზიზღად დაუგროვდება!  
მთის წვერს დაიპყრობს იგი ვინც აღმართს არ შეუყოვნდება,  
თუმც მწვერვალს ახლავს დაღმართიც, ვინ ჩაღვეს, ვინ  
ჩაგორდება!

ენით დაჭრილის იარა, განაკაწრივით არ რჩება,  
მუხა რაც უნდა არყიონ, ყოველთვის მუხად დარჩება.  
ფრინველთ მეფეს ნირს ვერ უცვლის, ჭილ-ყვაკებისა ჩხ-  
ავილი,

ვერც ქარავანს რას დააკლებს ძუნკაღ ძაღლების ხავილი!  
ხბორთა ნარქენი კამენსა ვერ დაუტოვებს ნაკაწრსა,  
ვერც ვერას წაფრცქვნის – გნომონთა კენჭების სროლა  
მთაკაცსა!

ნუ დაივიწყებთ – ხანძრები ჩნდებიან ნაპერწკლიდანა,  
გახსოვდეთ – ავსაც და კარგსაც, მოელის რისხვა  
ღვთიდანა!

გინდ კეთილს, გინდ ავს ამ ქვეყნად ცოდვა თუ აკიდება  
იმ ქვეყნად – ყველა თავისი ფეხებით დაეკიდება!

სარჩევი

1. წინასიტყვაობა -----	3
2. წარსული, აწმყო, მომავალი -----	10
3. სოფელი საღორეთი -----	24
4. საზღვრები -----	28
5. ჰავა, ნიადაგები, სხვა რესურსები -----	30
6. ისტორიული რეალობა -----	32
7. მოსახლეობა -----	33
8. წარსულის ძეგლები -----	35
9. საღორეთის ციხე -----	36
10. ცივასულას ციხე -----	44
11. თამარის ციხე ანუ ყალე -----	47
12. თამარის წყარო -----	50
13. საწნახელი -----	52
14. სასირის გორა -----	52
15. მოსაცდელ-ღამისათევი -----	57
16. ჭანჭახადის ხიდი -----	58
17. მუსლედი -----	61
18. ნადარბაზევი -----	62
19. ბეთლემი -----	63
20. ეკლესია, საყდარი და ნაეკლესიარი -----	65
21. საცივო -----	68
22. სოფელ საღორეთის ტოპონიმები -----	74
23. ნაწილი მეორე -----	99
24. ეპილოგი -----	270



რედაქტორი

*სიმონ გოგიტიძე*

ტექნოლოგიური და კორექტორი

*მაია სამნიძე*

ოპერატორი და დამკაბადონებელი

*მედეა ზოსიძე*

ფოტოები

*იმედა გოგიტიძე*

*სერგო სამნიძე*

**წიგნის სკონსორი: შპს „ხახუტა“**

ხელმოწერილია დასახეჭდად 14.05.2015

ქალაქის ზომა 60X84, 1/16

ფიზიკური თაბახი 17,5

შეკვეთის ნომერი 152

ტირაჟი 100

**ღაიბეჭდა შპს „პოლიგრაფი 2010“**

**ბათუმი გენ. ა. აბაშიძის I ჩიხი, სახლი 48**

